

ენათმეცნიერების
ენობათმცოდნეობის
ენათმეცნიერების



ფრანგულიდან თარგმნა
ნესტან იორდანიშვილმა

გაერთიანებული „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, 1988

Anatole France
La Révolte des Anges
Calmann-Lévy, 1972

წიგნში ფრანსისკოს დამახასიათებელი ნატიფი ირონიით მოთხრობილია როგორ შეისხეს ზორცი მოჭანყე ანგელოზებმა, როგორ ეპირებინ დაამხონ ბებერი დემიურგი იეპოვა და საძყაროს ტახტზე დააბრძანონ სატანა, რომელიც აქ ტრადიციულ ეშმაკად კი არაა წარმოდგენილი, თავისუფლების მომტანი ცოდნის, პოზიტიური ჯანყის სიმბოლოდ ვკველინება.

4703000000—101

ფ.

4601 (08)—88.

ISBN 5-529-00050-9

© ქართული თარგმანი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1988.

თ ა ვ ი

რუსული მკვლელ მოგვიტხოვს ერთი ფრანგული
ოჯახის თავბადასავალს 1781 წლიდან დღემდე

დ'ესპარვიეტა ოტელს სენ-სულპისის ჩრდილში აღუმართავს თავისი პირქუში სამი სართული მწვანედ ჩახავსებულ ეზოსა და ბაღს შორის, რომელიც წლითიწლობით პატარავდება, რაკი გარშემო სახლებს სულ უფრო და უფრო ახლოს აგებენ ხოლმე; ბაღის სიღრმეში მაინც მოჩანს ორი ვეება წაბლის ხე, ცად რომ აუზიდავთ ჩამომკვნარი კენწეროები. სწორედ აქ ბინადრობდა 1825 წლიდან 1857 წლამდე სასიქადულო წევრი ამ ოჯახისა — ალექსანდრ ბიუსარ დ'ესპარვიე, სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-პრეზიდენტი ივლისის მონარქიის დროს, მორალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ავტორი გამოკვლევისა „ხალხთა სამოქალაქო და რელიგიური დაწესებულებანი“, რომელიც სამ in-octavo ტომს შეიცავს, მაგრამ სამწუხაროდ, ბოლომდე არ არის მიყვანილი.

ლიბერალური მონარქიის ამ დიდმა თეორეტიკოსმა თავისი სისხლის, ქონებისა და სახელ-დიდების შემკვიდრედ დაგვიტოვა ფიულჟანს-ადოლფ ბიუსარ დ'ესპარვიე, რომელიც სენატორად იყო მეორე იმპერიის * დროს; ვაჟმა ერთი-ორად გაზარდა მამის დანატოვარი ქონება, რაკი სულ ერთიანად შეისყიდა მიწები, სადაც იმპერატორის მეუღლის გამზირს უნდა გაეგლო; გარდა ამისა, საუცხოო სიტყვაც წარმოთქვა პაპების საერო ხელისუფლების დასაცავად.

ფიულჟანსს სამი ვაჟი დარჩა. უფროსი, მარკ-ალექსანდრე, სამხედრო სამსახურში შევიდა და ბრწყინვალე კარიერაც გა-

იკეთა, რადგან ენაწყლიანი მოსაუბრე იყო. მეორემ, გაეტანმა, ვერაფრით გამოიჩინა თავი; უმეტესწილად სოფლად ცხოვრობდა, ნადირობდა, აშენებდა ცხენებს და თავს მუსიკითა და მხატვრობით იქცევდა. მესამემ, რენემ, სიყრმიდანვე მოსამართლედ რომ ზრდიდნენ, პროკურორის თანაშემწის ჩინს მიაღწია თუ არა, სამსახურიდან გადადგა, რათა ხელი არ შეეწყო კონგრეგაციებზე ფერის დეკრეტის* გატარებისათვის; მოგვიანებით, რა დაინახა, ბ-ნ ფალიერის პრეზიდენტობის დროს დეციუსისა და დიოკლეთიანეს* ხანა დაბრუნდაო, მთელი თავისი ცოდნა და ენერგია დევნილი ეკლესიის სამსახურს შეაღწია.

1801 წლის კონკორდატიდან* მოკიდებული მეორე იმპერიის უკანასკნელ წლებამდე ყველა დ'ესპარვიე, სხვათათვის მკვალითი რომ მიეცა, წირვას არ აკლდებოდა. გულის სიღრმეში სკეპტიკოსები იყვნენ, მაგრამ რელიგია ხალხის მართვის საჯეტესო საშუალებად მიაჩნდათ. ბატონი მარკი და ბატონი რენე პირველები იყვნენ გვარში, ჭეშმარიტი ღვთისმოსაობით რომ გამოირჩეოდნენ. გენერალმა ჯერ კიდევ პოლკოვნიკობისას თავისი პოლკი საკრე-კერის* წილხვედრად გამოაცხადა და თავადაც ისეთი გზებით იცავდა რელიგიურ წესებს, სამხედრო პირთა შორისაც თითოთ საჩვენებელი შეიქნა, თუმც ყველამ უწყის, რომ ცის ასულმა — ღვთისმოსაობამ ამიერსოფლად თავის უსაყვარლეს სადგურად მესამე რესპუბლიკის გენერალთა გულები აირჩია*. რწმენასაც თავის უცნაურობანი ახლავს: ძველი რეჟიმის დროს ხალხი მორწმუნე იყო; თავადაც ახალურობა და წიგნიერი ბურჟუაზია კი ურწმუნო. პირველი იმპერიის დროს არმიაში არც პატარასა და არც დიდს ღმერთი არ სწამდა. დღეს ხალხს აღარავითარი რწმენა აღარ შერჩა. ბურჟუაზიას კი სურს ირწმუნოს და, ბ-ნ მარკ და ბ-ნ რენე დ'ესპარვიეებისა არ იყოს, ხანდახან აღწევენ კიდევ საწადელს: სამაგიეროდ ბ-ნ გაეტანს, სოფლელ მემამულეს, ამ საქმეში ხელი მოეცარა; იგი აგნოსტიკოსი იყო, როგორც ამბობენ სოლმე, თავისუფლად მოაზროვნის სახელი რომ არ დასცდეთ ბაგეთიდან. და არც მალავდა თავის აგნოსტიკოსობას, თუმც კი წესით ამგვარი რამეების დაფარვა მართებდა. ჩვენს საუკუნეში რწმენისა და ურწმუნოების იმდენნაირი სახეობა არსებობს. რომ მომავლის ისტორიკოსებს ბევრი თავსატეხი გა-

უჩნდებათ. მაგრამ განა ძალგვიძს დავიქადოთ, სიმაქოსისა და ამბროსის დროინდელი* რწმენის საკითხები დღესდღეობით უკეთ გვესმისო?

უდრეკი ქრისტიანი რენე დ'ესპარვიე ძალზე ერთგული იყო იმ ლიბერალური იდეებისა, რომლებიც მისმა წინაპრებმა წმიდა რამ ანდერძივით უანდერძეს. ბედმა ათეისტური და იაკობინური რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლა არგუნა და თავს მაინც რესპუბლიკელად აცხადებდა. სწორედ თავისუფლების სახელით მოითხოვდა ეკლესიის დამოუკიდებლობასა და სუვერენულობას. იმ წლებში, როცა გაცხარებული დავა იყო სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფისა* და საეკლესიო ქონების კონფისკაციის თაობაზე, ეპისკოპოსთა სინოდები და მორწმუნეთა კრებები სულ მის სახლში იმართებოდა.

იმ დროს, როცა დიდ, მწვანე სასტუმროში თავი მოეყარათ კათოლიკური პარტიის ყველაზე უფრო გავლენიან მესვეურებს, პრელატებს, გენერლებს, სენატორებს, დეპუტატებსა და ჟურნალისტებს, როს ყველას სული წრფელი თუ იძულებითი მორჩილებით რომისკენ იყო მიქცეული, როს ბუხარის მარმარილოზე დაყრდნობილი ბ-ნი დ'ესპარვიე სამოქალაქო სამართალს კანონიკურს უპირისპირებდა და საფრანგეთის ეკლესიის მძარცველთ ენაწყლიანად, გააფთრებით უტევედა, ამ თავყრილობას ზემოდან ორი გაქვავებული, მღუმარე სახე დასტკეროდა; ბუხარის მარჯვენა მხრიდან დავიდის დახატული ესპარვიელი მიწათმოქმედი რომენ ბიუსარი იმზირებოდა. ტანთ ბამბაზიის შარვალ-ხალათი ეცვა; უხეშ სახეზე ეშმაკური, ოდნავ დამცინავი ღიმილი უკრთოდა. ქირქილის საბაბი დიახაც ჰქონდა: ოჯახის ქონებას აკი ეკლესიის კუთვნილი მიწების შესყიდვით ჩაუყარა საფუძველი. მარცხნიდან ამ გლეხის პირშმო, ჟერარის ყალმით ნახატი, სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილი, ორდენებით მკერდდამშვენებული ბარონი ემილ ბიუსარ დ'ესპარვიე იცქირებოდა, იმპერიის პრეფექტი და საფრანგეთის მეფის შარლ X ბექდის მტერთველი. იგი 1837 წელს გარდაიცვალა, მრევლის მიერ მნათედ არჩეული, თუმც პირზე სულ „ქალწულის“* ლექსები ეკერა ხოლმე.

რენე დ'ესპარვიემ 1888 წელს ცოლად შეირთო მარი-ანტუანეტ კუპელი, ბარონ კუპელის, ლუარის ზემო წელში მღე-

ბარე ბლენვილის მეტალურგიული ქარხნის მეპატრონის ქალი. ქ-ნი რენე დ'ესპარვიე 1903 წლიდან მოკიდებული ქრისტიანი დედების კავშირს უდგას სათავეში. მას შემდეგ, რაც 1908 წელს უფროსი ქალი გაათხოვა, ამ ზნეკეთილ ცოლ-ქმარს კიდევ დარჩა სამი შვილი: ერთი ქალი და ორი ვაჟი.

უმცროსს, ექვსი წლის ლეონს, დედამისისა და დის — ბერტას ოთახების გვერდით ერთი ოთახი ჰქონდა მიჩენილი. უფროსი, მორისი, ბაღში რომ პატარა, ოროთახიანი პავილიონი იდგა, იქ ცხოვრობდა. ყმაწვილი კაცი აქ ჰპოვებდა თავისუფლებას და ოჯახში ცხოვრებაც გასაძლისი ეჩვენებოდა. საკმაოდ ლამაზი ახალგაზრდა იყო, ელეგანტური, ოღონდ გადაპრანჭული კი არა. მის ღიმილს, ბაგეს ოდნავ რომ უხლეჩდა, სანდომიანობა არ აკლდა.

ოცდახუთი წლის მორისს ეკლესიასტესოდენა* სიბრძნე გააჩნდა. ფიქრობდა, სულ ამაოა კაცისათვის, რასაც არ უნდა ეწიოს ამ სამზეოზეო და თავის დღეში არაფრისათვის იწუხებდა თავს. ეს ბრწყინვალე ოჯახიშვილი სიყრმიდანვე იმაში იყო გამეცადინებული, რომ არასოდეს ემეცადინა და უნივერსიტეტის მერსი არც კი უნახავს, ისე გახდა სამართლის დოქტორი და სასამართლოს პალატის ადვოკატი.

ოღონდ არასდროს უეეჭილია და არც რაიმე პროცესში მიუღია მონაწილეობა. არაფერი იცოდა, არაფერი სურდა სკოლნოდა, ძალას არ ატანდა თავის ჰკუას, ზოგავდა მის სანეტარო შეზღუდულობას და ბედნიერი ინსტინქტიც უკარნახებდა, სჯობს ცოტა რამ იცოდე, ვიდრე ბევრი და ცუდადო.

მორისს, როგორც აბატი პატუი ბრძანებდა, ზეცის კურთხევად ქრისტიანული აღზრდის მაღლი ებოძა. სიყრმიდანვე ღვთისმოსაობის მაგალითი ედგა თვალწინ; როცა კოლეჯიდან გამოვიდა და სამართლის სკოლაში ჩაეწერა, მამამისის სალონში დოქტორთა სიბრძნე, სულიერ მოძღვართა ქველობა, მშობლიურ კერას მიჯაჭვულ ქალთა ერთგულება იხილა. რაკი სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე გამოსვლა მაშინ მოუხდა, როცა საფრანგეთის ეკლესიას სასტიკი დევნა დაუწყეს*, მორისი კათოლიკური ახალგაზრდობის არც ერთ დემონსტრაციას არ გამოკლებია; კონფისკაციის დროს თავისი სამრევლოს ბარიალებზე იბრძოდა და ამხანაგებთან ერთად თავის სასახლიდან განდევნილი არქიეპისკოპოსის ცხე-

ნების გამოხსნაშიაც მიიღო მონაწილეობა. ოღონდ ამ საქმეშიც ზომიერება გამოიჩინა: არავის უნახავს იმ გმირული რაზმის პირველ რიგებში მდგარიყოს, ჯარისკაცებს სახელოვანი ჯან-ყისათვის რომ აქეზებდა და სახელმწიფო ხაზინის აგენტებს ლანძღვა-გინებით იკლებდა.

ვალს აღასრულებდა მხოლოდ, მეტს არ ცდილობდა და როცა თავი გამოიჩინა 1911 წლის დიდი მლოცვარეობის ქამს ლურდის* მესაკაცეთა შორის, ყველას ეჭვი შეეპარა, ასე იმიტომ იქცევა, რომ სურს თავი მოაწონოს ქალბატონ დე ლა ვერდელიერს, რომელსაც ძლიერი მამაკაცები ხიბლავენო. აბატი პატუი, ოჯახის მეგობარი და სულთა უბადლო მესაიდუმლე, ხედებოდა, რომ მორისი მარტვილობისკენ მაინცდამაინც არ იყო მიდრეკილი. ჭაბუკს უნდობას უკიჟინებდა, ყურს უწევდა და დასძახოდა, ცულლუტი ხარო. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, მორისს რწმენა არ შერყევია. ჭაბუკურ ცდომილებათ ვერ გაექცა, ოღონდ რწმენა ხელუხლებელი დარჩა, რადგან თავად არ უხლია მისთვის ხელი. სწამდა, მაგრამ რისთვის, თავის დღეში იოტისოდენადაც არ გამოუძიებია. არც იმ საზოგადოების მორალურ პრინციპებს ჩასძიებია, რომელსაც თავად ეკუთვნოდა. ყველაფერს ისეთნაირად ღებულობდა, როგორადაც დაახვედრეს: ამიტომ ყოველგვარ ვითარებაში უღარესად ნამუხიან კაცად მოჩანდა, ეს კი გაუჭირდებოდა, ზნე-ჩვეულებათა საფუძველს რომ ჩაჰკვირვებოდა. გულფიცხი იყო, მგზნებარე, სახელ-ნამუსს გადაყოლილი და ამით დიდადაც მოჰქონდა თავი. არც პატივმოყვარე ეთქმოდა და არც მედიდური. როგორც ფრანგთა უმეტესობას, ხარჯვა მაინცდამაინც არ უყვარდა; ქალებსაც არაფერს დაახარჯებდა, ძალა რომ არ დაეტანებინათ. ეგონა, ქალები მეზიზღებო, სინამდვილეში კი მათი მალმერთებელი გახლდათ. ბუნებით ვნებიანი თავის ვნებიანობას თვითონაც ვერ ამჩნევდა. მაგრამ ერთადერთი, რაც არავინ უწყოდა, რაზედაც თავადაც არ ჰქონდა წარმოდგენა, და რის ამოცნობას მაინც შეძლებდით იმ წამიერ სველ სხივზე, დროდადრო რომ გაუკრთებოდა ლამაზ, წაბლისფერ თვალებში, იყო ის, რომ მოყვარული გულისა გახლდათ და შეეძლო მეგობრობა; ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაში კი საკმაოდ ქარაფშუტა კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

სადაც მკითხველი ჰპოვებს საპირო ცნობებს
 ბიბლიოთეკაზე, რომელშიაც ვალე უცნაური ამბები
 დაბრიალდება

ბარონ ალექსანდრ დ'ესპარვიეს მოეწადინებინა კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის ყოველი სფერო მოეცვა, თავისი ენციკლოპედიური ნიჭისთვისაც კონკრეტული სახე და შესატყვისი იერი მიეცა და ამიტომაც სამას სამოც ათასტომიანი ბიბლიოთეკა გაეჩინა; ზოგი თხზულება დაბეჭდილი იყო, ზოგიც ხელნაწერი; მაგრამ წიგნთსაცავის ძირითად ფონდს ლიგუეეს ბენედიქტელთა ოდინდელი საკუთრებანი შეადგენდა.

ბარონმა თავისი ანდერძის საგანგებო მუხლით მემკვიდრეებს დააკისრა მისი სიკვდილის შემდეგაც გაეზარდათ ბიბლიოთეკა და შეეძინათ ყველაფერი, რაც კი რამ საყურადღებო გამოქვეყნდებოდა ბუნებისმეტყველების, მორალის, პოლიტიკის, სოციალურ მეცნიერებათა, ფილოსოფიისა და რელიგიის დარგში. საამისოდ თავის დანატოვარი ქონებიდან თანხაც კი გამოჰყო და უფროს ვაჟს ფიულჟანს-ადოლფს დაავალა წიგნთსაცავის გამდიდრებისათვის ეზრუნა. ფიულჟანს-ადოლფმაც შვილური მოწიწებით აღასრულა სახელგანთქმული მამის ნება.

მისი სიკვდილის შემდეგ ეს უზარმაზარი ბიბლიოთეკა, რომლის ღირებულებაც ბევრად მეტობდა თითოეული შვილის წილს მემკვიდრეობიდან, სენატორის სამ ვაჟსა და ორ ქალს აღარ გაუყვიათ და ამ მდიდარი კოლექციისათვის თვალყურის დევნება დაევალა რენე დ'ესპარვიეს, ვისაც წილად ერგო გარანსიერის ქუჩაზე მდებარე ოტელი. მისმა დებმა: ქალბატონმა პოლე დე სენ-ფენმა და ქალბატონმა კუისარმა ბევრჯერ მოითხოვეს ამ ძვირფასი ქონების ლიკვიდაცია, აქაოდა მოგებას არ იძლევაო. მაგრამ რენემ და გაეტანმა თავიანთი დების წილი გამოისყიდეს და ბიბლიოთეკა დაღუპვას გადაარჩინეს. რენე დ'ესპარვიემ მისი შევსებაც კი სცადა დამაარსებლის სურვილისამებრ, ოღონდ წლითიწლობით ამცირებდა შეძენილ წიგნთა რიცხვსა და ღირებულებას, რაკი მიაჩნდა, რომ ინტელექტუალური პროდუქცია საგრძნობლად დაეცა საფრანგეთში.

გეტანი კი მაინც ამდიდრებდა ბიბლიოთეკას თავის ხარჯზე, იძენდა ახალ წიგნებს, ზოგს თვით საფრანგეთში, ზოგსაც უცხოეთში გამოცემულს, რაც კი რამ ღირებულად მიაჩნდა. ამ საქმეში დიდ გამპყრიახობას იჩენდა, თუმცა მისი ძმებისათვის რომ გეკითხათ, ერთობ უფხო კაცი იყო. ამ მუდამ მოცლილი და ცნობისწადილით შეპყრობილი შვილის წყალობით ბარონ ალექსანდრის კოლექცია დღევანდლობის წინაშეც პირს არ ირცხვენდა.

დ'ესპარვიეთა ბიბლიოთეკა თეოლოგიის, იურისპრუდენციისა და ისტორიის დარგში დღესაც ერთი საუკეთესო კერძო ბიბლიოთეკათაგანია მთელს ევროპაში. იქ თავისუფლად შეგიძლიათ შეისწავლოთ ფიზიკა, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ფიზიკის ყოველი დარგი თავისი განშტოებებითა და თუ მოგეპრიანებათ, მეტაფიზიკაც, ანუ მეტაფიზიკური მეცნიერებანიც, ე. ი. ყოველივე, რაც ფიზიკას მოსდევს* და სხვა სახელი არ მოეძეება, იმდენად ძნელი გახლავთ არსებითი სახელით გამოხატო ის, რასაც არსება არ გააჩნია და ოდენ სიზმარი და ილუზიაა. შეგიძლიათ დატკბეთ ფილოსოფოსებით, რომლებიც აბსოლუტის პრობლემას ამტკიცებენ, უარყოფენ ან წყვეტენ, განსაზღვრავენ განუსაზღვრელსა და უსასრულოს დასაზღვრას ლამობენ. ყველაფერს იპოვით ამ საღვთო და უღვთო წიგნებში, თვით უახლესი და უკოპწიავესი პრაგმატიზმის* ჩათვლით.

სხვა ბიბლიოთეკებს უფრო უხვად მოეპოვებათ სიძველით განთქმულ ყდებში ჩასმული, წარმოშობით გამორჩეული, ტყავის შეფერილობითა და ხავერდოვნებით თვალწარმტაცი წიგნები, ძვირად რომ ფასობენ საუცხოო ვარაყის, ოქრომკედლის ძიერ ოსტატურად ნაჭედი ფილიგრანის, ორნამენტის, ყვავილწნულის, ემბლემისა თუ გერბის გამო და თავიანთი ნაზი ციალით მცოდნეთა გულებს ინადირებენ; სხვები შეიძლება უფრო დიდი რაოდენობით შეიცავდნენ დასურათებულ ხელნაწერებს, ვენეციულ, ფლამანდულ თუ ტურინულ მხატვართა ყალამს რომ მოუხატავს ნატიფი და ცოცხალი მინიატურებით. მაგრამ დ'ესპარვიეთა ბიბლიოთეკას ვერც ერთი ვერ მეტობს ძველი და ახალი ავტორების ჩინებული და მდიდრული გამოცემებით, მათი სასულიერო თუ საერო ნაწერებით.

აქ ნახავთ ყველაფერს, რაც ანტიკურობიდან შემოგვრჩა,

ეკლესიის ყველა მამას, აპოლოგეტსა და დეკრეტალისტსაც აქ მოუყრია თავი; აქვეა აღორძინების ხანის ყველა ჰუმანისტიც, ყველა ენციკლოპედისტი, მთელი ფილოსოფია, მთელი მეცნიერება.

სწორედ ამან ათქმევინა კარდინალ მერლენს, როცა ბიბლიოთეკის ნახვა ინება:

— არ მეგულება ქვეყნად იმდენად ჰკვიანი კაცი, ამ თაროებზე ჩარიგებული სიბრძნის ათვისება რომ ძალუძდეს. საბედნიეროდ, ეს არც არავის სჭირდება.

მონსინიორ კაშპოს, ვინც ამ ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი იყო, როცა პარიზის ვიკარი გახლდათ, ჩვევად ჰქონდა ეთქვა:

— აქ იმდენი რამაა თავმოყრილი, რომ ბევრ თომა აქვიწელსა და არიუსს* წარმოშობდა, კაცთა გონებას კეთილისა და ბოროტის შეცნობისათვის ოდინდელი მგზნებარება რომ შერჩენოდა.

ხელნაწერები, რა თქმა უნდა, ამ უზარმაზარი კოლექციის ყველაზე დიდ სიმდიდრეს შეადგენდნენ. სხვათა შორის, იქ მოიპოვებოდა გასენდის, მამა მერსენისა და პასკალის* გამოუცემელი წერილები, რომლებიც ახალ შუქს ჰფენდნენ XVII საუკუნის ფილოსოფიურ აზროვნებას. დიდი ცოდვა იქნება გამოგვრჩეს ხელნაწერი თუ ნაბეჭდი ებრაული ბიბლიები, თალმუდები, რაბინთა ტრაქტატები, არამეული და სამარიტული ტექსტები, ცხვრის ტყავზე თუ სიკომოროს ფირფიტებზე ნაწერი, დაბოლოს, ყველა ძველთუძველი და ფასდაუდები ცალები, სახელგანთქმულმა მოსე დინელმა რომ მოიპოვა ეგვიპტეში და ალექსანდრ დ'ესპარვიემ შეიძინა ჩალის ფასად 1836 წელს, როცა სახელოვანმა ებრაისტმა გაჭირვებისა და სიბერისაგან სული განუტევა პარიზში.

დ'ესპარვიეთა ბიბლიოთეკას ძველი შენობის მესამე სართული ეჭირა. ის წიგნები, ნაკლები ღირებულების მქონედ რომ მიაჩნდათ, როგორც მაგალითად ბ-ნ გაეტანის მიერ ნაყიდი XIX და XX საუკუნეების პროტესტანტული ეგზეგეტიკის* თხზულებანი, ყდებში ჩაუსმელად მანსარდის უფსკრულებში იყო დანთქმული. კატალოგი ოაცის დამატებებითურთ თვრამეტ in-folio ტომზე ნაკლები როდი გახლდათ. კატალოგსა და წიგნთსაცავში სანიმუშო წესრიგი სუფევდა. ბ-ნი

ეიულიენ სარიეტი, არქივისტი-პალეოგრაფი, ერთი ლატაკი და უჩინარი კაცი, თავს გაკვეთილებით რომ ირჩენდა, 1895 წელს აგრიის ეპისკოპოსის რეკომენდაციით ახალგაზრდა მორისის აღმზრდელი გახდა და თითქმის მაშინვე დ'ესპარვიეტა ბიბლიოთეკის მცველადაც დაინიშნა. ბ-ნ სარიეტს მეთოდური შრომა უყვარდა და რაკი ჯიუტი მოთმინებაც არ აკლდა, მარტომ, სხვის დაუხმარებლად დაანაწევრა ეს უზარმაზარი მთელი. მისგან მოფიქრებული და შემოღებული სისტემა იმზომამდე რთული იყო, შიფრები, რომელთაც წიგნებზე სვამდა, იმდენი მთავრული და პატარა, ლათინური და ბერძნული ასოსაგან იყო შემდგარი, იმდენ არაბულ თუ რომაულ ციფრს შეიცავდა, იმდენი ერთმაგი, ორმაგი და სამმაგი ვარსკვლავი ახლდა, იმდენი ნიშანი ამკობდა, რომლითაც არითმეტიკაში ხარისხებსა და ფესვებს აღნიშნავენ, რომ მათში გარკვევას მეტი დრო მოუწოდებოდა, ვიდრე ალგებრის საფუძვლიან შესწავლას და რახან არავინ მოინახა, ვინც ინდომებდა ამ ბნელით მოცული სიმბოლოების ათვისებაზე ეჭვლიტა ტვინი, რაკი ამ ხანში უფრო დიდის წარმატებით რიცხვთა კანონების საიდუმლოებაში წვდომას შეძლებდა, ერთადერთი ბ-ნი სარიეტი-და დარჩა, ვისაც ძალუძდა გზა გაეკვლია ამ ლაბირინთში და მისთვის მინდობილ სამას სამოც ათას წიგნში საჭირო წიგნაკის პოვნა უმისოდ ყოვლად შეუძლებელი შეიქნა. ასეთი შედეგი გამოიღო მისმა გულმოდგინებამ. მაგრამ სულაც არ დარდობდა, დარდობდა კი არა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ბ-ნ სარიეტს უყვარდა თავისი ბიბლიოთეკა. თანაც ექვიანი სიყვარულით უყვარდა. დღეცისმარე დილის 7 საათზე მოდიოდა და აქ, წითელი ხის საწერ მაგიდაზე კატალოგს ადგენდა. მისი ხელით დაწერილი ბარათები ავსებდნენ უზარმაზარ საკატალოგოს, რომლის თავზედაც ალექსანდრ დ'ესპარვიეს ბიუსტი იყო შემოდგმული. მოქანდაკეს იგი ფაფარაყრილი, მკერდმოშიშვლებული გაეკეთებინა. ქანდაკებას შატობრიანივით მოკლე ქილვაშები ამშვენებდა, ბაგე ოდნავ გაეპო და ზვიად მხერას ავლებდა მიდამოს. შუადღის ზარი რომ ჩამოჰკრავდა, ბ-ნი სარიეტი სასაუზმოდ მიდიოდა კანეტის¹ ეიწრო

¹ კანეტი (canelle) — იხვი (ფრანგ.).

და ბნელ ქუჩაზე, „ოთხი ეპისკოპოსის“ კაფეში, სადაც უწინ ბოდლერი, თეოდორ დე ბანვილი, შარლ ასელინო, ლუი მენარი* და ესპანეთის ერთი გრანდი დაიარებოდნენ; გრანდი, რომელსაც კონკისტადორთა ენაზე ეთარგმნა „პარიზის საიდუმლოებანი“*. ძველ, ქვის აბრაზე გამოხატული იხვეები ლაღად ჭყუმპალაობდნენ გუბეში (ქუჩას სწორედ ამიტომ ეწოდა „კანეტის“ სახელი) და ესალმებოდნენ ბ-ნ სარიეტს. პირველს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, ისევ უკან ბრუნდებოდა, თავის ბიბლიოთეკაში, საიდანაც მანამ არ გამოვიდოდა, სანამ შვიდი არ შესრულდებოდა; მაშინაც „ოთხი ეპისკოპოსის“ კაფეს მიაშურებდა და თავის ღარიბულ სადილს მიუჯდებოდა, რომელსაც მუდამდღე შავ ქლიავს აყოლებდა ხოლმე. ყოველ საღამოს, ნასადილევს, აქ მისი მეგობარი, მიშელ გინარდონი მოდიოდა, რომელსაც დიდ-პატარა მამილო გინარდონს ეძახდა. ეს მხატვარ-დეკორატორი, ეკლესიებში სურათების რესტავრატორად რომ მუშაობდა, „ოთხი ეპისკოპოსის“ კაფეში ყავისა და ლიქიორის დასალევად პრინცესას ქუჩის მანსარდიდან მოეშურებოდა და ორი მეგობარი უმალ დომინოს ჩაუჯდებოდა ხოლმე. მამილო გინარდონი, ეს ჭაბუკური ძალ-ღონით აღსავსე კაცი ისეთი ხნიერი იყო, რომ წარმოდგენაც კი ჭირდა. შენავარიც* კი სცნობებია. თავად ერთობ განკრძალული ადაშიახი გახლდათ და გააფთრებული უშვერი ენით ლანძღავდა ხოლმე ნეოპაგანიზმის უწმინდურებას. უყვარდა ენის მოტყავება და ბ-ნი სარიეტიც ხალისით უსმენდა. მამილო გინარდონი თავის მეგობარს უპირატესად სენ-სულპისის ანგელოზთა ეკედერზე ელაპარაკებოდა, რომლის მხატვრობაც ალაგ-ალაგ ატკეჩილიყო და რომლის აღდგენასაც თავად აპირებდა, როცა უფლის ნება იქნებოდა, რადგან მას მოღმა, რაც ეკლესია სახელმწიფოს გამოეყო, ეკლესიები ღვთის ანაბარა დარჩა და თვით აუცილებელი აღდგენითი სამუშაოების ჩატარებასაც არავინ კისრულობდა. მაგრამ მამილო გინარდონი არავითარ საზღაურს არ ითხოვდა.

— მიქაელი ჩემი პატრონია, — ამბობდა იგი, — თანაც მოთაყვანე ვარ წმიდა ანგელოზებისა.

მას შემდეგ, რაც ერთ ხელ დომინოს ითამაშებდნენ, გალეული ბ-ნი სარიეტი და მუხასავით ტანამართული, ლომივით ფაფარაშლილი, წმიდა ქრისტეფორესავით ბრგვე მამილო გი-

თანდონი დარსა თუ ავდარში გვერდიგვერდ მიაბიჯებდნენ და მიბაასობდნენ ხოლმე სენ-სულპისის მოედანზე. ბ-ნი სარიეტი პირდაპირ შინისაკენ გარბოდა და ამით ძალზე სტკენდა გულს მხატვარს, რომელსაც ღამღამობით სეირნობა და ლაყბობა უყვარდა.

მეორე დღეს, შვიდი საათი დაჰკრავდა თუ არა, ბ-ნი სარიეტი ისევ თავის ადგილს იჭერდა ბიბლიოთეკაში და კატალოგებს უკირკიტებდა. თან ყოველ მომსვლელს მედუზასაებრ მშერით ლალავდა იმის შიშით, წიგნის მთხოვნელი არ აღმოჩნდესო. ამ მშერით სურდა ქვად ექცია არა მხოლოდ მაგისტრატები, პოლიტიკოსები, პრელატები, რომლებიც სარგებლობდნენ პატრონის კეთილი განწყობით და რაიმე ნაშრომის სათხოვნელად მოდიოდნენ, არამედ თვით ბ-ნი გაეტანიც, ამ ბიბლიოთეკის დიდი მწყალობელი, ხანდახან სოფლად, წვიმიან დღეებში წასაკითხად ზოგი ძველმოდურად გიჟმაკური, ან უწყმიდური წიგნი რომ მიჰქონდა; არ ეპუებოდა არც ქ-ნ რენე დ'ესპარვიეს, როცა თავისი საავადმყოფოს ავადმყოფთათვის წიგნების წასაღებად შემოუვლიდა ხოლმე და არც თავად ბ-ნ რენე დ'ესპარვიეს, ჩვეულებრივ „სამოქალაქო კოდექსითა“ და დალოზის* თხზულებით რომ კმაყოფილდებოდა. მოხუცს სულ პაწაწინა წიგნაკის წაღებითაც კი სულს ართმევდნენ. თხოვებაზე უარი რომ ეთქვა მათთვისაც, ვისაც წიგნის წაღების ყველაზე მეტი უფლება ჰქონდა, ბ-ნი სარიეტი ათას ეშმაკურ თუ გულუბრყვილო ფანდს იგონებდა, შეეძლო ცილიც კი შეეწამებინა საკუთარი თავისათვის, აღარ დაეძებდა მის სიფხიზლეში ეჭვიც რომ შეჰპარვოდათ და გაიძახოდა, დაბნეული ან დაკარგული მაქვსო ისეთ ტომზე, რომელსაც წუთის წინ გულში იხუტებდა ან თვალებით ეალერსებოდა. როცა ძალიან ჩამოაცივდებოდნენ და, ბოლოს და ბოლოს, უეჭველად უნდა გაეცა წიგნი, მთხოვნელს ერთი ოცჯერ მაინც სტაცებდა ხელიდან, სანამ გაატანდა ხოლმე.

მუდამ კანკალში იყო, ამ მობარებულ წიგნთაგან რამე არ დაძეკარგოსო. სამას სამოცი ათასი წიგნის შემნახველს დღენიადაგ სამას სამოცი ათასი თავში საცემი ჰქონდა. ხანდახან ღამღამობითაც ეღვიძებოდა, ცივ ოფლს ასხამდა და სიმწრის ძახილი აღმოხდებოდა, როცა სიზმრად თავისი კარადების თაროებზე ცარიელ ადგილს აწყდებოდა.

საშინელებად, უმსგავსობად, დიდ მკრეხელობად მოაჩნდა წიგნი ვინმესთვის რომ გაეტნია. მისი კეთილშობილური სიტუნწე სასოწარკვეთილებაში აგდებდა ბ-ნ რენე დ'ესპარვიეს, რომელიც თავის საუცხოო ბიბლიოთეკარის ღირსებას არ აფასებდა და საწყალს ბებერ მანიაკს ეძახდა. ბ-ნმა სარიეტმა არ იცოდა, ასე უსამართლოდ თუ ექცეოდნენ, მაგრამ საზარელ რისხვასაც გადაიტანდა, გაკიცხვასაც გაუძლებდა და ლანძღვა-გინებასაც, ოღონდ თავისი ანაბრები ხელუხლებლად შეენარჩუნებინა. სწორედ ბ-ნ სარიეტის მეცადინეობის, სიფხიზლისა და გულმოდგინების, ანდა, უფრო მოკლედ რომ ვთქვათ, სიყვარულის წყალობით იყო, დ'ესპარვიეთა ბიბლიოთეკას მისი განმგებლობის მანძილზე ერთი ფურცელიც რომ არ დაჰკლებია. არადა, 1912 წლის 9 სექტემბერს ზუსტად 16 წელი შესრულდა იმ დღიდან, რაც ბერიკაცი წიგნთსაცავს პატრონობდა.

თ ა ვ ი III

რომელსაც იღუვალ სამხაროში შევსავართ

იმავ საღამოს, 7 საათზე, მას შემდეგ, რაც ჩვეულებისამებრ თაროებზე შემოაწყო წიგნები, რომელთა გადმოღებაც მოუხდა და დარწმუნდა, ყველაფერი რიგზე არისო, ბ-ნი სარიეტი ბიბლიოთეკიდან გამოვიდა და ორჯერ მაგრად გადაკეტა კარი.

უწინდებურად „ოთხი ეპისკოპოსის“ კაფეში ისადილა, გადაიკითხა გაზეთი „ლა კრუა“¹ და ათ საათზე თავის პატარა ბინაში დაბრუნდა რეგარის ქუჩაზე. ამ უზაკველ კაცს არც არაფერი აშფოთებდა და არც არავითარი ავი წინათგრძნობა უმღვრევდა სულის სიმშვიდეს; ძილითაც მშვიდად ეძინა. მეორე დღით, შეიდმა დაჰკრა თუ არა, თავისი ბიბლიოთეკის წინკარში შედგა ფეხი, ჩვეულებისამებრ ახალი რედინგოტი გაიხადა და ძველში გაუყარა ხელი, კარადაში რომ ეკიდა, პირსაბნის თავზე. შემდეგ სამუშაო კაბინეტში შევიდა, სადაც შეი-

¹ „ლა კრუა“ („La Croix“) — „ჯვარი“ (ფრანგ.).

დიდან ექვს დღეს ზვიადად მომზირალი ალექსანდრ დ'ესპარ-
ვიეს ქანდაკების ქვეშ მჯდარი კატალოგებს აწესრიგებდა. მე-
რე დარბაზების შემოვლა მოინდომა. ჯერ ყველაზე დიდში
შევიდა, სადაც უზარმაზარ კარადებში, რომელთა თავებსაც
ძველ დროებათა პოეტებისა და ორატორების ბრონზეცურ-
ვილი თაბაშირის ბიუსტები ამკობდა, მთელი თეოლოგია და
რელიგიები იყო თავმოყრილი. ორი ვეება სფერო ამშვენებდა
ფანჯრების ნიშნებს; ერთი მათგანი ცას წარმოადგენდა, მე-
ორე — მიწას. მაგრამ პირველი ნაბიჯი გადადგა თუ არა,
ბ-ნი სარიეტი თავზარდაცემული შედგა, ვერც ის წარმოედ-
გინა, რომ თვალი ატყუებდა და ვერც ის დაეჯერებინა, რა-
საც ხედავდა. ლურჯმალღადაფარებულ სამუშაო მაგიდაზე
დაუდევრად ეყარა წიგნები, ზოგი გადაშლილი, ზოგიც პირ-
ქვე დამხობილი; In-quarto ზომის წიგნები ვილაცას ერთი-
მეორეზე აეხუხულავებინა და გადმოცვენას ლამობდნენ; ორი
ბერძნული ლექსიკონი ერთიმეორეში ჩაქედლიყო და ღვთა-
ებრივი პლატონის ადამიანთა წყვილებზე* საზარელ ურჩ-
ხულს მოჰგავდა. ერთი ოქროსაშიიანი in folio გადახსნილიყო
და უკადრისად ჩაეცილ სამ გვერდს აჩენდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ თავზარდაცემული ბიბლიოთე-
კარი გონს მოეგო, მაგიდასთან მიიჭრა და წიგნების ამ გრო-
ვაში თავისი საუკეთესო ებრაული, ბერძნული და ლათინუ-
რი ბიბლიები, უნიკალური თალმუდი, რაბინთა ნაბეჭდი თუ
ხელნაწერი ტრაქტატები, არამეული და სამარიტული ტექს-
ტები, სინაგოგის გრაგნილები, მოკლედ, ისრაელის ერთიმე-
ორეში ათქვეფილ-აზელილი და პირდაფჩენილი უძვირფასესი
ძეგლები შეიცნო.

ბ-ნი სარიეტი ისეთი ამბის მომსწრე შეიქნა, რომლის გა-
გებაც წარმოდგენელი ჩანდა და მაინც თავს ძალას ატანდა
მის ასახსნელად. რა სიხარულით მოეჭიდებოდა აზრს, მთელი
ამ საშინელების მომქმედი ბ-ნი გაეტანია, ეს უპრინციპო კა-
ცი, რომელიც სარგებლობს იმით, ბიბლიოთეკისათვის დრო-
დადრო შემოწირულებანი რომ მოაქვს და პარიზში ყოფნი-
სას იქიდან დასტა-დასტა გააქვს წიგნებით, მაგრამ ბ-ნი გაე-
ტანი იმხანად იტალიაში მოგზაურობდა. ცოტა ხნის ფიქრის
შემდეგ ბ-ნმა სარიეტმა დაასკვნა, გვიან ლამით უთუოდ ბ-ნმა
რენე დ'ესპარვიემ გამოართვა გასაღები თავის ლაქია, იპო-

ლიტსო. ეს იპოლიტი აგერ უკვე ოცდახუთი წელი იყო, რაც მესამე სართულსა და სხვენის ოთახებს ალაგებდა. ბ-ნი რენე დ'ესპარვიე თავის დღეში არ მუშაობდა ღამით და არც ებრაული იცოდა; მაგრამ ხომ შეიძლებოდა ვინმე მღვდელი ან დროებით პარიზში ჩამომხტარი იერუსალიმელი სასულიერო პირი მოეწვია, ან სულაც წმიდა ეგზეგეტიკით დაინტერესებული სწავლული ორიენტალისტიო, თავს ინუგეშებდა ბ-ნი სარიეტი. ერთი ფიქრი ისიც კი იფიქრა, ყველაფერი აბატ პატუის ნახელავი იქნება, წიგნების ჩაქცევის საძაგელი ჩვეულება სწორედ მასა სჭირს, უთუოდ ის ეცა ამ ბიბლიებსა და თალმუდებს სემის სულში ჩაწვდომის უეცარი გზებით ატანილიო*. ისიც კი წარმოიდგინა, იპოლიტს ხომ არ მოხეზრდა მეცნიერების მტერის ყლაპვა, მას შემდეგ, რაც მთელ მეოთხედ საუკუნეს ბიბლიოთეკას გვიდა და ასუფთავებდა, თვითონაც ხომ არ აღეძრა ცნობისწადილიო: წუხელ, მთვარის შუქზე მან ხომ არ გაიწყალა თვალები, წაიწყმიდა სული და გონება ამოუცნობი ნიშნების ცქერითო. ბ-ნმა სარიეტმა ისიც კი გაივლო გულში, იქნებ კლუბიდან ან რომელიმე ეროვნული თავყრილობიდან დაბრუნებულმა ახალგაზრდა მორისმა ჩამოიღო თაროდან და ასე არივ-დარია ეს ებრაული წიგნებიო, იაკობისა და მის დღევანდელ შთამომავალთა სიძულვილით ანთებულ ამ ჩინებულ ოჯახისშვილს აკი თავი ანტისემიტად მოაქვს და მხოლოდ მასავით ანტისემიტ ებრაელებთან დაიარება სტუმრადო. ეს ვარაუდადაც ძნელი წარბოსადგენი იყო; მაგრამ ბ-ნ სარიეტს მოსვენება დაეკარგა, მისი გონება ხან რას ეჭიდებოდა და ხან რას, თუმც ამ ვარაუდთაგან ერთი მეორეზე ნაკლებ სარწმუნო ჩანდა.

იპოლიტმა არაფერი უწყობდა. ბ-ნმა სარიეტმა ვერც ოტელის მეკარისაგან შეიტყო რამე. მსახურთა შორის არავის არაფერი გაუგია. ბიბლიოთეკარი ბ-ნ რენე დ'ესპარვიეს კაბინეტში შევარდა. ბ-ნი რენე ხალათითა და ღამის ჩაჩით დაუხვდა, მოხუცის ნაამბობს ისეთი სახით უსმენდა, თითქოს აყვედრიდა, ამ სერიოზულ კაცს რა სისულელეებით მაცდენო. მის პასუხშიაც ბიბლიოთეკარისადმი სასტიკი სიბრაალული გამოკრთა.

— თავს ნუ იტანჯავთ, ჩემო კეთილო, ბატონო სარიეტ:

დამერწმუნეთ, წიგნები ამ დილით იმ ადგილას დაგხვდათ, სადაც გუშინ დატოვეთ.

ბ-მა სარიეტმა ერთი ოცჯერ მაინც გამოიძია ყველაფერი, მაგრამ ვერაფერს მიაკვლია და შეშფოთებამ ძილი გაუფრთხო. მეორე დღეს, შვიდ საათზე, ბიუსტებითა და სფეროებით მორთულ დარბაზში რომ შევიდა, იქ ყველაფერი წესრიგში დახვდა და შვებით ამოისუნთქა. მაგრამ უეცრად გულმა ისე დაუწყო ძგერა, კინალამ გაუსკდა; ერთბაშად შენიშნა, რომ ბუხრის თავზე გადაშლილი in octavo ტომი ეგდო. ეს უახლესი გამოცემა იყო, ჯერაც გაუჭრელი და შიგ ბზის დანა ჩაეტოვებინათ, რომლითაც ფურცლები დაესერათ. ეს გახლდათ „შესაქმის“ ორ ვერსიაზე დაწერილი დისერტაცია, ნაშრომი, რომელიც ბ-ნ სარიეტს სხვენში მოეთავსებინა და დღესაქამომდე არავის გამოეტანა იქიდან, რამეთუ დ'ესპარვიეს ნაცნობთა შორის აქამდე არავინ დაინტერესებულა განეწვალა მონოთეისტი რედაქტორის წილი პოლითეისტ რედაქტორის წილისაგან წმიდა წიგნთა შორის უპირველესის შექმნაში. ამ წიგნს ესვა ნომერი $R < 3214 \frac{VIII}{2}$ და მწარე ქეშმარიტებამ ერთბაშად გაუელვა თავში ბ-ნ სარიეტს, თვით უბრძნესი ნუმერაციაც კი ვერ მაპოვნინებს წიგნს, რომელიც ადგილზე აღარ დევსო.

ამის შემდეგ, მთელი თვის განმავლობაში, წიგნები სულ მაგიდაზე ხედებოდა დახვავებული. ბერძნული და ლათინური ებრაულში ახელილიყო. ბ-ნი სარიეტი თავს ეკითხებოდა, ბოროტმოქმედები სარკმლიდან ხომ არ ძვრებიან ძვირფასი და იშვიათი წიგნების მოსაპარად და დამლამობით ისინი ხომ არ გვარბევენო. მაგრამ შემომტვრეულის კვალს ვერსად პოულობდა, და თუმც საგულდაგულოდ გადაქექა ყველაფერი, არც ის შეუნიშნავს, ოდესმე რამე დაკარგულიყოს. საშინელმა მღელვარებამ მოიკვა მისი არსება; თავს ეკითხებოდა, ვინმე მეზობლის მაიმუნი ხომ არ მოძვრება საკვამლე მილიდან და ის ხომ არ ახვავებს წიგნებს ისე, რომ კაცს ეგონოს, ვიღაც მუშაობდაო. აკი მაიმუნები ძალიან მარჯვედ ჰბაძავენ ადამიანთა ნამოქმედარსო და რაკი ამ ცხოველების ზნეს უპირატესად ვატოს და შარდენის ნახატების მიხედვით იცნობდა, ეგონა, რაიმე ქრისტიანს ან ხასიათის გამოჯავრებაში არლეკინებს,

სკარამუშებს, ცერლინებს, იტალიური კომედიის დოქტორებს' ჰგვანანო*. წარმოდგენილი ჰყავდა, რა მარკვედ ხმარობდნენ ისინი პალიტრასა და ფუნჯებს, როგორ ნაყავდნენ როდინში წამლებს და ქურასთან ჩაცუცქულნი ალქიმის ძველისძველ ტრაქტატს როგორ ფურცლავდნენ. და ერთ უბედურ დილით, როცა მელნის ვეება ნაღვენთი დაინახა გრაფ მირაბოს გერბით დამშვენებულ ტარსიკონისყდიან, მრავალენოვანი ბიბლიის მესამე ტომზე, საბოლოოდ დარწმუნდა, მაიმუნის მეტი არავინ იქნებოდა ამის ჩამდენიო. მაიმუნს ეტყობა რაღაცის ჩანიშვნა სურდა, და სამელნე კი გადააყირავა. უთუოდ ვინმე სწავლულის მაიმუნი იყო.

ეს რომ ჩაიქედა თავში, ბ-მა სარიეტმა გულდასმით შეისწავლა უბნის ტოპოგრაფია, რათა ზუსტად გამოეთვალა, რომელ სახლებს შორის იყო აღმართული დ'ესპარვიეტა ოტელი. შემდეგ შემოიარა ოთხი მომიჯნავე ქუჩა და ყოველ კარზე კითხულობდა, ამ სახლში მაიმუნი თუ ჰყავს ვინმესო. ეკითხებოდა კონსიერეებს, თეთრეულის მრეცხავებს, მსახურებს, მეკლანეს, ხილის გამყიდველს, მეშუშეს, წიგნებით მოვაჭრეს, მღვდელს, მკაზმავს, ორ პოლიციელს, ბავშვებს და ამ კითხვა-კითხვაში გამოსცადა ხასიათთა სხვადასხვაობა და გუნება-განწყობილებათა ნაირგვარობა, რამეთუ პასუხები, მას რომ აძლევდნენ, სულაც არ ჰგავდა ერთმანეთს. ზოგის პასუხი მკვახე იყო, ზოგისა — ტკილი, ზოგის — უხეში, ზოგისაც თავაზიანი, უბრალო, ანდა დამცინავი, ზოგისა — სიტყვამრავალი, ზოგისა — მოკლე, ან სულაც მუნჯური. მაგრამ იმ ცხოველის კვალს, რომელსაც ეძებდა, ვერა და ვერ მიაკვლია. და აი, სერვანდონის ქუჩის ერთი ძველი სახლის თაღქვეშ ჭორფლიანმა, მწითურმა გოგონამ, კონსიერეჟად რომ იჯდა, უპასუხა:

— ბატონ ორდონის ჰყავს მაიმუნი... თუ გნებავთ, გიჩვენებთ.

მერე სიტყვაც არ დაუმატებია, ისე გაუძღვა მოხუცს ეზოს შუაგულში მდგარი ფარდულისაკენ. აქ, აშშორებულ ჩალაზე და დაკონკილ საბანზე პატარა მაკაკა იჯდა; წელზე ჯაჭვი ჰქონდა შემოხვეული; იმით იყო მიბმული პალოზე და კანკალებდა. ხუთი წლის ბავშვზე დიდი არ იქნებოდა. მისი გადაფითრებული სახე, დანაოკებული შუბლი, თხელი ტუჩები

ენით უთქმელ მწუხარებას გამოხატავდნენ. მნახველს ჯერ კიდევ ცოცხალი მზერა მოავლო, შემოხედა თავისი ყვითელი თვალებით. მერე პაწია, გაჩხიკინებული ხელით სტაფილო აიღო, პირთან მიიტანა და მყისვე უკან გადმოავლო. პატიმარმა ერთხანს უმზირა მის სანახავად მოსულებს, შემდეგ თავი იბრუნა, თითქოს ადამიანებისა და ცხოველებისგან სასიკეთოს აღარას გამოელისო. მოიკუნტა, მუხლებზე ხელები შემოიჭდო და მეტად აღარც განძრეულა; ოღონდ ხანდახან მშრალი ხველა ურყევდა მკერდს.

— ეს ედგარია, — უთხრა გოგონამ სტუმარს, — იყიდება, თუკი ინებებთ!..

მაგრამ წიგნების ბებერი ტრფიალი, რომელიც ბრაზითა და გულღრძობით იყო შეიარაღებული და ეგონა, დამცინავ მტერს, წიგნების მოძულეს, მზაკვარ ურჩხულს შეხვდებოდა, ახლა გაოცებული იდგა ამ პატარა არსების წინ, ასე დაღონებული რომ იჭდა აქ, გულდამძიმებული, უილაჯოდ, აღარც სიხარულის ნიშანწყალი ეტყობოდა და არც რამ სურვილისა. ბ-ნი სარიეტი მიხვდა თავის შეცდომას ამ თითქმის ადამიანური სახის შემხედვარე, მწუხარებასა და ტანჯვას კიდევ უფრო ადამიანური რომ გაეხადა.

— მაპატიეთ, — თქვა მან და თავი დახარა.

თ ა ვ ი IV

**როგელსაც თავისი მრავლისმეტხველი სიმოკლით
გაჩნოგაღი სამხაროს საზღვრებს მიღმა გაჰყავართ**

ორი თვე გავიდა; წიგნები ისევ ტოვებდნენ თაროებს; ბ-მა სარიეტმა ფრანს-მასონებზედაც მიიტანა ექვი. აქი გაზეთებიც გადაჭრულებული იყო მათ დანაშაულებათა აღწერით. ბატონ აბატ პატუისათვის რომ გეკითხათ, გეტყოდათ, ამ ფრანკ-მასონებს ყოველგვარი სისამაგლის ჩადენა შეუძლიათ, დარწმუნებული ვარ, ებრაელებთანა აქეთ პირი შეკრული და ქრისტიანული საზოგადოების დამხობა სწადიათო.

ახლა, როცა საოცრად გაძლიერდნენ, სახელმწიფოს ყოველ

დიდ დაწესებულებაში განმგებლობდნენ, მართავენ პალატებს, ხუთი წარმომადგენელი ჰყავდათ სამინისტროში და ელისეის სასახლეშიც იყვნენ მოკალათებულნი. რესპუბლიკის ერთი პრეზიდენტი უკვე მოეკლათ მისი პატრიოტობის გულსათვის და ახლა თავიანთი თანამშრომელებისა და ამ საშინელი ბოროტმოქმედების მხილველთა გაქრობას ლამობდნენ. დღე ძვირად თუ გაივლიდა ისე, რომ თავზარდაცემულ პარიზელებს არ შეეტყოთ რაღაც საიდუმლოებით მოცული მკვლელობის ამბავი, ლოყებში რომ იყო შეშხადებული. თანაც ისეთი სარწმუნო წყაროებიდან მოდიოდა ეს ცნობები, ეჭვის შეტანა არ ეგებოდა. მაგრამ საიდან უნდა შემოედწიათ ფრანკ-მასონებს ბიბლიოთეკაში? ბ-ნი სარიეტი ამას ვერაფრით მიმხვდარიყო. რა ესაქმებოდათ იქ? რატომ ამოიჩემეს წმიდათაწმიდა სიძველეები და ეკლესიის წარმოშობის ხანა? რა უკეთური მიზნები ამოძრავებდათ? წყევლიდი ფარავდა მათ სახარელ ზრახვებს. კათოლიკე მეარქივემ იგრძნო თუ არა ქირამის შვილთა დამადგეს თვალიო, ზაფრისაგან ავად გახდა.

ცოტა რომ მოიკეთა, გადაწყვიტა ღამე გაეტარებინა იმ დარბაზში. საღაც იდუმალ ეს საშინელი ამბები ტრიალებდა და ადგილზე წაესწრო ამ მზაკვარი და საშიშარი სტუმრებისათვის. ეს არცთუ იოლი შესამართი საქმე გახლდათ მისებრ მფრთხალი ბუნების კაცისათვის.

აგებულებით სუსტი იყო, ხასიათი მოუსვენარი ჰქონდა და, ცხადია, შიში იოლად რევდა ხელს. რვა იანვარს, საღამოს ცხრა საათზე, როცა ქალაქი იძინებდა თოვლ-ბუქის ქვეშ, ბ-მა სარიეტმა ცეცხლი დააგიზგიზა დარბაზში, ძველი დროის პოეტთა და ფილოსოფოსთა ბიუსტებით რომ იყო მორთული, და ცეცხლაპირს სავარძელში ჩაესვენა მუხლებზე საბანგადაფარებული. გვერდით, ცალფეხა მაგიდაზე ჩაოურა, შავი ყავის ფინჯანი და ახალგაზრდა მორისისაგან ნათხოვარი რევოლვერი ედო. ჭერ შეეცადა გაზიეთი „ლა კრუა“ წაეკითხა, მაგრამ ასოები ცეკვავდნენ მის თვალწინ. მაშინ პირდაპირ, ჭიქურ დაიწყო ცქერა, მაგრამ ვერაფერი დაინახა სიბნელის გარდა, ვერც ვერაფერი გაიგონა ქარის ზუზუნის მეტი და ძილმა წაართვა თავი.

როცა გამოეღვიძა, ცეცხლი ჩამქრალიყო; ლამპა დაშრეტილიყო და საშინელ სიმყრალეს ავრცელებდა ირგვლივ; მის

გარშემო წყვდიადი სავსე იყო რძისფერი ციალითა და ფოსფორიანი ნათებით. უცებ მოეჩვენა, რომ რალაც ინძრეოდა მაგიდაზე. ბ-ნი სარიეტი ძვლებამდე გათანგა შიშმა და სიცივემ, მაგრამ შიშზე უფრო მძლავრმა ძალამ შეჰმატა ენერგია; წამოდგა, მიუახლოვდა მაგიდას და ზედ გადაკრულ მაუღს მოუსვა ხელი. დანახვით ვერაფერს ხედავდა: ის სხივიც გაქრა; მაგრამ იგრძნო, თითები როგორ მოუხვდა გადაშლალ in folio-ზე; მოინდომა წიგნის დახურვა, მაგრამ წიგნი გაუძალიანდა, ახტა და წინდაუხვდავ ბიბლიოთეკარს სამჯერ მონვდა თავში. ბ-ნი სარიეტი გულწასული დაეცა ძირს.

მას შემდეგ კიდევ გაუარესდა საქმე. წიგნები ახლა უკვე დასტა-დასტად ტოვებდნენ მიჩენილ თაროებს და ზოგჯერ ველარც კი ხერხდებოდა მათი ადგილას დადება, რადგან უგზო-უკვლოდ იკარგებოდნენ. ბ-ნი სარიეტი ყოველდღე ახალ-ახალ დანაკარგებს აწყდებოდა. ბოლანდისტები* დაცალკეეებული იყვნენ, ეგზეგეტიკის ოცდაათი ტომი სადღაც გამქრალიყო; ბიბლიოთეკარს ველარც იცნობდა კაცი. თავი მუშტისხელა გაუხდა და ლიმონივით გაუყვითლდა; კისერი უსაშველოდ გაუგრძელდა, ტანსაცმელი ისე ეკიდა ტანზე, როგორც საკიდზე. ჰამა აღიკვეთა, „ოთხი ეპისკოპოსის“ კაფეში თავდახრით იჯდა და უაზროდ დასცქეროდა ლამბაქს, საღაც მღვრიე წვეწოში შავი ქლიავი ცურავდა. არც კი გაუგონია, მამილო გინარდონმა რომ უთხრა, როგორც იქნა, დელაკრუას*. ნახატების აღდგენა მომანდეს სენ-სულპისშიო.

როცა კი უბედური წიგნების მცველი შემაშფოთებელ ამბებს უამბობდა, ბ-ნი რენე დ'ესპარვიე მშრალად მიუგებდა ხოლმე:

— წიგნები გაგებნეოდათ სადმე; დაკარგვით არ დაიკარგებოდა; კარგად დაძებნეთ, ბატონო სარიეტ, კარგად დაძებნეთ და მიაგნებთ.

მოხუცის ზურგსუკან კი ქირქილებდა:

— კარგი ამბავი არ უნდა იყოს ამ საწყალი სარიეტის თავს.

— მე მგონი, ცოტა არევიან გონება, — დასძენდა აბატი პატუი.

სადაც სენ-სულაისის ანგელოზთა ეკვდერი ხალხმანებასა
და თეოლოგიაზე მსჯელოებისათვის აღმკარავს

შედგამთ თუ არა ფეხს სენ-სულაისის ეკლესიაში, თქვენს მხარმარჯვნივ წმინდა ანგელოზთა ეკვდერი აღმოჩნდება. ახლა იგი მთლად ხარაჩოებში იყო ჩასმული. ბ-ნი აბატი პატუი, ბ-ნი გაეტანი, მისი ძმისწული, ბ-ნი მორისი, ბ-ნი სარიეტი შიგ ერთიმეორის მიყოლებით შელაგდნენ დაბალი კარით, რომელიც ამ ტიხარში იყო დატანებული და ელიოდორის პირისპირ აღმართულ კიბეზე გადამჯდარი მამილო გინარდონი იხილეს. მოხუცი მხატვარი აუარება ხელსაწყო-იარაღით აღკურვილიყო და თეთრად ლესავდა ნაპრალს, მღვდელთმთავარონიას სხეულში რომ გაჩენილიყო. ზეფირინი, პოლ ბოდრის უსაყვარლესი მოდელი, რომელმაც თავისი ქერა თმა და სადაფისფერი ბეჭები მიუბოძა ამდენ მაგდალინასა და მარგარიტას. სილფიდასა და უნდინას, ზეფირინი, ვისზედაც ამბობდნენ, თვით ნაპოლეონ III ეტრფოდაო, კიბის ძირას იდგა. სახეზე მიწისფერი დასდებოდა, თმა ასწეწოდა, თვალები დაწითლებოდა, ნიკაპზე უხვად ამოსვლოდა ბალანი. გაცილებით უფრო ხნიერი ჩანდა, ვიდრე მამილო გინარდონი, თავის ცხოვრების თანამგზავრად რომ გაეხადა აგერ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანი. ქალს კალათით საუზმე მოეტანა მხატვრისათვის.

თუმცა ტყვიის ჩარჩოში ჩასმულ და ცხაურით შეჭედილ ფანჯარაში ცრიატი სინათლე ირიბულად აღწევდა, დელაკრუას ფერებს კაშკაში გაჰქონდათ და ადამიანებისა და ანგელოზების ტანების ფერი თავის სიციცხალით მეტოქეობას უწევდა მამილო გინარდონის ალაყლაყებულ სიფათს, ტაძრის ერთი სვეტიდან რომ იმზირებოდა. ანგელოზთა ეკვდერის ეს კედლის მხატვრობა, რომელსაც თავდაპირველად მასხრად იგდებდნენ და ლანძღვა-გინებას არ აკლებდნენ, ახლა კლასიკურად და ტრადიციულად მოჩანდა და უკვდავებაში რუბენისისა და ტინტორეტოს ქმნილებათა გვერდით დაემკვიდრებინა ადგილი.

თავად თმაგაბურძგნილი და წვეროსანი მოხუცი გინარდო-

ნიც მოგავდა დროს, გენიოსის ნახელავს რომ შლის. თავზარდაცემულმა გაეტანმა დაუყვირა:

— ფრთხილად, ბატონო გინარდონ, ფრთხილად; მეტის-მეტად ბევრს ნუ ჩამოფხვებ.

მხატვარმა დაამშვიდა:

— 'შიში ნუ გაქვთ, ბატონო დ'ესპარვიე. მე ამ მანერით როდი ვხატავ. ჩემი ხელოვნება უფრო ამალღებულია. მე ჩი-შაბუეს, ჯოტოს, ბეატო ანჯელიკოს სტილით* ვწერ, დელაკრუას სტილით კი არა. აქ ყველაფერი წინააღმდეგობებითა და კონტრასტებითაა გადატვირთული და ქეშმარიტი სიწმიდის შთაბეჭდილებას ვერ ტოვებს. მართალია, შენავარმა თქვა, რომ ქრისტიანობას უყვარს ფერადოვნება, მაგრამ შენავარი ერთი სინდის-ნამუსისგან გარეცხილი არამზადა იყო, ღვთის პირი-დან გადავარდნილი კაცი... ხედავთ, ბატონო დ'ესპარვიე, მე მხოლოდ ბზარებს ვგმანავ, ვაწებებ საღებავებს, აქა-იქ რომ ატყეჩილა. ესაა და ეს... მხატვრობა კედლის დაჯდომისა თუ სეისმური ძვრის შედეგადაა დასიანებული და მაინცდამაინც დიდ მონაკვეთზე არ გაფუჭებულია. მშრალ გრუნტზე დადებული ზეთისა და სანთლის საღებავები უფრო გამძლე გამოდგა. ვიდრე იფიქრებდა კაცი. მე მინახავს, როგორ მუშაობდა დელაკრუა ამ ნაწარმოებზე. მგზნებარე, მაგრამ დაუდევარი სულის პატრონი ცხელებიანივით ძერწავდა ფიგურებს, ფხეკდა, საღებავებს საღებავზე აგლეხდა, მის მძლე მარჯვენას ბავშვური მოუხერხებლობა დაჰყოლოდა; აქ ყველაფერი გენიოსის ოსტატობითა და მოწაფური გამოუცდელი-ობითაა ნახატი. სასწაულია, დღევანდლამდე რომ მოაღწია.

მოხუცი გაჩუმდა და კვლავ ბზარების ამოგმანვას შეუდგა.

— რა კლასიკური და ტრადიციულია ეს კომპოზიცია! — თქვა გაეტანმა, — წინათ კი აქ მხოლოდ განსაცვიფრებელ სი-ახლეებს ხედავდნენ. ეხლად ვაღიარებთ, რომ ამ ნახატებში ბევრი ძველიტალიური კანონია ჩაქსოვილი.

— შემიძლია თავს ნება მივცე და სამართლიანად განე-საჯო, მე მაქვს ამის უფლება, — გადმოსძახა მოხუცმა კიბის სიმაღლიდან, — დელაკრუა ღვთის გმობისა და ურწმუნოების დროში ცხოვრობდა. დეკადანსის მხატვარს არც სიამაყე აკლ-და და არც სიდიადე. ის უკეთესი იყო, ვიდრე მისი ეპოქა. მაგ-

რამ რწმენა აკლდა, უზაკველობა და სიწმიდე. ანგელოზები რომ დაინახოს და ხატოს, საამისოდ ანგელოზებრივი, პრიმიტივისტთა მსგავსი სათნოება უნდა მოსდევდეს კაცს. სათნოება და უბიწოება, რომელთაც, ღვთის მადლით, მთელი სიცოცხლე, რაც ძალი შემწვედა, ვემსახურებოდი.

— გაჩუმდი, მიშელ, შენც სხვებსავეით ღორი ხარ! — შესძახა ზეფირინმა.

საბრალოს ეჭვი ღრღნიდა, რადგან სწორედ ამ დილით შეესწრო თვალი, როგორ ეხვეოდა მისი საყვარელი მკურანის ქალს, ყმაწვილ ოქტავიას, რემბრანტის პატარძალივით ბინძურსა და ბრწყინვალეს. ოდესღაც, როცა მშვენებით იყო განთქმული, ზეფირინს თავდავიწყებით შეჰყვარებოდა მიშელი და ეს საყვარული ამდენი ხნის შემდეგაც არ განელებოდა.

ეს საამური შეურაცხყოფა რომ მოხვდა ყურს, მამილო გინარდონმა ულვაშებში ჩაიციხა და ზეცად აღაპყრო თვალები, სადაც შიშისმომგვრელი მთავარანგელოზი მიქაელი მალღებოდა ფირუზისფერ ბექთარსა და მეწამულ ჩაფხუტში ჩამჯდარი და დიდების შარავანდელით მოსილი.

ამასობაში ბ-ნი აბატი პატუი ქუდით იჩრდილაედა თვალს ფანჯრიდან შემოჭრილი მკვეთრი შუქისაგან და თვალმოჭუტული ერთიმეორის მიყოლებით ათვალთვლებდა ანგელოზთაგან გვემულ ელიოდორს, დემონთა მძლეველ წმიდა მიქაელსა და იაკობისა და ანგელოზის ბრძოლას.

— ეს ყოველივე საუცხოოა, — წაიჩურჩულა ბოლოს, — მაგრამ ამ კედლებზე მხატვარმა რატომ გამოხატა მხოლოდ მრისხანე ანგელოზები? ამოდ ვავლებ თვალს ამ ეკვდერს, მხოლოდ ციური რისხვის მაცნეთ ვხედავ, მხოლოდ ღვთაებრივი შურისგების მომქმედთ; ღმერთს სურს, რომ მისი ეშინოდეთ; მაგრამ ისიც სწადია, რომ გვიყვარდეს. ბედნიერება იქნებოდა ამ კედლებზე წყალობისა და მშვიდობის მახარობლებიც გვენახა. კარგი იქნებოდა, გამოეხატა სერაფიმი, ბაგენი რომ განუწმიდა წინასწარმეტყველს, წმიდა რაფაელი, თვალის ჩინი, რომ დაუბრუნა ბებერ ტობიას; გაბრიელი, უმანკო ჩასახვის საიდუმლოს რომ ახარებს მარიამს; ანგელოზი, ბორკილებს რომ ხსნის პეტრეს; ქერუბინები, რომელთაც განსვენებული წმ. ეკატერინე აიტანეს სინას მთის წვერზე. ყველაზე მეტად საამური კი იქნებოდა, აქ ზეციური მფარველ-

ნიც გვენახა, რომელთაც ღმერთი მოუბოძებს ყველა მისი სახელით მონათლულ კაცს. ჩვენ ყველას ხომ ჩვენ-ჩვენი მფარველი ანგელოზები გვყავს, რომლებიც ყოველ ჩვენს ნაბიჯს თვალყურს ადევნებენ, ნუგეშს გვცემენ და შემწეობას არ გვაკლებენ. რა საამური იქნებოდა აქ ამ მომხიბლავი სულების, ამ მომჭადოებელი სახეების ხილვა!

— აჰ! ბატონო აბატო, მეტისმეტს ნუ მოვიტხოვთ, — შეეპასუხა გაეტანი, — დელაკრუას გულჩვილი კაცი არ ეთქმოდა. მამილო ენგრი არც ისე მტყუანი გახლდათ, როცა ამბობდა, ამ დიდებული კაცის მხატვრობას გოგირდის სუნი უღისო. დააკვირდით ამ სრული, პირქუში მშვენებით მოსილ ანგელოზებს, ამ ამაყსა და მრისხანე ანდროგინებს*, ამ სასტიკ ჭაბუკებს, რომელთაც შურისმაძიებელი შოლტები აღუმართავთ ელიოდორის თავზე, დახეთ ამ ახალგაზრდა, იდუმალებით მოსილ მებრძოლს, პატრიარქს ბარკალზე რომ ავლებს ხელს.

— ჩუ! — უთხრა აბატმა პატუიმ, — ბიბლიის მიხედვით ეს სხვა ანგელოზთა მსგავსი ანგელოზი როდია; თუ ანგელოზია, ანგელოზი დამბადებელი ჰქვია, ღვთის დაუსაბამო ძე. ჩიკვირს, რომ სენ-სულპისის დიდად პატივცემულმა მღვდელმა, როს ბატონ ეყენ დელაკრუას ამ ეკვდერის მოხატვა მიანდო, არ გააფრთხილა მხატვარი, რომ პატრიარქის სიმბოლური ბრძოლა იმასთან, ვინც არ ინება თავისი სახელი გაემკლავნებინა, წყვედიად ღამეში მოხდა და ეს აქ გამოსახატავი სცენა არ იყო, რაკი იესო ქრისტეს განკაცებას მოასწავებდა. საუკეთესო ხელოვანთაც კი მოსდით შეცდომა, თუ სწავლულ პრელატს არ დაეკითხენ რჩევას ქრისტიანულ იკონოგრაფიაში. ქრისტიანული ხელოვნების კანონებზე ბევრი შრომა დაწერილა, მათ უთუოდ თქვენც იცნობთ, ბატონო სარიეტი!

ბ-ნი სარიეტი უაზროდ ატრიალებდა თვალებს. ეს მესამე დღე გახლდათ ბიბლიოთეკარის ღამეული დარბევის შემდეგ. მაგრამ ეკლესიის ღირსი მამის შეკითხვაზე მოხუცმა გონება მოიკრიბა და მიუგო:

— ამ საგანზე შეიძლება იხილოთ 1771 წელს ლუვენში ნოელ პაკოს მიერ გამოცემული მოლანუსის „De historia sacrarum imaginum et picturarum“¹, კარდინალ ფედერი-

¹ „წმიდა გამოსახულებათა და ნახატთა ისტორიისათვის“ (ლათ.).

კო ბორომეოს „De picture Sacra“¹ და დიდრონის იკონოგრაფია; მაგრამ ამ უკანასკნელის ხმარებისას მკითხველს დიდი სიფრთხილე მართებს.

ბატონმა სარიეტმა თქვა ესა და დადუმდა. ისევ თავის დარბეულ ბიბლიოთეკაზე ფიქრს მისცა თავი.

— და პირუტყუ, — განაგრძო აბატმა პატუიმ, — რაკი ამ ეკედერში ანგელოზთა ღვთაებრივი რისხვის სცენები უნდა ყოფილიყო გამოსახული, ქების ღირსია, რომ მხატვარმა რაფაელის მიბაძულობით დახატა ცის მაცნენი, რომელთაც დასაჯეს ელიოდორი. სირიის მეფე სელევკუსის დავალებით ტაძარში ჩაკეტილი განძეულის მოსაპაარად შესული ელიოდორი მიწას დაანარცხა ოქროს ბექთარით შექურვილმა და საუცხოოდ აღკაზმულ რაშზე ამხედრებულმა ანგელოზმა. ორმა სხვამ კი როზგები გადაუჭირა. ელიოდორი მიწაზე დაეარდა, როგორც ამას დელაკრუა გვიჩვენებს და წყვილიადში დაინთქა. კარგი იქნება ეს ამბავი მაგალითად გაუხდეთ რესპუბლიკური პოლიციის კომისრებსა და რეკვიზიციის მომწყობ მათ ღვთის გარეგან აგენტებს. ელიოდორები მუდამაც გამოჩნდებიან, მაგრამ დაე, უწყოდნენ: ყოველთვის, როცა კი ხელჰყოფენ საეკლესიო ქონებას, რაიც ღარიბ-ღატაკთა კუთვნილებას შეადგენს, როზგები მოხვდებოთ და ანგელოზები თვალის ჩინს წაართმევენ. მე რომ მკითხოს კაცმა, ან ნახატს, ანდა სულაც რაფაელის უფრო დიდებულ კომპოზიციას ამავე თემაზე პატარა, ფერად გრავიურებად გამოვუშვებდი და სკოლებში ჯილდოებად დაუფრიგებდი მოსწავლეებს.

— ბიძაჩემო, — თქვა ახალგაზრდა მორისმა მთქნარებით, — ყოველივე ეს ერთობ გონჯად მეჩვენება. ამ ნათითხნს მატისი და მეტცენეე* მირჩენია.

მისი ნათქვამი არავის გაუგონია. მამილო გინარდონი თავის კიბიდან ისევ ქადაგებას მოჰყვა.

— მხოლოდ პრაიმიტივებმა შეძლეს ზეცის დანახვა. მშვენიერებას მხოლოდ XIII-დან XV საუკუნემდე თუ შეხვდებით ანტიკურობამ, უწმიდურმა ანტიკურობამ, რომელმაც თავისი დამღუპველი ზეგავლენა კვლავ მოახვია თავს XVI საუკუნის ხელოვანთ, პოეტებსა და მხატვრებს დანაშაულებრივი აზრე-

¹ „სასულიერო მხატვრობისათვის“ (ლათ.).

ბი, უხამსი სახეები, წრეგადასული სიბილწე, ღორობა შთააგონა. რენესანსის ყველა ხელოვანი ღორი იყო, გამონაკლისი არც მიქელანჯელო გახლდათ.

შემდეგ, რა დაინახა, გაეტანი წასვლას აპირებდნენ, მამილო გინარდონი ერთბაშად მოტყბა და ჩურჩულით, საიდუმლოდ გაენდო:

— ბატონო გაეტან, თუ ჩემი ხუთი სართულის ამოვლა არ გაშინებთ, მობრძანდით ჩემს სადგომში; ორი თუ სამი პატარა ტილო მაქვს, რომელთა თავიდან მოშორებაც მწადია; ვფიქრობ, დაგაინტერესებთ. ჩინებული რამ არის, გულწრფელობით გამორჩეული. სხვათა შორის, ბოდუენის* ერთ ნახატსაც გიჩვენებთ, ისეთი პიკანტურია, ისეთი მადის აღმძვრელი, რომ კაცს ნერწყვი მოადგება პირზე.

ამ სიტყვებზე გაეტანი გარეთ გავარდა. სანამ ეკლესიის კიბეებს ჩაათავებდა და პრინცესას ქუჩაზე გავიდოდა, მის გვერდით მიმავალ ბ-ნ სარიეტს, სწორედ ისევე, როგორც ყველა ადამიანის შვილს, ხეს, გაზის ფორანს, ძაღლს, საკუთარ ჩრდილს გაანდობდა, გაანდო აღშფოთება, ბებერი მხატვრის ესთეტიკური თეორიები რომ აღუძრავდა.

— ეს რა სისულელეებს რომავს მამილო გინარდონი ქრისტიანულ ხელოვნებასა და პრიმიტივებზე. ყველაფერი, რასაც ცაზე მოგვიტხრობენ მხატვრები, განა მიწაზე არა აქვთ აღებული? ღმერთი გნებავთ, ქალწული, ანგელოზები, წმიდანები, სინათლე თუ ეს ღრუბლები... როცა დრეს ეკვდერისათვის ფიგურებს აკეთებდა, ენგრმა ტყვიის ფანქრით მოდელიდან შეასრულა ქალის ნატიფი, წმინდად აკადემიური ნახატი; ბევრ ასეთ ნახატს შეხვდებით ბონას, ბაიონის მუზეუმებში. ბებერმა ენგრმა, რომ არ დავიწყნოდა, აშიაზედაც მიაწერა: „მადმუაზელ სესილი, საუცხოო ფეხებისა და თეძოების პატრონი“. და მადმუაზელ სესილი სამოთხის წმიდანად რომ ექცია, კაბა გადააცვა, მოსასხამი და რიდე შემოახვია, რითაც უღმერთოდ დაასახიჩრა ეს ქალი, რადგან ლიონისა და გენუის ქსოვილები ერთობ უხამსია სისხლმჩქეფარ, ქორფა, თეთრყირმიზ სხეულთან შედარებით; აკი უმშვენიერესი ნაკეცებიც კი ხუნდება ტურფად ნაგებ სხეულთა ნაკეთებთან შედარებით და ტანსაცმელიც, კაცმა რომ თქვას, სხვა არა არის რა, თუ არ დაუმსახუ-

რებელი დამცირება და თავლაფდასხმა სასურველი, ახლად შეღერებული სხეულისათვის.

გაეტანმა დაუდევრად შეტოპა გარანსიერის ქუჩის თხრილის გაყინულ წყალში და განაგრძო:

— მამილო გინარდონი მავნე იდიოტია. ავინებს ანტიკურობას, წმიდა ანტიკურობას, ხანას, როცა ღმერთები კეთილები იყვნენ. და ხობას ასხამს ეპოქას, როცა მხატვარსა და მოქანდაკეს ყველაფერი თავიდან ჰქონდა სასწავლი. სინამდვილეში ქრისტიანობა მტერია ხელოვნებისა, რაკი ხელს არ უწყობდა შიშველი ნატურის შესწავლას. ხელოვნება ბუნების გამოსახვაა, ბუნება კი უპირატესად ადამიანის სხეულია, შიშველი სხეული.

— ნება მიბოძეთ, შემოგეპასუხოთ, — ჩაიჩიფჩიფა მამილო სარიეტმა, — არსებობს სპირიტუალური სილამაზეც, შინაგანს რომ ეტყვიან, და ქრისტიანული ხელოვნება ფრა ანეელიკოდან მოკიდებული იპოლიტ ფლანდრენამდე*...:

მაგრამ გაეტანს არაფერი ეყურებოდა, ისევ ბობოქარი სიტყვით მიმართავდა ძველი ქუჩის ქვებსა და თოვლით დატენილ ღრუბლებს, მის თავსზემოთ რომ მიცურავდნენ ტატიით:

— პრიმიტივეებზე ზოგადად არაფრის თქმა არ შეიძლება, რადგან ისინი ერთმანეთს არ ჰგვანან. ეს ბებერი შლეგი ყველაფერს ურევს. ჩიმაბუე წამხდარი ბიზანტიელია. ჭოტოს ეტყობა, რომ მძლე გენიის პატრონია, მაგრამ მოდელირება არ ემარჯვება და ბალღივით ყველა სხეულს ერთსა და იმავე თავს აბამს ხოლმე. იტალიელ პრიმიტივეებს მოხდენილობა და ხალისი მოსდგამთ, რადგან იტალიელები არიან, ვენეციელებს ფერის უტყუარი შეგრძნება გააჩნიათ. მაგრამ ეს საუცხოო ხელოსნები უმალ ახუტუტებენ და ავარაყებენ, ვინემ ხატავენ. თქვენს ბეატო ანეელიკოს, გამოტეხილად რომ გითხრათ, ჩემი ბუნების კაცისათვის მეტად ნაზი გული და პალიტრა აქვს. ფლამანდიელები კი სულ სხვა საქმეა. ხელგაწაფულნი არიან და ოსტატობით ჩინელ ლაქით მხატვრებს არ დაუვარდებიან: ძმებს ვან ეიკებს გასაოცარი ტექნიკა აქვთ, მაგრამ „წმიდა კრავის თაყვანებაში“ ვერ ვხედავ იმ იდუმალებასა და მომხიბვლელობას, ასეთი ხობის საგნად რომ უქცევიათ. ყველაფერი უზადოდ, სრულყოფილადაა დახატული, მაგრამ მაინც ვულგარული და სასტიკად ულამაზო მოჩანს. მემლინგმა

იქნებ კიდევ შემძრას, მაგრამ სულ საპყრებსა და ხეობრებს ხატავს და აშკარად ხედავ, რომ მისი ქალწულებისა და წმიდანების მდიდრულ, მძიმე და ულაზათო კაბებქვეშ მიმჭლეველ ხორცს დაუდევს ბინა. მე არ მიცდია, სანამ როგირ ვან ღერ ვეიდენი გაფრანგდებოდა და როჟე დე ლა პატიურს დაირქმევდა, მემლინგს თავიდანვე მას ვამჯობინებდი. ეს როგირი ანუ როჟე ნაკლებ მიამიტი ჩანს, სამაგიეროდ უფრო პირქუშია და მისი ხაზის სიმტკიცეც უკეთ ამჟღავნებს მის ნახატებში ფორმათა უსუსურობას. მთლად წარყვნილი უნდა იყო, რომ ასეთ ნამარხულევ ფიგურებს დასჯერდე, როდესაც ლეონარდოს, ტიციანის, კორეჯოს, ველასკესის, რუბენსის, რემბრანდტის, პუსენის, რუდონის მხატვრობა არსებობს ქვეყნად. ეს საღიზმია და მეტი არაფერი...

მთელი ამ ხნის მანძილზე ესთეტიკისა და ბიბლიოთეკარის უკან მიაბიჯებდნენ ბ-ნი აბატი პატუი და მორის დ'ესპარვიე. ბ-ნი აბატი პატუის საერთოდ ჩვევად არ ჰქონია თეოლოგიაზე მსჯელობა სამოქალაქო პირებთან, არც სამღვდელოების წარმომადგენლებთან უყვარდა ამეებზე ბჭობა, მაგრამ აღძრულმა საკითხმა ისე გაიტაცა, რომ ჰაბუჯ დ'ესპარვიეს უამბო იმ მფარველ ანგელოზთა წმიდა სამსახურზე, რომლებიც დელაკრუას, საუბედუროდ, გამოერიცხა თავის კომპოზიციებიდან. უკეთ რომ გამოეთქვა თავისი აზრი ასეთ ამალეებულ საკითხზე, ბ-ნი აბატი პატუი ბოსუეს¹ ესესხებოდა გამოთქმებს, გამოთქმებს კი არადა, მთელ წინადადებებს, რომლებიც ზეპირად დაესწავლა ქადაგებებში ჩასართავად, რადგან ტრადიციის დიდი მიმდევარი გახლდათ.

— დიახ, შვილო ჩემო, — ამბობდა იგი, — ღმერთმა ყველას მოგვიჩინა მფარველი სული. ისინი ჩვენთან ღვთიური ზადლით დატვირთულნი მოდიან და უფლისთვის ცად ჩენი ლოცვა-ვედრება მიაქვთ. ეს მათი ვალია. ყოველ საათს, ყოველ წუთს მზად არიან ჩვენდა შესაწევად, მუდამ ფხიზლოზენ ხოლმე ეს მუყაითი და დაუღალავი გუშაგები.

— სწორი ბრძანებაა, ბატონო აბატი, — ჩაიხურჩულა მორისმა, რომელიც იმის ფიქრში იყო გართული; რა ხრიკი მოვიგონო ისეთი, დედაჩემს გული მოვუღბო და დავტყუო ფული, აგრერიგად რომ მჭირდებო.

სოციალური მემორიალური კვლევა კოლხეთის
თავის განმარტებას

ორშაბათ დილით ბ-ნი სარიეტი დაუკავუნებლად შევიდა ბ-ნ რენე დ'ესპარვიეს კაბიეტში. ხელები ცისაკენ აღეპყრო, მეჩხერი თმა ყალყზე დასდგომოდა. თვალები შიშისაგან გადმოცვენაზე ჰქონდა. ენის ბორძიკით პატრონს მომხდარი უბედურება ამცნო: იოსებ ფლავიუსის* ძველისძველი ხელნაწერი, სხვადასხვა ფორმატის სამოცი ტომი, ფასდაუდებელი საუნჯე — საფრანგეთის დიდი პრიორის, ფილიპ ვანდომელის გერბიანი „ლუკრეციუსი“*, რომლის აშიებზედაც თვით ვოლტერს გაეკეთებინა შენიშვნები, რიშარ სიმონის* ხელნაწერი და გასენდის მიმოწერა გაბრიელ ნოდესთან*, 238 გამოუცემელ წერილს რომ შეიცავდა, სადღაც გამქრალიყო. ბიბლიოთეკის მფლობელს ახლა კი შეშფოთება დაეტყო. საჩქაროდ ავიდა ფილოსოფოსებისა და სფეროების დარბაზში და იქ თავის თვალთ დარწმუნდა, რა ზარალი ენახა. ბევრი თაროდან პირდადებული ხვრელი შემოჰყურებდა. ალაღბედზე შეუდგა ძებნას, განჯინების კარიც გამოაღო, ნახა ცოცხი, ჩვრები, ცეცხლსაქრობები, გელით მოხხრიკა კოქსის ნახშირი, დაბერტყა პირსაბან ოთახში ჩამოკიდებული ბ-ნი სარიეტის საგარეო რედინგოტი და გაწბილებული მიაჩერდა სიცარიელეს, გასენდის საქალაქდების ადგილას რომ გაჩენილიყო. მთელი სწავლული სამყარო უკვე ნახევარი საუკუნე იყო, ერთხმად მოითხოვდა, ეს მიმოწერა გამოეცითო. ბ-ნმა რენე დ'ესპარვიემ ყურად არ იღო საყოველთაო ღაღადისი, რაკი ვერც თვითონ გაბედა ეტვირთა ეს სამძიმო საქმე და არც ის სურდა, სხვისთვის დაეთმო. კარგად უწყოდა, რომ ამ წერილებში ბევრი თამამი აზრი იყო გამოთქმული, ბევრი ადგილიც ისე მოურიდებელი ჩანდა, რომ ჩვენი XX საუკუნის ღვთისმოსაობა ვერ მოითმენდა, ამიტომ ამჯობინა ეს გვერდები გამოუცემელი დარჩენილიყო; მაგრამ გრძნობდა, რომ ამ ანაბრისათვის პასუხს აგებდა თავისი ქვეყნისა და მსოფლიო ცივილიზაციის წინაშე.

— როგორ მოაპარინეთ ასეთი განძი? — ჰკითხა მკაცრად ბიბლიოთეკარს.

— როგორ მოვაპარვინე ეს განძი? — მიუგო უბედურმა ბ-ნმა სარიეტმა, — ბატონო ჩემო, მკერდი რომ გამიპონ, ნახავთ, რომ ჩემს გულშიაც ეს კითხვაა ამოშანთული.

ბ-ნი დ'ესპარვიესათვის გული არ მოუღბია ასეთ პასუხს, კვლავ შეკავებული ბრახით განაგრძო:

— და ვერც ვერავითარ ნიშანს ზედავთ, რომელიც ქურდის კვალზე შეგაგდებდათ, ბატონო სარიეტ? არავიზე ექვობთ, გუმანითაც არ იცით, როგორ მოხდა ეს ამბავი? არაფერი დაგინახავთ, არაფერი გაგიგიათ, არაფერი შეგინიშნავთ, არაფერი შეგიტყვიათ? დამეთანხმეთ, რომ ეს წარმოუდგენელია. იფიქრეთ, ბატონო სარიეტ, იფიქრეთ, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს თქვენს თვალწინ მომხდარ ამ გაუგონარ ქურდობას. კაცობრიობის არზოვნების ისტორიისათვის ფასდაუღებელი დოკუმენტი დაიკარგა. ვინ მოიპარა? რატომ მოიპარა? ვისი დავალებით? გამტაცებლებმა უთუოდ კარგად უწყიან, რომ ამ წერილებს საფრანგეთში ვერ გაასაღებენ. ჰოდა, ამერიკაში გაყიდვიან, ანდა გერმანიაში. გერმანიაში ეხარბებიან ასეთ ლიტერატურას. თუ გასენდისა და გაბრიელ ნოდეს კორესპონდენცია ბერლინში მოხვდა, თუ გერმანელი სწავლულები გამოაქვეყნებენ, ღმერთო, რა თავის მოქრა, რა უბედურება იქნება ჩვენთვის! ბატონო სარიეტ, გიფიქრიათ ამაზე?

ეს გაკიცხვა მით უფრო ემწარა ბ-ნ სარიეტს, რომ თავს თვითონაც დამნაშავედ გრძნობდა. გაშტერებული იდგა საწყალი და ხმას არ იღებდა.

ბ-ნი დ'ესპარვიე კი კვლავ სასტიკი საყვედურებით აესებდა:

— ნუთუ არავითარ ღონეს არ ხმარობთ, არაფერს მოიფიქრებთ, რომ ეს ფასდაუღებელი განძი მოიძიოთ? მიდექმოდექით, გამოიძიეთ, ბატონო სარიეტ, ცდას ნუ დააკლებთ. ეს საქმე ღირს გარჯად.

თქვა ეს ბ-ნმა დ'ესპარვიემ, ყინულივით ცივი მზერა ესროლა თავის ბიბლიოთეკარსა და გავიდა.

ბ-ნი სარიეტი კვლავ შეუდგა დაკარგული წიგნებისა და ხელნაწერების ძებნას იმ ადგილებში. სადაც უკვე ასჯერ მაინც ჰქონდა დაძებნილი და სადაც მათი პოვნა წარმოუდგენელი გახლდათ; არ დაუტოვებია არც ნახშირის სათლი, არც თავის სავარძლის ტყავის საჭდომი და როცა საათმა თორმეტს დაჰ-

კრა, ანგარიშმიუცემლად ჩავიდა ქვევით. კიბის ძირში თავის
ყოფილ მოწაფეს — მორისს შეხვდა და სალამზე სალმითვე
უპასუხა. მაგრამ ადამიანებსა და საგნებს თითქოს სქელი ჯან-
ლის მიღმა ხედავდა.

სასოწარკვეთილი ბიბლიოთეკარი უკვე ვესტიბიულში იყო,
როცა მორისმა მოაბრუნა:

— ბატონო სარიეტ, სანამ დამვიწყნია, უკანვე წააღებინეთ
წიგნები, პავილიონში რომ შემომიყარეს.

— რა წიგნები, მორის?

— ვერ გეტყვით, ბატონო სარიეტ; რალაც ძველ-ძველი,
კიანაჰამი წიგნებია ებრაულ ენაზე და კიდევ დასტა გაცრე-
ცილი ქალღმერთისა. საძრაობა აღარა მაქვს. წინკარში ხელის
გაქნევაც აღარ შეიძლება.

— ვინ მოგიტანათ?

— აზრზე არა ვარ.

და ყმაწვილი კაცი მარდად გაეშურა სასადილო ოთახისაკენ,
რაკი საუზმის ზარმა უკვე მეორედ ჩამორეკა.

ბ-ნი სარიეტი პავილიონს ეცა. მორისი არ ტყუოდა. მა-
გიდაზე, სკამებზე, იატაკზე ასამდე წიგნი ეწყო. ამის შემხედ-
ვარე სიხარულითა და ზაფრით ატანილი, გაკვირვებული და
თავზარდაცემული მწიგნობარი, ბედნიერებით ცას რომ სწე-
ოდა, რაკი იპოვა თავისი დაკარგული საუნჯე და თან ზარიც
ლევდა, ვაითუ თვალსა და ხელს შუა ისევ ხელიდან დამისხლ-
ტესო, გაოცებისაგან რეტდასხმული ხან ჩვილი ბავშვივით ტი-
ტინებდა, ხან შემლილივით მჭახედ გაჰკიოდა. ცნობდა თავის
ებრაულ ბიბლიებს, ძველ თალმუდებს, იოსებ ფლავიუსის
ძველთუძველეს ხელნაწერებს, გაბრიელ ნოდესადმი მინაწერ
წერილებს გასენდისას და თავის სანუკვარ განძს — საფრან-
გეთის დიდი პრიორის გერბიან „ლუკრეციუსს“, რომლის აში-
ებზეც თვით ვოლტერს გაეკეთებინა მინაწერები. მოხუცი
იციოდა, ტიროდა, კოცნიდა ტარსიკონისა და ნატისყდიან წიგ-
ნებს, პერგამენტებს, ეტრატებს, ლურსმნებით შექედილ ხის
ყდებს. სანამ ლაქია იპოლიტს დასტა-დასტა მოჰქონდა წიგ-
ნები სფეროთა დარბაზში, ბ-ნი სარიეტი აკანკალებული ხე-
ლით, სასოებით აწყობდა მათ თავ-თავიანთ ადგილებზე.

იგი ცხოველ ინტერესს გამოიწვევს და ისეთ უაზონებას შეიტყვის, უთუოდ მოეწონება საუზალო მკითხველს, რაკი ამ მხარე შეახილვია გაცხადებული: „შიკრო, საით მიგაპარე?“ აკი უველამ უფხის, რომ აზროვნებას ზიანი მოაქვს და მუშაკრიბი სიბრძნე იმაში მდგომარეობს, არაშარზე იშიკრო ხოლმე

ბ-ნმა სარიეტმა ყველა წიგნს სასოებით მოუყარა თავი. მაგრამ ამ ბედნიერმა კავშირ-ერთობლიობამ დიდხანს არ გასტანა. მეორე დამითვე ოცი ტომი გაუჩინარდა, მათ რიცხვში ვანდომის პრიორის ნაქონი „ლუკრეციუსიც“. ერთ ჯვარაში ძველებრული და ბერძნული ტექსტები ორთავე აღთქმისა კვლავ პავილიონს დაუბრუნდა. მთელი მომდევნო თვის მანძილზე, ყოველ დამით ეს წიგნები ტოვებდნენ თავიანთ ააროებს და რაღაც მანქანებით იმავე გზას ადგებოდნენ. სხეუბი კი უკვალოდ ქრებოდნენ.

ბ-ნმა დ'ესპარვიემ ეს ბნელით მოცული ამბავი რომ მოისმინა, წყრომით უთხრა თავის ბიბლიოთეკარს:

— ჩემო საბრალო ბატონო სარიეტ, ყოველივე ეს მართლაც უცნაურია, ძალზე უცნაური.

და როცა ბ-ნმა სარიეტმა ურჩია, საჩივარი შევიტანოთ, ანდა პოლიციის კომისარს ვუხმოთო, ბ-ნმა დ'ესპარვიემ შეჰყვირა:

— აბა, რას მთავაზობთ, ბატონო სარიეტ? გავამჟღავნო ეს ოჯახური საიდუმლო და განგაში ავტეხო?| ეგ რამ მოგაღიქრათ!.. მე მტრები მყავს და კიდევ მომწონს ამით თავი: ფიქრობ, დავიმსახურე მათი მტრობა. სავალალო მხოლოდ ისა მაქვს, რომ ჩემს პარტიაშიც მებრძვიან ვაშმაგებით მგზნებარე რუთაილისტები, რომლებიც, მინდა ვიარწმუნო, კარგი კათოლიკეები კი გახლავან, მაგრამ უხეირო ქრისტიანები არიან. მოკლედ რომ გითხრათ, სულ მითვალთვალეებენ, თვალყურს მადგენებენ, მწვერავენ და თქვენ გინდათ, ბატონო სარიეტ, ეურნალისტებს ყბაში ჩავუგდო ეს კომიკური საიდუმლო, ეს სასეირო ამბავი, რომელშიაც ჩვენ ორთავე ასე ვაგლახად გამოვიყურებით? გნებავთ საცინლად ამიგდონ?..

ამ საუბრის შემდეგ გადაწყვიტეს გამოეცვალათ ბიბლიო-
თეკის ყველა გასაღები. შეადგინეს ხარჯთაღრიცხვა და ოს-
ტატს უხმეს. ექვსი კვირის განმავლობაში დ'ესპარვიეთა ოტელს
დგანდგარი გაჰქონდა; ისმოდა ჩაქუჩების ბრახუნი, ბურღების
ზუილი და ქლიბების ღრქიალი. ცეცხლი ენთებოდა ფილოსო-
ფოსებისა და სფეროთა დარბაზში და ბენზინის სუნი გულს
ურევდა სახლის ბინადართ. ძველი, მშვიდობიანი და მორჩილი
საკეტები მოაგლიჯეს დარბაზებისა და კარადების კარებს და
მათ ადგილას ავზნიანი და ჭირვეული საკეტები დააყენეს. საი-
თაც არ გაიხედავდით, ყველგან შიფრიან ბოქლომებს, დამ-
ცველ ურდულებს, საკვალთებს, ჯაჭვებს, ელექტროსიგნალებს
მოჰქრავდით თვალს. მთელი ეს აღჭურვილობა შიშის ზარს
ჰგვრიდა მნახველს. კარის სახელურებს ბზინვა გაჰქონდათ და
კლიტის ენებს ჭრიალი გაუდიოდათ. თითოეული დარბაზი,
თითოეული კარადა, თითოეული უჯრა რომ გაგეღოთ, უნდა
გცოდნოდით შიფრი, რომელიც ბ-ნი სარიეტის მეტმა არავინ
იცოდა. საწყალს გამოტენილი ჰქონდა თავი უცნაური სიტყ-
ვებითა და მრავალნიშნა ციფრებით; თავგზა ებნეოდა ამდენ
კრიპტოგრამებში, კვადრატულ, კუბურ და სამკუთხა რიცხვებ-
ში, თვითონაც ვეღარ ასერხებდა კარებისა და კარადების გა-
ღებას, დილდილაობით კი ერთნიცა და მეორენიც დაღიავე-
ბული ხვდებოდა, წიგნები — გადაქოთებული, გატაცებული,
უგზო-უკვლოდ დაკარგული. ერთხელ, ღამით, ვიღაც პოლი-
ციელმა სერვანდონის ქუჩის ღარიდან ამოათრია სალომონ
რეინაკის ბროშურა, ბარაბასა და იესოს იგივეობას რომ ამტკი-
ცებდა*. რაკი წიგნს დ'ესპარვიეთა ბიბლიოთეკის ბეჭედი ესვა,
პოლიციელმა ნაპოვნი ნივთი პატრონს მოუტანა.

ბ-ნმა დ'ესპარვიემ, თუმც კი ბ-ნ სარიეტისათვის რაიმეს
განდობა ითაკილა, გადაწყვიტა რჩევა ეკითხა ერთი თავის ნაც-
ნობი მოხელისათვის, მეტად სანდო კაცის, ბ-ნ ღეზ ობელისათ-
ვის, რომელიც სასამართლოს მრჩეველი გახლდათ და ბევრი
ბნელით მოცული საქმე ჰქონდა გახსნილი. ეს ღეზ ობელი პა-
ტარა ტანის, ჩასუქებული, ძალზე ლაქლაქა კაცი იყო; სულ
მთლად გამელოტებულს კეფა ბილიარდის ბურთივით ჰქონდა
მოკრიალებული. ერთ მშვენიერ დღით ბიბლიოთეკას ეწვია,
შეეცადა ისე დაეჭირა თავი, თითქოს ბიბლიოფილი ყოფილი-
ყოს, მაგრამ მყისვე გაუმჟღავნდა, რომ წიგნებისა არაფერი

გაეგებოდა. სანამ ანტიკური ფილოსოფოსების ბიუსტები ფერხულში ჩაბმულებივით ირეკლებოდნენ მის შიშველ კეფაზე, მრავალი მზაკვრული კითხვა დაუსვა ბატონ სარიეტს. ბიბლიოთეკარიც აირია და სიწითლემ გადაჰკრა სახეზე, უცოდველობის შეცბუნებას ხომ ბევრი არაფერი უნდა. ბ-ნ დეზ ობელს წამსვე სასტიკი ეჭვი შეუვიდა, ბატონი სარიეტი თვითონაა ყველა იმ ქურდობის ჩამდენი, ასეთი შეშფოთებით რომ ამხელსო; თანამზრახველები უნდა ვიპოვო, მყისვე გაივლო გუნებაში. ქურდობის მოტივზე არც კი უფიქრია, მოტივები მუდამ დაიძებნება ხოლმე. ბ-ნმა დეზ ობელმა ურჩია ბ-ნ რენე დ'ესპარვიეს, მალულად სახლისთვის თვალყური ადევნებინეთ პრეფექტურის აგენტსო.

— მინიონს მოვაცემინებ თქვენთვის. ჩინებული მეთვალყურეა, ყურადღებიანი და ფრთხილი.

მეორე დღეს, დილის ექვსი საათიდან მინიონი უკვე ბოლთას სცემდა დ'ესპარვიეთა ოტელის წინ. თავი მხრებში ჩაერგო, ქვაბურა ქუდის ვიწრო ფარფლებიდან ქილვაშები მოუჩანდა, შავი, ვეება ულვაშები დაეყენებინა, უსაშველოდ დიდი ხელ-ფეხი ება. ერთი სიტყვით, ნახვად ღირდა ეს ქვეშქვეშად მომზირალი კაცი, ბეჯითად რომ მიმოდოდა ლა სორდერთა ოტელის შემამკობელი უახლოესი ვერძისთავიანი სვეტიდან გარანსიერის ქუჩის ბოლომდე, სენ-სულპისის ეკლესიის აბსიდამდე და ღვთისმშობლის ეკვდერამდე. ის დღე იყო და ის დღე, დ'ესპარვიეთა ოტელში ვერც შეხვიდოდით და ვერც გამოხვიდოდით ისე, რომ არ გეგრძნოთ, როგორ ზვერავენ თქვენს ყოველ მოძრაობას და როგორ კითხულობდნენ ყველა თქვენს აზრსაც. მინიონი სასწაული რამ გახლდათ, ისეთი ღირსებები ჰქონდა მიმადლებული, რომელთაც ბუნება არ ანიჭებს არც ერთ სხვა ადამიანს. არც ჭამა უნდოდა და არც ძილი: დღისით და ღამით, ნებისმიერ საათზე, ქარსა თუ წვიმაში მუდამ ოტელის წინ იდგა და მისი მზერის გამქოლ რადიოსხივებს თავს ვერავინ აღწევდა. თითქოს ძვალსა და რბილში გატანდათ ეს მზერა, ტანთ გზდიდათ კი არა, ჩონჩხად გაქცევდათ. აგენტი ფეხსაც არ აჩერებდა, წუთითაც არ სწყვეტდა სეირნობას. მის მზერას ვერავინ უძლებდა. მორისი იმუქრებოდა, მამის სასლიდან ავიყრები, თუ დღეცისმარე ასეთ რენტგენს გადამიღებენო. დედამისი და მისი და ბერტაც უჩიოდ-

ნენ ამ გამქოლ მხერას, მათ კდემამოსილ სულებს რომ შეუ-
რაცხოფდა. ემაწვილი ლეონის აღმზრდელი მადმუაზელ კა-
პორალი აგენტის შემოსედევაზე ენით უთქმელ უხერხულობას
გრძნობდა. მისგან განაწამები ბ-ნი რენე დ'ესპარვიე ზღურბლ-
საც ველარ აბიჯებდა, თვალეებზე ქუდი რომ არ ჩამოეფხატები-
ნა: ამოდ ლამობდა აეცილებინა ეს ძვალ-რბილში გამტანი
სიციები და სულ წყევლა-კრულვით აგდებდა მამილო სარი-
ეტს, მთელი ამ სიავის მოთავესა და მიზეზს. ოჯახის მახლობ-
ლები, აბატი პატუი და ბიძია გიაცინტი იშვიათადლა ჩნდებოდ-
ნენ. ნაცნობებმა სტუმრობას უკლეს, საქონლის დამტარებ-
ლებს საქონელი აღარ მოჰქონდათ, დიდი მალაზიების ფურგო-
ნები კართან გაჩერებას ძლივსლა ბედავდნენ. მაგრამ ამ მეთ-
ვალყურეობამ ყველაზე დიდი არევ-დარევა მოსამსახურეთა
შორის გამოიწვია. ლაქიას მოდარაჯე პოლიციელის გამოისო-
ბით ველარ გაებედა ნაშუადღევს მეკარის ცოლთან შევლა, რო-
ცა ქალი შინ საქმიანობდა; დაასკვნა, აუტანელია აქ ყოფნაო
და ბატონს ანგარიშის გასწორება სთხოვა. ოდილი, ქალბატონ
დ'ესპარვიეს მოახლე ველარ ბედავდა ქალბატონის დაწოლის
შემდეგ თავის მანსარლაში მეზობელი წიგნის მალაზიის ულამა-
ზესი ნოქარი — ოქტავი შეეყვანა და სულ დაღვრემილი და-
დიოდა; ისე დაეწეწა ნერვები და ისე გაღიზიანდა, რომ ქალ-
ბატონს თმებს გლეჯდა, როცა ვარცხნიდა, უტიფრად ელაპა-
რაკებოდა და ახლა ბ-ნ მორისს უყუყუნებდა თვალეებს. მზა-
რეულმა, ქალბატონმა მალგუარმა, ორმოცდაათი წლის დარ-
ბაისელმა ქალმა სერვანდონის ქუჩელი ღვინის გამყიდველი
ბიჭი ველარ შემოაპარა თავისთან, მისმა მგზნებარე ტემპერა-
მენტმა ასეთი მძიმე დარტყმა ვერ აიტანა და საბრალო ჰკუ-
ანზე შეცდა: ბატონებს სუფრაზე უმი კურდღელი მიართვა და
გამოუცხადა, პაპი მთხოულობს ცოლადო. ბოლოს, ორი თვის
გულმოდგინე, ზეადამიანურად ფხიზელი დარაჯობის შემდეგ,
ორგანული ცხოვრებისა და ცხოველური ყოფის ყველა კანონს
რომ ეწინააღმდეგებოდა, აგენტმა მინიონმა, რაკი საექვო ვე-
რაფერი შენიშნა, უარი თქვა მეთვალყურეობაზე და უსიტყ-
ვოდ გასცილდა იქაურობას, გასამრჩელოდ ერთი სუც კი არ
მოუთხოვია. ბიბლიოთეკაში კი წიგნების როკვა არ წყდებოდა.

— კეთილი და პატიოსანი; რაკი არც არავინ შემოდის და
არც არავინ გადის, მაშასადამე, ბოროტმოქმედი შინ გვყო-
ლია, — თქვა ბ-ნმა დეზ ობელმა.

ამ მაღალი რანგის მოხელემ იფიქრა, ბოროტმოქმედებს გამოძიებისა და გაჩხრეკის გარეშეც ვიპოვიო. ერთ დათქმულ დღეს, შუალამისას ტალკი მოაპნეინა ბიბლიოთეკის იატაკზე, კიბის საფეხურებზე, ვესტიბიულში, ბალის ხეივანში, ბ-ნ მორისის პავილიონისაკენ რომ მიდიოდა და პავილიონის წინკარში. მეორე დღეს, დილით, ბ-ნი დეზ ობელი პრეფექტურის ფოტოგრაფის, ბ-ნ რენე დ'ესპარვიესა და ბ-ნ სარიეტის თანხლებით მოვიდა ანაბექდების გადასალეზად. ბალში ვერაფერი ნახეს: ტალკი ქარს გაეფანტა; პავილიონშიც ვერაფერს მიაკვლიეს. ჭაბუკ მორისს ეფიქრა, ვილაც უშნოდ მეხუმრებაო და ბუხრის ცოცხით გამოეგავა ეს თეთრი მტვერი. მართალი თუ გნებავთ, ამ გზით მოახლე ოდილის ფეხთა ნაკვალევი წაშალა. კიბეზე და ბიბლიოთეკაში კი აქა-იქ შიშველი ფეხის მკრთალი ანაბექდი ნახეს. თითქოს ვილაცამ პაერში გაიქროლა და მხოლოდ ალაგ-ალაგ, ნიავის უმჩატესად აკარებდაო ფეხს იატაკს. სულ ხუთ ასეთ ნაკვალევს წააწყდნენ. მათგან ყველაზე უფრო მკაფიო ბიუსტებისა და სფეროების დარბაზში ნაპოვნი გახლდათ, იმ მაგიდის კიდეში, სადაც წიგნები დაეხვავებინათ. პრეფექტურის ფოტოგრაფმა რამდენჯერმე გადაუღო სურათი ამ ანაბექდს.

— ყველაზე თავზარდამცემი ამბავი სწორედ ესაა, — წაიჩურჩულა ბატონმა სარიეტმა.

ბ-ნი დეზ ობელიც ვერ მალავდა თავის გაოცებას.

სამი დღის შემდეგ პრეფექტურის ანთროპომეტრიულმა სამსახურმა უკან მოუბრუნა ფოტოები და შემოუთვალა, მსგავსი რამ ჩვენს კართოტეკაში არ მოიძვევებაო. ბ-ნმა რენემ ნასადილევს ეს ფოტოები თავის ძმა გაეტანს უჩვენა. მანაც დიდი ყურადღებით დაათვალიერა სურათები და ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ თქვა:

— ვფიქრობ, ამგვარი რამ მართლაც არ ექნებათ კართოტეკებში; ეს ღმერთის, ან ანტიკური ხანის ათლეტის ფეხია. ტერფი, რომელმაც ეს ნაკვალევი დატოვა, არნახულად სრულყოფილი გახლავთ ჩვენი რასებისა და ჩვენი ჰავისათვის. ცერიც საუცხოოდ მოხდენილი აქვს; ქუსლიც — ღვთაებრივად მოყვანილი.

რენე დ'ესპარვიემ შეჰყვირა:

— ძმაო, ხომ არ გაგიჟდი?

— პოეტია და რას იზამ, — ამოიოხრა ქალბატონმა დ'ესპარვიემ.

— ბიძაჩემო, — უთხრა მორისმა, — უთუოდ შეგიყვარდებათ ეს ფეხი, თუკი ოდესმე შეხვდით.

— ვივან დენონსაც* მასე დაემართა, როცა ბონაპარტს ახლდა ეგვიპტეში, — მიუგო გაეტანმა, — დენონმა თებეს მახლობლად არაბთაგან გაძარცულ სამარხში იპოვა მუმისის ზღაპრულად ლამაზი პატარა ფეხი. უჩვეულო მგზნებარებით დაჰყურებდა ამ ფეხს. „ეს ყმაწვილი ქალის ფეხია, — ამბობდა გულში, — მეფის პირმშვენიერი ასულის ფეხი; ფეხსაცმელს თავის დღეში არ დაუმახინჯებია მისი საუცხოო ნაკეთები“. დენონმა აღტაცებით უცქირა ამ ფეხს; უცქირა, უცქირა და შეუყვარდა. მუმისის ამ პატარა ფეხის ჩანახატს დენონის ეგვიპტურ ატლასშიაც შეხვდებოდა. მის სანახავად შორს არ მოგიწევთ წასვლა, შეგიძლიათ აქვე გადაფურცლოთ, თუკი მამილო სარიეტი ოდესმე გამოიმეტებს თავისი ბიბლიოთეკის თუნდაც ერთ წიგნს.

ხანდახან საწოლში მწოლარე მორისს ეღვიძებოდა შუალამისას, ეგონა, მეზობელი ოთახიდან გადაშლილი ფურცლებისა და პარკეტზე წიგნის დაცემის ხმა მესმისო. ერთ დღით, ხუთ საათზე, როცა კლუბიდან ბრუნდებოდა მთელი ღამის თამაშში ხელმოცარული და პავილიონის კარის წინ ჯიბეში გასაღებს ეძებდა, მის ყურს გარკვევით მისწვდა ოხვრის ხმა:

— ცოდნავ, საით მიგყავარ? საით მიმაქროლებ, ფიქრო?

მაგრამ ოთახებში რომ შევიდა, ვერავინ ნახა და იფიქრა, მომეყურაო.

თ ა ვ ი VIII

სადაც საუბარია სიუპარულზე, რაც მკითხველთ
საბაჟრად დაურჩებათ, რამეთუ უსიუპარულთ ამაგვი
უმდოგვო კახვივით უგამურია

მორისს არაფერი უკვირდა. არ ცდილობდა საგანთა არსს ჩასწვდომოდა და თავისთვის მშვიდად ცხოვრობდა თვალით საჩინო სამყაროში. განა მარადიულ ჭეშმარიტებას უარყოფდა, ისე, თავის გუნებისამებრ მისდევდა ფუჟ ფორმებს.

მისი თაობის ყმაწვილკაცებზე ნაკლებ იტაცებდა სპორტი, სასტიკი ვარჯიშობანი და ქვეშეუცნობლად თავისი რასის ეროტულ ტრადიციებს აგრძელებდა. ფრანგები კაცთა შორის ყველაზე გალანტურები იყვნენ და სამწუხარო იქნება, ეს უპირატესობა რომ დაკარგონ. მორისი ამ ტრადიციის ერთგული მიმდევარი გახლდათ; არც ერთი ქალისათვის არ უთქვამდა გული, მაგრამ როგორც ნეტარი ავგუსტინე ბრძანებს, უყვარდა სიყვარული. მას შემდეგ, რაც საკადრისი პატივი მიაგო ქალბატონ დე ლა ვერდელიერის უჭკნობ სილამაზესა და იღუმალ ხრიკებს, ლუსიოლად წოდებული ერთი ახალგაზრდა მსახიობის წუთიერი ტრფობა იგემა; ახლა უხალისოდ იტანდა ოდილის, დედამისის მოახლე ქალის სრულიად ჩვეულებრივ გარყვნილებას და ლამაზ ქალბატონ ბუატიეს ცრემლში ნალტობ ტრფიალებას; მაგრამ გულში დიდ სიყაროელეს გრძნობდა. და აი, ერთ ოთხშაბათს, როცა სალონში შევიდა, სადაც დედამისი უმეტესწილად პირქუშ და შეუხედავ ქალებს, ბერიკაცებსა და პირტიტველა ჭაბუკებს ლებულობდა ხოლმე, ამ ინტიმურ წრეში სასამართლოს მრჩევლის ცოლი, ქალბატონი დეზ ობელი შენიშნა. იმ მრჩევლისა, რომელიც ბ-ნმა რენე დ'ესპარვიემ ამოდ გასარჯა, ჩემს ბიბლიოთეკაში რაღაც საიდუმლოებით მოცული ძარცვა ხდებოდა. ქალი ახალგაზრდა იყო; მორისს ლამაზად ეჩვენა იგი და არცთუ უსაფუძვლოდ. ეიღბერტი ქალთა გენიისაგან იყო ნაძერწი; სხვა არც ერთ სულს არ მიუღია მონაწილეობა მის შექმნაში. ამიტომ მასში ყველაფერი ნდომას აღძრავდა და არც მისი გარეგნობა, არც მისი არსება გონებას სხვა რამ გრძნობისაკენ არ მიდრეკდა. და აზრმა, ერთიმეორისაკენ რომ იზიდავს სამყაროებს, აიძულა ახალგაზრდა მორისი მიახლოებოდა ამ თვალწარმტაც არსებას. მკლავი შესთავაზა ჩაის მაგიდისაკენ მიმავალს და როცა ეიღბერტს ჩაი მიაწოდეს, უთხრა:

— ჩვენ ორნი უთუოდ მოვრიგდებით. თანახმა ხართ?

ასე თანამედროვე ჩვეულება ალაპარაკებდა, სურდა თავიდან აეცილებინა უგემური ქათინაურები და ქალიც არ გაეღიზიანებინა, იძულებული არ გაეხადა მოესმინა ძველმოდური აღსარებანი, მართო რაღაც ბუნდოვანსა და განუსაზღვრელ დაპირებებს რომ შეიცავს და არავითარ ზუსტსა და გარკვეულ პასუხს არ მოითხოვს ხოლმე. ისარგებლა იმით, რომ რამდე-

ნიმე წუთს საშუალება ჰქონდა სხვებისათვის შეუმჩნევლად ელაპარაკა ქალბატონ დეზ ობელთან, ძალზე ჭიქურ მიიტანა იერიში. მაგრამ ჭილბერტი, ეტყობა, უფრო საიმისოდ იყო შობილი, სხვაში აღეძრა ნდომა, ვიდრე საიმისოდ, რომ გულისწადილს თავად დამონებოდა. თუმც იმასაც კარგად გრძნობდა, ჩემი მოწოდება სიყვარულიაო. და სიამოვნებით მიჰყვებოდა ამ გზას. მორისზე სულ არ მოსდიოდა გული, ვერ ვიტყვი, მაგრამ ერჩია ობოლი ყოფილიყო, რადგან გამოცდილებით იცოდა, რა იმედის გაცრუება მოჰყვება ხოლმე კარგი ოჯახიშვილის ტრფობას.

— გნებავთ? — დაასკვნა ვაჟმა თავისი სათქმელი.

ქალმა ისე მოაჩვენა თავი, თითქოს ვერ მიუხვდა; ტუჩებთან მიტანილი ფუნთუშა ხელში გააშეშა და მორისს გაკვირვებული თვალებით შემოხვდა:

— რა?

— მშვენიერად იცით, რასაც ვგულისხმობ.

ქალბატონმა დეზ ობელმა თვალები დახარა, ჩაი მოყლუპა და პასუხი არ გაუცია მორისისათვის, რადგან მისი სიმორცხვე ჭერაც არ იყო ძლეული.

მორისი არ ცხრებოდა; ცარიელი ფინჯანი რომ გამოართვა ქალს, უთხრა:

— შაბათს, ხუთ საათზე რომის ქუჩაზე მოდით, 125 ნომერში, პირველ სართულზე; თაღსქვემოთ, პირველ მარჯვენა კარზე სამჯერ დააკაკუნებთ.

ქალბატონმა დეზ ობელმა მკაცრი და მშვიდი თვალებით გადახედა ოჯახიშვილს და მტკიცე ნაბიჯით გაემართა პატიოსან ქალთა კრებულისაკენ, რომელსაც სენატორი ლე ფოლი გატაცებით უხსნიდა, როგორ მოქმედებდა ინკუბატორი სენ-ჟულიენის სასოფლო-სამეურნეო კოლონიაში.

მომდევნო შაბათს მორისი რომის ქუჩის პირველ სართულზე ქალბატონ დეზ ობელს ელოდა. მაგრამ ამაოდ მოუხდა ლოდინი. პატარა ხელი თაღქვეშ არ გამოჩენილა, რომ კარზე სამჯერ დაეკაკუნებინა. განრისხებული მორისი გუნებაში ლანძღავდა ქალს, არამზადასა და ოხერს ეძახდა. რაკი გაწბილდა, გაუცრუვდა მოლოდინი, უსამართლო შეიქნა. ქალბატონი დეზ

ობელი სულაც არ იმსახურებდა ამ სახელებს, რახან არ მივიდა იქ, სადაც მისვლას არ შეჰპირებია. მაგრამ ადამიანთა საქციელს იმ სიამოვნებისა და მწუხარების მისედვითა ვსჯით, რომელთაც გვაყენებენ ხოლმე.

მორისი იმ დღიდან მხოლოდ ორი კვირის თავზე გამოჩნდა დედამისის სალონში, რაც ქალბატონ დეზ ობელთან მუდარით ამოდ დაშვრა. გვიან მოვიდა, მაშინ, როცა ქალბატონი დეზ ობელი უკვე ნახევარი საათის მოსული იყო. ცივად მიესალმა ქალს, მისგან მოშორებით დაჯდა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს საუბარს უყურადებდა.

— ...ერთიმეორის ღირსი ეს ორი მოწინააღმდეგე, — ამბობდა ვაქეაცური, ლამაზი ხმა, — შობილი იყო საიმისოდ, რომ ბრძოლა სათუო და საშინელი გაეხადა. საარაკო გამძლეობის პატრონი გენერალი ბოლი პირდაპირ ჩაზრდილიყო მიწაში. გენერალი მილპერტიუსი, რომლისთვისაც განგებან ზეადამიანური მოქნილობა დაენათლებინა, თავბრუდამხვევი სისწრაფით უვლიდა გარს თავის უდრეკ მოწინააღმდეგეს. იბრძოდნენ სასტიკი გაბოროტებით. გული ყველას შემძიმებული გვქონდა...

ეს გენერალი დ'ესპარვიე გახლდათ, ათროლოებულ ქალებს შემოდგომის დიდი მანევრების ამბებს უამბობდა. ოსტატურად ყვებოდა და დიდი მოწონებითაც სარგებლობდა. ერთმანეთს შეუდარა ბრძოლის ფრანგული და გერმანული მეთოდი, მათ განმასხვავებელ ნიშნებზე შეაჩერა მსმენელთა ყურადღება, არ შეუშინდა იმის მტკიცებას, რომ ორთავე ხერხს თავის უპირატესობანი გააჩნდა; ჯერ გერმანია როგორ სძალავდა საფრანგეთს, ის უჩვენა გაოცებულ, იმედგაცრუებულ, შეწუხებულ ქალებს, რომელთაც სიმწრით სახე მოედრუშათ და ჩამოუგრძელდათ. მაგრამ თანდათანობით, როცა გენერალი უფრო დაწვრილებით აღწერდა ორთავ მეთოდს, ფრანგული უფრო მოქნილი გამოჩნდა, უფრო ძლიერი და მოხდენილი, უფრო გონივრული და მზიარულებით აღსავესე, გერმანული კი — მძიმე, მოუხერხებელი, გაუბედავი. ქალებს თანდათანობით სახე გაუმრგვალდათ და გაუცისკროვნათ სიხარულის ღიმილმა. გეხერალმა, გული რომ მთლად გაეკეთებინა ამ დედების, ცოლების, დებისა და სატრფოებისათვის, გამოაცხადა, ჩვენ შეგვიძლია გერმანული მეთოდითაც ვიომოთ, როცა ეს მომგე-

ბიანი იქნება ჩვენთვის, გერმანელებს კი ფრანგული მეთოდით ბრძოლა არ შეუძლიათ.

მორჩა თუ არა სათქმელს, გენერალი ცალკე გაიხმო ბ-ნმა ტრიუკ დე რუფეკმა. მას, როგორც თავად ამბობდა, დაეარსებინა პატრიოტული საზოგადოება — „ფარიკაობა ყველასათვის“, რათა აღდგომისთვის საფრანგეთი და ყველა მოწინააღმდეგეზე ძლიერი გაეხადა იგი. ამ საზოგადოებაში აკვნიდანვე წერდნენ ჩვილებს და ბ-ნი ტრიუკ დე რუფეკი საპატიო პრეზიდენტობას ახლა გენერალ დ'ესპარვიეს სთავაზობდა.

ამასობაში მორისი ყურს უპყრობდა ერთი ძალზე სათნო და ძალზე ხნიერი ქალის საუბარს სენ-სანის¹ ქალთა მონასტრის აბატ ლაპტიტთან. მოხუცი ქალი ძალზე დამწუხრებული ჩანდა, ამ ბოლო დროს სწეულებასა და მახლობელთა სიკვდილიანობას გაეტანჯა. სურდა გაეგო, რატომა ვართ უბედურები ამ ქვეყნადო და აბატ ლაპტიტს ეკითხებოდა:

— როგორ ხსნით იმ დიდ უბედურებათ, კაცობრიობას რომ ატყდება თავს?

— ხანდახან თავი ხომ უნდა შეგვახსენოს ღმერთმა, — მიუგო აბატმა ლაპტიტმა ნეტარი ღიმილით.

მორისი მთლად ყურთასმენად იყო ქცეული. შემდეგ თითქოს ქალბატონმა ფილო-გრანდენმა მიიზიდა ანდამატურის ძალით; ეს ქალი ჯერ საკმაოდ ახალგაზრდა გახლდათ, მაგრამ მარტივი უცოდველობა ყოველგვარ ეშხს აკარგვინებდა მის სიტურფეს, მის სწეულსაც ყოველგვარ მიმზიდველობას აცლიდა. ერთმა ძალზე მოხუცმა, ღვარძლიანმა და მყვირალა ქალმა, ტანთ ღარიბული შალის კაბა რომ ეცვა და მით უფრო თვალში საცემს ხდიდა ქრისტიანულ ფინანსისტთა წრის დიდი ქალბატონის სიამაყეს, გამყინავი ხმით შესძახა:

— მართლა, ძვირფასო ქალბატონო დ'ესპარვიე, რაღაც უსიამოვნება შეგემთხვათ, არა? გაზეთები გადაკვრით ლაპარაკობდნენ ქურდობაზე, ბ-ნ დ'ესპარვიეს მდიდარ ბიბლიოთეკაში რომ მოსდა; ზოგ-ზოგი წიგნი გაიბნა, წერილები სადღაც გაქრაო.

— აჰ! ყველაფერს რომ დაუგდოს ყური კაცმა, რასაც გაზეთები წერენ!.. — შეჰყვირა ქალბატონმა დ'ესპარვიემ.

¹ Saint-Sang — წმიდა სისხლი (ფრანგ.).

— ძვირფასო ქალბატონო, ბოლოს აკი კვლავ იპოვეთ თქვენი საუნჯე. ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება ხოლმე.

— ბიბლიოთეკა სრულ წესრიგში გახლავთ, — თავი მოიწონა ქალბატონმა დ'ესპარვიემ, — არაფერი დაგვეკლებია.

— ეს ბიბლიოთეკა ერთი სართულით ზემოთაა, არა? — იკითხა ახალგაზრდა ქალბატონმა დეზ ობელმა, რომელსაც მოულოდნელად ინტერესი აღეძრა წიგნებისადმი.

ქალბატონმა დ'ესპარვიემ მიუგო, დიახ, ბიბლიოთეკას მთელი ზედა სართული უჭირავს, ნაკლებ ძვირფასი წიგნები კი სხვენში გვაქვს შენახულიო.

— არ შეიძლება დავათვალიერო?

ღიასახლისმა უთხრა, მაგაზე იოლი რა არისო და თავის ვაჟს უხმო.

— მორის, დასდე პატივი ქალბატონ დეზ ობელს და ბიბლიოთეკა დაათვალიერებინე.

მორისი წამოდგა და უსიტყვოდ გაჰყვა მესამე სართულზე ქალბატონ დეზ ობელს. გულგრილი გამომეტყველება ჰქონდა, თუმცა გუნებაში უხაროდა, რადგან ცხადი იყო, ქალბატონმა დეზ ობელმა მხოლოდ იმიტომ მოიმიზეზა, წიგნთსაცავის ნაბუკა მწადიაო, რომ სხვების უჩუმრად მასთან მოლაპარაკება სურდა. ქალს გარეგნულად გულცივად ეჩვენებოდა, გუნებაში კი ფიქრობდა, კვლავ შევთავაზებ სიყვარულს და იმედია, აღარ გამაწბილებსო.

ალექსანდრ დ'ესპარვიეს რომანტიკული ბიუსტის ქვეშ მჯდარი მოხუცის პატარა ჩრდილი მდუმარედ შემოეგებათ. ბიბლიოთეკარს მკვდრისფერი დასდებოდა, თვალები ამოღამებული ჰქონდა, სახეზე ჩვეული შიშნეულობა და სიმშვიდე ეწერა.

— ნუ შეწუხდებით, ბატონო სარიეტ, — უთხრა მორისმა, — ქალბატონ დეზ ობელს ჩვენი ბიბლიოთეკა უნდა დავათვალიერებინო.

მორისი და ქალბატონი დეზ ობელი დიდ დარბაზში შევიდნენ, სადაც ოთხსავე კედლის გასწვრივ წიგნებით გამოტენილი კარადები იყო ჩარიგებული. მათ თავზე კი ძველი დროების პოეტთა, ფილოსოფოსთა და ორატორთა ბროზნეფრქვეული ბიუსტები შემოედგათ. ირგვლივ სრული წესრიგი სუ-

ფევედა. თითქოს დასაბამის დღიდან აქაურობისათვის ხელი არავის ეხლო. მხოლოდ ერთ ადგილას, სადაც გუშინ რიშარ სიმონის გამოუქვეყნებელი ხელნაწერი იღო, შავი, პირდაღებული ხვრელი მოჩანდა. ახალგაზრდა წყვილის გვერდით ფერმკრთალი, გულგრილი და ენაჩავარდნილი ბ-ნი სარიეტი უხმაუროდ მიაბიჯებდა.

მორისი საყვედურით შეაცქერდა ქალბატონ დეზ ობელს:
— რომ იცოდეთ, რა ცუდად მომექეცით.

ქალმა ანიშნა, ბიბლიოთეკარმა შეიძლება გაიგონოს ჩვენი ნუბარაო. მაგრამ მორისმა დაამშვიდა:

— ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ეს მამილო სარიეტია. სულ მთლად გამოთაყვანდა საწყალი.

მერე კვლავ თავისას მოჰყვა:

— ღმერთმანი, ძალიან ცუდად მომექეცით. გელოდით, თქვენ კი არ მოხვედით და გამაუბედურეთ.

ერთხანს ხმა-კრინტიც არ დაუძრავთ. მარტო მოხუცი სარიეტის ბრონქებში ასთმის მწუხარე და ჩუმი ღულუნის ისმოდა; მერე ახალგაზრდა მორისმა ყვედრებით უთხრა ქალს:

— დამნაშავე ხართ.

ქალმა ჰკითხა:

— რაში მდებთ ბრალს?

— რომ არ გამიყადრეთ თავი.

— მაშ, კვლავ ფიქრობთ იმაზე, რაც მაშინ მითხარი?

— რა თქმა უნდა.

— ესე იგი, სერიოზული ამბავი ყოფილა.

— უფრო სერიოზულს ძნელად წარმოიდგენს კაცი.

ქალბატონ დეზ ობელს გული მოუღბეს ამ სიტყვებმა; დარწმუნდა, ვაჟს გულწრფელი, ერთგული სიყვარულით ვუყვარვარ, მეც საკმაო ხანს ვეუბრებოდი მის გრძნობასო და მორისს შეჰპირდა იმას, რაზედაც ორი კვირის წინ უარი უთხრა.

ფანჯრის სიოში შევიდნენ, ვეება ციური სფეროს უკან, სადაც ზოდიაქოს ნიშნები და თანავარსკვლავედები იყო ამოტვიფრული და აქ, ლომზე, ქალწულზე და სასწორზე თვალმიშტერებულმა, უამრავ ბიბლიას, ბერძენი და ლათინი მამების ნაწრომთა შორის, ჰომეროსის, ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს, ჰეროდოტეს, თუკიდიდეს, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, დემოსთენეს, ციცერონის, ვერგილიუსის, პო-

რაციუსის, სენეკასა და ეპიქტეტის გამოსახულებათა თვალწინ ალექსა დადეს, რომ ეყვარებოდათ ერთმანეთი და ეს ალექსა ტუჩებში კოცნით გაამაგრეს.

ქალბატონ დეზ ობელს მაშინვე გაახსენდა, რომ კიდევ რამდენიმე ადგილას იყო მისასვლელი და ჩქარა უნდა წასულიყო აქედან: რამეთუ სიყვარულმა ვერ დააქარგვინა თავის სასგლდიდებზე ზრუნვის უნარი. მორისთან ერთად კარის ზღურბლს გადმოაბიჯა თუ არა, მკახე კივილი ჩაესმათ ყურში და დაინახეს თავგზააბნეული ბ-ნი სარიეტი როგორ გადახტა კიბეზე ყვირილით:

— დააკავეთ! დააკავეთ! დავინახე, როგორ აფრინდა!.. თავისით ასხლტა თაროდან... ოთახი გადაჭრა... ავერ ისიც! კიბეზე ჩადის... პირველი სართულის კარი გაიარა. შეაჩერეთ-მეთქი!

— ვინ? — ჰკითხა მორისმა.

ბატონი სარიეტი წინკარის ფანჯრიდან იყურებოდა და თავნარდაცემული ლულულულებდა:

— დახეთ, ბალსა სკრის... პავილიონში შედის!.. შეაჩერეთ! შეაჩერეთ-მეთქი!

— ვინ შევაჩეროთ? — ჩაეკითხა მორისი, — გაგვაგებინეთ, ღვთის გულისათვის.

— ჩემი იოსებ ფლავიუსი! — შეჰყვირა ბ-ნმა სარიეტმა, — შეაჩერეთ! — და მოწყვეტით დაეცა ძირს.

— ხომ ხედავთ, გიჟია, — უთხრა მორისმა ქალბატონ დეზ ობელს, თან უბედური ბიბლიოთეკარის წამოყენებას ლამობდა.

ცოტა ფერგამკრთალმა ჟილბერტმა უთხრა, მგონი მეც შეეხსიწხე, იმ მხარეს, საითაც ეს უბედური უთითებდა, რაღაც მიფრინავდაო. მორისს არაფერი დაუნახავს, მაგრამ რაღაც სიოს შემობერვასავით კი იგრძნო.

ყმაწვილმა კაცმა ბ-ნი სარიეტი ხელში შეატოვა იპოლიტსა და ეკონომ ქალს, რომელთაც ხმაურზე მოირბინეს.

ბერიკაცს თავი გაეტეხა.

— მით უკეთესი, — თქვა ეკონომმა ქალმა, — ამ იარამ ტვინში სისხლის ჩაქცევისაგან იხსნა უბედური.

ქალბატონმა დეზ ობელმა თავისი ცხვირსახოცი მისცა მოხუცს სისხლის მოსახოცად და ურჩია, არნიკის კომპრესები წაიდეთო.

სადაც გამოჩნდება, რომ, ერთი ძველბარძენი
 აომბინა არ იყო: „არა არის რა ომბროს
 აფროლითზე უბაგანი“

თუმც ქალბატონი დეზ ობელი აგერ უკვე ექვსი თვეა დაე-
 საკუთრებინა, მორისს ისევ უყვარდა იგი. სიმართლე თუ გნე-
 ბავთ, ზაფხულმა ცოტა ხნით გაპყარა მიჯნურნი. რაკი ფული
 არ ჰქონდა, მორისი იძულებული გახდა დედამისს გაპყოლოდა
 შვეიცარიაში, შემდეგ თავისიანებთან განმარტოვდა დ'ესპარ-
 ვიეთა კოშკში. ქალმა ზაფხულის თვეები დედასთან გაატარა
 ნიორში, ოქტომბერში კი ქმარს გაპყვა პატარა ნორმანდიულ
 ზღვისპირა აგარაკზე და სულ ოთხჯერ თუ ხუთჯერ შეხვდა
 მორისს. მაგრამ მას შემდეგ, რაც შეყვარებულთა მწყალო-
 ბელმა ზამთარმა ისინი კვლავ შეპყარა ქალაქში და თავის ნის-
 ლოვანი მოსასხამი გადააფარა, მორისი ქალს კვირაში ორ-
 ჯერ მასპინძლობდა თავის პატარა ბინაში, რომის ქუჩის
 პირველ სართულზე და მის მეტი სხვა ქალი არ დაუდიოდა.
 დღემდე ასე არავისთვის უერთგულებია. სიამოვნებას ის უორ-
 კეცებდა, რომ დარწმუნებული იყო, ყილბერტსაც ვუყვარვა-
 რო. ფიქრობდა, არ მალატობსო, იმიტომ კი არა, რომ სა-
 ამისო საბუთი ჰქონდა; უბრალოდ სამართლიანად და ბუნებ-
 რივად მიაჩნდა, ქალი მართო მის სიყვარულს დასჯერებოდა.
 ერთ რამეს კი ვერაფრით შეგუებოდა: ქ-ნი დეზ ობელი მუდამ
 ალოდინებდა, ხშირად აგვიანებდა პაემანზე, ხანდახან საათო-
 ბითაც აცდევინებდა.

შაბათს, ოცდაათ იანვარს, ნაშუადღევს ოთხი საათიდან
 ყვავილებიან პიჟამაში გამოწყობილი მორისი პატარა, ვარდის-
 ფერ ოთახში ელოდა საყვარელს ცეცხლის პირას და აღმოსავ-
 ლურ თუთუნს აბოლებდა. ჯერ ოცნებობდა, რომ მოვა, კოც-
 ნით ავაგსებ, ენით რომ არ ითქმის, ისე მაგრად ჩავიკრავ ვულ-
 შიო. თხუთმეტი წუთი რომ გავიდა, გადაწყვიტა, ტკბილი სი-
 ტყვიტ, მაგრამ სერიოზულად ვუსაყვედურებო. ერთი საათის
 ამო ლოდინის შემდეგ კი თავს სიტყვა მისცა, ცივად, ზიზღით
 შექცებო.

ბოლოს ყილბერტიც გამოჩნდა, ქორთა და ასურნელებუ-
ლი.

— უკვე აღარც კი ღირდა მოსვლა, — უთხრა მწარედ
მორისმა, სანამ ქალი მაგიდაზე მუფთასა და პატარა ხელჩანთას
დებდა და სარკიანი კარადის წინ ვუალს იხდიდა.

ყილბერტიც სულ ბოდიშები უხადა, ჩემს დღეში ამდენი არ
მინერვიულიაო, მაგრამ მორისს მაინც არ მოუღბა გული. მე-
რე კი, როცა ქალს ეყო ჭკუა გაჩუმებულყო, ვაჟს საყვედური
აღარ უთქვამს მისთვის: აღარაფერი უფანტავდა ყურადღებას
და მთლიანად დამორჩილდა სურვილს, ქალი რომ აღუძრავდა.

ყილბერტი, შობილი საიმისოდ, რომ მამაკაცთა გულეები
მოენადირებინა, ტანთ ნება-ნება იხდიდა. იცოდა, შეენოდა სი-
შიშველე და არ ერცხვინებოდა თავის სიტურფის გამომზეურე-
ბა. მორისს იგი ჯერ ადამიანებისა და ღმერთების მეუფის —
აუცილებლობის ტყვეობაში მოქცეული კაცის პირქუში სიშ-
მაგით უყვარდა. ქალი თუმც გარეგნულად სუსტი ჩანდა, უძლე-
ველი ქალღმერთის დარტყმები არ აკრთობდა. მერე ვაჟს რგი
ნაკლებ თავდავიწყებით უყვარდა, ისე, როგორც განსწავლუ-
ლი ვენერა შთააგონებდა და გამჭირახი ეროსი უკარნახებდა. იმ-
ხანად მის ბუნებრივ სიფიცხეს ავხორცული გონების გამონა-
გონიც მიემატა და ისე შემოეგზნო, როგორც ბაკქელ ქალთა
კვერთხს შემოეჭდობა ხოლმე ვაზის ფოთლები. რა დაინახა,
ყილბერტს მოსწონდა ეს თამაშობანი, მორისმა გაახანგრძლი-
ვა ისინი, რადგან მიჯნურები მუდამ იმის ცდაში არიან, რაც
შეიძლება მეტად ამონ თავიანთ საყვარლებს. შემდეგ ორთა-
ვეს უსიტყვო და ნეტარმა მოუთმენლობამ დარია ხელი.

ფარდები ჩამოშვებული ჰქონდათ; ოთახი განბანოლიყო
თბილ ბინდში, რომელშიაც ბუხრის მუგუზალთაგან ასხლეტი-
ლი სხივები ცეკვავდნენ. ხორცი და თეთრეული თითქოს ფოს-
ფორს ასხივებდა. კარადისა და ბუხრის სარკეებში იღუმალი
სინათლე კიაფობდა. ყილბერტი ახლა იდაყვით დაყრდნობო-
და ბალიშს, თავი ხელებში ჩაერგო და ფიქრს მისცემოდა. ერ-
თმა წვრილმა ოქრომქვედელმა, მეტად სანდო და ჭკვიანმა კაც-
მა, ულამაზესი სამაჯური უჩვენა, მარგალიტებითა და საფი-
რონებით შემკული; სამაჯური ძალიან ძვირი ღირდა, მაგრამ
ახლა ჩაღის ფასად იყიდებოდა. იუველირისათვის გაჭირვებაში
ჩავარდნილ კოკოტს მიეტანა გასასაღებლად. ასეთი შემთხვევა

მეორე არ შეხვდებოდა და დასანანი იყო მისი ხელიდან გამ-
ვება.

— გინდა გიჩვენო, ძე რფასო? ეთხოვ ჩემს იუველიერს და
მათხოვებს.

მორისს გადაჭრით არ უთქვამს უარი, მაგრამ ეტყობოდა,
სულაც არ აინტერესებდა ეს საუცხოო სამაჯური.

— როცა წვირილ იუველიერებს ხეირიანი რამ ნივთი ჩაუ-
ვარდებათ ხელში, თავიანთთვის ინახავენ, კლიენტებს კი არ
ასარგებლებენ ხოლმე. თანაც სამკაულებს ახლა გასავალი არა
აქვს. რიგიანი ქალები მათ აღარც კი ატარებენ. დღეს ყველა
სპორტს მიღდევს, სამკაულები და სპორტი კი ერთმანეთში
ვერ თავსდება.

მორისი ცრუობდა, მაგრამ სულ ახლახან ბეწვის ქურჭი
აჩუქა ჟილბერტს და სულაც არ ჩქარობდა ახალი საჩუქრის
მიცემას. ძუნწი არ ეთქმოდა, ოღონდ ანგარიშიანობა უყვარდა.
მშობლები მაინცდამაინც ბევრ ფულს არ აძლევდნენ სახარ-
ჯოდ და დღითი დღე ვალებში ეფლობოდა. თან იმასაც ფქ-
რობდა, ქალს სურვილები ნატვრის უმალ თუ შეგუესრულიე,
ვაითუ სხვა, უფრო ცხოველი სურვილები აღეძრასო. ეს შემ-
თხვევაც ისე სახარბიელოდ არ სჩვენებია, როგორც ჟილ-
ბერტს, თანაც ერჩია, გაცემისას თვითონ ყოფილიყო თავის
თავის განმგებელი. დაბოლოს, იმაც ფიქრობდა, საჩუქრე-
ბით თუ ავაესე, მაშინ აღარ მეცოდინება მართლა ვუყვარვარ,
თუ საჩუქრებსაა დახარბებულო.

საწყადელს რომ ვერ ეწია, ქალბატონ დეზ ობელს არც იმე-
დის გაცრუება დასტყობია და არც გაცემა: ბუნებით დამ-
ყოლი იყო და ზომიერება სჩვეოდა ყველაფერში; კარგად იც-
სობდა მამაკაცებს, ფიქრობდა, უმეტესობა მაინცდამაინც ხელ-
გაშლილი ვერაა და ქალმა უნდა იცოდეს, როგორ აიძულოს
საყვარელი საჩუქარი უძღვნასო.

უეცრად ფარანმა, ქუჩაში რომ აინთო, ფარდებს შორის
დარჩენილი კრილი გაანათა.

— შვიდის ნახევარია, — თქვა ქალმა, — ტანთ უნდა ჩა-
ვიცვა.

იგრძნო თუ არა, დრო ელვის სისწრაფით გვისხლტებაო,
მორისს კვლავ განუახლდა ნდობა და ძალებიც გაუცხოველდა.
ჟილბერტი — თეთრი და სხივმფინარე ზეარაკი — უკან თავგა-

დაგდებული, თვალემიბნედილი, ბაგეგაპობილი, გულშედონებული ღრმად ოხრავდა; უეცრად წამოიშარათა საწოლზე და თავზარდაცემულმა შეჰკივლა:

— რა არის ეს?

— წყნარად, — უთხრა მორისმა და კვლავ მაგრად შემოაქლო მკლავები.

ისეთ ნეტარებაში იყო ახლა, ცა რომ დამსობოდა თავზე, არ ინალვლებდა. მაგრამ ქალი ერთი ნახტომით დაუსხლტა ხელიდან და საწოლის კიდეში მიიკუჭა; თვალეებში შიშის ზარი ჩასდგომოდა და ოთახის კუთხეში, ბუხარსა და სარკიან კარადას შორის გამოჩენილ ფიგურაზე მიუთითებდა. მერე კი, რაკი ეს სახილველი ვერ აიტანა, გულშემოყრილმა სახე ხელეებში ჩამალა.

თ ა ვ ი X

რომელის თავის სითამამით დანახვა და მიღბონის* წარმოსახვას ბევრად მებოხს

ბოლოს მორისმაც შემოაბრუნა თავი და რალაც სხეული დალანდა; დააკვირდა და შენიშნა, ინძრევად და ისიც შიშმა აიტანა. უილბერტი ამასობაში გონს მოეგო; წარმოიდგინა, წელან რომ მეჩვენა, მორისის საყვარელია, ოთახში ჰყოლია დამალული. ასეთი ლალატით განაწყენებულმა რისხვა და აღშფოთება ველარ დაიოკა, წარმოსახვით რაყიფს მიაშტერა მზერა და შეჰყვირა:

— ქალი... თანაც უიშველი ქალი!.. იმ ოთახში მღებულობ, სადაც კახპები დაგიდიან; და როცა მოედივარ, ტანთ ჩაცმასაც ვერ ასწრებენ ხოლმე. თან აქეთ მსაყვედურობ, რად აგვიანებო. უნამუსო ყოფილხარ! აბა, ჰე, უთხარი შენს როსკიპს წაეთრიოს აქედან... თუ გსურდა ორთავ ერთად გყოლოდით, ჭერ უნდა დამკითხებოდი, ყაბულს თუ ვარ...

მორისს თვალეები გადმოეკარკლა და ხელის ცეცებით დაეძებდა ღამის მაგიდაზე რევოლვერს, რომელიც იქ თავის ღღეში არ დებია. მერე ყურში უჩურჩულა მეგობარს:

— გაჩუმდი ეს ქალი როდია... უკუნი სიბნელეა... მაგრამ, მგონი, კაცი უნდა იყოს.

ქალმა კვლავ ხელები აიფარა სახეზე და უარესად აკივ-
ლდა:

— კაციო?! საიდან გაჩნდა?! უთუოდ ქურდია!.. მკვლე-
ლია!.. მიშველეთ! მიშველეთ! მოკალი, მორის! მოკალი.. აან-
თე შუქი... არა! ნუ აანთებ!

გუნებაში აღთქმა დადო, ამ განსაცდელს თუ დაეუძვერი
ხელიდან, წმიდა ღვთისმშობელს სანთელს დავეუნთებო. კბილს
კბილზე აცემინებდა.

სხეული ოდნავ შეირხა.

— ნუ გვიახლოვდებით! ნუ გვიახლოვდებით! — შეჰყვი-
რა ჟილბერტმა.

მერე შეჰპირდა, სასთუმალთან რაც ფული და ძვირფასე-
ულობა მიდევს, სულ გადმოგიყრით, ოღონდ ფეხი არ გად-
მოდგათ მაქედანო.

გაოცებაში და შიშში ისე დაუბნელეს გონება, რომ წარ-
მოიდგინა, ჩემმა ქმარმა უთუოდ ეჭვი აიღო, მეთვალყურე
მომიჩინა, მოწმეები ჩამისაფრა, პოლიციის კომისართან სარ-
ჩელი აღძრაო. ერთ წამში თვალწინ წარმოუდგა სამწუხარო
მომავალი; საზოგადოებაში თავი მომეჭრება, ყველა შემიზიზ-
ღებს, მეგობრები ლაჩრულად შემაქცევენ ზურგს, ნაცნობები
საცინლად ამიგდებენ და არც გაემტყუნებთ, რადგან მართ-
ლაც სასაცილოა ასე ჩავარდნაო. წარმოიდგინა განქორწინება,
თვალნათლივ დაინახა, როგორ დაკარგავდა მდგომარეობას; რა
საცოდევად, უსიხარულოდ იცხოვრებდა დედასთან ერთად.
აღარც არავინ დაუწყებდა არშიყობას, რადგან მამაკაცები გა-
ურბიან ქალებს, რომლებიც ცოლქმრული კავშირით არ
არიან შეკრულნი. მერედა რად, რისთვის დაატყდება თავს ამ-
დენი უბედურება? სულ ტყუილუბრალოდ, სულ არაფრის გუ-
ლისათვის. ასე ალაპარაკდა ერთბაშად ჟილბერტ დეზ ობე-
ლის სინიღისი.

— ნუ გეშინიათ, ქალბატონო, — გაისმა საოცრად ტკბი-
ლი ხმა.

ქალი ცოტათი დამშვიდდა, მერე იმდენად მოიცა ძალი, რომ
ჰკითხა სტუმარს:

— ვინა ხართ?

— ანგელოზი, — მიუგო ხმამ.

— რაო, რა ბრძანეთ?..

— ანგელოზი ვარ-მეთქი; მორისის მფარველი ანგელოზი.

— გაიმეორეთ!.. უთუოდ გავგიჟდი... ვერაფერი გამიგია.

მორისსაც ვერაფერი გაეგო და შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. პიყამა გაისწორა ტანზე, საწოლიდან გადმოხტა ყვა-ვილებით მოჩითული. მარჯვენა ხელი ფლოსტს წამოავლო, მუქარით დაუღირა დაუპატიჟებელ სტუმარს, თან უკმეხად ეთხრა:

— თავხედი ყოფილხართ... აბა, მეცით პატივი და მიბრძანდით იქ, საიდანაც მოსულხართ.

— მორის დ'ესპარვიე, — განაგრძო ალერსიანმა ხმამ, — იმან, ვისაც შემოქმედად თვლით და ეთაყვანებით, ყველა მორწმუნეს კეთილი ანგელოზი მიუჩინა, რომ დაიფაროს და რჩევით შეეწიოს ხოლმე. წმიდა მამები ოდითგან ამტკიცებენ ამას. თავიანთ რწმენას საღვთო წერილის ბევრი ადგილით ამაგრებენ; ეკლესიის მამებიც ამ აზრისანი არიან. თუმცა ანათემას არ გადასცემენ იმას, ვისაც ეს ამბავი სარწმუნოდ არ მიაჩნია. თქვენ წინაშეა ერთი ამ ანგელოზთაგანი, თქვენი მფარველი ანგელოზი, მორის! მე ვალად მედო თვალყური მედევნებინა თქვენი უცოდველობისათვის და უბიწოება შემიძინარჩუნებინა თქვენთვის.

— შეიძლება მასეც იყოს, — პირში სწვდა მორისი, — მაგრამ ზედვე გეტყობათ, ზრდილი კაცი ვერ ყოფილხართ. ზრდილი კაცი თავის დღეში არ შევიდოდა ოთახში, სადაც... ბოლოს და ბოლოს, აქ რა ჯანდაბა გინდათ?

— როგორც ხედავთ, ასეთი სახე მივიღე, მორის, რაკი დღეის ამას იქით კაცთა შორის მომიწევს ყოფნა და მათ უნდა დავმსგავსებოდი. ციურ სხეულებს ძალუძთ მიიღონ ისეთი გარეგნული ფორმა, რომელიც მათ ხილულად აქცევთ. ეს ფორმა რეალურია, რადგან ხილულია და ქვეყნად მხოლოდ ის რეალობა არსებობს, რომელიც თვალთაა სახილველი.

ჟილბერტი უკვე დამშვიდებულიყო და შუბლზე ჩამოიშლილ თმას ისწორებდა.

ანგელოზმა განაგრძო:

— ციური სულები თავიანთ გუნებისად ან ერთ სქესს იჩემებენ, ან მეორეს, ანდა ორივეს ერთად. ქაგრამ არ ძალუძთ ყოველ წუთს იცვალონ სახე, როგორც კი მოეგუნებებათ და მოეხასიათებათ. მათი მეტამორფოზები იმ ურყევ კანონებს

მონებენ, რომელთაც თქვენი გონება ვერ შესწვდება. ასე რომ, მე არც სურვილი მაქვს და არც შემოძლია თქვენს თვალწინ ჩემდა და თქვენდა სასეიროდ ლომად, ვეფხვად, ბუზად, სიკომოროს ნაფოტად გარდავიქმნა იმ ახალგაზრდა ეგვიპტელივით, რომლის თავგადასავალიც ერთ სამარხში იპოვეს; არც ის ძალშიძს, ვირად ვიქცე, როგორც ლუციუსი იქცა ახალგაზრდა ფოტიდას საცხის წყალობით. ჩემმა სიბრძნემ წინდაწინ დასაზღვრა ხალხისთვის ჩემი გამოცხადება; არაფერს შეეძლო მისი დაჩქარება ან დაყოვნება.

მორისს სიცხადე სწყუროდა და კვლავ ჩაეკითხა:

— მაინც რა ჯანდაბამ მოგიყვანათ აქ?

ქალბატონმა დეზ ობელმაც თავისი ხმა საყვარლისას შეუერთა:

— მართლაც, აქ რა გნებავთ?

ანგელოზმა მიუგო:

— კაცო, მომაპყარ ყურნი; დედაკაცო, ისმინე ჩემი ხმა მე მოველ, რათა გაგიცხადოთ საიდუმლო, რომელზედაც სამყაროს ბედი ჰკიდია. მე აღვდექე იმის წინააღმდეგ, ვისაც ყველა ღილული თუ უხილავი საგნების შემოქმედად რაცხთ; მე ვამზადებ ანგელოზთა აჯანყებას.

— ხუმრობას თავი გაანებეთ, — უთხრა მორისმა, რადგან მორწმუნე გახლდათ და ვერ იტანდა ამგვარი წმიდა საგნების გამასხარავებას.

მაგრამ ანგელოზმა წყენით მიუგო:

— რამ გაფიქრებინათ, მორის, რომ ქარაფშუტა ვარ და უქმად მოვკვებ?

— კარგით ერთი! — შესძახა მორისმა და მხრები აიჩეჩა, — მართლა ხომ არ აუჯანყდებით...

და აქ ჭერზე მიუთითა, რაკი სიტყვის დასრულება ვერ გაბედა. მაგრამ ანგელოზმა მიუგო:

— განა არ იცით, რომ ღვთის შვილნი ერთხელ უკვე აუჯანყდნენ მას და დიდი ბრძოლაც გაიმართა ცაში?

— ეგ დიდი ხნის წინათ იყო, — უთხრა მორისმა და წინდები ჩაიცვა.

ანგელოზმა განაგრძო:

— ეს სამყაროს შექმნამდე მოხდა. მაგრამ მას შემდეგ არაფერი შეცვლილა ცაში. ანგელოზები მაშინაც ისეთი ბუნე-

ბისანი იყვნენ, როგორც დღეს. რაც მაშინ მოიმოქმედეს, დღესაც შეუძლიათ ჩაიდინონ.

— არა, ეს შეუძლებელია: ამგვარი რამ რწმენასთან შეუთავსებელია. თქვენ რომ ანგელოზი იყოთ, კეთილი ანგელოზი, როგორც თავადვე ბრძანებთ, აზრად არ მოგივიდოდათ წინ აღსდგომოდით თქვენივე შემოქმედის ნებას.

— ცდებით, მორის, და მამათა ავტორიტეტი ამხელს თქვენს შეცდომას. ორიგენე* თავის კომედიებში ქადაგებს, რომ კეთილ ანგელოზებსაც მოსდით შეცდომა, დღეცისმარე სცოდავენ და ბუზებივით ცვივიან ციდან. იქნებ არ ენდობით ამ მამას (თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ), რადგან ის გამოირიცხულია წმიდანთა რიგებიდან საღვთო წერილში მისი განსწავლულობის მიუხედავად. თუ აგრეა, გაიხსენეთ აპოკალიფსის მეორე თავი, სადაც ეფესო და პერლამი განიკიცხებიან, რაკი ვერ უპატრონეს თავიანთ ეკლესიებს. უთუოდ შემეპასუხებით, ანგელოზები, რომლებზედაც მოციქული ლაპარაკობს, არსებითად ამ ორი ქალაქის ეპისკოპოსები არიან და ანგელოზებად იწოდებიან მათი ხარისხის გამო. შესაძლოა ასეც იყოს; გეთანხმებით, მაგრამ რას დაუპირისპირებთ, მორის, ამდენი დოქტორისა და პაპის აზრს? აკი ყველანი ერთხმად გვასწავლიან, ანგელოზები ხშირად სიკეთიდან ბოროტისაკენ მიიღრიკებიანო? ამასვე ამტკიცებს წმიდა იერონიმე თავის „ეპისტოლეში დამასეს მიმართ“.

— ბატონო, — უთხრა ქალბატონმა დეზ ობელმა, — გთხოვთ წადით აქედან.

მაგრამ ანგელოზს არ გაუგია მისი ნათქვამი და კვლავ განაგრძობდა:

— ...იხილეთ თუნდაც ნეტარი ავგუსტინე, „ქეშმარიტი რწმენისათვის“, თავი XIII; წმიდა გრიგოლი, „სწავლანი“, თავი XXIV; ისიდორე...

— ბატონო, მაცალეთ ჩაცმა; მეჩქარება.

— ...„უზენაესი სიკეთისათვის“, წიგნი პირველი, თავი XII, ბედი, „იობისათვის“...

— ბატონო, გემუდარებით...

— ...თავი XIII; დამასკელი, „რწმენისათვის“, წიგნი II, თავი III. ესენი, ჩემი აზრით, საკმაო წონის ავტორიტეტები არიან; და თქვენ აღარაფერი დაგრჩენიათ, მორის, გარდა იმი-

სა, აღიაროთ თქვენი შეცდომა. იმან შეგაცდინათ, რომ არ გაგითვისაღიწინებიათ ჩემი ბუნება, მოძრავი, თავისუფალი და აქტიური, როგორც ყველა ანგელოზისა. მხოლოდ იმ წყალობასა და განცხრომა-ნეტარებაზე ფიქრობთ, რაიც ბოძებული გვაქვს. ლუციფერს მეტი ეწყალობა, მაგრამ მაინც აჯანყდა.

— მაინც რატომ ჩანუდებით? რატომ? — ჰკითხა მორისმა.

— ესაიამ, — მიუგო ნათლის შვილმა, — ესაიამ თქვენზე ადრე იკითხა: „Quomodo cecidisti de coelo, Lucifer, qui mane oriebaris?“¹ განისწავლეთ, მორის! დროის სრბოლამდე ანგელოზები აღსდგნენ ცის მეუფებისათვის. სერაფიმთა შორის უმშვენიერესი მზვარობრბამ აქცია მოჯანყედ. მე კი მეცნიერებამ აღმიძრა კეთილშობილური სურვილი გაეთავისუფლებულიყავი. რაკი თქვენ გვერდით მოვხვდი სახლში, სადაც ქვეყნად ერთ-ერთი უმდიდრესი ბიბლიოთეკა მოიძვეებოდა, კითხვა შემიყვარდა და გულს სწავლის ტრფიალი ჩამესახა. სანამ თავაშვებული ცხოვრებით დაღლილს გულის ძილით გეძინათ, წიგნებში ჩაფლული ვსწავლობდი საღვთო წერილის ტექსტებს და ვფიქრობდი წაკითხულზე ხან ბიბლიოთეკის დარბაზებში, ძველი დროების დიდ-დიდ ადამიანებს შორის, ხანაც ბალის სიღრმეში, პავილიონის იმ ოთახში, თქვენსას რომ ემიჯნება.

ეს სიტყვები რომ გაიგონა, ახალგაზრდა დ'ესპარვიეს ხარხარი აუტყდა, მუშტი გამეტებით დასცხო ბალიშს. ეს კი იმ-ს ნიშანი გახლდათ, რომ სიხარულისგან თავს ვეღარ იკავებდა.

— ჰა! ჰა! ჰა! მაშ თქვენ დაარბიეთ მამაჩემის ბიბლიოთეკა და გააგაყეთ საწყალი მამილო სარიეტი? სულ მთლად გამოთაყვანდა ის უბედური.

— გონებრივი სრულყოფილებისაკენ მიველტვოდი და არად ჩავაგდე ეს მდაბალი არსება, როცა მოინდომა წინ აღსდგომოდა ჩემს კვლევა-ძიებას და ხელი შეეშალა მუშაობაში; ასე დაისაჯა კაღნიერებისათვის. — უთხრა ანგელოზმა. — ზამთრის ერთ ღამეს, ფილოსოფოსთა და სფეროთა დარბაზში, თავში ჩავცხე მძიმე წიგნი, რომლის გამოტაცებაც დააპირა ჩემს უხილავ ხელთაგან. მოგვიანებით კონდენსირებული ჰაერის სვეტით ისე ავიტაცე იოსებ ფლავიუსის ძვირფასი ხელ-

¹ ვითარ განვარდი ცისაგან, ლუციფერ, განთიად აღმოშავალი (ლათ.).

ნაწერი, რომ იმ ყეყეჩს საშინელი თავზარი დავეცი; საბრალო წინკარში გამოვარდა ბლავილით და (დანტე ალიგიერის ენერგიული გამოთქმა რომ ვისმართ) მყისვე წაიქცა, ვით უღონო, უსულო გვამი. მაგრამ სამაგიეროდ კეთილად შიეზლო, რადგან, ქალბატონო, კრილობიდან სისხლის მოსახოცად თქვენი სურნელოვანი ცხვირსახოცი უბოძეთ. ეს ის დღე იყო, თუ გახსოვთ, როცა ზეციური სფეროს უკან მორისმა პირველად გაკოცათ ტუჩებში.

— ბატონო! — წყენით წარბი შეჰყარა ქალბატონმა დეზობელმა, — ნებას არ გაძლევთ...

მაგრამ მყისვე შეჩერდა, იაზრა, ახლა იმის დრო არ არის, პატივისცემით მოჰყრობას ვითხოვდეთ.

ანგელოზი კი ნირშეუცვლელად განაგრძობდა:

— განვიზრახე შემესწავლა რწმენის საფუძვლები. ჯერ იუდაიზმის ძეგლებს შევუტეე, წავიკითხე ყველა ძველებრაული ტექსტი.

— მაშ, ებრაულიც იცით? — შეჰყვირა მორისმა.

— ებრაული ჩემი დედაენაა: სამოთხეში დიდხანს მხოლოდ ამ ენაზე ვლაპარაკობდით.

— მაშ, ებრაელი ხართ? ამას თქვენს უბოდიშო ქცევაზედაც უნდა მივმხვდარიყავი.

ანგელოზმა ყური არ ათხოვა მის ნათქვამს და განაგრძო:

— მე დავეუფლე ძველი აღმოსავლეთის, საბერძნეთისა და რომის სიძველეთ. სულ გადავყლაპე თეოლოგები, ფილოსოფოსები, ფიზიკოსები, გეოლოგები, ბუნებისმეტყველნი. ვისწავლე, ვიფიქრე და რწმენა დავკარგე.

— როგორ, ღმერთი აღარა გწამთ?

— მწამს, რაკი ჩემი არსებობა მის არსებობაზეა დამოკიდებული და თუკი ის აღარ იარსებებს, მეც არარაობაში ვინთქმები. მე ისე მწამს იგი, როგორც სილენებსა და მენადებს სწამდათ დიონისე და იმავე საბაბით მწამს ებრაელთა და ქრისტიანთა ღმერთი. მაგრამ ის კი აღარ მჭერა, რომ სამყარო მისი შექმნილია. დიდი-დიდი მისი მცირე ნაწილი თუ მოაწესრიგა და ყოველივეს, რასაც კი შეახო ხელი, არაგამჭრიახი და უხეში გონების დალი აზის. მე არ მიმაჩნია, რომ იგი უსასრულოა და მარადიული, რადგან უაზრობაა წარმოიდგინო არსება, რომელსაც დასასრული არა აქვს სივრცესა და დროში. მე იგი

შეზღუდული მგონია, ერთობ შეზღუდული. აღარ მწამს, თითქოს იგი ერთი ღმერთი იყოს; ძალიან დიდი ხანია, თვითონაც არ სწამს ეს ამბავი: ჯერ პოლითეისტი იყო. მოგვიანებით მზვობრობამა და თაყვანისმცემელთა ლიქნამ მონოთეისტად აქცია. თანმიმდევრული აზრები არა აქვს; ნაკლებ ძლიერია, ვიდრე ჰკონიათ. სიმაართლე თუ გნებავთ, ღმერთი კი არაა, ერთი უვიცი, უქმი დემიურგია*. ვინც ჩემსავით იცნობს მის ჭეშმარიტ ბუნებას, იალდაბაოთს ეძახის.

— როგორა ბრძანეთ?

— იალდაბაოთს-მეთქი.

— რას ნიშნავს იალდაბაოთი?

— აკი გითხარით: ესაა დემიურგი, რომელსაც გონება-დაესილნი როგორც ერთ ღმერთს, ისე ეთაყვანებთ.

— გაგიყებულხართ. არ გირჩევთ ამგვარი სისულელეები მოუყვეთ აბატ პატუის.

— მე სულაც არ ვიმედოვნებ, ძვირფასო მორის, თქვენი გონების მქისე წყვდიადს გავფანტავ-მეთქი. იცოდეთ კია, მე შევებმი იალდაბაოთს იმ იმედით, რომ ვძლეე კიდევაც.

— მერწმუნეთ, ვერაფერს გახდებით.

— აკი ლიუციფერმა ტახტი შეურყია და ერთხანს არავინ იცოდა, ვის დარჩებოდა გამარჯვება.

— რა გქვიათ?

— აბდიელი ანგელოზთათვის და წმიდანთათვის, არკადი — კაცთათვის.

— ეჰ, ჩემო საბრალო არკად, ვწუხვარ, რომ ასეთ ცუდ გზას დასდგომიხართ. თუმცა, მგონი, ჩვენი გამასხარავება გაქვთ განზრახული. იმას კიდევ დაგიჭერებდით, რომ გეთქვათ, ცა ქალის გულისთვის დაეტოვეო. სიყვარული ყველას ჰკუთას აკარგვინებს. მაგრამ ვერასოდეს დამარწმუნებთ, რომ თქვენ, ვინც პირისპირ სჭვრეტდით უფალს, ახლა მამილო სარიეტის წიგნებში ჰპოვეთ ჭეშმარიტება. არა, ამას ჩემს დღეში ვერ დავიჭერებ.

— ჩემო ძვირფასო მორის, ლიუციფერიც პირისპირ უჭვრეტდა უფალს, მაგრამ მაინც უარი თქვა მის სამსახურზე. რაც შეეხება ჭეშმარიტებათ, წიგნებში რომ მოიძეება, ისინი ხანდახან გვახვედრებენ, როგორი არ არიან საგნები, თუმც თავის დღეში არ გვეუბნებიან, როგორი არიან სინამდვილეში. ეს

იოტისოდენა ჭეშმარიტება საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ დავერწმუნებინე: ის, ვისიც ბრმად მწამდა, როდი იმსახურებს ამ რწმენას და რომ ადამიანები და ანგელოზები მსხვერპლად გაუხდნენ იალდაბათის სიცრუეს.

— იალდაბათი არ არსებობს. არსებობს ღმერთი. აბა, გონება მოიკრიბეთ, არკად! თავი დაანებეთ მაგ სულელურ ახირებას. შეეშვით ღვთის გმობას, კვლავ უხორცო გახდით, იქეციით წმიდა სულად და ისევ მომეველინეთ მფარველ ანგელოზად. კვლავ აღასრულეთ თქვენი ვალი. შეგინდობთ, ოლონდ აწი ნულა დაგვენახვებით.

— ძალიან მინდა გაამოთ, მორის. თქვენდამი სიყვარული კვლავაც არ გამნელებია, რადგან ჩვილი გულისა ვარ. მაგრამ ჩემი ბედი დღეიდან იმ არსებათაკენ მიხმობს, რომელთაც ფიქრი და ქმედება შეუძლიათ.

— ბატონო არკად, — უთხრა ქალბატონმა დეზ ობელმა, — ძალიანა გთხოვთ, წადით აქედან. საშინლად მრცხვენია, პერანგისამარა რომ ვარ ორ მამაკაცს შორის. მერწმუნეთ, ამგვარ რამეს არა ვარ ჩვეული.

თ ა ვ ი X I

**როგორ დაეშვიდოვა ახალგაზრდა მორისს
თვითთავალის კონცეპტი გადასული ანგელოზი
და როგორ დატოვა იგი ციური მზარველის გარეშე**

ქალი საწოლზე მოკუნტულიყო, კრიალა მუხლისთავეები უბრწყინავდა ბინდბუნდში მოკლე და მსუბუქი პერანგის ქვეშ. ხელები დაეკრიბა და მკერდს მით იფარავდა; მხოლოდ სავსე, მომრგვალებული მხრები და მწითური თმა მოუჩანდა.

— დამშვიდდით, ქალბატონო, — უთხრა ჩვენებამ, — თქვენი მღვდმარეობა არც ისე საჩოთიროა, როგორც გგონიათ: თქვენ აქ ორი კაცის კი არა და, ერთი კაცის და ერთი ანგელოზის წინაშე ბრძანდებით.

ქალმა შეათვალიერა სტუმარი, წყვილიაღში თვალით დაეძებდა რაღაც ბუნდოვან, მაგრამ არსებით ნიშანს; მერე შეეკითხა:

— ბატონო, მართლა ანგელოზი ბრძანდებით?

ჩვენებამ უთხრა, ქვემარტადო, და თან თავისი წარმოშობის ამბავი წვრილად მოუთხრო:

— ციურ სულთა სამი იერარქია არსებობს; თითოეული მათგანი ცხრა დასისგანაა შემდგარი. პირველში შედიან სერაფიმები, ქერუბინები და საყდარნი; მეორეში — უფლებანი, ძალნი და ხელმწიფებანი; მესამეში — მთავრობანი, მთავარანგელოზები და საკუთრივ ანგელოზები. მე მესამე იერარქიის მეცხრე დასს ვეკუთვნი.

ქალბატონ დეზ ობელს ბევრი რამ აეჭვებდა და ერთი ვარაუდი გამოთქვა კიდეც:

— ფრთები რომ არა გაქვთ?

— ფრთები რად უნდა მქონდეს, ქალბატონო? განა მაინცდა მაინც თქვენი სააიაზმე ჯამების ანგელოზებს უნდა მოვგავედე? ცის შვილნი მუდამ როდი იმკობენ მხრებს ვეება ფრთებიანი ნიჩბებით ნება-ნება რომ აპობენ ჰაერის ტალღებს. ქერუბინები შეიძლება უფროთონიკ იყვნენ. აკი იმ ორ მშვენიერ ანგელოზსაც არ ესხა ფრთები, მშფოთვარე ლამე რომ გაატარა ლოთის სახლში*, რომელსაც გარს შემოწყობოდნენ მოძალადენი. არა! ისინი ყველაფრით კაცთ მოჰგვანდნენ და გზის მტვერი უფარავდათ ფეხებს, პატრიარქმა რომ განუბანა ღვთისმოსავი ხელებით. შეგახსენებთ, ქალბატონო, იმ ორგანულ გარდაქმნათა მოძღვრების მიხედვით, ლამარკმა* და დარვინმა რომ შექმნეს, ფრინველთა ფრთები თანდათანობით გადასხვაფერდა და წინა თათებად ექცათ ოთხფეხა ნადირთ, პრიმატებს კიდეც — ხელებად. უთუოდ გაგონდებათ, მორის, რადაც საზიზღარი ატავიზმის წყალობით თქვენს ინგლისელ აღმწრდელს, წარამარა რომ გტყუებავდათ ხოლმე, გაუტუთულ ფრინველს მიუგავდა ხელი. თან, კაცმა რომ თქვას, არსება, ვისაც ფრთებიც ასხია და ხელებიც — ურჩხულია და ტერატოლოგიის* სფეროს განეკუთვნება. სამოთხეში გვყავს ქერუბინები, ანუ ქერუბები, რომლებიც გარეგნობით ფრთიან ხარებს ჰგვანან; მაგრამ ეს ულაზათო გამონავონია ღმერთის, რომელსაც ხელოვანი სულაც არ ეთქმის. არადა, ისიც მართალია, რომ ათენის აკროპოლისში ნიკეს ათენას ტაძრის გამარჯვებებს თვალს ვერ მოსწყვეტ, თუმცა ფრთებიც ასხიათ და სკულებიც; თქმა არ უნდა, ბრეშიის გამარჯვება მშვენიერია თა-

ვის გაწვდილი ხელებითა და ფრთებით, ღონიერ თეძოებზე რომ სცემს. ეს ერთი სასწაულთაგანია ბერძნული გენიისა, ჰარმონიული ურჩხულების შექმნა რომ ხელეწიფებოდა. ბერძნებს თავის დღეში არ მოსდიოდათ შეცდომა. თანამედროვენი კი მუდამ ცდებიან ხოლმე.

— თქვენ წმიდა სულს მაინც არ ჰგაეხართ, — უთხრა ქალბატონმა დეზ ობელმა.

— ჰეშმარიტად წმიდა სული ვარ, ქალბატონო, თუკი ოდესმე წმიდა სული არსებულა. თქვენ მაინც არ უნდა შეგეპაროთ ამაში ეჭვი, აკი ნათლობა გაქვთ მიღებული. მრავალი მამა, სახელდობრ: წმიდა იუსტინე, ტერტულიანი, ორიგენე და კლიმენტ ალექსანდრიელი ფიქრობდნენ, ანგელოზები მაღლად სულიერნი არ არიან და სათუთი ნივთიერებისაგან შეთხზული სხეულები აქვთო. ნეტარ ავგუსტინესაც მიაჩნია, რომ ანგელოზებს სხივმფინარე სხეულები აქვთ. ეს აზრი უარყოფილ იქნა ეკლესიის მიერ; მაშასადამე, სული ვარ: მაგრამ რაი არს სული და რაი არს მატერია? წინათ მათ ერთმანეთს უპირისპირებდნენ, ვითარც ორ საწინააღმდეგო რასმე; დღეს კი კაცთა მეცნიერება ცდილობს მათ ერთი და იგივე რამის ორ ასპექტად მიჩნევას. იგი გვასწავლის, რომ ყოველივე ეთერიდან იღებს სათავეს და ეთერშივე განიმქრევა, რომ მხოლოდ მოძრაობა გარდაქმნის ციურ ტალღებს ქვებად და მეტალებად და უსასრულო სივრცეში მიმოზნეული ატომებიც, იმისდა მიხედვით, თუ რა სინქარით დაქრიან თავიანთ ორბიტებზე, გრძნობადი სამყაროს ყველა სუბსტანციას ქმნიან.

მაგრამ ქალბატონი დეზ ობელი აღარ უსმენდა; ეროი აზრი აწუხებდა და გული რომ დაეჭყრებინა, ჰკითხა:

— რამდენი ხანია აქა ხართ?

— მორისს მოვყევი.

ქალმა თავი გადააქნია:

— ერიჰაა!..

მაგრამ ანგელოზი ზეციური უშფოთველობით განაგრძობდა:

— სამყაროში მხოლოდ წრეები, ელიფსები, ჰიპერბოლებია და იგივე კანონები, ცის მნათობებს რომ განაგებენ, მართავენ ამ მტერის ნამცეცსაც. თავდაპირველი, დასაბამიერი მოძრაობით ჩემი სუბსტანცია, ჩემი სხეული სულია; მაგრამ მას

შეუძლია, როგორც თავად დარწმუნდით, მატერიალაც იქცეს, თუკი ელემენტთა რიტმს შეიცვლის.

თქვა ესა და სავარძელში ჩაესვენა, ზედ ქალბატონ დეზობელის შავ წინდებზე.

საათმა დარეკა.

— ღმერთო ჩემო, შვიდი საათია! — შეჰყვირა ჟილბერტმა, — ქმარს რა ვუთხრა? ჩაიხე წვეული ვგონივარ რივოლის ქუჩაზე. ამ საღამოს ლა ვერდელიერებთან ვსადილობთ. ჩქარა წადით აქედან, ბატონო არკად. ტანთ უნდა ჩავიცვა: დრო აღარ ითმენს.

ანგელოზმა მიუგო, ჩემს მოვალეობად ჩავთვლიდი ქალბატონ დეზობელს დავმორჩილებოდი, რომ შემეძლოს ხალხში გამოჩენა, მაგრამ შიშველი ხომ ვერ გავალ კარშიო.

— შიშველი რომ გავიდე ქუჩაში, — განაგრძო მან, — შევურაცხყოფდი ხალხს, რომელიც პატივს სცემს თავის უძველეს წეს-ჩვეულებებს, თუმცა მათ დიდად არც არასოდეს ჩაპკირვებია. ასეთი გახლავთ ზნეობის საფუძველი. წინათ ჩემსავით მოჯანყე ანგელოზები ადამიანებს უცნაური და სასაცილო სახით ეჩვენებოდნენ ხოლმე: შავები, რქიანები, ბანჯგვლიანები, კუდიანები, ჩლიქიანები; ზოგჯერ სახეებიც კი ჰქონდათ უკანალზე გამობმული. რა სიბრიყვე იყო!.. გემოვნებიან ხალხს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა მათი ამბავი, მხოლოდ დედაბრებსა და ჩვილ ბაღლებს თუ აფრთხობდნენ ხოლმე.

— მართლაც ასე ხომ ვერ გავა კარში, — გადაჰკრით თქვა ქალბატონმა დეზობელმა.

მორისმა ციურ მაცნეს თავისი პიჟამა და ფლოსტები გადაუყარა. მაგრამ ქალაქში გასასვლელად ეს რას წაადგებოდა. ჟილბერტი ემუდარებოდა საყვარელს, ახლავე გაიქეცი ტანსაცმლის საშოვნელადო. მორისმა გადაწყვიტა, კონსიერჟთან მივალო. ქალმა ფიცხლავ გადაათქმევინა, დაიყინა, ამგვარ საქმეში მეკარის გარევა დიდი წინდაუხედაობა იქნებაო.

— გინდათ გაიგოს, რომ... — შეჰყვირა მან.

მერე ანგელოზზე მიუთითა და აღარ დაასრულა სათქმელი.

ახალგაზრდა დ'ესპარვიე ტანსაცმლით მოვაკრის საქმენელად გაიქცა.

ჟილბერტმა გაიფიქრა, მეტი დახანება აღარ იქნება, თორემ საზოგადოებაში თავი მომეჭრებაო; ადგა, შუქი აანთო და ან-

გელოზის თვალწინ ჩაცმას შეუდგა. როდი მორცხვობდა, რად-
გან იცოდა გარემოებასთან შეგუება და გრძნობდა, ასეთ არნა-
სულ ვითარებაში, როს ცა და მიწა ერთმანეთს აღრეოდა, სი-
მორცხვის უკუგდებაც შეიძლებოდა. თან ისიც უწყოდა, ლამა-
ზად იყო მოყვანილი და საცვალიც უკანასკნელმოდური ეცვა.
რაკი ჩვენება მორცხვად უარობდა ჩაეცვა მორისის პიჯამა,
ჟილბერტმა სინათლის შუქზე შენიშნა, რომ მისი ექვები სა-
ფუძველს არ იყო მოკლებული და რომ ანგელოზები მართ-
ლაც კაცებს ჰგვანან. წადილმა სძლია გაეგო, ეს მსგავსება მაც-
დური იყო თუ რეალური და ნათლის შვილს ჰკითხა, ანგე-
ლოზებსაც, მაიმუნებისა არ იყოს, ქალები რომ შეიყვარონ,
მარტო უფულობა თუ უშლით ხელსო.

— დიახ, ჟილბერტ, — მიუგო არკადმა, — ანგელოზებს
მართლაც შეუძლიათ მოკვდავ ქალთა სიყვარული. საღვთო წე-
რილიც ამას გვამცნობს. „შესაქმის“ მეშვიდე წიგნში ნათქვა-
ზია: „და რაჟამს იწყეს კაცთა განმრავლებად ქუჩყანასა ზედა,
და ასულნი იშენეს მათდა, ხოლო იხილნეს რა ძეთა ღმთისათა
ასულნი კაცთანი, რამეთუ შემწიერ იყუნეს, მიიყვანეს თავთა
თვსთა ცოლებად ყოველთაგან, რომელი გაპოერჩინნეს“.

უეცრად ჟილბერტი მოჰყვა წუწუნს:

— ღმერთო ჩემო! ვერაფრით შემიკრავს ეს კაბა; ზურგზე
აქვს შესაკრავი.

როცა მორისი დაბრუნდა ოთახში, დაინახა, რომ ანგე-
ლოზს მუხლი მოეყარა და მოღალატე ცოლს ფეხსაცმელს უკ-
რავდა.

ქალმა მაგიდიდან თავისი ჩანთა და მუფთა აიღო:

— ხომ არაფერი დამავიწყდა? არა... საღამო მშვიდობისა,
ბატონო არკად; საღამო მშვიდობისა, მორის... ჰო, მართლა!
ეს დღე დიდხანს არ ამოიშლება ჩემი მესსიერებიდან.

თქვა ესა და სიზმარივით გაქრა.

— ინებეთ, — უთხრა მორისმა და ანგელოზს რალაც ძონ-
ძები გადაუგდო.

ყმაწვილმა კაცმა ძველმანებით მოვაჭრის ვიტრინაში სა-
ცოდავ კონკებს მოჰკრა თვალი, კლარნეტებთან და ოყნის მი-
ლებთან ერთად რომ იყო გამოდებული. სულ ცხრამეტ ფრან-
კად იყიდა ვილაც უბედურის ძველმანები, შავებს რომ ატა-
რებდა და დღე მოესწრაფებინა. ანგელოზმა თანდაყოლილი

დიდებულებით მიიღო ეს სამოსელი, იქვე გადაიცვა. მის ტანზე ეს ტანსაცმელი მოულოდნელად ელეგანტური გამოჩნდა. სტუმარმა კარისაკენ წარსდგა ბიჯი.

— მაშ, მტოვებთ, არა? — უთხრა მორისმა, — გადაწყვეტილი საქმეა? ძალიან ვშიშობ, ერთ დღეს მწარედ არ ინანოთ ეს დაუფიქრებელი საქციელი.

— უკან მოხედვა არ მმართებს. მშვიდობით, მორის.

მორისმა მორცხვად ჩაუღო ხელში ხუთი ლუიდორი.

— მშვიდობით, არკად.

მაგრამ, როცა ანგელოზმა კარის ზღურბლს გადააბიჯა, როცა მისი აწეული ქუსლიდა მოჩანდა, მორისმა კვლავ უხმო:

— არკად!.. აქამდე არც კი მიფიქრია!.. მაშ, აღარ გეყოლება მფარველი ანგელოზი?

— არა, მორის, აღარ გეყოლებათ.

— მერედა რა მომივა უმისოდ? ყველას უნდა ჰყავდეს თავისი მფარველი ანგელოზი. მითხარით, დიდი უსიამოვნებანი ხომ არ შემხვდება, რაიმე საფრთხე ხომ არ მომელის?

— სანამ გიპასუხებდეთ, მორის, გკითხავთ, როგორ გნებავთ მოგიგოთ, თქვენი რწმენის მიხედვით, რომელსაც მეც ვიზიარებდი, ეკლესიის მოძღვრების მიხედვით და კათოლიკური რწმენის მიხედვით, თუ ნატურფილოსოფიის მიხედვით?

— რა თავში ვიხლი ნატურფილოსოფიას?! მიპასუხეთ ისე, როგორც სარწმუნოებას შეჰფერის, რომელსაც ვალიარებ და რომლის წიაღშიაც მსურს ვიცოცხლო და მოვკვდე.

— კეთილი! ჩემო ძვირფასო მორის, მფარველი ანგელოზის დაკარგვა უთუოდ ზოგ სულიერ შემწეობას მოგაკლებთ, ზოგ ზეციურ წყალობას მოგიშლით. ამ საკითხში ეკლესიის რწმენა ურყევია. მოგაკლებათ შემწეობა, დასაყრდენი, ნუგეში, რომლებიც გზას წარგიმართავდათ და ძალას შეგმატებდათ ხსნის გზაზე. უფრო გაგიჭირდებათ ცოდვისგან თავი დაიცვა, ისედაც ვერ დაიკვეხნით ძლიერებას. მოკლედ, სულის საქმეში უღონოდ და უსიხარულოდ დარჩებით. მშვიდობით, მორის. როცა ქალბატონ დეზ ობელს შეხვდებით, ჩემი სალამი გადაეცით.

— მაშ, მიდიხართ?

— მშვიდობით.

არკადი გაუჩინარდა; სავარძელში ჩამჯდარ მორისს კი დღეხანს თავი ხელებში ჰქონდა ჩარგული.

სადაც მოთხრობილია პარიზში, ელისას მინდვრებაჲ
ანგელოზა მიარაბა, მორწმუნეთათვის მადლი და
ნუგეში რომ მოჰქონდა, როგორ მოჰკრა თვალი
კაჟეზანტანის მომღერალ ქალს გუროტს და
როგორ შეიხვარა იგი

უღალი ნისლით გასენილ ქალაქში, თეთრ-ყვითელი სინათ-
ლეები რომ სერავდნენ, ცხენებს პირიდან ოხშივარი სდიო-
დათ, ავტომობილთა ფარები წამით სიბნელეს სტაცებდნენ ქუ-
ჩებს; ანგელოზი შეერია ფეხით მოსიარულეთა შავ ტალდას,
რომელსაც ბოლო არ უჩანდა, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ
მიმავალმა მთელი ქალაქი გადაკვეთა და მარცხენა სანაპიროს
უკაცურ ბუღვარებს მიადგა. პორ-რუაიალის ძველი კედლე-
ბის მახლობლად პატარა რესტორანაჲ, რომელიც ყოველ სა-
ღამოს თავისი შეორთქლილი ფანჯრებიდან მკრთალ შუქს
ჰფენს გზაზე. არკადი აქ შედგა, დარბაზში შეაბიჯა, სადაც ერ-
თმანეთს შერეოდა ქონიან და ცხელ კერძთა სუნი, ასე რომ
იზიდავს სიცივითა და შიმშილით გათანგულ ბედკრულ ადა-
მიანებს. თვალი მოავლო იქაურობას და დაინახა რუსი ნიჭი-
ლისტები, იტალიელი ანარქისტები, ყველა ქვეყნის ლტოლ-
ვილები, შეთქმულნი, მემამბოხენი, ბერიკაცთა კოლორიტული
თავები, საიდანაც თმა-წვერი ისე ეცემოდა, როგორც კლდის
ქიმებიდან ჩანჩქერები და ნაკადულები, თვალი ჰკიდა ყმაწ-
ვილკაცთა უმანკო სიმკაცრით აღბეჭდილ სახეებს, პირქუშად
და კუშტად რომ იმზირებოდნენ, უსაზღვრო სიკეთით აღსავსე
თვალთა გუგებს, გატანჯულ სახეებს და ერთ კუთხეში მიმ-
ჯდარ ორი რუსის ქალს; ერთი უზომოდ ლამაზი იყო, მეორე —
უზომოდ მახინჯი, და მაინც ერთმანეთის მსგავსი ჩანდნენ, რა-
კი სრულიად არ დაეძებდნენ არც სილამაზესა და არც სიგონ-
ჯეს. მაგრამ რაკი იმას ვერ მოჰკრა თვალი, ვისი ნახვაც ეწადა,
რამეთუ დარბაზში ანგელოზები არ ისხდნენ, არკადი ერთ პა-
ტარა, თავისუფალ მარმარილოს მაგიდას მიუჯდა.

როცა ანგელოზებს მოშვიდებათ, ისევე ჰამენ, როგორც
დედამიწაზე ბინადარი ცხოველები და მომნელებელი სითბოთი
გადახარშული საკმელიც მათ ციურ სუბსტანციას ერწყმის.

მამბრესის მუხებქვეშ სამი ანგელოზი რომ იხილა, აბრაამმა აკი სარას გამომცხვარი პურები, მთელი ხბო, ერბო და რძე გამოუტანა და მათაც მიირთვეს. ლოთი, შინ ორი ანგელოზი რომ ეწვია, ხშიადებით გაუმასპინძლდა და მათაც მიირთვეს. არკადსაც ტურტიანმა ოფიციალტმა გაფშიკინებული ბიფშტექსი მიუტანა და ისიც ჭამას შეუდგა. თან ფიქრით უტრიალებდა ტბილ მოცალებას, მოსვენებულ ყოფას, წარმტაც სამუშაოს, წელან რომ დატოვა და იმ მძიმე საქმეს, რომელიც იტვირთა. ფიქრობდა, უზომოდ ბევრი მუშაობა მომიწევს, დაღლილობისაგან სიჭა გამძკრება, ათასი საფრთხე განვუმზადე თავსო და სიმწრისგან გული ეწურებოდა, სულსაც კაეშანი ეძალებოდა.

მწირ ვახშამს რომ მორჩა, ერთი ღარიბულად ჩაცმული, სიფრიფანა სამოსიანი ყმაწვილი კაცი შემოვიდა დარბაზში, თვალი მოავლო მაგიდებს, მიუახლოვდა ანგელოზს და გამარჯობა, აბდიილო, უთხრა, რახან თვითონაც ციური სული გახლდათ.

— დარწმუნებული ვიყავ, მირარ, რომ მოხვიდოდი ჩემს ძახილზე, — უთხრა არკადმა თავის ციურ ძმას; მანაც იმ სახელით მიმართა მოსულს, რომელსაც ოდესღაც ცაში ეძახდნენ.

მაგრამ მირარის ხსოვნა იქ გამქრალიყო მას მოღმა, რაც ამ მთავარანგელოზმა ღეთის სამსახურად დაუტევა. მას აქეთ მიწაზე თეოფილ ბილედ იწოდებოდა და თავი რომ დაერჩინა, დღისით მუსიკის გაკვეთილებს უტარებდა ბავშვებს, საღამოობით კი ვიოლინოზე უკრავდა ხოლმე სამიკიტნოებში.

— მაშ, ეს შენა ხარ, ძვირფასო აბდიილ? — შესძახა თეოფილმა — ხედავ, ისევ შევიყარეთ ამ მწუხარე სოფლად!.. ბედნიერი ვარ, რომ კვლავ გიხილე. ოღონდ მეცოდები, აქ ყველას შავი დღე გვადგას.

არკადმა გააწყვეტინა:

— მეგობარო, შენს ტანჯვას ბოლო მოელება. მე გრანდიოზული გეგმები მაქვს: მინდა გაგანდო ყოველივე და შენც მიემხრო.

და მას შემდეგ, რაც ორი ყავა შეუკვეთა ოფიციალტს, ახალგაზრდა მორისის მფარველმა ანგელოზმა მეგობარს თავისი ზრახვები გაუზიარა, დაწვრილებით მოუთხრო მიწაზე მოხ-

ვედრილმა როგორ მიჰყო ხელი ციურ სულთათვის ესოდენ უჩვეულო კვლევა-ძიებას, როგორ განისწავლა თეოლოგიაში, კოსმოგონიაში, სამყაროს სისტემებში, მატერიის თეორიებში, ეხერგის გარდაქმნისა და დაკარგვის თანამედროვე მოძღვრებებში. ბუნება რომ შევისწავლე, — გაიძახოდა არკადი, — შევინიშნე, რომ იგი მუდმივ წინააღმდეგობაშია ბატონის მოძღვრებასთან, რომელსაც ვმონებდი. ეს ქებასდახარბებული ბატონი ეხლა უმადურ, ბრყევ და სასტიკ ტირანად მეჩვენა. უარვყავ, დავგმე და მასთან შებმის წყურვილით ვიწვიო. მისი დამხობის მოწადინეს განზრახული მაქვს ხელახლა ავაჯანყო ანგელოზებით. ომი მწყურია და გამარჯვების იმედი მაქვსო.

— მაგრამ თავი და თავი ისაა, — დასძინა მან, — აეწონდავწონოთ, რა ძალები გაგეაჩნია ჩვენ და რა—მოწინააღმდეგეს.

მერე ჰკითხა მეგობარს, იალდაბაოთის მტრები მრავლად თუ არიან დედამიწაზე და რა ძალა აქეთო.

თეოფილმა გაოცებული მზერა მიაპყრო თანამოძმეს. ეტყობა, ვერ გაეგო, რას ეუბნებოდნენ.

— ძვირფასო თანამემამულევ, — უთხრა აბდილს, — მე შენს დაძახილზე მოველ, რადგან ძველი მეგობრობა გვაკავშირებს; მაგრამ არ ვიცი, რას გამოელი ჩემგან და ვშიშობ, ვერაფრით დაგეხმარები. მე პოლიტიკაში არ ვერევი; არც რეფორმატორობას ვჩემულობ. მე შენსავით მოჯანყე სული როდი ვარ, არც თავისუფლადმოაზროვნე და რევოლუციონერი მეთქმის. სულის სიღრმეში ისევ ერთგული ვარ ჩემი ციური დამბადებლისა. კვლავ ვეთაყვანები ბატონს, რომელსაც აღარ ვემსახურები და მივტირი იმ დღეებს, როს ფრთებშემოსილი სხვა ნათლის შვილებთან ერთად მისი დიდებული ტახტის ირგვლივ ცეცხლოვან ბორბალს ვერთვოდი. სიყვარულმა, მხოლოდ საამსოფლო სიყვარულმა განმაშორა ღმერთს. ცა იმიტომ დავაგდე, რომ კაცთა ასულს გავყოლოდი: ულამაზესი ქალი შემხვდა, კაფეშანტანში ზღეროდა.

ორთავ წამოდგა. არკადმა მიაცილა თეოფილი სახლამდე, ქალაქის მეორე ბოლოში, რომეშუარის ბულვარსა და სტეინკერკის ქუჩის კუთხეში რომ იდგა. უკაცურ ქუჩებს მიუყვებოდნენ; მომღერალი ქალის საყვარელი ზეციურ ძმას თავის ტრფობისა და მწყუხარების ამბავს უამბობდა.

მისი დაცემა უეცარი იყო. მას აქეთ ორმა წელმა განვლო.

მირას, რაკი მესამე იერარქიის მერვე დასს განეკუთვნებოდა, ვალად ედო მორწმუნეთათვის მაღლი მოეფინა. აკი მორწმუნენი ჯერაც მრავლად არიან საფრანგეთში, მეტადრე სახმელეთო და საზღვაო ჯარების მაღალ ოფიცერთა შორის.

— ზაფხულის ერთ ღამით, — თქვა მან, — ციდან დავეშვი, ეტუალის უბნის ღვთისმოსავთათვის ნუგეში, რწმენაში სიმტკიცე და მშვიდი სიკვდილი რომ მომეტანა; თვალეზი შეჩვეული მქონდა უხრწნელ სინათლეს, მაგრამ უეცრად მაინც დამაბრმავეს ელისეს მინდვრის ღამპიონებმა. ხეებქვეშ დადგმული დიდ-დიდი კანდელაბრები, რესტორნების შესასვლელებს რომ ამკობდნენ, ფოთლებს ისე აელვარებდნენ, ზურმუხტისა გეგონებოდა. მოელვარე მარგალიტების გრძელი ყვავილწნულები ეკვროდნენ გარს ღია ცისქვეშ გაშლილ მოედანს, სადაც მრავალი კაცი და ქალი შეჯგუფულიყო მხიარული ორკესტრის წინ, რომლის ხმაც ბუნდოვნად აღწევდა ჩემს ყურამდე. თბილი ღამე იდგა; ფრთებში დაღლა ვიგრძენი, ერთ ასეთ კაფეშანტანში შევეფრინდი და უჩინრად დავჯექი მსმენელთა შორის. ამ დროს ქალი გამოჩნდა სცენაზე; ტანთ მოკლე, კილიტებიანი კაბა ეცვა. რამპიდან ანასხლეტი შუქი და გრიმი, სახეზე რომ ესვა, მხოლოდ მის გამოხედვასა და ღიმილს აჩენდა. ტანი მოქნილი ჰქონდა და ვნებიანი. იმღერა და იცეკვა... არკად, მე მუდამ მიყვარდა ცეკვა და მუსიკა, მაგრამ ამ ქალის მქასე ხმამ და მაცდურმა მიხრა-მოხრამ არნახული მღელვარება აღმიძრა. გავფითრდი, გავწითლდი, თვალეზი მომენისლა, ენა გამიშრა; განძრევის თავი აღარ მქონდა.

და თეოფილმა კვნესით უამბო, ამ ქალის ტრფობით ატანილი ცაში რომ ველარ დაბრუნდა; ადამიანის სახე მიიღო, ეზიარა ამსოფლიურ ცხოვრებას, რამეთუ წერილ არს: „ხოლო იხილნეს რა ძეთა ღვთისათა ასულნი კაცთანი, რამეთუ შეენიერ იყუნეს...“

ცდომილმა ანგელოზმა დაკარგა თავისი უცოდველობა, რაკი ღვთის პირს ველარ უქვერეტდა, მაგრამ ჯერ კიდევ შერჩენოდა უზაკველობა. ერთი ტანისამოსის მოვაჯრე ურიის თაროდან მოპარულ ძონძებში გამოეწყო და წავიდა იმის სანახავად, ვინც უყვარდა. ქალს ბუშოტი ერქვა და მონმარტრის ერთ პატარა ბინაში ცხოვრობდა. მირარი ფეხებში ჩაუვარდა და უთხრა, სათაყვანო რამა ხართ, საუცხოოდ მღერით, გაგი-

ქებით მიყვარხართ, თქვენი გულისთვის უარყვავ ოჯახი, სამ-
შობლო, მუსიკოსი ვარ და ლუკმა პური არ გამაჩნიაო. მისი
სიჭაბუკით, გულუბრყვილობით, გაჭირვებითა და სიყვარულით
შედრულმა ქალმა აქამა, შემოსა და შეიყვარა.

ამასობაში, დიდი ხნის ძებნისა და ძიების შემდეგ თეო-
ფილმა სოლფეჯიოს გაკვეთილები იშოვა და ხელთ ცოტა ფუ-
ლიც იგდო; რასაც აძლევდნენ, სულ თავის სატრფოსთან მოჰ-
ქონდა, თავისთვის გროშსაც არ იტოვებდა. ის დღე იყო
და ის დღე, ქალმა გული აიყარა მასზე. მოიძულა საყვარელი,
ასე ცოტა შემოსავალი რომ ჰქონდა და თავისი ხეაშიადი, დაღ-
ლილობა და გულის აცრუება არც დაუმალავს. მირაარს საყვე-
დურებით აესებდა, სულ მის დაცინვასა და ლანძღვაში იყო,
მაგრამ მაინც არ აგდებდა, რადგან სხვებს სულ ვერ ეწყობო-
და; შეჩვეული გახლდათ შინაურ შფოთს, გარეთ კი მეტისმე-
ტად იყო დაკავებული, ერთობ საძნელო საქმეს შესჳიდებო-
და, მძიმე ჭათა ადგა როგორც ქალსა და როგორც ხელოვანს.
თეოფილს კი ისევე უყვარდა, როგორც პირველ ღამეს და
იტანჯებოდა.

— ილაჯს იცლის მუშაობით, — ეუბნებოდა თავის ციურ
ძმას, — სიანჩხლეც ამიტომ დასჩემდა. მაგრამ დარწმუნებული
ვარ, რომ ვუყვარვარ. ვიმედოვნებ, მომავალში უკეთ ვაცხოვ-
რებ...

მერე დაწვრილებით მოუყვა ოპერეტაზე, რომელზედაც
მუშაობდა; დარწმუნებული იყო, დავადგმევინებ კიდევ პარი-
ზის რომელიმე თეატრის სცენაზეო. ლიბრეტო ერთმა ახალ-
გაზრდა პოეტმა დაუწერა. ეს გახლდათ გოლკონდის დედოფალ
აღინის* ამბავი, XVIII საუკუნის ზღაპრის მიხედვით რომ იყო
შეთხზული.

— ბევრი მელოდია შემაქვს შიგ, — უთხრა თეოფილმა, —
მუსიკა პირდაპირ გულიდან მომჩქეფს. ჩემი გული მელოდი-
ების დაუშრეტელი წყაროა. საუბედუროდ დღეს რთული არან-
ჟირებანი მოსწონთ, ბრძნულად დაწერილს სცემენ თაყვანს.
მსაყვედურობენ, ერთობ ნარნარი, ერთობ გამჰვირვალე მუ-
სიკას გვიწერ, სტილს საკმაოდ არ აფერადოვნებ, ჰარმონიაში
ძლიერ ეფექტებსა და მძლე კონტრასტებს არ დაეებო. ჰარ-
მონია, ჰარმონიაო, დაუჩემებიათ! უთუოდ მასაც თავისი ღირ-
სება გააჩნია; მაგრამ გულს არაფერს ეუბნება. მხოლოდ მე-

ლოდიას ძალუძს ჩაგვწვდეს სულში, მოგეხიბლოს, პირზე დი-
მილი მოგეგვაროს და თვალზე ცრემლი.

ამ სიტყვებზე მირარმა გაიღიმა და ტირილი მორთო. შემ-
დეგ მღელვარედ განაგრძო:

— მელოდიების უშრეტი წყარო ვარ; მაგრამ ორკესტრი-
რება მექცა დაბრკოლების ლოდად! სამოთხეში, შენც იცი, არ-
კად, საკრავთაგან მხოლოდ არფა, ციტრა და წყლის ორგანი
გვქონდა.

არკადი უგულისყუროდ უსმენდა. მისი ფიქრი იმ გეგმებს
უტრიალებდა, რომლებითაც თავი ჰქონდა გამოტენილი.

— მოჯანყე ანგელოზებს თუ იცნობ? — ჰკითხა ამხა-
ნაგს. — მე, ჩემდათავად, მარტო ერთს ვიცნობ, თავად იშ-
თარს. მასთან ერთხანს მიმოწერა მქონდა. შემომთავაზა, ჩემ-
თან დასახლდი, ჩემს მანსარდაში, სანამ ბინას იშოვიო. ბინე-
ბი კი ამ ქალაქში, ვგონებ, ერთობ ძვირი უნდა ღირდეს.

თეოფილმა არაფერი უწყოდა მოჯანყე ანგელოზებისა. რო-
ცა ცდომილ სულს შეხვდებოდა, რომელიც უწინ მისი ამხანა-
გი იყო, ხელს ართმევდა, არ სურდა ძველი მეგობრობისათვის
ელაღატა. ხანდახან თავად იშთარსაც ხვდებოდა. მაგრამ ერი-
დებოდა ამ ბოროტ ანგელოზებს, თავიანთი მძევნვარე აზრე-
ბით რომ აფრთხობდნენ და საუბრითაც თავს აბეზრებდნენ.

— მაშ, არ მიწონებ განზრახულს? — ჰკითხა ფიცხლად
არკადმა.

— მეგობარო, მე შენს განზრახულს არც ვიწონებ და არცა
ვკიცხავ. არაფერი მესმის იმ იდეებისა, შენ რომ გაღელვებს.
და არცა მგონია, ხელოვანისათვის სასარგებლო იყოს პოლი-
ტიკაში გარევა. მას ხელოვნებაც საკმაო საფიქრალს უჩენს.

თეოფილს უყვარდა თავისი ხელობა და იმედი ჰქონდა,
ერთი დღეც იქნება, მეც გავიკაფავ გზასო, მაგრამ თეატრალუ-
რი ზნეობანი გულს ურევდა. ხვდებოდა, რომ მის პიესას მხო-
ლოდ იმ შემთხვევაში დადგამდნენ სცენაზე, ერთ, ორ, ან სუ-
ლაც სამ თანამშრომელს თუ შეიამხანაგებდა, რომლებიც კი
არ იშრომებდნენ, მარტო გვარს მოაწერდნენ დამთავრებულ
ნაწარმოებზე და შემოსავალში წილს დაიდებდნენ. მალე ბუ-
შოტიც ვეღარ იშოვიდა ანგაყემენტს. როცა რომელიმე დაწე-
სებულებაში მივიდოდა, დირექტორი უმალ იმას ჰკითხავდა,
თავად თქვენ საქმეში რა თანხას დააბანდებთო. თეოფილის-
თვის რომ გეკითხათ, ამაზე მეტი უნამუსობა არ იქნებოდა.

სადაც თავის გრანდიოზულ გეგმავაზ მონუპარ ლამაზ
მთავარანგალოზ ზიტას ეუსმენთ და მირარის
ჩრჩილისაგან ღაპრულ, კარაღაზი გამოკეცილ
ფრთავს ვხედავთ

ორმა ანგელოზმა ასე საუბარ-საუბარში როშემუარის ბულვარამდე მიადწია. ლულხანას რომ გაუსწორდნენ, რომელიც ნისლიან გზაზე მოოქრულ შუქს ფენღა, აეოფილს უეცრად გაახსენდა მთავარანგელოზი ითურიელი, ლამაზი და ღარიბი ქალის სახით რომ ცხოვრობდა მონმარტრზე, საძაგელ, ავეჯით გაწყობილ ბინაში და ყოველ საღამოს ამ ლულხანაში მოდიოდა გაზეთის წასაკითხად. მუსიკოსს აქ იგი ხშირად უნახავს. ქალს ზიტა ერქვა სახელად. მირარი თავის დღეში არ დაინტერესებულა გაეგო ამ მთავარანგელოზის შეხედულებანი, მაგრამ ქალი რუს ნიჰილისტად ითვლებოდა. მუსიკოსი ანგელოზი ფიქრობდა, ესეც უთუოდ არკადივით ათვისტი ღარეეოლუციონერიყო. გაგონილი ჰქონდა, რა უცნაურ ამბებს ყვებოდნენ ზიტაზე. ამბობდნენ, ანდროგინია, მასში აქტიური და პასიური საწყისი გაერთიანებულა და მუდმივ წონასწორობაში იმყოფება, ამიტომაც წარმოადგენს სრულყოფილ არსებას, მარად თავის თავში რომ ჰპოვებს სრულ კმაყოფილებას, მაგრამ ბედნიერებაშიც უბედური ეთქმის, რაკი არ უწყის, წადილი რა არისო.

— ოლონდ, — დასძინა თეოფილმა, — ძალიან ვეჭვობ მართალი იყოს ეს ყველაფერი. მე ქალი მგონია — ტყვე სიყვარულისა, როგორც ყოველივე, რაც კი სუნთქავს ამ სამყაროში. ერთ დღეს კიდევაც შეასწრეს თვალი, ჯანიან გლახს რომ ეციყვარულებოდა.

თქვა ესა და მეგობარს შესთავაზა, გაგაცნობ ამ ქალსო.

ორ ანგელოზს ქალი მარტოკა მჭდომი დაუხვდა. კითხვაში გახლდათ გართული. რომ მიუახლოვდნენ, მოსულთ დიდრონი თვალები შეანათა, რომელთა გამდნარ ოქროსფერშიც ნაპერწკლები ელაედნენ. წარბები ისე მკაცრად შეეყარა, როგორც აპოლონ პითიელს; ცხვირი სწორი ჰქონდა და ჩამოქნილი; მოკუმული ბაგეები მის სახეს ქედმაღლურ გამომეტყველებას

სძენდა. ცეცხლოვანი, მწითური თმა მოეგრავნა შავი ქუდის ქვეშ, რომელზედაც დაუდევრად მიეზნია ვეება მტაცებელი ფრინველის გაქუცული ფრთები; ტანსაცმელი სრული ემოსა, უფორმო და თალხი ფერისა. ნიკაპი მოუვლელ, პაწია ხელზე დაეყრდნო.

არკადს უწინაც ბევრი სმენოდა ამ ძლიერ მთავარანგელოზზე; ამიტომ უღრმესი მოწიწებითა და სრული ნდობით მოეკიდა, მყისვე მოუთხრო, პროგრესსა და თავისუფლებას დანატრულ მის გონებას რა საზრდო გაუჩინა დესპარვიეთა ბიბლიოთეკამ. უამბო, როგორ დაეწათა ფილოსოფოსთა ნაშრომებს, როგორ სწავლობდა ბუნებას, ეგზეგეტიკას, როგორი ზიზლი და მრისხანება დაეუფლა, როცა შეიცნო დემიურგის სიცრუე, როგორ არჩია კაცთა შორის დაედო ბინა და როგორ ამოიჭრა გულში ზეცად ჯანყი მოემზადებინა. მზად იყო, ყველა ღონე ეხმარა სასტიკი ბატონის დასამზობად, ენით უთქმელი სიძულვილით რომ სძულდა. თან ღრმა სიხარულს გამოთქვამდა, მიხარია, ითურთველ, რომ როგორც იქნა, შეეხვდი სულს, ვინც რჩევა-დარიგებას მომცემს და შემეწევა ამ ძნელად შესაძრთ საქმეშიო.

— გეტყობათ, დიდი ხანი არ არის, რაც ჯანყს შესდგომიხართ, — უთხრა ზიტამ ღიმილით.

ოლონდ ექვი როდი შეჰპარვია მის სიმტკიცესა და მისი განზრახულის გულწრფელობაში. უქებდა კიდევ აზრის სითამამეს:

— ჩვენს ხალხს ყველაზე მეტად ეს აკლია: სრულგებით არ ფიქრობს.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ კი დასძინა:

— ან კი გონება როგორ გაიწვრთნას ქვეყანაში, სადაც ჰავა საამური და არსებობა იოლი? აქაც კი, სადაც გაჭირვება სამოქმედოდ აღძრავს გონებას, მოაზროვნე არსებას იშვიათად შეხვდებით.

— და მაინც ადამის მოღვამ შექმნა მეცნიერება, — შეესიტყვა მორისის მფარველი ანგელოზი, — ეს მეცნიერება უნდა გადაენერგოთ ცაში. როცა ანგელოზები დაეუფლებიან ფიზიკის, ქიმიის, ასტრონომიის, ფიზიოლოგიის კანონებს, როცა მატერიის შესწავლა მთელ სამყაროს დაანახებებს ერთ ატომში და ერთ ატომს მირიადობით მზებში, როცა თავს დაკარგუ-

ლად იგრძნობენ ამ ორ უსასრულობას შორის, როცა აწონიან, გაზომავენ ციურ მნათობებს, ჩასწვდებიან მათ სუბსტანციას, გამოითვლიან მათ ორბიტებს, მიხვდებიან, რომ ეს ურჩხულე-
ბი მონებენ ძალებს, რომელთა განსაზღვრაც არანაირ გონებას
არ ძალუძს ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაასკენიან, რომ
თითოეულს თავისი შესატყვისი დემონი ჰყავს, თავისი ჯ-
გილობრივი ღმერთით და დაინახავენ, რომ აღდებარანის, ბე-
თელქეიზისა და სირიუსის* ღმერთები უფრო დიდები არიან,
ვიდრე იალდაბათი. როცა გამჭრიახ მზერას მიმოავლებენ პა-
ტარა სამყაროს, რომელზედაც არიან მიჯაჭვულნი, როცა დე-
დამიწის ქერქს ჩაუკვირდებიან, შენიშნავენ ფლორისა და
ფაუნის ნელ ცვალებადობას, დაინახავენ, რა ძნელად იდგამდა
ფეხს კაცი, როს გამოქვაბულებში და ხიმინჯებიან სახლებში
შეყუყულს სხვა რამ უფალი არ გააჩნდა საკუთარი თავის მე-
ტი; როცა დარწმუნდებიან, საყოველთაო ნათესაობითა ვართ
შეკრულნი მცენარეებთან, ცხოველებთან, ადამიანებთან, იმავე
წესებს ვმონებთ, რომელთაც ისინი, თანდათანობით შევიმო-
სეთ ორგანული ცხოვრების ყველა ფორმა, უმარტივესიდან
მოკიდებული, რათა ბოლოს მზის უმშვენიერეს შვილებად
ვქცეულიყავითო, უთუოდ შეიგნებენ, რომ იალდაბათი ერთი
უსახელო დემონია პატარა, სივრცეში ჩაკარგული სამყაროსი
და ცრუობს, როცა მოჰკვებს, ჩემი ხმის ძალით გამოგიხმეთ
არყოფნიდანო; იტყუება, როცა თავს უსასრულოს,
მარადიულსა და ყოვლის შემქლელს უწოდებს.
რა დაინახავენ, სამყაროები არამცთუ შეუქნნია, მათი არც
რიცხვი იცის და არც კანონებითო, მიხვდებიან, რომ ისიც მათი
მსგავსია, შეიზიზღებენ, გადაიგდებენ მის ტირანიას ღა გე-
ენაში გადაუძახებენ: გეენაში, სადაც მან თავისზე უკეთესები
დანთქა.

— ნეტამც ეგრე მოხდებოდეს და! — ინატრა ზიტამ და სი-
გარეტი გააბოლა. მაგრამ იმ თქვენმა ცოდნამ, რომელზედაც
იმედს ამყარებთ ცათა გამოსახსნელად, აკი დედამიწაზე რე-
ლიგიური რწმენა ვერ შეარყია. იმ ქვეყნებში, სადაც ოდიო-
გან ასწავლიან ფიზიკურ, ქიმიურ, ასტრონომიულ, გეოლოგი-
ურ მეცნიერებათ, თქვენ საკმარისი რომ გგონიათ სამყაროს
გადასარჩენად, ქრისტიანობამ თითქმის მთელი თავისი ძალა-
უფლება შეინარჩუნა. თუკი პოზიტიურმა ცოდნამ ასე ცოტა

გავლენა მოახდინა ადამიანთა რწმენაზე, ვინაა თავმდები, ანგელოზთა წარმოდგენებზე მეტი ზემოქმედება ექნებაო? ამიტომაც მგონია, მეცნიერული პროპაგანდა დიდ ნაყოფს ვერ გამოიღებს.

არკადმა შეჰყვირა:

— ნუთუ უარპყოფთ, რომ მეცნიერებამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ეკლესიას? განა ეს შესაძლებელია? ეკლესია თქვენსავით როდი მსჯელობს. ეკლესიას ეშინია ამ მეცნიერებისა, რომელიც თქვენ მის წინააღმდეგ უძლური გგონიათ და წყრომით შეაჩვენებს. გააფთრებით გმობს მის მონაპოვართ; გალილეის დიალოგებსაც ისევე ებრძვის, როგორც ბატონ ოლარის* პატარა სახელმძღვანელოებს და არცთუ უსაფუძვლოდ. წინათ, როცა ყოველივეს მპყრობელი იყო, რაც კი რამ დიადი შეუქმნია კაცთა გონებას, ეკლესია სხეულებსაც ისევე მართავდა, როგორც სულებს და ცეცხლითა და მახვილით აიძულებდა მორწმუნეთ უსიტყვო მორჩილებას. დღეს მისი ძალაუფლება ოდენ ჩრდილია წარსულისა და სწავლულმა ხალხმა მას ზურგი აქცია. აი, რა დღეში ჩააგდო იგი მეცნიერებამ.

— შეიძლება, — შეესიტყვა ლამაზი მთავარანგელოზი, — მაგრამ რამდენი დრო დასჭირდა ამას! რამდენი უკუღმართობის მოწმენი გაეჭდით! რამდენი ძალისხმევა და მსხვერპლის გაღება დაგვჭირდა!

ზიტა მთლად როდი უარპყოფდა მეცნიერული პროპაგანდის საჭიროებას, მაგრამ მისგან ეგრერიგად საიმედო და სწრაფ შედეგებს არ გამოელოდა. ამიტომაც დიდად არ დაგიდევდათ ანგელოზთა განათლებას; მთავარი მათი განთავისუფლებააო, გაიძახოდა. მე რომ მკითხვით, მხოლოდ მაშინ შეიძლება ძლიერი ზემოქმედება მოვახდინოთ ინდივიდებზე, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, თუკი მათ ვნებებს გავალვიძებთ, მათ ინსტინქტებს მოეუხმობთ საშველადო.

— ყველას აჯობებს, დავარწმუნოთ ანგელოზები, რომ დიდებით შეიმოსებიან, თუკი დაამბობენ ტირანს და ბედნიერები გახდებიან, როცა განთავისუფლდებიან; მე, ჩემდათავად, მთელ ძალასა და ენერგიას ამ საქმეს მოვხმარ. ცხადია, ეს იოლი არ გახლავთ, რადგან ცათა საუფლო სამხედრო ავტოკრატიაა და იქ საზოგადოებრივი აზრი არ არსებობს. მიუხე-

დავად ამისა, იმედს მაინც არ გადავიწყვეტ და მგონია შევძლო ცის შვილთა გონებაში ახალ იდეათა თესლი ჩავაგდო. კვებნით არ ვიტყვი და, ჩემზე უკეთ არავინ იცნობს ანგელოზთა საზოგადოების სწავლასსა კლასებს.

ზიტამ გადააგდო სიგარეტი და ერთხანს ჩაღიქრდა; სპილოს ძვლის ბურთულებს საბილიარდო მაგიდაზე ქანაჭუხი გაჰქონდათ, მოთამაშენი სმამალა აჯამებდნენ ქულებს, მოისმოდა ქიქების წკარუნი, კლიენტთა დაძახილი და ოფიციალტთა მონოტონური პასუხები. მთავარანგელოზმა აქ გნიასში საბელოვან სულთა მთელი ლაშქარი გადათვალა.

— უფლებებზე ვერ დავამყარებთ იმედს, ვერც ძალებსა და ხელმწიფებებზე, რამეთუ ისინი ციურ წვრილ ბურჯუაზიას შეადგენენ. საკვიროდ აღარ ვრაცხ გითხრათ, რაკი თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ რა ეგოიზმი, სიმდაბლე და სილაჩრე მოსდგამთ საშუალო კლასებს. რაც შეეხებათ ჩვენს დიდ-დიდ მოხელეებს, მინისტრებს, გენერლებს, საყდართ, ქერუბინებსა და სერაფიმებს, მათი ზნე თქვენც უწყით: ისინი შეიცდიან; თუ ძლევა ჩვენკენ იქნა, უთუოდ მოგვემხრობიან. რადგან ავტოკრატთა დამხობა საქმელოა, მაგრამ თუ დავამხეთ, ძლეულთა ძალები სულ მათ წინააღმდეგ შემობრუნდებიან. კარგი იქნება, არმიის გადმობირებას თუ შევეცდებით, რაგინდ ერთგულიც არ უნდა იყოს, მარჯვე ანარქისტულ პროპაგანდაზე მაინც წამოეგება. მაგრამ ყველაზე უფრო მეტად, არკად, თქვენი კატეგორიის ანგელოზთა მომხრობას უნდა ვეცადოთ, მათ იერარქიაში ყველაზე დაბალი საფეხური უქირავთ, უმეტეს შემთხვევაში უკმაყოფილონი არიან თავიანთი ხვედრისა და რაკი ასე მრავლად ცხოვრობენ დედამიწაზე, თავი საუკუნის იდეებითა აქვთ გამოტენილი.

ის უკვე მოთათბირებოდა მონმარტრის, კლინიანკურისა და ფიი-დიუ-კალვერის ანგელოზებს; და ცის დასაპყრობად მიწაზე სულთა დიდი ძმობის შექმნის გეგმაც შეემუშავებინა.

— ამ ამოცანის განსახორციელებლად საფრანგეთს დევსახლდი, — თქვა მან, — იმიტომ კი არა, იმდენად ბრიყვი ვიყო, რომ რესპუბლიკაში უფრო თავისუფლად მიმაჩნდეს თავი, ვიდრე მონარქიაში. სულ პირიქით, არ არსებობს ქვეყანა, სადაც პიროვნების თავისუფლებას ნაკლებ პატივს სცემდნენ, ვიდრე საფრანგეთში. მაგრამ ხალხი აქ გულგრილია რელიგი-

ისადმი; ამიტომ არსად არ ვიქნები ისე მშვიდად, როგორც ამ მხარეში.

მერე არკადს შესთავაზა, თქვენი ძალებიც ჩვენსას შემოუერთეთო და ერთმანეთს მაშინლა დასცილდნენ ლუდხანის ზღურბლთან, როცა მედუქნემ თუნუქის შტორი ხრიგინით ჩამოუშვა კარზე.

— უწინარეს ყოვლისა, — თქვა ზიტამ, — მებაღე ნექტერი უნდა გაიცნოთ. ერთხელ, როდისმე, მის სოფლურ სახლში მიგიყვანთ.

თეოფილმა, რომელიც მთელი ამ საუბრის მანძილზე თვლემდა, სთხოვა მეგობარს, წამოდი, ერთი სიგარეტი გავაბოლოთ ჩემთანო. სულ ახლოს იდგა, სტეინკერკის პატარა ქუჩის კუთხეში, ზედ ბულვარზე რომ გამოდიოდა; ბუშოტსაც გაგაცნობ, უთუოდ მოგეწონებაო, ცდილობდა მეგობრის დაყოლიებას მუსიკოსი.

მეექვსე სართულზე ავიდნენ. ბუშოტი ჯერ არ დაბრუნებულის კაფეშანტანიდან. პიანინოზე სარდინების გახსნილი კონსერვი იდო. წითელი წინდები გველებივით გადმოკლაკნილიყვნენ სავარძლიდან.

— ბინა პატარაა, მაგრამ მყუდროა, — უთხრა თეოფილმა.

მერე ფანჯარაში ვაიხედა, სინათლეებით აკიაფებულ მრეშლამეს რომ გადასცქეროდა და დასძინა:

— აქედან საკრე-კერიც* მოჩანს.

თქვა ეს, არკადს მხარზე დაადო ხელი და რამდენჯერმე გაუმეორა:

— მოხარული ვარ, რომ გნახე.

ბოლოს თავის ოდინდელი დიდების მოზიარე სამზარეულოს დერეფანში გაიხმო, შანდალი დადო, ჯიბიდან ვასალები ამოაძვრინა, განჯინის კარი გამოალო, ტილო ასწია და მეგობარს ორი ვეება თეთრი ფრთა უჩვენა.

— ხედავ, შევინახე. ხანდახან, როცა მარტო ვარ, მივალ, დავხედავ და გული სიამით მევსება, — უთხრა სტუმარს და გაწითლებული თვალები მოიწმინდა.

ერთხანს ასე დუმდა აღელვებული, მერე სანთელი მიიტანა გრძელ ბუმბულთან, ალაგ-ალაგ რომ გაქუცულიყო და წაიჩურჩულა:

- მთლად გატიალდა.
- წიწაკა უნდა მოაყარო, — უთხრა არკადმა.
- მოვაყარე, — მიუგო ამოოხვრით მუსიკოსმა ანგელოზმა, — წიწაკაც მოვაყარე, ქაფურიც, მარილიც. არაფერმა არ უშველა.

თ ა ვ ი X I V

რომელშიაც ვხვდებით აასთა კეთილდღეობისათვის მოღვაწე მარუხს და რომელიც რაღაც გუნაღის ქალით ფლებიზის სასწაულით მთავრდება

თავისი ინკარნაციის პირველ ღამეს არკადი ანგელოზ იმ-თართან წავიდა დასაძინებლად, ვიწრო და ბნელი მაზარინის ქუჩის ერთ უბადრუკ ოთახში, საფრანგეთის ძველი ინსტიტუტის ჩრდილში რომ შეყუყუელიყო. იმთარი ელოდა და კედლისკენ მიეჩოჩებინა დამსხვრეული რეტორტები, დაბზარული ქოთნები, ბოთლის ნამსხვრევები, ქურათა ნამუსრევი, მის ავეჯს რომ შეადგენდა. თვითონ იატაკზე გაიშალა დაკონკილი ტანსაცმელი, რომ ზედ დაწოლილიყო, თავისი ლეიბიანი დასაკეცი საწოლი კი სტუმარს დაუთმო.

ციური სულელები გარეგნობით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმისდა მიხედვით, იერარქიის რომელ დასს ეკუთვნიან და თავად რა ბუნებისანი არიან. ყველა მათგანი მშვენიერია, მაგრამ სხვადასხვანაირად; თვალს მუდამ ამოდ სახილველი, გასათუთებელი, პუტკუნა სახითა და ბავშვური, ქორთა კანის ნაკეცებით როდი ახარებენ, სადაფივით კრიალა, ყირმიზი კახისა, ნათელი რომ გადასდის ხოლმე. ამ უხრწნელ ჰაბუკთაგან ყველას როდი ამკობს ის ქალწულებრივი სილამაზე, ბერძნულმა ხელოვნებამ რომ დაამკვიდრა მიმწუხრის ჟამს თავის უმშვენიერეს მარმარილოს ქანდაკებებში და აქა-იქ ქრისტიანული მხატვრობის მიერ შექმნილ ნაზსა და სათნო სახეებშიაც მორცხვად გამოკრთის ხოლმე. ანგელოზთ შორის მრავლად არიან ისეთებიც, რომელთაც ხშირი წვერი უმშვენებთ ნიკაპს და ისეთი ღონიერი კუნთები აქვთ, გვეგონებათ, მათ კანქვეშ გველები იკლაკნებიანო. ზოგს სულაც არ ასხია ფრთები, ზოგს

კი ორი, ოთხი ან ექვსი ფრთა ამკობს; ზოგს უამრავი ფრთა აბია, ბევრი მათგანი კი, სხვებს რომ არაფრით დაუვარდება, მითიური კენტავრების მსგავს ურჩხულებს წარმოადგენენ. ნახავთ ისეთებსაც, ცოცხალ ეტლებს და ცეცხლის ბორბლებს რომ ჰკვანან. უზენაესი ციური იერარქიის წევრი იშთარი მიეკუთვნებოდა ქერუბინთა ანუ ქერუბთა დასს, რომელთა უმაღლეს მხოლოდ სერაფიმები არიან. როგორც ამ დასის ყველა სული, ისიც ოდესღაც ცაში ფრთიანი ხარის სახით იყო შემოსილი; კაცის წვეროსანი და რქიანი თავი ება და უხვი ნაყოფიერების ატრიბუტები ამშვენებდა. მიწაზე მობინადრე ყველა ცხოველზე უფრო დიდი და ღონიერი, თეხზე რომ დადგებოდა და ფრთებს გაშლიდა, სამოც მთავარანგელოზს იფარებდა მათ ჩრდილქვეშ. ასეთი გახლდათ იშთარი თავის სამშობლოში; ძალითა და სინაზით ბრწყინავდა. შეუპოვარი გული ჰქონდა, სული კი — მწყალობელი. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ უყვარდა თავისი უფალი; კეთილი ეგონა და ერთგულადაც მსახურებდა. მაგრამ ბატონის ზღურბლთან დარაჯად მდგარიც დღენიადაგ ფიქრობდა იმ სასჯელზე, მოჯანყე ანგელოზებს რომ მიეწოდებოდა; და ევას შეჩვენების ამბავიც მოსვენებას უკარგავდა. ზანტად, მაგრამ ჩაძიებით იცოდა ფიქრი. საუკუნეებმა წყებად რომ ჩაუქროლეს, დარწმუნდა, იალდაბათთმა სამყაროსთან ერთად შვა ბოროტებაცა და სიკვდილიცო, მყისვე შეწყვიტა მისი თავყანისცემა და მის სამსახურზედაც ხელი აიღო. სიყვარული სიძულვილად ექცა; მოწინება — ზიზღად. ბატონს პირში მიახალა წყევლა-კრულვა და მყის დედამიწას მოაშურა.

კაცის სახე რომ მიიღო და ადამის ძეთა ტოლი გახდა, პირვანდელი ყოფის ზოგი ნიშან-თვისება კიდევ შემორჩა. მისი ვეება, გადმოკარკლული თვალები, კეხიანი ცხვირი, მსხვილი ტუჩები და შავი, კულულებად დახვეული წვერი, მკერდზე რომ სცემდა, კაცს იალვებს საწამებელი კარვის* ქერუბებს მოაგონებდა, რომელთაც ნათლად წარმოგვიდგენენ ნინევიის ხარები. დედამიწაზე, ისევე, როგორც ცაში, იშთარის სახელს ატარებდა. და თუმცა პატივმოყვარეობა უცხო იყო მისთვის, ყოველგვარი სოციალური ცრურწმენისგან თავისუფალს ეწადა გულწრფელი და მართალი გამოჩენილიყო ყველაფერში, საჭიროდ რაცხდა მიწაზეც გაემელავნებინა ის სახელოვანი აღ-

გილი, დაბადებით რომ რგებოდა ციურ იერარქიაში, თავის ქერუბინის წოდებას ფრანგული შესაბამისი ტიტულით თარგმნიდა და მოითხოვდა, თავადი იშთარი მიწოდეთო. ადამიანებს რომ შემოეხიზნა, მათდამი მგზნებარე სიყვარულით განიმსკვალა. სანამ ცის გაპოსასნეღლი ჟამი დადგებოდა, ფიქრობდა განასლებული კაცობრიობის ხსნაზე და ერთი სული ჰქონდა, სულ ერთიანად დაენგრია ეს ცუდი სამყარო, რომ მის ნანგრევებზე ლირათა ჟღერაში სიხარულისა და სიყვარულის სხივფენილი ქალაქი აღემატათა. ქიმიკოსად მსახურობდა ერთ სასუქით მოვაქრესთან, საარსებოდ ცოტას კმარებდა, თანამშრომლობდა ანარქისტულ განეთებში, სახალხო კრებებზე სიტყვებით გამოდიოდა და ანტიმილიტარისტობისთვის რამდენიმე თვით ცისეშიც კი იჯდა.

იშთარმა გულითადად მიიღო თავისი ძმა არკადი, შეაქო, ყოჩაღ, კავშირი რომ გაწყვიტე ავისმომქმედთა პარტიასთანო და ამცნო, ცის კიდევ ორმოცდაათამდე შეილი ჩამოვიდა მიწად, ვალ-დე-გრასის მახლობლად დასახლდნენ კოლონიად; საბრძოლველად შემართულნი ჩანანო.

— პარიზს პირდაპირ აწვიმს ანგელოზები, — თქვა სიცილით, — ყოველდღე წმიდა სასახლის რომელიმე მსხვილი მოხელე გვეცემა თავზე და მალე ზეციურ სულთანს ვეზირებად და მცველებად აღარავინ შერჩება თავის ვოლიერების პატარა, უკანალმომვლეპილი ანგელოზების მეტი.

ეს საამური ამბები ნანად ჩაესმა არკადს. გული სიხარულითა და იმედით აევსო და ტკბილად ჩაეძინა.

გამთენიისას რომ გაიღვიძა, დაინახა, თავადი იშთარი თავის ქურებზე, რეტორტებსა და კოლებზე დახრილიყო. თავადი იშთარი კაცობრიობის ბედნიერებისათვის იღვწოდა.

ყოველ დილით, გაიღვიძებდა თუ არა, არკადი ხელავდა, რა გულმოდგინედ შრომობდა კაცთმოყვარეობის გრძნობით ფრთაშესხმული მისი მასპინძელი. ქერუბინს ხანდახან თავი ხელებში ჰქონდა ჩარგული და იატაკზე ჩაცუცქული ნაზად დუდუნებდა რაღაც კიმიურ ფორმულას, ხან მთელი სიმაღლით აღმართულიყო ლეგა ღრუბლის სვეტივით, თავი, მკლავები, მთელი გულმკერდი სამერცხლურში გადაეყო და სახურავზე თუჯის ქვაბს მალავდა იმის შიშით, თავს არ დამეცნენ და არ

გამჩხრიკონო. გამუდმებით ჩხრეკვის შიშში იყო. ამქვეყნად გადმოსახლებულს ამქვეყნის სატიკვარი გულს უფლეთდა, ეამაყებოდა სახელი, აქ რომ გავარდნოდა და საკუთარი სათნოებით მთვრალი კაცობრიობის მოციქულობას შესდგომოდა. გული აეცრუებინა მოვალეობაზე, თავს დედამიწაზე ჩამოვარდნისას რომ დაუწესა და ანგელოზთა განთავისუფლებაზე აღარც კი ფიქრობდა. არკადი კი, პირიქით, სულ იმის ნატვრაში იყო, გამარჯვებული დაბრუნებულიყო დაპყრობილ ცაში და ქერუბს საყვედურებით ავსებდა, სამშობლო დაივიწყეო. თავადი იშთარი გულუბრყვილო ხარხარით მიუგებდა, ანგელოზები ადამის ძეთ რითი სჯობიანო.

— იმისთვის ვიღვწი, — მიუგებდა თავის ციურ ძმას, — საფრანგეთი და ევროპა რომ ავაჯანყო, საცაა უნდა დადგეს დღე, რომელიც გამარჯვებას მოუტანს სოციალურ რევოლუციას. ღრმად მოხსულ მინდორში თესვას რა სჯობია. რაკი ფრანგები ფეოდალიზმიდან მონარქიაზე და მონარქიიდან ფინანსიურ ოლიგარქიაზე გადავიდნენ, ფინანსიური ოლიგარქიიდან ანარქიაზეც ადვილად გადავლენ.

— მიუტევებელი შეცდომაა იმის ფიქრი, რომ ევროპაში ერთბაშად დიდი სოციალური ხასიათის ცვლილებები მოხდება, — პირში სწვდა არკადი, — ძველი საზოგადოება ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსეა. თავდაცვის აურაცხელი საშუალება გააჩნია. პროლეტარიატი კი, პირიქით, ეს-ესაა იწყებს თავდაცვითი სისტემის შექმნას და ბრძოლაში მხოლოდ სისუსტე და არეულობა შემოაქვს ჩვენს ციურ სამშობლოში კი სულ სხვაგვარადაა საქმე: გარეგნულად ყველაფერი ურყევი ჩანს, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი ვახრწნილია; ერთი ქიმუნჯი კმარა ამ შენობის გადასაყირაველად, რომლისათვისაც მილიარდობით საუკუნეების მანძილზე ხელი არავის უხლია. მოძველებულია ადმინისტრაცია, მოძველებულია არმია, მოძველებულია ფინანსები; ყოველივე ეს უფრო დრომოკმულია, ვიდრე რუსული ან თუნდაც სპარსული თვითმპყრობელობა.

არკადი გზნებით არწმუნებდა ქერუბინს, ჯერ ჩვენს ძმათა საშველად გაწვიოთ, რომლებიც ფაფუკ ღრუბლებში, სანთურების ქლერაში, სამოთხის ზედაშეს დაწაფებულნი უფრო უბედურნი არიან, ვიდრე მწირ მიწას ჩაჩერებული ადამიანებიო; რადგან ადამიანები უკვე ეზიარნენ სამართლიანობას, ანგე-

ლოზები კი უკანონობაში მისცემიან შვებასა. ევედრებოდა გამოეხსნათ სინათლის თავადი და მისი დამეხილი თანამდგომნი. სთხოვდა დაებრუნებინათ მათთვის ძველი უფლებები.

იშთარი არ ეწინააღმდეგებოდა, პირობას აძლევდა, ჩემს სიტყვათა ძალასა და სიტკბობას, ასაფეთქებელ ნივთიერებათა სასწაულებრივ ფორმულებს ციური რევოლუციის სამსახურში ჩავაყენებო.

— ხვალიდანვე შევუდგები საქმეს, — არწმუნებდა მეგობარს.

მეორე დღეს კი კვლავ ანტიმილიტარისტულ პროპაგანდას აგრძელებდა ისი-დე-მულინოში. იშთარს, ტიტან პრომეთეისი-სა არ იყოს, უყვარდა ადამიანები.

არკადს ყველანაირი მადა აღძვროდა, რომელთაც ადამის მოდგმა მონებს, მაგრამ სახსარი არ გააჩნდა მათ დასაკმაყოფილებლად. ქერუბმა იგი ვოჟირარის ერთ სტამბაში მოაწყო, რომლის ოსტატსაც იცნობდა. არკადმა თავისი ციური ნიჭის წყალობით სულ ადვილად ისწავლა ასოების აწყობა და ცოტა ხანში ჩინებული ასოთამწყობი გახდა.

მთელ დღეს ფეხზე იდგა მოზიმზიმე საამქროში, მარცხენა ხელში სააწკარე ეჭირა და სწრაფად იღებდა ტყვიის პაწია ნიშნებს იმ თანმიმდევრობით, რომელსაც visorium-ზე¹ დამატებული დედანი მოითხოვდა; მერე ხელს გადაიბანდა და სადილობდა ბისტროში, თან მარმარილოს მაგიდაზე გადაშლილ გაზეთს ჩასცქეროდა.

მას შემდეგ, რაც ხილული შეიქნა, აღარ შეეძლო დ'ესპარვიეთა ბიბლიოთეკაში შეღწევა და ცოდნის მგზნებარე წყურვილს ამ ამოუწურავე წყაროდან ვეღარ იოკებდა. საღამოობით სენტ-ჟენევიევას ბიბლიოთეკაში დადიოდა, მეცნიერების განთქმულ ბორცვზე²; მაგრამ მხოლოდ ნაკლებ იშვიათ წიგნებს შოულობდა, ისიც დადღაბნილებსა და გულუბრყვილო მინაწერებით აჭრელებულებს. ეს კიდე არაფერი, ბევრ მათჯანს აქა-იქ ფურცლებიც აკლდა.

ქალებს რომ უცქერდა, მღელვარება იპყრობდა და აგონდებოდა ქალბატონი დეზ ობელი, რომლის კრიალა მუხლისთავებსაც აშლილ საწოლში ბზინვა გაჰქონდათ. მაგრამ თუმც

¹ ტენაკლი, დედნის საჭერი ტიპოგრაფიაშ (ლათ.).

თვალადობით არ დაიწუნებოდა, არავინ შეიყვარა, რაკი ღირები იყო და მუშის ხალათი ეცვა. ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე ზიტას და ერთგვარ სიამოვნებას პოულობდა მასთან კვირაობით მტკრიან გზებზე ხეტიალში. მიუყვებოდნენ ხშირი ბალახით დაფარულ სასაზღვრე თხრილებს, პატარ-პატარა სამიკიტნოებს; ბალ-ბოსტნების, ფანჩატურებინ გასწვრივ მიაბიჭებდნენ. კამათობდნენ და აწყობდნენ არნახულ გეგმებს, რომელთა მსგავსიც დედამიწაზე ჯერ აზრად არავის მოსვლია. ხანდახან, სოფლის ბაზრობიდან კარუღელის ორკესტრი ბანს აძლევდა მათ სიტყვებს, ზეცას დამხობას რომ უქაღდა.

ზიტა ხშირად იმეორებდა:

— იშთარი პატიოსანია, მაგრამ უცოდველი. სჯერა არსთა და საგანთა სიკეთისა. სურს დაამხოს ძველი სამყარო და ჰგონია, რომ უეცარი ანარქია თავისით დაამყარებს წესრიგსა და ჰარმონიას. თქვენ, არკად, მეცნიერებისა გწამთ; ფიქრობთ, რომ ადამიანებსა და ანგელოზებს უნარი შესწევთ გაიგონ, მაშინ, როდესაც ისინი მხოლოდ გრძნობისთვის არიან შობილნი. კარგად უწყოდეთ, მათგან ვერაფერს გამოადნობთ, თუკი მათ გონებას მიმართავთ. გიჯობთ მათი ინტერესები და ვნებები გააღვიძოთ.

არკადი, იშთარი, ზიტა და სამი თუ ოთხი სხვა შეთქმული ანგელოზი ხანდახან თეოფილ ბელეს პატარა ბინაში იყრიდნენ თავს, სადაც ბუშოტი მათ ჩაით უმასპინძლდებოდა. არ კი უწყოდა, რომ მისი სტუმრები მოჯანყე ანგელოზები იყვნენ, მაგრამ ინსტინქტურად სძულდა ისინი, და ცოტა შიშითაც უყურებდა, რადგან ბავშობაში ზერელე, მაგრამ მაინც ქრისტიანული აღზრდა ჰქონდა მიღებული. მართო თავადი იშთარი მოსწონდა; ფიქრობდა, კეთილი კაცია, კეთილშობილებით გამორჩეულიო. თავადი ამტკრევდა დივანს, ლეწდა სავარძლებს და რაიმეს ჩანიშვნა რომ მოუნდებოდა, პარტიტურას აფტკენიდა კუთხეებს, ნაწერს ჯიბეებში იჩურთავდა, რომლებიც მუდამ გამოტენილი ჰქონდა ბროშურებითა და ბოთლებით. მუსიკოსი მწუხარებით უცქერდა თვალსა და ხელს-შუა როგორ აღნებოდა მის ოპერეტას „გოლკონდის დედოფალ აღინს“ ფურცლები. თავადს ჩვეულებად ჰქონდა თეოფილ ბელესათვის მიეზარებინა ათასნაირი მექანიკური ჭურვი,

ქიმიური ნივთიერებანი, ხარახურა, ტყვია-წამალი, აყროლებული ხსნარები. თეოფილ ბელე მათ დიდის სიფრთხილით კეტავდა კარადაში, სადაც თავის ფრთებს ინასავდა და ამ ანაბრისაგან დაკარგული ჰქონდა მოსვენება.

არკადს ყველაზე მეტად იმ თანამომძმეთა ზიზღის ატანა უმძიმდა, უფლის ერთგულად რომ დარჩენილიყვნენ. როცა თავიანთი წმიდა ვალის აღსასრულებლად მიმავალნი გზად შემოეყრებოდნენ, მისდამი სასტიკ სიძულვილს ანდა სიძულვილზე უფრო უღმობელ სიბრალულს იჩენდნენ და განდგომილს გული ეწურებოდა.

მაინც ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე მოჭანყე ანგელოზებს, რომელთა შესახებაც თავადი იშთარი ელაპარაკებოდა. უმეტესობა ხალისით ლებულობდა, მაგრამ როგორც კი ცის დაპყრობაზე ჩამოუგდებდა სიტყვას, არ მალავდნენ თავიანთ შეშფოთებას და, უხერხულ ღლეში გვაგდებო, ავრძნობინებდნენ შეუფარავად. არკადი მშვენიერად ხედავდა, რომ საწყენად რჩებოდათ, როცა ვინმე ხელჰყოფდა მათ გემოვნებას, მათ ჩვეულებებს, მათ საქმიანობას. მათი მცდარი მსჯელობა, მათი გონების სივიწროვე აღშფოთებდა არკადს; მათი ქიშპობა და შური სასოს უკვეთდა; აღარ ეგონა, რომ ამ ანგელოზთა ერთი საქმისათვის დარაზმვა მოხერხდებოდა. როცა დარწმუნდა, რა ზომამდე აქნინებს უტახობაში ყოფნა ხასიათებს, როგორ ამახინჯებს გონებას, იგრძნო, რომ გამბედაობა მასაც ლალატობდა.

ერთ საღამოს თავის გულისწუხილი ზიტას გაანდო; მშვენიერმა მთავარანგელოზმა უთხრა:

— წავიდეთ ერთი ნექტერის სანახავად. მას რაღაც საიდუმლო აქვს კაეშნისა და დაღლილობის გასაქარეებლად.

ზიტამ არკადი მონმორანსის ტყეში წაიყვანა და შეჩერდა ერთი პატარა, თეთრად შეფეთქილი სახლის წინ, რომელსაც გარს ზამთრისაგან გაპარტახებული, წყვილიადში ჩაფლული ბოსტანი ეკრა; ბოსტანში სათბურის მინებს ბზინვა გაჰქონდათ.

ნექტერმა კარი გაუღო სტუმრებს, დააჩუმა ვეება აყეფებული ნაგაზი, სახლს რომ ყარაულობდა, მოსულნი დაბალქერიან ოთახში შეიყვანა, სადაც კაფელის ღუმელი გიზგიზებდა. კირით შელესილ კედლებზე, ნაძვის გაურანდავ თაროზე ხახ-

ვებსა და მარცვლელს შორის სალამური იდო, რომელიც თითქოს ელოდა, როდის ჩამბერავენ სულსო. კაკლის მრგვალ მაგიდაზე თამბაქოთი სავსე ქილა, ჩიბუხი, ბოთლი ღვინო და ჭიქები ეწყო. მებაღემ ჩალის სკამები დაუდგა სტუმრებს და თვითონაც მათ სიახლოვეს, ტაბურეტზე ჩამოჯდა.

წარმოსადეგი მოხუცი იყო; თავს ჭაღარაშერთული, ჯაგარა თმა უფარავდა; სახე ლაქლაქა ჰქონდა, შუბლი — ამობურცული, ცხვირი — პაჭუა. წვერი ორად გაეყო. ვეება ნაგაზი პატრონის ფერხთით გაწვა, წინა თათებზე დაიდო შავი, მოკლე დრუნჩი და თვალები მილულა. მებაღემ ღვინო დაუსხა სტუმრებს. როცა შესვეს და ცოტა ისაუბრეს კიდევ, ზიტამ უთხრა ნექტერს:

— გთხოვთ დაუკრათ თქვენს სალამურზე; ძალიან აამებთ მეგობარს, მე რომ მოგიყვანეთ.

მოხუცმა ბევრი არ ახვეწინა. მყისვე მიიტანა ტუჩებთან ბზის ღერი, ისეთი უხეში, რომ თვით მებაღის მიერ უნდა ყოფილიყო გამოჩორკნილი; ჩაპბერა და სალამურმაც რამდენიმე უცნაური ბგერა გამოსცა. შემდეგ მოაყოლა საუცხოო მელოდიები, რომელთა წიაღშიაც ტრელები ისე ბრწყინავდნენ როგორც ხავერდზე დაყრილი ალმასები და მარგალიტები. გაწაფულ თითებქვეშ შემოქმედი სულით გაცოცხლებული სოფლური სალამური ვერცხლის ფლეიტასავით ეღერდა. მჭახე ხმებს როდი გამოსცემდა, მათი ტემბრი მუდამ თანაბარი იყო და წმინდა. გეგონებოდით ერთსა და იმავე დროს ბულბულთა სტვენასაც ვუსმენ და მუზათა გალობასაცო, მთელს ბუნებასაც და ადამიანსაცო. მოხუცი ყვებოდა თავის სათქმელს თამამი და მოხდენილობით აღსავსე მუსიკალური ფრაზებით. ხოტბას ასხამდა სიყვარულს, შიშს, ამაო კინკლაობას, მძლევარ სიცილს, გონიერების წყნარ ნათელს, აზროვნების ისრებს, თავიანთი ოქროს წვერებით რომ ცხრილავენ უვიცობისა და სიძულვილის ურჩხულებს. უმღერდა სიხარულსა და მწუხარებას, ტყუპად შობილთ მიწაზე რომ დაუხრიათ თავები და სურვილს, ქვეყნიერებებს რომ წარმოშობს.

მთელი ღამე ისმოდა ნექტერის სალამურის რაკრაკი. უკვე მწყემსის ვარსკვლავიც გამოჩნდა გაცრეცილ ჰორიზონტზე. ზიტას ხელები შემოეკედო მუხლებზე; არკადს შუბლი ჩაერგო ხელებში, ბაგე გაკპობოდა. ორთავ სულგანაბული უსმენდა

მოხუცის სალამურის ხმას. სადღაც, ახლომახლო, ქვიშიან ველზე ტოროლასაც გაღვიძებოდა და ამ საოცარი ხმებით მოზიდული ცაში აპრილიყო; იქ დაეყო რამდენიმე ხანი და მუსიკოსის ბაღში შურდულივით ჩამოვარდნილიყო. მეზობელმა ბელურებმაც მიატოვეს კედლის სერვლები და გუნდ-გუნდად ჩამოსხდნენ ფანჯრის რაფაზე, საიდანაც იღვრებოდა მელოდია, ქერისა და შვრიის მარცვლებზე უფრო მეტად რომ მოსწონდათ. ჩხიკვა ჯაფარამ, ტყიდან რომ გამოსულიყო პირველად, ბალის განძარცულ ალუბლის ტოტზე დაკეცა საფირონის ფრთები. პაწია ჩასადენი ღარის ცხაურთან დიდრონი ვირთხა ჩაცუკქულიყო; ქონიანი წყალი წურწურით ჩამოსდიოდა, უკანა თათებზე ჩამჯდარიყო და გაოცებით აეშვირა პაწაწა თითებიანი მოკლე წინა თათები. მის გვერდით მოკალათებულყო ბოსტნის ბინადარი მინდვრის თაგვიც. წყალსადენის მილიდან ჩამოცოცებულმა შინაურმა ხვადმა კატამ, რომელსაც თავის ველურ წინაპართაგან გამოჰყოლოდა რუხი ბეწვი, აპრეხილი კუდი, მძლავრი ფერდები, გამბედაობა და სიამაყე, დრუნჩით შემოხსნა ღრიქე კარი, ფეხაკრფით მიუახლოვდა სალამურზე დამკვრელს და დიდის ამბით ააცქვიტა ღამეულ ბრძოლებში ჩამოხეული ყურები. მეფუნთუშის თეთრი დედა კატაც უკან მოჰყვა, ერთი შეიყნოსა ამღერებული ჰაერი, მშვილდივით შემართა ზურგი, დახუჭა ცისფერი თვალები და მოხუცს ნეტარებით მიუგლო ყური. თაგვები, იატაკქვეშეთიდან რომ მოირბინეს, ჯგროდ ეხვიენ გარშემო; არც კბილისა ეშინოდათ, არც ჭანგის, უძრავად გაშეშებულიყვნენ და განცხრომით დაეკრიბათ, გულზე ვარდისფერი თათები. ობობებსაც დაეგდოთ თავიანთი ქსელები და მოხიბლულნი ჰერზე შეჯგუფულიყვნენ. პატარა, ნაცრისფერი ხელიკი კარის ზღურბლზე შემოცურებულყო და იქ გაქვავებულყო მონუსხულივით; სხვენზე კი ბწყალით თავქვე დაკიდებულ ღამურას ნახევრად გაღვიძებოდა ზამთრის ძილისაგან და ჯადოსნური სალამურის ხმების რიტმზე ირწოდა.

სადაც შევიტყობთ, რომ ვაგუაი მორისი საჰვარლის
მალაქეაზიას თაჰის დაკარგულ ანგელოზს მისტირის
და ღვინაზავთ, რომ აბათი კაბუი ანგელოზთა
ახალ აჯანყებაზე ფიქრსაც კი აგაოგადა და
ცდომილებად თვლის

ეს მოხდა მორისის ბინაში ანგელოზის გამოჩენიდან ორი
კვირის თავზე. ჟილბერტი პირველად მოვიდა მორისზე ადრე.
მორისი დაღვრემილი ჩანდა, ჟილბერტი — კუშტად მომზირა-
ლი. სამყარო მათთვის კვლავ მწუხარ ერთფეროვნებით შემო-
სილბო. ერთურთს უსიცოცხლოდ შესცქეროდნენ და მზერას
კვლავ და კვლავ აპარებდნენ კუთხისკენ, სარკიან კარადასა
და ფანჯარას შორის რომ დარჩენილიყო. იქ, სადაც უწინ
არკადის მკრთალი აჩრდილი გამოეცხადათ, ახლა მხოლოდ
ცისფერი შპალერიღა მოჩანდა.

ქალბატონმა დეზ ობელმა ჰკითხა საყვარელს:

— აღარ გინახავს?

(სახელი არც კი უხსენებია, ვის გულისხმობდა, უმისოდაც
ნათელი იყო).

მორისმა ნელა, მწუხარედ გადააქნია თავი.

— გეტყობა, განალელებს ეს ამბავი, — განავრძო ქალბა-
ტონმა დეზ ობელმა, — გამოტყდი მაინც, რომ პირდაპირ თავ-
ზარი დაგცა მისმა გამოჩენამ; საწყენად დაგირჩა მისი უბოდი-
შობა.

— მართლაც უბოდიშოდ მოგვექცა, — თქვა მორისმა, მაგ-
რამ მის ნათქვამში ღვარძლი არ ერია.

საწოლში წამომჯდარ ნახევრად შიშველ ქალს ხელები
მუხლებზე შემოეჭდო, ზედ ნიკაპი დაეყრდნო და ფიცხელი
ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა საყვარელს.

— მითხარი, მორის, მარტო ჩემი ცქერა აღარ გაღეღვებს?
უცილოდ ანგელოზი გინდა, შთაგონება რომ გეწვიოს? შენი
ხნის კაცისათვის ეს დიდი სირცხვილია.

მორისს თითქოს არც გაუგონია მისი ნათქვამი; ფიქრმო-
რეულმა ჰკითხა:

— ჟილბერტ, გრძნობ, რომ ყველგან მფარველი ანგელოზი გახლავს?

— მე? სულაც არა. ამაზე ჩემს დღეში არ მიფიქრია, ჩემს... თუმცა უწმიდურებას ვერვინ შემწამებს. ისინი, ვისაც მფარველი ანგელოზი არა ჰყავს, პირუტყვებს ეღარებიან. ესეც არ იყოს, პატიოსნად ვერ ჩაითვლები, თუ ღვთის რწმენა არ გაგაჩნია; ეს შეუძლებელია.

— მართლაც ეგრეა, — უთხრა მორისმა, თან ივალის მიემტერებინა თავის უყვავილო პიჟამის იისფერი ზოლებისათვის, — როცა მფარველი ანგელოზი გყავს, მასზე არც კი ფიქრობ. როცა დაკარგავ, ეულად გრძნობ თავს.

— მაშ, ნანობ იმ...

— არა ვნანობ, მაგრამ...

— როგორ არა, ნანობ... კეთილი, ძვირფასო; იცოდე, რომ ასეთი მფარველი ანგელოზის დაკარგვა მაინცდამაინც სამწუხარო როდია. ის შენი არკადი დიდი განძი ნუ გგონია! იმ ღირსსახსოვარ დღეს, სანამ მის შესამოსად ძველმანს ყიდულობდი, მთელი საათი მიკრავდა კაბას და აშკარად ვიგრძენი, რომ ხელები... მოკლედ, ძალიანაც ნუ მიენდობი.

მორისმა სიგარეტს მოუკიდა და წამით ჩაფიქრდა. მერე იბაასეს ექვსდღიან ველორბოლაზე, ზამთრის ველოდრომზე, რომ უნდა გაემართათ, ბრიუსელის საავტომობილო კლუბში მოწყობილ საავიაციო გამოფენაზე, მაგრამ ვერაფრით შეიქციეს თავი. მაშინ სცადეს ისევ სიყვარულისთვის, ამ უადვილესი გასართობისათვის მიემართათ და თითქმის ეწიენ კიდევ საწადელს, მაგრამ იმ წუთას, როცა ჟილბერტს მეტი დამყოლობა და მგრძნობიარობა უნდა გამოეჩინა, იგი მოულოდნელად შეხტა და შეკვივლა:

— ღმერთო ჩემო, მორის! რა გრჯიდა, რომ მითხარი, მფარველი ანგელოზი გიციქერისო. ვერ წარმოიდგენ, როგორ მბოროტავს ეგ სულელური აზრი.

მომთინებდაკარგულმა მორისმა ცოტა უხეშად შეუყვირა საყვარელს, ყურადღებას ნუ ფანტავო. ქალი გაცხარდა, სინდის-ნამუსი კი არ დამიკარგავს, ანგელოზების თვალწინ არ შემოიძლია კაცთან დაწოლაო.

მორისს არკადის ხელახლა ნახვა ეწადა და სხვა სანატრელი აღარაფერი ჰქონდა. მწარედ საყვედურობდა თავს, ასე უგზო-უკვლოდ როგორ დავკარგეო და დღედაღამ ფიქრობდა, რა ღონისათვის მიემართა მის საპოვნელად. ყოველი შემთხვევისათვის ერთი დიდი გაზეთის განცხადებების განყოფილებაში დააბეჭდვინა: „მორისისაგან არკადს. დამიბრუნდით“. დღე დღეს მისდევდა და არკადი არსად ჩანდა.

ერთ დილით, შვიდ საათზე, მორისი სენ-სულპისში წავიდა აბატ პატუის წირვის მოსასმენად. შემდეგ, როცა მღვდელი გამოდიოდა სამოსის სალაროდან, მიეახლა და სთხოვა, ცოტა ხანს ყური მომაპყარითო. წამიც და, ერთად დაუყვნენ ეკლესიის კიბეს და მოწმენდილი ცის ქვეშ ოთხი ეპისკოპოსის შადრევნისაკენ გაისეირნეს. თუმცა ერთობ შეძრული იყო და საამბობიც ისეთი ჰქონდა, დაჯერება არ ეგებოდა, მორისმა მაინც გაანდო მღვდელს, ანგელოზი გამომეცხადა და საზარელი ამბავი მამცნო, გტოვებ და ცად მივეშურები დიდებით მოსილ სულთა ახალი აჯანყების მოსამზადებლადო. ჭაბუკმა დ'ესპარვიემ ჰკითხა ეკლესიის ღირს მამას, რა გზით შეიძლება ციური მფარველი ვიპოვნო, უმისობა ვერ ამიტანია, ან როგორ ჩავუნერგო კვლავ გულში ქრისტიანული რწმენაო. ბ-ნმა აბატმა პატუიმ მიუგო მწუხარედა და დაყვავებით: ჩემო ძვირფასო შვილო, დაგსიზმრებიათ ეგ ყველაფერი, სინამდვილედ მიიღეთ ავადმყოფური პალუცინაცია, თორემ რა საფიქრალია, რომ კეთილი ანგელოზები კვლავ აჯანყებისათვის ემზადებიანო.

— ზოგსა ჰგონია, — დასძინა მან, — დაუსჯელად ჩაუვლის უწესო, ფუქსავატური ცხოვრება. მაგრამ ცდებიან. წრეგადასული სიამოვნებანი რყვნის გონებასა და ტვინს ურევს ადამიანს. ეშმაკი ეპატრონება ცოდვილის გრძნობათ, რომ მის სულში დააღოს ბინა. სწორედ მან მოგალორათ, მორის, უგვანი ხრიკებით.

მორისმა დაიჩემა, არაფერი მომჩვენებია, არც ძილში მზმანებია რამე, რაც ვიამბეთ, ჩემი თვალითა ვნახე, ჩემი ყურით გავიგონე: ჩემი მფარველი ანგელოზი ნამდვილად გამომეცხადაო.

— ბატონო აბატო, — განაგრძო მან დაყინებით, — ქალმა,

რომელიც მაშინ გვერდში მყავდა და რომლის სახელის გამხელასაც საჭიროდ არა ვთვლი, ჩემსავით დაინახა იგი და მისი ნათქვამიც გაიგონა. მეტსაც გეტყვით, კიდევაც იგრძნო, რომ ანგელოზს თითები უთრთოდა, როცა... ერთი სიტყვით, იგრძნო-მეთქი... გარწმუნებთ, ბატონო აბატო, არაფერი გახლავთ უფრო კემშარიტი, უფრო რეალური, უფრო სარწმუნო, ვიდრე ეს გამოცხადება. ანგელოზი ქერა იყო, ახალგაზრდა, თვალადი. მისი მკრთალი კანი სიბნელეში რძისფერ შუქში განბანის ჰგავდა. ტკბილი, წკრიალა ხმით ლაპარაკობდა.

აბატმა ფიცხლად შეაწყვეტინა:

— მართო ეგ ერთი რამ მოწმობს, შვილო ჩემო, რომ ყოველივე დაგისიმრებიან. ყველა დემონოლოგი იმ აზრს ადგას. რომ ცდომილ ანგელოზებს ჩაჩრინწული ხმა აქვთ და როცა ლაპარაკობენ, გეგონება, ჩაქანგული კლიტე ჟღერიალებსო; კიდევაც რომ შეძლონ ცოტა ლამაზად მოგვაჩვენონ თავი, კეთილი სულებივით წკრიალა ხმით ლაპარაკს ვერაფრით ახერხებენ. ეს ამბავი ბევრს საკუთარი თვალით უნახავს და სრულიად სარწმუნო გახლავთ.

— კი მაგრამ, ბატონო აბატო, მეც ხომ ჩემი თვალთა ვნახე; სრულიად შიშველი სავარძელზე, ზედ ქალის შავ წინდებზე დაჯდა. მეტი რაღა გითხრათ?

ბ-ნ აბატს ამის გაგონებაზე ნირიც არ შეეცვლია.

— მერწმუნეთ, შვილო ჩემო, თქვენიც სინიდისის სავალალო ყოფას უნდა მიაწეროთ ეგ სამწუხარო ილუზია, ეგ აფორიაქებული სულის ზმანებანი. მე მგონი, კიდევაც ძალმიძს გითხრათ, რა შემთხვევითი გარემოება იყო, თქვენი ისედაც მერყევი გონება რომ შესძრა. ამ ზამთარს უთუოდ უქეიფოდ იყავით, როცა ბატონ სარიეტთან და ბიძათქვენ გაეტანთან ერთად ამ ეკლესიაში ანგელოზთა ეკვდერის სანახავად მობრძანდით, სადაც იმხანად აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობდა. აკი მაშინაც ვამბობდი, მხატვრებს ქრისტიანული ხელოვნების კანონებს უნდა ასწავლიდნენ-მეთქი; მიწყყე უნდა ჩააგონებდნენ საღვთო წერილის პატივისცემას; განუმარტავდნენ, როგორ მართებთ მისი ინტერპრეტაცია. ბატონმა დელაკრუამ თავისი ზვიადი გენია ტრადიციას არ დაუმორჩილა. თავის გუნებისად ხატვა ირჩია და ეს ეკვდერი ისეთი სურათებით შეამკო, როგორებზედაც უწინ იტყოდნენ, გოგირდის სუნი უდისო. და-

სატა მშფოთვარე, საზარელი კომპოზიციები, რომლებიც ნაცვლად იმისა, რომ სულებს მშვიდობა მოჰპერონ, მნახველს თავზარს სცემენ და აშფოთებენ. მის ანგელოზებს მძინეარე სახეები აქვთ; მათი ნაკვთები პირქუში და მკაცრია. იტყვიან, ლიუციფერი და მისი მხლებლები დასტურ ჯანყს შესდგომიანო. პოდა, შვილო ჩემო, სწორედ ამ სახეებმა იმოქმედეს თქვენს უწყსო ცხოვრებით ისედაც დასუსტებულ და ნაავადარ გონებაზე. ეს მათ მიგვიყვანეს იმ აშლილობამდე, რომლის ტყვეობაშიც იმყოფებით.

მორისმა შეჰყვირა:

— ო, არა, ბატონო აბატო! არამც და არამც! ნუ იფიქრებთ, თითქოს ექენ დელაქრუას მხატვრობამ შემძრა. მათთვის იმ დღეს არც კი შემიხედავს. ამგვარი მხატვრობა სულ არ მალეღვებს.

— არა, მერწმუნეთ, შვილო ჩემო; თქვენს ნაამბობში რეალური და ნამდვილი არაფერია. თქვენი შფარველი ანგელოზი არ გამოგცხადებიათ.

— კი მაგრამ, ბატონო აბატო, — არ ცხრებოდა მორისი, რომელიც თავის ნახულ-გაგონილს სრული ნდობით ეკიდებოდა, — მე დავინახე, როგორ შეუკრა ფეხსაცმელი ქალს ანგელოზმა და როგორ გაჰყო ფეხი თვითმკვლელის შარვალში!..

აქ მორისმა ფეხი დასცხო ფილაქანს და თავის სიმართლის მოწმედ უხმო ცას, მიწას, მთელ ბუნებას, სენ-სულპისის კოშკებს, სემინარიის ვეება კედლებს, ოთხი ეპისკოპოსის შადრევანს, საზოგადო საპირფარეშოს, ეტლებისა და ტაქსების სადგომებს, ავტობუსის გაჩერებას, გამვლელებს, ძაღლებს, ბელურებს, მეყვავილე ქალსა და მის ყვავილებს.

აბატს ერთი სული ჰქონდა, საუბარი დაემთავრებინა.

— ცდომილება და ილუზიაა-მეთქი ეგ ყოველივე, შვილო ჩემო. თქვენ ქრისტიანი ხართ; აბა, ქრისტიანულად განსაჯეთ. ქრისტიანი თავს არ მოატყუებინებს ფუჰ ჩვენებებს. რწმენა მას ყოველგვარი ცდუნებისაგან იცავს. მალემრწმენობა ურწმუნოთათვის მიუგდია! მათ ხომ ყოველგვარი მონაჩმახისა სჯერათ. ქრისტიანს კი იარაღად ჯვრის ნიშანი აქვს, რომელიც ფანტავს ხოლმე ყოველგვარ ეშმაკეულ ჩვენებას. დამშვიდდით, მორის, თქვენ შფარველი ანგელოზი არ დაგიკარგავთ; იგი კვლავ გიცავთ. მხოლოდ თქვენზედ ჰკიდია, ეს ტვირთი

ერთობ სამძიმო. არ: შეიქნას მისთვის. მშვიდობით, მორის: ცერში მწარედ მტეხს, ეტყობა, გაავდრდება.

და ბ-ნი აბატი პატუი გაეცალა ქაბუქს ილიაში ლოცვან-ამოჩრილი; ისეთი ღირსებით მიკელანობდა, ებისკაპოსობასაც მიაღწევსო. იფიქრებდა მნახველი.

იმავ დღეს მონმარტრის კიბის მოაჯირს დაყრდნობილი არ-კადი და ზიტა უმწერდნენ კვამლსა და ნისლს, ვეება ქალაქს ოხშივარივით თავს რომ ასდიოდა.

— განა გონებას ძალუძს განწვერიტოს, რამდენ მწუხარება-სა და ტანჯვას იტეფს დიდი ქალაქი? კაცმა რომ შეძლოს ამის წარმოდგენა, უთუოდ ისეთი თავზარი დაეცემა, გულწასული ძირს დავარდებდა, — თქვა არკადმა.

— და მაინც, — მიუგო ზიტამ, — ყოველივეს, რაც ამ გენაში სუნთქავს, უყვარს სიცოცხლე. ეს დიდი საიდუმლოა.

— უბედურები, სანამ სული უდგათ პირში, ებლაუჭებიან სიცოცხლეს; გაქრობაში როდი ეძიებენ ნუგეშს. არყოფნაში მოსვენებას ეპოვებთო, თავს როდი იიმედებენ. მათი სიგიჟე თვით არყოფნასაც საშიშრად უხდით. ისიც ხომ აჩრდილებით დაასახლეს! დახეთ ამ ფრონტონებს, ამ სამრეკლოებს, ამ გუმბათებსა და მბზინავი ჯვრებით თავშემკობილ ამ შპილებს, ნისლიან ცას რომ ჰკვეთენ... აღამიანები აღმერთებენ დემიურგს, რომელმაც მათ სიკვდილზე უარესი სიცოცხლე განუწესა და სიცოცხლეზე უარესი სიკვდილისათვის გაწირა.

ზიტა დიდხანს იყო ჩაფიქრებული, ბოლოს კი უთხრა:

— არკად, ერთი აღსარება უნდა გაგანდოთ. უფრო სამართლიანი სამართლისა და უფრო ბრძნული კანონის პოვნის წყურვილმა როდი ჩამოავდო ითურიელი დედამიწაზე. პატივმოყვარეობამ, ინტრიგებისადმი ლტოლვამ, სიმდიდრისა და პატივის სიყვარულმა გაუსაძლისი გახადეს ჩემთვის ციხე სიმშვიდე. ერთი სული მქონდა, კაცთა მშფოთვარე მოდგმაში გავრეულიყავ. მოვედი და თითქმის ყველა ანგელოზისათვის უცხო ხელოვნებით შევიმოსე სხეული, ჩემს გუნებისად რომ იცვლის სქესსა და ასაკს; ამან საშუალება მომცა სულ სხვადასხვანაირი, ათასი გასაკვირველი ცხოვრებით მეცხოვრა. ერთი ასჯერ მაინც უთვალსაჩინოესი ადგილი მეჭირა დღეის უფალთა შორის, ოქროს მეუფეთა და ხალხების განმგე-

ბელთა დასში. არ გაგიმხელთ, არკად, იმ შარავანდედით მოსილ სახელებს, მე რომ მერქვა; იცოდეთ მხოლოდ, რომ ჩემის მეცნიერებით, ხელოვნებით, ძლიერებით, სიმდიდრითა და სილამაზით მსოფლიოს ყველა ხალხებში ვმეფობდი. დაბოლოს, ამ რამდენიმე წლის წინ, როცა სახელმოსვეჭილი უცხოელი ქალის იერით საფრანგეთში ვმოგზაურობდი და ერთ საღამოს მონმორანსის ტყეში შეველ სახეტილოდ, ანაზღად ყურს ჩამესმა საღამურის ხმა, ცის მწუხარებას რომ გამოიტყოდა. მისმა წმიდა და ნაღვლიანმა კვნესამ გული შემიძრა. ასეთი მშვენიერი ჯერ არაფერი მსმენოდა. ქეთინს ძლივს ვიმაგრებდი; თვალცრემლიანი მივუახლოვდი და ტყის პირას დავინახე ფავნის მსგავსი მოხუცებული, უბრალო, სოფლურ საღამურზე რომ უკრავდა. ეს ნექტერი იყო. ფეხებში ჩავუვარდი, ხელები, ღვთაებრივი ბაგე დაუეკოცნე და გამოვიქეცი...

მას შემდეგ ვიგრძენ, რომ ჩალის ფასი ჰქონდა ამქვეყნიურ პატივ-დიდებათ და მიწიერ საქმეთა ფუჭი ამოვებით დაქანცულმა, ტიტანური და უნაყოფო შრომით დამცირებულმა გადავწყვიტე, ჩემი პატივმოყვარეობისათვის უფრო მაღალი მიზანი დამესახა. თვალს ვაპყრობდი ზეციური სამშობლოსაკენ და პირობას ვდებდი, შიგ მხსნელად შევსულიყავ. განვიძარცვე ჩემი წოდება, სახელი, დავუტევე ჩემი ქონება, მეგობრები, თაყვანისმცემელთა წყება და ვიქეც ყველასათვის უცნობ ზიტად: ვცხოვრობ ასე, გაქირვებაში და მარტოდ ვიღვწი ცათა გამოსახსნელად.

— ნექტერის საღამურის ხმა მეც მოვისმინე, — თქვა არკადმა, — მაგრამ ვინაა ეს მოხუცი მეზადე, ხის უხეშ ღეროს ასეთ ამაღლეებელსა და ლამაზ ხმას რომ შთაბერავს?

— მაგასაც მალე შეიტყობთ, — მიუგო ზიტამ.

რომელსაც ერთიგეორის მიუოღებრით ასაპარჯზე
გამოჰყავს ნათელგვილველი შირა, ზაფიჩინი, გორობაგის
სათავე აბაღუნი. ღა რომელიც საზინალი მაგალითით
გვიღასტურავს ევრიანიღას აზრს, იუანიბარი გონებას
წაგვპრის იმას, ვისი ღალუჰავაც წაღლიაო

რაკი თავისი განსწავლულობით სახელგანთქმულ ეკლესიის მამას ვერაფერი შეასმინა, მორისს იმედი გადაუწყდა, რომ ორთოდოქსიის გზით იპოვიდა თავის მფარველ ანგელოზს; იფიქრა, ოკულტურ მეცნიერებათ დავეკითხებოო და განისრა-ხა მარჩიელისათვის მიემართა. უთუოდ ქ-ნ დე თებს მიაშუ-რებდა, მაგრამ უკვე ნამყოფი იყო მასთან, როდესაც გულს პირველი სიყვარულის დარღები უმძიმებდა და ქალმა ისეთი გონიერული სიტყვები უთხრა, რომ მორისს მის კუდიანო-ბაში ეჭვი შეეპარა. ამიტომაც მიმართა ცისად-ცისად მავალ ქალბატონ შირას, რომლის სახელიც იმხანად ყველას პირზე ექერა.

ქაბუკ დ'ესპარვიეს ხშირად სმენია ამ მარჩიელის უჩვე-ულო გამჭირახობის ამბავი; მაგრამ ქალბატონ შირასათვის უნდა მიგეტანათ რაიმე ნივთი, რომელსაც ატარებდა ან ხელით შეჭხებოდა კაცი, ვისკენაც მისანს თავის ყოვლისმხილველი მზერა უნდა მიემართა. მორისმა დიდხანს იმტვრია თავი, რას შეიძლებოდა მიკარებოდა ანგელოზი იმ თავის ბედუკუდმართი გამოცხადების დღესო და გაიხსენა, რომ სამოთხის შიშველი შვილი ქალბატონ დეზობელის ღრმა სავარძელში დაფენილ შავ წინდებს დააჯდა და შემდეგ ქალს კაბის ჩაცმა უშველა. მორისმა სთხოვა ჟილბერტს ამ ავგაროზთაგან ერთ-ერთი, გულ-თმისანისათვის რომ ეჩვენებინა. ჟილბერტმა ველარც ერთს ვერ მიაკვლია, ის კი უთხრა, მეღა თუ გამოგადგები ავგარო-ზად, რამეთუ ანგელოზი მეტისმეტად უდიერად მომექცა, თა-ნაც ისე მარჯვედ ირჯებოდა, მის ნება-სურვილს წინ ვერასდი-დებით ვერ აღუდღეჭიო. ეს აღსარება რომ მოისმინა, რაც არ-სებითად ახალს არაფერს ამცნობდა, მორისმა ცოფები ჰყარა, ანგელოზს უმსგავსი, პირუტყვი უწოდა და დაიფიცა, უქვე-ლად პანჩურს ამოვკრავ, თუკი ოდესმე მივწვდი მის უკანალ-

სო. მაგრამ მალე მისი რისხვა ქალბატონ დეზ ობელს დაატყდა თავს: შენ თვითონ გამოიწვიე, უკადრისად რომ მოგპყრობოდაო და ბრაზით ატანილმა ქალს სულ ზედ დააყარა, რაც კი სალანძღავი სიტყვა სმენოდა გარყვნილებისა და უსირცხვილობის სიმბოლოდ ქცეული. რა პირუტყვის სახელით არ მონათლა. არკადისადმი სიყვარული კიდევ უფრო მგზნებარედ შემოენთო გულზე, ვიდრე ოდესმე, მიტოვებულმა ყმაწვილკაცმა ხელგანხმობითა და მუხლმოდრეკით მოუხმო თავის ახგელოზს, გული ამოუჯდა და სიმწრის ცრემლები წასკდა.

უძილო ღამეებში მორისს აზრად მოუვიდა, ის წიგნები, რომელთაც ახგელოზი ფურცლავდა გამოცხადებამდე, შეიძლება ავგაროზად გამომადგესო. დიდად არ დაახანა, გამთენიისას ბიბლიოთეკაში ავიდა და დილა მშვიდობისა უსურვა ბნ სარიეტს, რომელიც კატალოგს ადგენდა რომანტიულად მომზირალი ალექსანდრ დ'ესპარვიეს ბიუსტის ქვეშ. ბ-ნი სარიეტი ილიმებოდა, თუმც სახეზე მკვდრის ფერი ედო. ახლა, როცა უხილავი ხელი აღარ რევდა მის ანაბარ წიგნებს, როს ბიბლიოთეკაში კვლავ წესრიგი და სიმშვიდე სუფევდა, ბ-ნი სარიეტი ბედნიერი გახლდათ, მაგრამ დღითი დღე ძალ-ღონე ელეოდა; მისგან მხოლოდ მოფარფატე და დანუგეშებული ჩრდილილა დარჩენილიყო.

ლხინშიაც ხშირად დღეს გვიწამლავს განვლილი კიარი

მორისმა უთხრა:

— ბატონო სარიეტ, ხომ გახსოვთ ის დრო, როცა თქვენს წიგნებს ყოველდამ აფორიაქებდა, აქოთებდა, რევდა, წეწლა ვილაცა და ისინიც დასტა-დასტა ქრებოდნენ, იკარგებოდნენ და ზოგ მათგანს პალანტენის ქუჩის დარშიაც კი პოულობდნენ. საუცხოო დროება იყო მიჩვენეთ ერთი, ბატონო სარიეტ, ის წიგნები, რომელთაც ყველაზე მეტი ჯაფა ედგათ.

ამ სიტყვებზე ბატონი სარიეტი მწარედ მოიღუშა. მორისს სამჯერ დასჭირდა ნათქვამის გამეორება, სანამ მოხუც ბიბლიოთეკარს რამეს შეასმენდა. ბოლოს ბ-ნმა სარიეტმა ძალზე ძველი იერუსალიმური თალმუდი უჩვენა, უხილავი ხელი ხშირად იტაცებდაო. მერე — ოცი გვერდისგან შემდგარი, პაპირუსზე ნაწერი აპოკრიფული სახარება გადმოუღო,

III საუკუნისა; ესეც ბევრჯერ მოუტაცნიათო. ეტყობა გასენ-
დის მიმოწერაც უთვალავჯერ გადაუფურცლავთო.

— მაგრამ, — დასძინა ბატონმა სარიეტმა, — წიგნი, რო-
მელსაც ყველაზე ხშირად ხმარობდა საიდუმლოებით მოცუ-
ლი სტუმარი, პატარა ტანის „ლუკრეციუსი“ იყო, წითელ
ტარსიკონის ყდაში ჩასმული, საფრანგეთის დიდი პირობის —
ფილიპ ვანდომელის გერბით შემკული, რომლის აშოებზედაც
თვით ვოლტერს საკუთარი ხელით გაუკეთებია მინაწერები.
აკი ცნობილია, რომ სიჭაბუქეში ვოლტერს ტამპლი იზიდავ-
და. საზარელი მკითხველი, რომელმაც ამდენი საფიქრალი გა-
მიჩინა, ამ „ლუკრეციუსის“ ფურცვლით არ იღლებოდა და
თუ შეიძლება ითქვას, იგი თავის სასთუმლის წიგნადაც აქცია.
გემოვნება კარგი ჰქონია, ეს მართლაც იშვიათი განძია. ეაგ-
ლახს იმ ურჩხულმა 137-ე გვერდზე მელანი დააღვენთა და ამ
ნაღვენთს ქიმიკოსთა მთელი ხელოვნებაც ვერ ამოშლის.

და ბ-ნმა სარიეტმა ერთი ღრმად ამოიოხრა. თან მაშინვე
ინანა, ამდენს რა მალაპარაკებდაო, რაკი ჰაბუქმა დ'ესპარვი-
ემ მოსთხოვა, მომეცით ეგ ძვირფასი „ლუკრეციუსიო“. ძუნ-
წმა წიგნის მცველმა ამაოდ მოიმიზეზა, წიგნი მკაზმავთანაა
და ვერ მოგართმევთო. მორისმა აგრძნობინა, ასე იოლად ვერ
გამაცურებო; სავარძელში ჩაჭდა და უთხრა მოხუცს:

— აბა, გელით.

ბ-ნმა სარიეტმა ლათინი პოეტის სხვა გამოცემა შესთავაზა.
ტექსტი იქ უფრო გამართულია და მაშასადამე, სამუშაოდაც
უფრო გამოსადეგო. ბარბუს „ლუკრეციუსიც“ შეაძლია,
კუსტელიესიც, რომელშიაც ფრანგული თარგმანიც იყო და-
ბეჭდილი. ჩამოაცივდა, აირჩიეთ ბარონ კუტიურის ცოტა მოძ-
ველებული გამოცემა, ანდა ლა გრანჟის, ან სულაც ნიზარისა
და პანკუკის გამოცემები; ყველაფერს კი აჯობებს წაიღოთ
საფრანგეთის აკადემიის წევრის, ბ-ნ დე პონეერვილის მიერ
გადმოკეთებულ ვერსიათაგან რომელიმე, ერთი ლექსადაა, მე-
ორე — პროზადო.

— მე თარგმანი არ მჭირდება, — შეჰყვირა ქედმაღლურად
მორისმა, — მომეცით ვანდომის პირობის „ლუკრეციუსი“.

ბ-ნი სარიეტი ნელა მიუახლოვდა კარადას, სადაც ეს განძი
ინახებოდა. გასაღებებს წკრიალი გაჰქონდათ მის აკანკალებულ
ხელში; საკეტთან მიიტანა თუ არა, მყისვე განაჩიდა და მო-

რისს სახალხოდ გამოცემული „ლუკრეციუსი“ შესთავაზა გარნიეს კოლექციიდან.

— ძალზე მოსახერხებელია, — დააყოლა შემპარავე ღიმილით.

მაგრამ მორისმა არაფერი უპასუხა და მოხუცი მიხვდა, წინააღმდეგობა არ გამოივია, ფრთხილად გამოიღო წიგნი კარადიდან, და მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ ერთი ნამცეც მტვერიც არ იყო სუფრაზე, აკანკალებული ხელით ალექსანდრ დ'ესპარვიეს ბაღის წინ დადო.

მორისმა წიგნს ფურცვლა დაუწყო და 137-ე გვერდს რომ მიადწია, ლობიოს მარცვლისოდენა იისფერი მელნის ნალვენთს დაატკერდა.

— აკი გეუბნებოდით, — უთხრა მამილო სარიეტმა, რომელიც თვალს არ აცილებდა „ლუკრეციუსს“, — აი კვალი, უხილავმა ურჩხულებმა რომ დაგვიტოვეს ამ წიგნზე.

— როგორ, ბატონო სარიეტ, განა ბევრნი იყვნენ? — შეცბა მორისი.

— რა მოგახსენოთ; მაგრამ არ ვიცი მაქვს თუ არა უფლება ამოვაშლევინო ეს ლაქა; პოლ-ლუი კურიეს* მიერ ფლორენციულ ხელნაწერზე დაღვენთილი მელნისა არ იყოს, ესეც შეიძლება ლიტერატურულ დოკუმენტად მიიჩნიოს კაცმა.

ბერიკაცმა ეს სიტყვები დაასრულა თუ არა, შემოსასვლელი კარის ზარმა დაიწკარუნა და მეზობელი ოთახიდან ნაბიჯების ბრახაბრუხი და ხმამაღალი ყვირილი მოისმა. სარიეტი იქით ეცა და შეეჩეხა მამილო გინარდონის საყვარელს, მოხუც ზეფირინს, რომელსაც თმა გველებივით აშლოდა, სახეზე ალმური მოსდებოდა, მკერდი გამალებით აუღ-ჩაუდიოდა, ბალიშივით მუცელი უთიმთიმებდა საშინელი ქარიშხლისაგან. ქალს მწუხარებისა და ბრაზისაგან სული ეხუთებოდა. ქვითინს, კვნესასა და ოხვრას სხვა ათასი ხმა მოაყოლა; მოკლედ, ყველანაირ ხმაურს გამოსცემდა, სულდგმულთა ემოციები და საგანთა ღელვა რომ ბადებს დედამიწაზე.

— წავიდა ის ურჩხული, — შეპყვირა ქალმა, — იმ ოხერთან წავიდა! რაც რამ გვებადა, ყველაფერი წაიღო და ერთი ფრანკისა და სამოცდაათი სანტიმის ამარა დამტოვა!

და წვრილად, უთავბოლოდ შეუდგა იმის მოყოლას, რო-

გორ მიატოვა მიშელ გინარდონმა, როგორ გაეკიდა მებურის ქალ ოქტავიას. მერე მოლაღატის ლანძღვა-გინებას მოჰყვა:

— თანაც ვინ? კაცმა, რომელსაც მე ვარჩენდი ორმოცდაათ წელზე მეტ ხანს: დიახ, ფული არ მაკლდა, კარგი ნაცნობობაც მქონდა... მე ამოვართიე სილატაკის წუმპიდან და აი, როგორ გადამიხადა სამაგიერო. კარგი მეგობარი კი გყავთ, აი! უქნარა, ბავშვივით მისახედი, ლობთაზარა!.. საძაგელი... თქვენ ჯერ კადევ არ იცნობთ, ბატონო სარიეტ... ყალბისმქნელიცაა. ვითომდაც ჯოტოს ნახატებს თითხნის, დასტა-დასტა, დიახ, ჯოტოს, ფრა ანჟელიკოს, გრეკოს ჰბაძავს, რომ მერე სურათებით მოვაჭრეებს მიჰყიდოს; ფრაგონარსაც ჰბაძავს, ბოდუენსაც, აბაი!.. ის გარყვნილი, ისა! ღმერთიც რომ არა სწამს!.. სწორედ ესაა ყველაზე უარესი, ბატონო სარიეტ, რადგან თუ კაცს ღვთის შიში არა აქვს...

დიდხანს ასე ილანძღებოდა და იგინებოდა ზეფირინი; ბოლოს ძალი წაერთვა; ბატონმა სარიეტმა ესარგებლა ამით, შეეცადა დაემშვიდებინა და მის გულში იმედის ნაპერწკალი გაეღვივებინა. გინარდონი დაგიბრუნდება, ორმოცდაათი წლის შენმატკბილებული ცხოვრების ასე ერთბაშად დავიწყება არ იქნებაო...

ამ ტკბილმა სიტყვებმა კვლავ გამოიწვიეს ზეფირინის რიხვა. ქალმა დაიფიცა, ჩემს ღღეში არ დავივიწყებ შეურაცხყოფას და იმ ურჩხულს შინ არასოდეს შემოვუშვებო. მუხლზე ჩოქვითაც რომ მთხოვოს პატიება, ზედაც არ მივხედავ, სანამ სული არ აღმოხდებაო.

— ნუთუ არ გესმით, ბატონო სარიეტ, მეზიზღება, მძულს, მეჯავრება!

ერთი სამოცჯერ მაინც დაიქადა ასე, სამოცჯერ დაიფიცა, აღარ მსურს გინარდონის ძილება, აღარ შემეძლია მისი ატანა, თვალის დასანახავადაც მეზარებაო.

ბ-ნი სარიეტი არ ცდილა შეერყია ეს გადაწყვეტილება, ირწმუნა, ამდენი ფიცილის შემდეგ თავის ნათქვამს მაინც არ გადავაო. ზეფირინი არ გაუკიცხავს, მოუწონა კიდევ განაზრახი. მოტივებულ ქალს წინ უფრო წმიდა ჰორიზონტები გადაუხსნა, ელაპარაკა ადამიანურ გრძნობათა უხანობაზე, კარგია, ბოროტს რომ განრიდებინარო, ურჩია, უფლის ნებას კრძალულის მორჩილებით შეხვდიო და დასძინა:

— ამას იმიტომ ვამბობ, რომ ის თქვენი მეგობარი, მართალი თუ გნებავთ, არც კია სიყვარულის ღირსი...

მეტის თქმა ველარ მოასწრო. ზეფირინი მივარდა, გააგებით სწვდა რედინგოტის საყელოში და შეარყია:

— არც კია სიყვარულის ღირსიო, — გაჰყვიროდა იგი და თან სუნთქვა ეკვროდა, — მიშელი არ არის სიყვარულის ღირსი! ო, ღმერთო ჩემო, აბა მეორეცა ნახეთ მასავით ალერსიანი, მასავით მხიარული, მასავით ჰკვიანი, მასავით მუდამ ჭაბუკი, სულ მუდამ... არც კი იმსახურებს სიყვარულსო! ზედვე გეტყობა, სიყვარულისა არაფერი გაგეგება, შე ბებრუხანავ!..

ახალგაზრდა დ'ესპარვიემ ისარგებლა იმით, რომ მამილო სარიეტი ეგზომ დაკავებული იყო, ჯიბეში ჩაიკურა პატარა „ლუკრეციუსი“, თამამად ჩაუარა წინ ზეფირინის კლანჭებში მოხვედრილ ბიბლიოთეკარს და ხელის აწევით გამოემშვიდობა.

ამ ავგაროზით აღჭურვილმა ტერნის ქუჩას მიაშურა, სადაც ქალბატონი მირა იდგა; ქალმა წითელ, ოქროსფრად მოვარაყებულ სასტუმრო ოთახში მიიღო იგი, სადაც ვერც ჭოტსა და ვერც გომბეშოს მოჰკრავდა თვალს კაცი და ვერც ძველებური მაგიის სხვა საგნებს დალანდავდა. ქალბატონი მირა ქლიავისფერ კაბაში გამოკვართულიყო; თმა დაეპუღრა. ახალგაზრდა აღარ ეთქმოდა, მაგრამ ჩინებულად გამოიყურებოდა. საუბარიც დახვეწილი ჰქონდა და თავიც მოსწონდა, რომ დაფარულს მეცნიერების, ფილოსოფიისა და რელიგიის შემწეობით ამოიცნობდა. ხელით მოსინჯა ტარსიკონის ყდა და თვალეზმობილულმა წამწამებს შორის გამოხედა ლათინურ სათაურსა და გერბს, მაგრამ ვერაფერი გაუგო. ავგაროზებად მუდამ ბეჭდებს, ცხვირსახოცებს, წერილებს, თმის კულულებს ღებულობდა და ვერ მიმხვდარიყო, რა პიროვნება უნდა ყოფილიყო ამ უცნაური წიგნის პატრონი. ანგარიშმიუცემლად, ჩვეული მოხერხებულობით, მოჩვენებითი გაოცებით ჰეშმარიტი განცვიფრება დაფარა.

— საოცარია, — წაიჩურჩულა მან, — საოცარი!.. კარგად ვერ გამიჩრჩევია... ვხედავ ქალს...

ეს მაგიური სიტყვა რომ წარმოთქვა, მალულად შეამოწმა, რა შთაბეჭდილებას ახდენდა თანამოსაუბრეზე და მის სახეზე მოულოდნელი იმედის გაცრეუება ამოიკითხა. შენიშნა თუ არა,

სწორ გზას არ ვადგავარო, მყისვე შეცვალა თავისი წინასწარ-მეტყველება.

— მაგრამ ქალი მაშინვე კრება... უცნაურია... უცნაური. ბუნდოვნად ვხედავ გაურკვეველ სხეულს, ამოუხსნელ არსებას...

თვალის ერთი მოვლებით დარწმუნდა, რომ ამჯერად კლიენტი პირდაპირ ულაპავდა მის სიტყვებს და დიდხანს ილაპარაკი ამ არსების ორბუნებოვნებაზე, ნისლზე, რომელიც მას ებურა.

ჩვენება თანდათან სულ უფრო და უფრო მკაფიოდ იკვეთებოდა ქალბატონ მირას თვალწინ. ქალიც ფეხდაფეხ მისდევდა კვალს.

— დიდ ბულვარზე... მოედანზე, სადაც ქანდაკება დგას... ერთი უკაცური ქუჩაა, ერთი კიბე. ისიც აქ მოსულა, მოციხფრო ოთახში... ყმაწვილი კაცია, სახე ფერმკრთალი და შეფიქრიანებული აქვს. თითქოს რაღაცას ნანობს და, რომ შეეძლოს, ჩადენილ შეცდომას აღარ გაიმეორებდა.

მაგრამ ამ წინასწარმეტყველებამ ძალზე დიდი ენერჯია წაართვა. დადლილობამ ხელი შეუშალა მარჩიელს გაეგრძელებინა თავისი ტრანსცენდენტული ძიებანი. საბოლოოდ რომ ამოწურა თავისი ძალები, დაჟინებით ურჩია მორისს, მუდამ მკიდრო კავშირში იყავ ღმერთთან, თუ ვსურს ხელახლა ჰპოვო ის, რაც დაგიკარგავს და წარმატებას მიაღწიო შენს საქმეებშიო.

მორისმა წასვლისას ერთი ლუიდორი დატოვა ბუხარზე და აღელვებული, აფორიაქებული გამოვარდა მარჩიელისაგან. დარწმუნებული იყო, ქალბატონ მირასათვის ზებუნებრივი ნიქი უბოძებია ღმერთს, ოღონდ მე დიდად ვერაფერში წამადგაო.

კიბის ძირში გაახსენდა, რომ პატარა „ლუკრეციუსი“ პითიის მაგიდაზე დარჩა; იფიქრა, მოხუცი მანიაკი ვერ გადაიტანს მის დაკარგვასო და უკან აბრუნდა წიგნის მოსატანად. მამისეულ სახლში რომ დაბრუნდა, მის წინ მწუხარე ლანდი აისვეტა. ეს მამა სარიეტი გახლდათ; მტირალი ხმით, ნოემბრის ქარის ზუზუნს რომ ჰგავდა, ქაბუკს თავისი „ლუკრეციუსი“ მოსთხოვა. მორისმა წიგნი დაუღვერად ამოაძვრინა პალტოს ჯიბიდან.

— ასე ნუ ჯავრობთ, ბატონო სარიეტი, აი თქვენი წიგნაკი ბიბლიოთეკარმა მკერდში ჩაიკრა წიგნი, ხელახლა ნაპოვნი განძი წაიღო და ნაზად დადო მაგიდის ლურჯ მაუღზე. თან თავს იმტვრევდა, სად, რომელ სამალავში შეეხიზნა ეს უძვირფასესი საუნჯე; ათასნაირ გეგმებს აწყობდა მუყაითი ბიბლიოთეკარი. მაგრამ რომელ ჩვენგანს შეუძლია დაიტრაბახოს, ბრძენი ვარო? კაცნი სულ ახლო მომავალსაც ძლივს ჰკვრეტენ და რაც არ უნდა იფრთხილონ, რა ღონესაც არ უნდა მიმართონ, ხშირად გაწბილებულნი რჩებიან ხოლმე. ბედის დარტყმებს ვერავინ აიცდენს, მის განაჩენს ვერავინ გადუვა. ვერავითარი ტვინის ჰყლეტა, ვერავითარი ძალისხმევა ბედისწერას ვერ აჯობებს. რა უბედურები ვართ! ბრმა ძალა, რომელიც მართავს მნათობებსა და ატომებს, ჩვენი უბედობისგან მსოფლიო წესრიგს ადგენს! ჩვენი ბედშობა სამყაროთა პარმონიისათვისაა საჭირო. ეს დღე მკაზმავის მოსვლის დღე იყო, დროთა დინებას წელიწადში ორჯერ, ვერძის ნიშნისა და სასწორის ნიშნის ქვეშ რომ მოჰყავდა ხოლმე. ამ დღეს ბ-ნი სარიეტი დილიდანვე ამზადებდა წიგნების პარტიას მკაზმავისათვის; მაგიდაზე აწყობდა ახლად შეძენილ წიგნებს, რომლებიც ტყავის ან მუყაოს ყდის ღირსად ეცნოთ და ისეთებსაც, რომელთა სამოსსაც შეკეთება ესაჭიროებოდა. გულმოდგინედ ადგენდა სიებს, სადაც თითოეული წიგნის მდგომარეობას სულ დეტალურად აღწერდა. ზუსტად ხუთ საათზე აბეის ქუჩელი მკაზმავის, ლეჟე-მასიეს მოხელე, მოხუცი ამედეუსი აკითხავდა დ'ესპარვიეთა ბიბლიოთეკას და როცა ბ-ნი სარიეტი ერთი-ორჯერ მაინც გადასინჯავდა წასაღებ წიგნებს, ტილოში გაახვევდა, რაც კი რამ მისი პატრონისათვის იყო გადარჩეული, მერე ოთხსაჯ კუთხეს მოუკრავდა, მხარზე მოიგდებდა, ამ სიტყვებით გამოეთხოვებოდა ბიბლიოთეკარს:

— სალამო მშვიდობისა, მეგობრებო.

და კიბეს ჩაივლიდა.

ამჯერადაც ყოველივე ისე მოხდა, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა. მაგრამ ამედეუსმა მაგიდაზე „ლუკრეციუსი“ რომ დაინახა, უზაკველად მასაც თავის ფუთაში უკრა თავი სხვა წიგნებთან ერთად ისე, რომ ბ-ნი სარიეტს არაფერი შეუნიშნავს. ბიბლიოთეკარი ისე გამოვიდა სფეროთა და ფილოსოფოსთა დარბაზიდან, რომ სულ გადააეიწყდა წიგნი, რომლის

უქონლობასაც მთელ დღეს ასე მწვავედ განიცდიდა. მკაცრი მსაჯულები ამ გულმაეიწყობას არასდიდებით არ მიუტევებენ მოხუცს. მაგრამ განა უმჯობესი არ იქნება, ვალიართ, რომ ბედმა განაგო აგრერიგად და რომ ეგრეთ წოდებულმა შემთხვევამ, რაიც სინამდვილეში ბუნების წესრიგია, მოაწყო ეს პაწია ოინი, რომელსაც ადამიანთა თვალსაზრისით თავზარდამცემი შედეგები მოჰყვა. ბ-ნი სარიეტი სასადილოდ წავიდა „ოთხი ეპისკოპოსის“ კაფეში და გაზეთი „კრუა“ გადაიკითხა. მშვიდი იყო და უშფოთველი. მეორე დღეს, როცა სფეროთა და ფილოსოფოსთა დარბაზში შევიდა, გააბხენდა „ლუკრეციუსი“ და რაკი მაგიდაზე აღარ დაუხვდა, ყველაგან მოიძია, მაგრამ ვერსად მიაგნო. აზრად არ მოსვლია, იქნებ ამედუესმა გააყოლა ხელსო. გუმანმა უკარნახა, უთუოდ უხილავი სტუმარი დაბრუნდაო და საშინელმა მწუხარებამ მოიცვა.

უბედურ წიგნების მცველს ანაზღად წინკარიდან რალაც ხმაური შემოესმა: კარი გამოალო და პატარა ლეონი კი დაუხვდა, რომელსაც თავზე მოსირმული ქუდი დაეხურა, „საფრანგეთს გაუმარჯოსო“, გაჰყვიროდა და წარმოსახვით მტრებს იპოლიტის ჭაგრისებს, ჩერებს და მასტიკას ესროდა. ბავშვს ომობანას სათამაშოდ ეს წინკარი ერჩია სახლის სწვა კუთხე-კუნჭულებს, ხანდახან ბიბლიოთეკაშიც კი იჭრებოდა ხოლმე. ბ-ნმა სარიეტმა უეცრად იეჰვა, ამან ხომ არ აილო „ლუკრეციუსი“, ყუმბარა რომ გააკეთესო და ბიჰს მუქარით მოსთხოვა წიგნი. ბავშვმა იუარა, არა, ხელიც არ მიხლიაო და ბატონმა სარიეტმაც დაპირებებს მიმართა:

— ლეონ, პატარა, წითელყდიან წიგნს თუ მომიტან, შოკოლადს მოგცემ.

ბავშვი ჩაფიქრდა და საღამოთი, როცა ბ-ნი სარიეტი კიბეზე ჩადიოდა, წინ შემოეგება:

— აი წიგნი!

უთხრა და დაკონკილი, სურათებიანი ალბომი — „გრიბულის თავგადასავალი“ გაუწოდა, თან შოკოლადი მოსთხოვა.

რამდენიმე დღის შემდეგ მორისმა ფოსტით მიიღო სამძებრო სააგენტოს პროსპექტი, სააგენტოსი, რომელსაც პრეფექტურის ყოფილი მოხელე ხელმძღვანელობდა. ეს სააგენტო თავის კლიენტებს ჰპირდებოდა, სწრაფად ეიმოქმედებოდა და საიდუმლოსაც შეგინახავთო. აღნიშნულ მისამართზე მო-

რის უღვაშებიანი კაცი დაუხედა, პირქუში, შეფიქრიანებული სახე რომ ჰქონდა. კაცმა ბე მოსთხოვა და აღუთქვა, ვისაც დაეძებთ, მალე გიპოვნითო.

პრეფექტურის ყოფილმა მოხელემ მართლაც მალე მოსწერა; აცნობებდა, გამოძიება დაიწყო, ხარჯი ბევრი გვეწევს და კვლავ ფული გვეჭირდებაო. მორისს ფული არ მიუცია და გადაწყვიტა თვითონ შესდგომოდა ძებნას. ბევრი თავის მტკრევის შემდეგ დაასკვნა, ანგელოზი უთუოდ მასავით ჯიბეგამოფხეკილ მაწანწალებში გაერია, ან კიდევ — საფრანგეთში ჩამოხვეწილ უცხოელებში, ისინიც ხომ მასავით რევოლუციონერები არიანო. სულ დაიარა სენტ-უანის, ლა-შაპელის, მონმარტრის, იტალიის საგუშაგოების ავეჯით გაწყობილი ოთახები, ღამის გასათევი სახლები, სადაც ჰერეზებივით წევს ხალხი, სამიკიტნოები, სადაც შიგნეულის კერძები მოაქვთ სადილად და ისეთებიც, სადაც სამ სუდ ღირებული სასმელით უმასპინძლდებიან კლიენტებს, პალის სარდაფებიც მოინახულა, მამილო მომის ჭურღბაცაცათა სადგომიც.

მორისი ეწვია რესტორნებს, სადაც ნიჰილისტები და ანარქისტები სადილობენ; იქ კაცებად გადაცმული ქალები და ქალებად გადაცმული კაცები ნახა; შეხვდა პირქუშ, სახეჩამომტირალ ჰაბუკებსა და ოთხმოცი წლის ცისფერთვალა ბერიკაცებს, ჩვილებივით ნეტარი ღიმილი რომ დასთამაშებდათ ბაგეზე. რომ გამოიკითხა და ჩაეძია, ჯაშუშად მიიჩინეს და ერთმა მეტისმეტად ლამაზმა ქალმა დანა ჩასცა. მაგრამ მეორე დღესვე კვლავ განაგრძო ძებნა სამიკიტნოებში, ავეჯით გაწყობილ ბინებში, საროსკიპოებში, ბანქოს სათამაშო ბუნაგებში, გლახაკთა თავშესაფრებში, ფუნდუკებში, სასაუზმეებში, ზღუდეთა ირგვლივ რომ იყო ჩარიგებული, მეწვრილმანეებთან, მეძველმანეებთან და აპაშებს შორის.

გაძვალტყავებულ, კრიჭაშეკრულ, სიქაგაცლილ შვილს რომ ხედავდა, დედამისი იტანჯებოდა.

— ცოლი უნდა შევრთოთ, — გაიძახოდა იგი, — სამწუხაროა, რომ მადმუაზელ დე ლა ვერდელიერს მეტი მზითევი არა აქვს.

აბატი პატუიც არ მალავდა თავის შეშფოთებას:

— ყმაწვილი სულიერი კრიზისის ტყვეა, — ამბობდა იგი.

— მე უფრო მგონია, — მიუგებდა ბ-ნი რენე დ'ესპარ-

ვიე, — ვილაც ბოროტი ქალის გავლენის ქვეშ მოექცა. უნდა გამოვუნახოთ საქმე, რომელიც ძალ-ღონეს მოსთხოვს და მის თავმოყვარეობასაც წამლად დაედება. მე შემიძლია სოფლის ეკლესიათა დამცველი კომიტეტის მდივნად, ანდა კათოლიკე მეწყალსადენეთა მრჩეველ ადვოკატად დავანიშნინო.

თ ა ვ ი XVII

საიდანაც ვხედავთ, რომ მათონასაპით* ოქროს
დახარაბაულმა სოფარმა. თავის ზეციურ საფარგლს
მომხირობისა და კრამდის კურთხეული მიწა —
საზრანავითი აფრონიას და ერთხელ კიდევ ვაწუხნდებით
იმაში, რომ მდიდრებს ყოველგვარი ცვლილებისა ეზინით

არკადი კი ამასობაში წელებზე ფეხს იდგამდა და უჩინარ ცხოვრებას ეწეოდა. ერთ სტამბაში მუშაობდა სენ-ბენუას ქუჩაზე და მუფტარის ქუჩის ღარიბულ მანსარდაში იდგა. როცა მისი ამხანაგები გაიფიცნენ, სახელოსნოდან წამოვიდა, მთელი ძალი და ღონე პროპაგანდას შესწირა და ისე გაუპარჯდა, რომ აჯანყების საქმეს შეჰმატა ორმოცდაათ ათას მფარველ ანგელოზზე მეტი; რომლებიც, ზიტას თქმისა არ იყოს, უკმაყოფილონი იყვნენ თავიანთი ხვედრისა და თავი საუკუნის იღუპებით ჰქონდათ გამოტენილი. მაგრამ ნიადაგ ქესეტად იყო, მაშასადამე, თავისუფლებაც აკლდა და არ შეეძლო მთელი დრო ცათა შეილების განსასწავლად გამოეყენებინა. როგორცა ჩანდა, თავადი იშთარიც უფულობის გამო სულ უფრო და უფრო მდარე ბომბებს ამზადებდა. ბევრ პატარ-პატარა, ჯიბის ყუმბარას კი აკეთებდა; მთლად გამოავსო თეოფილის ბინა, თითო-ოროლა მუდამდღე კაფეების სკამებზედაც რჩებოდა ხოლმე. მაგრამ მოგეხსენებათ, მოხდენილი, მოხერხებული, მარჯვედ სახმარი ბომბი, რომელიც თვალის დახამხამებაში მრავალ დიდ სახლს ალგვის პირისაგან მიწისა, ოციდან ოცდახუთ ფრანკამდე ჯდება. თავად იშთარს მხოლოდ ორი ამგვარი ბომბი გააჩნდა. რაკი სახსრების შოვნა ორთავეს სურდა, არკადი და იშთარი ერთად ეწვივნენ ფულის სათხოვნელად ცნობილ ფინანსისტ მაქს ევერდინგენს, რომელიც, ყველას მოგეხსენებათ,

კრედიტის უდიდეს დაწესებულებას განაგებს საფრანგეთში; ოლონდ ამქვეყნად ცოტამ თუ უწყის ის ამბავი, რომ მაქს ევერდინგენი ქალისგან როდია შობილი, ისიც ცთომილი ანგელოზია. სრულ ჭეშმარიტებას მოგახსენებთ. ცაში სოფარი ერქვა და იალდაბათის განძს დარაჯობდა, იგი ხომ ოქროსა და პატიოსან თვალთა დიდი მოყვარული ვახლავთ. თავის ვალს რომ აღასრულებდა, სოფარს გულს ჩაეჭედა სიმდიდრის ისეთი სიყვარული, რომლის დაკმაყოფილებაც წარმოუდგენელია იმ საზოგადოებაში, სადაც არც ბირჟა არსებობს და არც ბანკი. გულში ებრაელთა ღმერთისადმი მგზნებარე სიყვარული არ განელებია, მისი ერთგულიც დარჩა მრავალი წლის განმავლობაში. მაგრამ ქრისტიანული ერის XX საუკუნის დასაწყისში ცათა სიმალლიდან საფრანგეთს რომ გადმოაელო თვალი, დაინახა, რესპუბლიკად წოდებული ეს ქვეყანა სინამდვილეში პლუტოკრატიად ქცეულიყო და იქ დემოკრატიული მმართველობის სახით უზენაესი ხელისუფლება უზედამხედველოდა და უკონტროლოდ მსხვილ კაპიტალს ეპყრა. მას მოღმა მისთვის ემპირიაში ყოფნა გაუხადლისი შეიქნა. საფრანგეთს ისე მიელტვოდა, როგორც აღთქმულ მიწას და ერთ მშვენიერ ღღეს მოხვეტა იმდენი ნარჩევი პატიოსანი ქვა, რამდენის ზიდვაც მოახერხა, მიწაზე დაეშვა და პარისს დამკვიდრდა. აქ გაუმაძლარი ანგელოზი დიდ-დიდი საქმეების გარიგებას შეუდგა. ხორცშესხმის შემდეგ მის სახეს აღარაფერი ეცხო ზეციური; წმიდა წყლის სემიტურ ტიპს წარმოადგენდა, სახეზე უამრავი ღარი და ნაოჭი ასხდა, ზუსტად ისეთი, ბანკირებს რომ აქვთ ხოლმე და ჭერ კიდევ კვენტინ მასეისის⁴ მევახშეებს ამკობდათ. პირველ ხანებში ბევრ მოგებას ვერ ნახულობდა, მაგრამ სულ მალე აურაცხელი ქონების მფლობელი გახდა. ცოლად ერთი გონჯი ქალი შეირთო, მერე ბავშვებიც შეეძინათ და ცოლ-ქმარს შეეძლო თავიანთი თავი ისე ეხილა შვილებში, როგორც სარკეში. მაქს ევერდინგენის ოტელი, რომელიც ტროკადეროს ბორცვზეა აღმართული, ქრისტიანული ევროპისგან ნაძარცვი განძეულითაა სავსე.

ბარონმა თავის სამუშაო კაბინეტში მიიღო არკადი და თავადი იშთარი; ეს ოტელის ერთი ყველაზე უბრალო ოთახი ვახლავთ. ჭერი მორთულია ტიეპოლოს ფრესკით, ვენეციის რომელიღაც სასახლიდან რომაა მოტაცებული. ამ კაბინეტში

ნახავთ რეგენტ ფილიპ ორლეანელის საწერ მაგიდას. და კიდევ უამრავ კარადასა და ვიტრინას, სურათებსა და ქანდაკებებს.

არკადმა ირგვლივ მიმოიხედა:

— როგორ მოხდა, ჩემო ძმაო სოფარ, რომ აქვენ, ვისაც ჯერ კიდევ ებრაული გული გიძვერთ საგულეში, სტეხთ თქვენზე ღმერთის მცნებას: „არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი“. აქ ჰუდონის აპოლონს ვხედავ, ლემუანის ჰებეს, და კაფიერის რამდენიმე ბიუსტს. როგორც სიბერეში შესულ სოლომონს, ჰოი, ღვთის შეილო, სახლში უცხო ტომთა კერპები დავიდვამთ. თუ არ კერპები, მაშ რა ვუწოდოთ ბუშეს ამ ვენერას, რუბენსის იუპიტერს, ამ ნიმფებს, რომლებსაც ბუშეს ყალმის წყალობით კრიალა საჯდომებზე ჟოლოს მურაბისფერი გადასდით. სოფარ, მარტო ამ ვიტრინებში წმიდა ლუის სკიპტრას, მარია-ანტუანეტას დაშლილი ფარლულიდან გამომძვრალ ექვსას მარგალიტს, კარლოს V საიმპერატორო მოსახხამს, გიბერტის მიერ პაპ მარტინ V კოლონასათვის დამზადებულ ტიარას, ბონაპარტის ხმალსა და რა ვიცი, კიდევ რას არ ვხედავ.

— ეგ წერილმანებია, — ჩაიდუღუნა მაქს ევერდინგენმა.

— ძვირფასო ბატონო, თქვენ გაქვთ ბეჭედი, კარლოს დიდმა რომ წამოაცვა თითზე ფერიას და დღემდე დაკარგულად მიაჩნდათ... — წამოიწყო თავადმა იშთარმა, — მაგრამ სჯობს ჩვენს საქმეს მივხედოთ. მე და ჩემი მეგობარი თქვენთან ფულის სათხოვნელადა ვართ მოსული.

— ასეც ვფიქრობდა, — წაიბურტყუნა მაქს ევერდინგენმა, — ყველა ფულს თხოულობს ჩემგან, მაგრამ სხვადასხვა საქმისათვის. თქვენ რაღად დაგპირვებით ფული?

თავადმა იშთარმა უბრალოდ მიუგო:

— რევოლუცია უნდა მოვახდინოთ საფრანგეთში.

— საფრანგეთშიო? — გაიმეორა ბარონმა, — საფრანგეთში?.. მაშ, ჩემგან ვერასდროს მიიღებთ ფულს საამისოდ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ.

არკადს არ დაუფარავს, რომ ზეციერი ძმისაგან უფრო მეტ გულუხვობასა და სულგრძელ დახმარებას ელოდა.

— ჩვენ გრანდიოზული გეგმები გვაქვს, — უთხრა ბარონს, — იგი ერთიანად მოიცავს ცასაც და მიწასაც. ყველა

წერილმანი მოვიფიქრეთ. ჯერ სოციალურ რევოლუციას მოვახდენთ საფრანგეთში, ევროპაში, მთელს პლანეტაზე; მერე ცასაც შევუტევთ და იქ მშვიდობიან დემოკრატიას დავამყარებთ. მაგრამ ცის სიმაგრენი რომ შევემუსროთ, უფლის მთა რომ დავამხოთ, ციურ იერუსალიმზე იერიში რომ მივიტანოთ, უთვალავი ჯარი უნდა გვყავდეს, უთვალავი იარაღი, მძლავრი ყუმბარები, არნახული ძალის ელექტროფორები... ჩვენ საამისო თანხა არ ვაგვაჩნია. რევოლუციის მოხდენა საფრანგეთში ნაკლები სახსრებითაც შეიძლება. ამიტომაც განვიზრახეთ საფრანგეთიდან დავიწყოთ.

— გაგიყებულხართ, — შეჰყვირა ბარონმა ევერდინგენმა, — გიყებიც ყოფილხართ და ბრიყუებიც. მომისმინეთ: საფრანგეთში ერთი რეფორმაც კი არ არის გასატარებელი. აქ ყველაფერი სრულქმნილია, საბოლოო, შეუცვალებელი. შეუცვალებელი-მეთქი, გესმით?

და მეტი დამაჯერებლობა რომ მიენიჭებინა თავისი ნათქვამისათვის, ბარონმა ევერდინგენმა რეგენტის მაგიდას სამჯერ მძლავრად დასცხო მუშტი.

— ჩვენ ეგრე როდი ვფიქრობთ, — ტკბილად მიუგო არკადმა, — მე და თავად იშთარს მიგვაჩნია, რომ ამ ქვეყანაში ყველაფერი ძირფესვიანადაა შესაცვლელი. მაგრამ რა საჭიროა კამათი? ისედაც გვიანაა. ჩვენ, ძმავო სოფარ, შენთან ხუთასი ათასი ციური სულის სახელით მოვედით, სულებისა, რომლებიც ყოველ წუთს მზად არიან მსოფლიო რევოლუციის მოსახდენად.

ბარონმა ევერდინგენმა ხელები გაასავესავა, ჰკუდიდან გადამცდარან, ერთ სუსაც არ გავიღებ; დანაშაული და სიშლეგეა ქვეყნად ყველაზე საუცხოო რასმე შეუტეო, ისეთ რასმე, რაც მიწას ცაზე უფრო მშვენიერსა ხდის; აბა როგორ იქნება ფინანსებზე აღმართოთ ხელიო.

იგი პოეტი და წინასწარმეტყველი იყო: წმიდა გრძნობებმა გული აუთრთოლეს. სტუმრებს აუწერა ფრანგული მომჭირნეობა, წმიდა და უბიწო, ქებათა ქების* ქალწულის დარი სოფლის წიაღიდან რომ მოდის სოფლური კაბით მოსილი და მისი მომლოდინე ჯან-ლონით სავსე, უებრო საქმრო — კრედიტისათვის თავისი სიყვარულის უღევი სალარო რომ მოაქვს. მერე კრედიტზედაც ილაპარაკა: თავისი მეუღლის ძღვენით გამდიდრე-

ბული მსოფლიოს ყველა ხალხებს ოქროს წვიმას აწვიმებს და ხილვრად მომსკდარი ოქროც ათასი უხილავი არხით თავის წარმომშობ ნიადაგს უბრუნდებაო.

— მომჭირნობისა და კრედიტის წყალობით საფრანგეთი ახალ იერუსალიმად იქცა, რომლის ბრწყინვალეობაც ევროპის ყველა ერს გადასწვდენია და დედამიწის მეფეები მისი ოქროში დაფერილი ფეხების საამბოროდ მოეშურებიან. თქვენ კი ყოველივე ამის დანგრევა გწადიათ! უწმიდურები და ხატისმგმობელნი ყოფილხართ.

ასე ამბობდა ფინანსისტი ანგელონი. უხილავი არფის ხმები ახლდა თან მის ხმას და მისი თვალები ცეცხლს აკვესებდნენ.

არკადი კი ამასობაში დაუდევრად დაყრდნობოდა რეგენტის მაგიდას და ბარონს თვალწინ უშლიდა პარიზის მიწის, მიწისქვეშეთისა და ცის გეგმას, ზედ წითელი ჯვრებით აღნიშნული იყო ადგილები, სადაც ერთდროულად უნდა ჩაეწყოთ ქურვები სარდაფებსა და კატაკომბებში; ხალხმრავალი ქუჩებიც უჩვენა, სადაც აეროპლანებით უნდა ჩამოეყარათ ბომბები. ყველა საფინანსო დაწესებულება, ევერდინგენის ბანკისა და მისი ფილიალების ჩათვლით, სულ წითელი ჯვრებით იყო აჭრელებული.

ფინანსისტმა მხრები აიჩეჩა:

— კარგით ერთი! თქვენ საცოდავი მაწანწალები ხართ, მსოფლიოს ყველა ქვეყნის პოლიციისაგან დევნილნი. ჯიბეში ერთი სუც არ გიქყავით. როგორღა შეძლებთ ამდენი ყუმბარის დამზადებას?

პასუხად თავადმა იშთარმა ჯიბიდან სპილენძის პატარა ცილინდრი ამოიღო და მოხდენილად გაუწოდა ბარონ ევერდინგენს.

— ხედავთ ამ უბრალო კოლოფს? საკმარისია იატაკზე დავადო, რომ ნაცარტუტად იქცეს ეს ვრცელი ოტელი თავისი მდგმურებიანა და გაჩნდეს ხანძარი, რომელიც ტროკადეროს მთელ კვარტალს გადაბუგავს. ათი ათასი ასეთი ყუმბარა უკვე მაქვს; და დღეში ოცდაათზე მეტს კიდევ ვამზადებ.

ფინანსისტმა სთხოვა ქერუბს, ეგ თქვენი ყუმბარა ისევ ჯიბეში ჩაიდეთო და შემრიგებლური კილოთი დასძინა:

— მისმინეთ, მეგობრებო. ახლავე შეუდექით ცაში რევო-

ლუციის მოხდენას, ამქვეყნად კი ხელს ნურაფერს ახლებთ. ამწუთასვე ჩეკს გამოგიწერო. ეს თანსა გეყოფათ მთელი იმ აღკურვილობის შესაძენად, ციური იერუსალიმის დასალაშქრად რომ დაგქირდებათ.

და ბარონი ვევრდინგენი გონებაში უკვე იმას ანგარიშობდა, რა სარფას მომიტანს ელექტროფორების აგების საქმე და აჯანყებულთა საომარი მომარაგებაო.

თ ა ვ ი XVIII

სადაც იწყება მებალის ნაამოგი, რომლის წაკითხვისას მკითხველს თავაწინ გადაეშლება საშუაროს ბაღი და უმაღლ ირფუნებას, რომ ეს სიტყვა თავისი გააღებულაბითა და გრფუნებაბით გაპრად მებოგას გონსუას უსუსურ „სიტყვას მსოფლიო ისტორიაზე“

მებაღემ არკადი და ზიტა ვენახის სიღრმეში, ველური ვაზის ფანჩატურში დასხა.

— არკად, — უთხრა მშვენიერმა მთავარანგელოზმა, — ნექტერმა იქნებ დღეს გაგანდოს, რისი გაგებაც ასე გწადია. სთხოვე გაიპბოს.

არკადმაც სთხოვა მოხუცს. ნექტერმა გადადო თავისი ჩიბუხი და ამ სიტყვებით დაიწყო:

— მე მას ვიცნობდი: იგი უმშვენიერესი იყო სერაფიმთა შორის. გონიერებითა და სიმამაცით ბრწყინავდა. მისი ზღვა გული იტევდა ყველა სათნოებათ, რომელთაც სიამაყე შობს: გულწრფელობას, ვაჟკაცობას, განსაცდელში გაუტეხლობას, შეუპოვრობას წადილის მისაღწევად. იმხანად, ჟამთასვლას წინ რომ უსწრებდა, ჩრდილოეთის ცაზე, სადაც შვიდ ჯადოსნურ ვარსკვლავს კაშკაში გაჰქონდა, აღმასისა და ოქროს სასახლე ედგა; იქ დღენიადაგ გაისმოდა ფრთათა შრიალი და ძღვევის სიმღერა. თავის მთაზე მჯდარ იადვეს შურდა ლიუციფერისა.

ორთავემ უწყით: ანგელოზებმა, ადამიანებისა არ იყოს, იციან სიყვარული და სიძულვილი. ზოგჯერ სულგრძელობაც სჩვევიათ, უფრო ხშირად კი გამორჩინას ეძიებენ და შიშს ემონებიან. მაშინაც ისევე, როგორც დღეს, უმეტესობას ამაღ-

ლებულ აზრებისად არ შესწევდა გონება და მთელ მათ სათნოებას ღვთის შიში შეადგენდა. ლიუციფერს, რომელსაც სძაგდა ყოველივე უღირსი, ეზიზღებოდა ეს მონათა ბრბო, თაჰანსა და ზეიმს რომ იყო გადაყოლილი. მაგრამ იმათ, ვინც გონების სითამამეს იჩენდა, ვისაც მაძიებელი სული ჰქონდა და თავისუფლების სიყვარულით იწვოდა, მეგობრად რაცხდა და ისინიც მეგობრობას თაყვანისცემით უხდიდნენ. ასეთები გუნდ-გუნდად ტოვებდნენ უფლის მთასა და სერაფიმისათვის მოჰქონდათ პატივი, რომელიც იმ მეორეს მარტო სათავისოდ სურდა.

მე ჩემი ადგილი მეკავა უფლებათა შორის და ჩემი სახელი ალასიილი საკმაო დიდებით იყო მოსილი. ცოდნის დაუცხრომელი წყურვილით ანთებული გონება რომ დამეკმაყოფილებინა, ვაკვირდებოდი საგანთა ბუნებას, ვსწავლობდი ქვების, ჰაერისა და წყლის თვისებათ, ვეძიებდი კანონებს, რომლებიც მართავენ ზრქელსა და თხიერ მატერიას და ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ დავასკვნენი, რომ სამყარო ისე არ შექმნილა, როგორც მისი ვითომდა შემოქმედი ჩაგვიჩინებდა; მივხვდი, რომ ყოველივე, რაც არსებობს, არსებობს თავისთავად და არა იალვეს ნება-სურვილით, სამყარო თვითონ არის თავის თავის შემოქმედი და სული თავად არის თავის თავის ღმერთი. მას მოღმა შემზიზღდა იალვე მისი სიცრუისათვის და მისდამი სიძულვილით განვიმსჭვალე, რაკი მტრობდა ყველაფერს, რაც მე კეთილად და სანატრელად მიმაჩნდა: თავისუფლებას, იქვს, ცნობისწადილს. ამ გრძნობებმა სერაფიმთან დამაახლოეს. აღტაცებული ვიყავ მისით, გულით შევიყვარე და მის ნათელში ვცხოვრობდი. და როს ცხადი გახდა, რომ იმ ორთა შორის არჩევანი უნდა მომეხდინა, ლიუციფერის მხარეს დავდექ და სხვა რამ პატივი აღარცა მსურდა, ოლონდ კი სამსახური გამეწია მისთვის და მისი ბედი გამეზიარებინა.

ომი გარდუვალი შეიქნა; ისიც ემზადებოდა საომრად დაუცხრომელი სიფხიზლითა და შორს გამჰკრეტი გონების უკიდურესი დაძაბვით. საყდარნი და ძალნი ხალიბებად და ციკლოპებად აქცია, მთებიდან, მის სამფლობელოს რომ საზღვრავდა, მოიპოვა რკინა, რომელიც ოქროს ერჩია და ცის გამოქვაბულებში მათგან იარაღი გამოჰქედა. შემდეგ ჩრდილოეთის უდაბნო ველებში შეჰყარა მირიადობით სული, შეაიარაღა

ისინი, გაწკრთნა. გაწაფა. თუმც კი ყველაფერი საიდუმლოდ მზადდებოდა, ეს წამოწყება ერთობ გრანდიოზული გახლდათ და შეუძლებელი იყო მოწინააღმდეგეს უმალ ამბავი არ მისვლოდა. გულახდილად რომ ითქვას, ისიც ელოდა თავდასხმას და თადარიგიც დაჭერილი ჰქონდა: თავისი სასახლე ციტადელად აქცია, თავის ანგელოზთაგან მხედრობა შექმნა და თავს ლაშქართა ღმერთს უწოდებდა. მეხი და ელვაც მოიპარა. ცათა შვილთა ნახევარზე მეტი მისი ერთგული დარჩა; ხედავდა, ირგვლივ როგორ მოჯარვოდნენ მორჩილი სულები და თვინიერი გულები. უშიშარმა მთავარანგელოზმა მიქაელმა ითავა მორჩილი რაზმების წინამძღოლობა. რა დაინახა ლიუციფერმა, რომ მისი ლაშქარი რიცხვობრივადაც საკმაო იყო და მეტ წვრთნასაც აღარ საჭიროებდა, ფიცხლად მიმართა მტერს, თავის ანგელოზებს სიმდიდრე და დიდება აღუთქვა, სათავეში ჩაუდგა მათ და იმ მთას მიაშურა, რომლის მწვერვალზედაც სამყაროს ტახტი დგას. სამ დღეს მივაპობდით ფრენით ეთეროვან ველებს. ჩვენს თავებს ზემოთ ქროდნენ აჯანყების შავი ბაირალები. უკვე უფლის მთაც ვარდისფრად აკიაფდა აღმოსავლეთის ცაზე და ჩვენი წინამძღოლიც თვალით ზომავდა მის მოელვარე ზღუდეებს. საფირონის კედლებქვეშ მტრის ლაშქარი გაწყობილიყო და თუ ჩვენ რკინასა და ბრინჯაოში ვიყავით ჩამსხდარნი, მათ ძვირფას თვლებით მოოქვილ ოქროს ბეჭტოებს კაშკაში გაჰქონდა. მათი წითელ-ლურჯი ბაირალები ფრიალებდნენ ქარში და მათი შუბების წვერები ელვასა ჰყრიდა. ჩვენს ლაშქრებს უკვე ერთიმეორისაგან მცირე მანძილიდა ჰყოფდა, — სწორი და მოტიტვლებული მიწის ზოლი, რომლის შეხედვაც ჟრუანტელს ჰგვრიდა უმამაცესთაც, რაკი იცოდნენ, რომ აქ, სისხლიან შეტაკებაში გადაწყდებოდა ჩვენი ბედი.

ანგელოზები, მოგეხსენებათ, არ კვდებიან, მაგრამ, როცა ბრინჯაო, რკინა, ალმასის წვერი, ანდა ცეცხლოვანი ხმალი უსერავთ ნაზ სხეულს, გაცილებით უფრო საშინელ ტკივილს გრძნობენ, ვიდრე მოკვდავთ ძალუძთ განიცადონ, რადგან მათი ხორცი უფრო სათუთია და თუ რომელიმე მთავარი ორგანო დაუზიანდათ, მოცელილებივით ეცემიან ძირს, ნელ-ნელა განინქრევიან და ნისლეულებად ქცეულნი უთვალავი წლის მანძილზე უგრძნობლად დაფარფატებენ ცივ ეთერში. და როს,

ბოლოს და ბოლოს, გონს მოეგებიან და უწინდელ სხეულს შე-
იმოსავენ, თავიანთი წარსული ცხოვრებისა ბევრი აღარა აწ-
სოვთ. ასე რომ, ბუნებრივია, ანგელოზებიც უფრთხიან ტან-
ჯვას და მათ შორის უმამაცესთაც შიში იპყრობთ იმის გაფიქ-
რებაზე, რომ დაკარგავენ სინათლესა და ტკბილ მესსიერებას.
სხვაგვარად რომ იყოს, ანგელოზთ მოდემას არ ეცოდინებო-
და არც ბრძოლის სიმშვენიერე და არც მსხვერპლის გაღების
სიდიადე. ისინი, ვინც უამთავლამდე იბრძოდნენ ემპირეაში
ლაშქართა ღმერთის მხარეს თუ მის წინააღმდეგომთა შორის,
უსახელოდ იქნებოდნენ ჩაბმულნი მოჩვენებით ომში და მეც
კანონიერი სიამაყით ველარ გეტყოდით, შეილებო, მეც იქ ვი-
ყავ-მეთქი.

ლიუციფერმა შეტევის ნიშანი მისცა და პირველი ეძგერა
მტერს. ჩვენც ვეკვეთეთ, გვეგონა უმაღვე ვძლევდით და პირ-
ველი შეტევისთანავე დავაქცევდით წმიდა ციტადელს. მო-
შურნე ღმერთის ჯარისკაცები, ჩვენებზე ნაკლებ ბობოქარნი,
მაგრამ არანაკლებ მტკიცენი, შეურყეველად იდგნენ. მთავარან-
გელოზი მიქაელი მათ გულუშიმჩად და აუძღვრეველად მარ-
თავდა. სამჯერ ვცადეთ გავგებო მათი რიგები და სამჯერვე
ჩვენს რკინის მკერდებს ცეცხლოვანი შუბის წვერები აძვერეს,
თვით უმაგრესი აბჯრის გაგლეჯაც რომ ძალუძოთ. მილიონო-
ბით ცვიოდნენ ძირს დიდებული სულები. ბოლოს ჩვენმა მარ-
ჯენა ფრთამ გაარღვია მტრის მარცხენა ფრთა და დავინახეთ
ზურგი როგორ გვიჩვენეს და თავპირისმტვრევით როგორ გარ-
ბოდნენ მთავრობანი, ხელმწიფებანი, ძალნი, უფლებანი, საყ-
დარნი; მესამე დასის ანგელოზებიც თავტანდაკარგულნი მიფრი-
ხავდნენ მათ ზემოთ და ზედ ბუმბულსა და სისხლს აწვიმებდნენ.
ჩვენ უკან გამოვუდექით, გზას მივიკვლევდით ეტლების ნამ-
სხვრევებსა და იარაღის ნამუსრევს შორის და კიდევ უფრო
ვანჭარბდით მათ ისედაც ფიცხელ უკუქცევას. უეცრად სა-
ზარელმა ყვირილმა დაგვაყრუა, ყვირილი გაიზარდა და მია-
ახლოვდა, სასოწარკვეთილ ბღავილად და გამარჯვების ყიჟი-
ნად იქცა. მტრის მარცხენა ფრთა, ყოვლად მაღლის გოლიათი
მთავარანგელოზები, ეკვეთნენ ჩვენს მარცხენა ფრთას და
სძლიეს. იძულებული გავხდით თავი გვენებებინა ლტოლვილ-
თათვის და მტრისგან დაფრენილ ჩვენს რაზმებს მივშველებო-
დით. ჩვენი თავადი იქით გაფრინდა და გაათანასწორა ბრძო-

ლა. მაგრამ მტრის მარცხენა ფრთამ, რომლის შემუსვრაც ვერ მოვასწარიტ, გამბედაობა მოიკრიბა, რაკილა ისრები და შუბები აღარ აწვიმდა, შემობრუნდა და კვლავ შემოგვიტია.

ღამემ გათიშა მორკინალნი და ბრძოლის ბედი გაღუწყვეტელი დარჩა. სანამ ბანაკი ჩრდილის საფარქვეშ ისვენებდა მშვიდ ჰაერში, რომელსაც დროდადრო დაჭრილთა კვნესა აპობდა, ლიუციფერი ხვალის შეტევისათვის ემზადებოდა. გამთენიამდე დაფდაფებმა გაღვიძების ნალარა დასცეს. ჩვენი მეომრები თავს წაადგნენ მტერს ლოცვის ქამს, მიჰფანტ-მოჰფანტეს და ხოცვა-ჟლეტა დაუწყეს. ვინ ბრძოლაში დაეცა, ვინ უკუიქცა. მხოლოდ მთავარანგელოზი მიქაელი თავის მხლებლებითურტ, ოთხ-ოთხი ცეცხლოვანი ფრთა რომ ამკობდატ, წინაღუდგებოდა ურიცხვი ჯარის ზედმოსევას. უკან იხევდნენ, მაგრამ ზურგს მაინც არ გვიჩვენებდნენ. მკერდით ხვდებოდნენ ჩვენს შემოტევას. მიქაელს წამითაც არ შეტოკებია სახე. მზეს თავისი სავალის მესამედი უკვე გაევლო, როს უფლის მთაზე ვიწყეთ ასვლა. გაჰირვებით მივიწევდით წინ, შუბლზე ოფლი წურწურით ჩამოგვდიოდა; მცხუნვარე შუქი გვაბრმავებდა. რკინით დამძიმებული ბუმბულის ფრთები ძლივსდა გვზიდავდნენ. მაგრამ იმედი გვასხამდა სხვა ფრთებს და ისევ წინ მიგვაქროლებდა. მშვენიერი სერაფიმი სულ უფრო და უფრო მაღლა სწევდა თავის სხივმფინარე ხელს და გზას გვიჩვენებდა. მთელ დღეს მივცოცავდით გოროზ მთაზე, რომელმაც საღამოქამს ფირუზისფერი, ვარდისფერი და ოპალისფერი შეიმოსა. ვარსკვლავტ ჯარი გამოჩნდა ცაზე და მათი შუქი ჩვენი იარაღის ნასხლეტი ელვა გეგონებოდატ. მკვდრული სიჩუმე დაქროდა ჩვენს თავებს ზემოტ. იმედიტ მთვრალნი წინ მივიწევდით. უეცრად, წყვდიად ცაში ელვები გაიკლაკნა. იგრგვინა მეხმა და ღრუბლებით შებურული მთის წვერიდან ცის ცეცხლმა იწვიმა. ჩვენს ჩაფხუტებს, ჩვენს საჭურველს ცეცხლი სდიოდა ღვარად, ფარები დაგვიღეწა უხილავი ხელიტ ნატყორცნმა ცეცხლის ისრებმა. ლიუციფერი ცეცხლის ამ ქარიშხალშიც სიამაყეს ინარჩუნებდა. მეხი ზედიზედ სცემდა, მაგრამ ვერას აკლებდა. მაინც ფეხზე იდგა და მტერს ბრძოლაში იწვევდა. ბოლოს მეხთატეხამ შეარყია მთა და უზარმაზარ საფირონისა და ლალის ლოდებში ახელილნი უთავბოლოდ გადაგვხატრა ძირს, უფსკრულში. ასე მივქროდით გულ-

წასულნი, გახევებულნი; რამდენ ხანს? ამის აღნუსხვა არავის ძალუძს.

საზარელ წყვლიადში გამომეღვიძა და როცა თვალი შევაჩვიე კუნაპეტ სიბნელეს, ირგვლივ ჩემი თანამებრძოლნი შევნიშნე: ათასობით ეყარნენ გოგირდოვან მიწაზე, საცა სხივები მქრქალად კიათობდნენ. თვალი მხოლოდ გოგირდის წყლებს, მხრჩოლავ კრატერებსა და მოწამლულ ქაობებს არჩევდა. ყინულის მთები და შავბნელი ზღვები ფარავდნენ ჰორიზონტს. თავს ბრინჯაოს ცა დაგვწოლოდა და იმზომ შემზარავი იყო ეს ადგილი, რომ დავსხედით, მუხლებზე დავიწყეთ იდაყვები, თავი ხელებში ჩავრგეთ და ავტირდით.

მაგრამ სულ მალე, თავი რომ ავიღე, ჩემ წინ კომპიციით მდგარ სერაფიმს ვკიდე თვალი. მისი უწინ სხივმფინარე სახე მწუხარებას თავისი პირქუშად დიდებული სამკაულით შეემკო.

— ძმანო, — გვითხრა მან, — უნდა ვიშვებდეთ და ვიხარებდეთ, რამეთუ თავი დავიხსენით ცათა მონობისაგან. აქ თავისუფალი ვართ, ცად მონობას კი ჯოჯობეთში გვიჯობს მეფობა¹. დამარცხებულნი არ გვეთქმის, რაკი გულს ისევ გამარჯვების წადილი გვინთია. ჩვენ შევარყიეთ მოშურნე ღმერთის ტახტი, დამხობითაც ჩვენვე დავამხობთ. აღსდექით, ძმანო, და გული გაიმხნევეთ!

მყისვე, მისი ბრძანებისთანავე, მთები მთებზე დავახევეთ, ზედ მანქანები აღმართეთ და აღმოდებული კლდეები დაუშინეთ უფლის საფანეს. ამან მეტად გააოცა ციური მხედრობა; დიდების საუფლოდან კენესა და თავზარდაცემული ყვირილი მოისმა. უკვე ძლევივით ვაპირებდით შესვლას ჩვენს მაღალ სამშობლოში, მაგრამ უფლის მთამ კვლავ შემოიგრაგნა ციური ელვა, მეხმა დალახვრა ჩვენი ციხესიმაგრე და სულ ნაცარტუტად აქცია.

ახალი დამარცხების შემდეგ სერაფიმი ერთხანს ჩაფიქრებული, ხელებში თავჩარგული იჯდა. შემდეგ გაშავებული სახე ასწია. დღეიდან ის იყო სატანა, უფრო დიდებული, ვიდრე ლიუციფერი; ერთგული ანგელოზები გარს შემოჭარვოდნენ.

— მეგობრებო, — გვითხრა მან, — თუკი ჯერ ვერ გავვი-

¹ Better to reign in Helb, than seve in Heav'n. Paradise Lost, book I, v. 254 („დაკარგული სამოთხე“, წიგნი I, ლექსი 254).

მარჯვნივ, ეს იმიტომ, რომ არც ღირსნი ვართ და არც უნარი შეგვწევს გამარჯვებისა. მაშ, გავიგოთ რაც გეკლდა. ბუნებაზე ვერ გაბატონდები, სამყაროს მეუფებას ვერ მიიღწევ, ღმერთს ვერ გახდები, ცოდნა თუ არ შეიძინე. ჩვენ ელვა უნდა დავიბუროთ, აი, ამ საქმეს უნდა ვეცადოთ მოუტყადებლად. მაშ, ბრმა სიმაძაქე კი ვერ გვაგდებინებს ხელთ უფლის ისტაქმ (თქვენდენი სიმაძაქე დღეს არავის გამოუჩინია). არამედ ფიქრი და მეცადინეობა. ამ მუნჯ სამყოფელში, სადაც ჩაგვყარა ბედმა, ვიფიქროთ, ვეძიოთ საგანთა დაფარული მიწეწებნი. დავაკვირდეთ ბუნებას; მივლიოთ მას ძლიერი მგზნებაელებითა და დაპყრობის წყურვილით. ვეცადოთ ჩაწვდეთ მის უსასრულო სიდიდესა და მის უსასრულო სიმცირეს. ვიცოდეთ, როდისაა იგი ბერწი და როდის ნაყოფიერი; როგორ შობს სიცხესა და სიცივეს, სიხარულსა და მწუხარებას, სიცოცხლესა და სიკვდილს; ან როგორ კრებს და თიშავს თავის ელემენტებს, როგორ შობს წმიდა ჰაერს, რომელსაც ვისუნთქავთ და აღმოსისა და საფირონის კლდეებს, საიდანაც აქ გადმოგვხაფრეს. ან ღვთაებრივ ცეცხლს, რომელმაც გაგვაშავა, ან უზენაეს ფიქრს, რომელიც გონებას გვიფორიაქებს. პირლია პრილობებით ტანდაღარულებმა, ცეცხლითა და ყინულით დამწვრებმა მადლი შევწიროთ ბედს, ჩვენთვის თვალის ახელა რომ ინება და გვიხაროთ ჩვენი ხვედრით. ტანჯვითაა, პირველად რომ ვეცნობით ბუნებას და ეს აღგვძრავს საიმისოდ, რომ ღრმად ჩაწვდეთ მის საიდუმლოთ და მბრძანებლად გავუხდეთ. როცა დავიმორჩილებთ, ღმერთებად ვიქცევით. მაგრამ სამუდამოდაც რომ დავგინშოს თავის საიდუმლოებათა კარი, არ მოგვცეს ხელთ იარაღები და დაიმარხოს მეხის საიდუმლო, მაინც უნდა ვიშვებდეთ და ვიხარებდეთ, რაკი შევიცანით ტანჯვა; იგი ხომ ახალ გრძნობათ გვაზიარებს, უფრო ძვირფასსა და უფრო ტკბილს, ვიდრე განიცდიან მარადიულ ნეტარებაში დანთქმულნი, რამეთუ ტანჯვა შთაგვაგონებს სიყვარულსა და სიბრალულს, რომელთაც ცაში არვინ იცნობს.

სერაფიმის სიტყვებმა სიმხნევე მოგვბერა და გულში ახალი იმედები ჩაგვისახა. ცოდნისა და სიყვარულის დაუოკებელმა წადილმა აღგვანთო.

ამასობაში კი დედამიწაც იბადებოდა. მისი ვეება, ნისლოვანი სფერო დღითი დღე სულ უფრო და უფრო მყარდებოდა

და ზრქელდებოდა. წყლები, რომლებიც წყალმცენარეებს, მადრეპორებს, ნიჟარებს კვებავდნენ და გუნდ-გუნდად მიაქანებდნენ მსუბუქ ხამანწყებს, დედამიწას მთლიანად ფარავდნენ; თავისთვის სადინარებს ითხრიდნენ და იქ, სადაც თბილ შლამში ურჩხული ამფიბიები დაცოცავდნენ, უკვე კონტინენტები იწვევებოდნენ. გამოხდა ხანი, მწვერვალები ტყით შეიმოსნენ და ათასნაირმა ცხოველმა იწყო ბალახისა და ხე-სის ძოვა, ხარბად მიეტანა რკოსა და კენკრეულს.

შემდეგ გამოქვაბულები და კლდის ნაპრალები დაისაკუთრა იმან, ვინც შეძლო წამახული ქვით გარეული ნადირის მოკვლა და ეშმაკობით აჯობა ტყე-ველებისა და მთების ძველ ბინადართ. მეტად ძნელი იყო კაცისთვის მეფობის ხელში ჩაგდება. იგი უღონო იყო და შიშველი. მეჩხერი ბალანი სიცივისაგან ვერ იფარავდა. ძალზე სუსტი ფრჩხილები ჰქონდა საიმისოდ, რომ მოსისხარ ნადირთა ჭანგებს გამკლავებოდა. სამაგიეროდ ცერი ება სხვა თითების დაპირისპირებით და სხვადასხვა საგნებისათვის ხელის ჩავლებას უადვილებდა. ასე რომ, ძალ-ღონის უქონლობას მოხერხებულობა უნაზღაურებდა; და თუმც არსებითად სხვა ცხოველებისაგან არ განსხვავდებოდა, ყველა დანარჩენზე მეტად მას შესწევდა დაკვირვებისა და შედარების უნარი. რაკი ყანყაროდანაც ნაირგვარ ბგერებს უშვებდა, მოიფიქრა და ხმის სათანადო მიმოხრით აღნიშნა თითოეული საგანი, მის წარმოსახვას რომ ანცვიფრებდა; ამ ბგერებში უშველა ჩამოეყალიბებინა და გაეცნობიერებინა თავისი აზრები. მისმა უბადრუკმა ხვედრმა და მაძიებელმა გონებამ მისდამი თანაგრძნობა აღუძრა დამარცხებულ ანგელოზებს, რომლებიც კაცში მათებურ სითამამისა და სიამაყის თესლს ხედავდნენ, მათი წამებისა და მათი დიდების მიზეზი რომ შეიქნა. ისინი მრავლად დასახლდნენ მის სიანლოვეს ამ ყმაწვილ მიწაზე, სადაც მათმა ფრთებმა სულ აღვილად მოაქროლეს. აქ სიამოვნებით მიჰყვეს ხელი კაცის გონების გაწვრთნასა და ნიჭის წახალისებას. ასწავლეს შემოსილიყო გარეული ნადირის ტყავით და ლოდებით ჩაეხერგა გამოქვაბულის კარი, რომ გზა გადაეკეტა ვეფხვებისა და დათვებისათვის. ასწავლეს, როგორ უნდა დაეგზნო ცეცხლი მკვანარ ფოთლებზე ჯოხის ხახუნით და ეს წმიდა ცეცხლი როგორ შეენახა კერიაზე. დახელოვნებული დემონების შთაგონებით კაცმა გაბედა ამოჩორკნილი

ხის ტანით მდინარეების გადალახვა; გამოიგონა ბორბალი, დოლაბი და სახნისი; სახნისმა გაფატრა მიწა ნაყოფიერი ქრილობით და მარცვალმა თავის დამფქველს ღვთაებრივი საზრდო მიუბოძა. კაცმა ჭურჭელი გამოწვა თიხისაგან და კაჟი გამოთალა სხვადასხვა ხელსაწყოებად. მოკლედ, კაცთა შორის ვცხოვრობდით, ნუგეშს ვცემდით მათ და ჩვენებურად ვმოდღვრავდით. მუდამ ხილულნი როდი ვიყავით მათთვის; მაგრამ საღამოობით, გზის მოსახვევებში ხშირად ვეცხადებოდით უცნაურ, უჩვეულო სახით, ხან ზვიადი, ხანაც მომხიბლავი იერით; ჩვენი გუნებისად ვღებულობდით ტყეთა და წყალთა ურჩხულის, ჭარმაგოსანი ვეჟაკის, მშვენიერი ყრმისა ან თეძოსრული ქალის სახეს, ზოგჯერ კიდევაც დავცინოდით მათ ჩვენს სიმღერებში, ხან კი გამჟვრიახობას ვუმოწმებდით რაიმე კვიმატი ხუმრობით. ზოგ ჩვენგანს, ცოტა დაუდგრომელი ზნის პატრონს, გვიყვარდა მათი ცოლების და ბავშვების გახელება, მაგრამ გასაჭირში მუდამ მზად ვიყავით ჩვენი უმცროსი ძმების საშველად.

ჩვენი შეწევნით მათი გონება საკმაოდ გაიწვართა საიმი-სოდ, რომ შეცდომა მოსვლოდა და საგანთა შორის ცრუ კავშირი დაეგულებინა. რაკი ეგონათ, რომ მაგიური კავშირი აერთიანებდა ხატსა და სინამდვილეს, თავიანთი გამოქვაბულების კედლებზე ცხოველთა გამოსახულებების ხატვა იწყეს და სპილოს ძვალზე ირმებსა და მამონტებს კვეთდნენ, რომ ზედ გამოსახული ნადირი მოენადირებინათ. სანამ მათი გონება ზანტად იღვიძებდა, უთვალავმა საუკუნემ განვლო. აღამიანებს ჩვენ სიზმრად ვუვლენდით ბედნიერ აზრებს, შთავაგონებდით გაეხედნათ ცხენები, დაეკოდათ ბულები, დაეგეშათ ძაღლები ცხვრების სადარაჯოდ. მერე იყო და შექმნეს ოჯახი, ტომი. ერთ დღეს ერთ-ერთ მომთაბარე ტომს თავს დაესხნენ მძვინვარე მონადირენი. ტომის ახალგაზრდა მამაკაცებმა ფორნებით მყისვე ზღუდე გამართეს, შიგ შეჰყარეს ქალები, ბავშვები, მოხუცები, ხარები, განძეული და ფურგონებიდან სიკვდილის მთესველი ქვეები დააყარეს მომხდურებს. ასე იშვა პირველი ქალაქი. უბადრუკად შობილმა კაცმა, იალვეს კანონით მკვლელობისათვის რომ იყო განწირული, ბრძოლებში გამოიწრთო გული და ომში მოიხვეჭა ყველაზე მაღალი ქველობანი. დანთხეული სისხლით დაადგინა სამშობლოს წმიდათაწმიდა სიყვა-

რული, რომელმაც (თუ კაცი ბოლომდე აღასრულებს თავის დანიშნულებას) მშვიდობა უნდა მოჰფინოს დედამიწას. ერთ-ერთმა ჩვენგანმა, სახელად დედალოსმა, მას ნაჯანი, თარაზო და აფრა უბოძა. ამგვარად მოკვდავთა ცხოვრება უფრო გასაძლიის გავხადეთ. სულ მალე აღამიანებმა ტბებზე ლერწმების ქოხები ააგეს და საშუალება მიეცათ ტკბილი მოცალეობა ეგემნათ, მიწის სხვა მკვიდრთათვის უცხო რომაა და როს შიმშილის მოკვლა დიდი წვისა და დაგვის გარეშე შეძლეს, სიმშვენიერის სიყვარულიც ჩავბერეთ გულში.

მათაც აღმართეს პირამიდები, ობელისკები, კოშკები, უზარმაზარი ქანდაკებები, მომლიმარნი, პირქუშად მზირალნი და შეუშუსვრელნი; ხშირად ნახავდით შვილთასხმის ვეება სიმბოლოებსაც. მას შემდეგ, რაც შეგვიცნეს, ჩვენდამი შიში და სიყვარული ჩაესახათ გულში. მათ შორის უქკვიანესნი წმიდა ძრწოლით გვიდარაჯებდნენ და ჩვენს სწავლებას ყურს უპყრობდნენ. მაღლიერების ნიშნად საბერძნეთისა და აზიის ხალხები გვწირავდნენ ქვებს, ხეებს, ჩრდილუხვ ქალებს, მოქონდათ მსხვერპლი და სადიდებელ ჰიმნებს გვიმღეროდნენ; ერთი სიტყვით, ჩვენ ღმერთები ვიყავით მათთვის და პორუსს, იზიდას, ასტარტეს, ზევსს, პალადას, კიბელას, დემეტრეს, ტრიპტოლემოსს გვიწოდებდნენ. სატანას ვთაყვანებოდნენ დიონისედ, იაკხოსად და ლენეოსად სახელდებულს. იგი ეცხადებოდა ხალხს ისეთი ძალმოსილი და მშვენიერი, როგორც კი კაცს ძალუძს წარმოიდგინოს. მის თვალებს ტყის იის სინაზე ახლდა; ბაგეზე გახლეჩილი ბროწეულების ლალი უეღავდა; ატმის ბუსუსებზე ნაზი ღინლი უფარავდა ლოყებსა და ნიკაპს; ქერა თმას, დიადემად რომ ჰქონდა დაწნული და კეფაზე ნაზად შემოგრაგნილი, სუროს გვირგვინი უმშვენიებდა. სახება მისი მტაცებელ ნადირთ აჯადოებდა, ტყეებში აღწევდა და თავისკენ იზიდავდა ყველა ველურ სულს, ხეებზე რომ დაუდევს ბინა ან ტოტებიდან იმზირება მრისხანე თვალით, ყველა შმაგსა და მფრთხალ სულდგმულს, რომელიც მწარე კენკრით ირჩენს თავს და ველური გული უძგერს საგულეში; ხიბლავდა ტყიურ კაცებს, სიკეთესა და სინატიფეს მოჰბერდა, ისინიც უკან მისდევდნენ სიხარულითა და მშვენიერებით მთვრალნი. მან დარგო ვაზი და მოკვდავთ მტევნის დაწურვა, და ღვინის დაყენება ასწავლა. ასე დადიოდა სოფელ-ქვეყნად

მრავალრიცხოვანი ამალით, სიკეთეულები და დიდებული. თან რომ ვხლებოდი, თხაფეხას სახე მივიღე: შუბლს ორი რქის მორჩი მიმშვენებდა; პაჭუა ცხვირი მქონდა და წვეტიანი ყურები; ორი ჭირკვალი თხასავით მეც მეკიდა ყელზე; უკან ვაციის კული მქონდა გამობმული; ბანჯგვლიან ფეხებს შავი და ორკაპი ჩლიქები მიმკობდა, რომელთაც შეწყობილად ვცემდი მიწაზე.

დიონისეს ტრიუმფალურ სელას ბოლო არ უჩანდა დედა-მიწაზე. მეც მასთან ერთად გადავკვეთე ლიდია, ფრიგიის მინდვრები, სპარსეთის მცხუნვარე ველები, მთადათოვლილი მიდია, სვებედნიერი არაბეთი და მდიდარი აზია, რომლის აყვავებულ ქალაქებსაც ზღვა ნაპირებს ულოკავს. იგი წინ მიიწევა ლომებ და ფოცხვერებშებმული ეტლით მისი მისტერიებისათვის გამოგონილ სალამურების სტვენაში, წინწილების ხმასა და დოლების ბრახუნში. ბაკელი ქალები, ფიადები და მენადები, წელზე ლეოპარდის დაწინწკლული ტყავი რომ ჰქონდათ შემოკრული, სუროშემოხვეულ ტორსებს ატოკებდნენ. უკან მისდევდნენ სატირები, რომელთა მხიარულ გუნდნაც წინ მე მივუძლოდი, თან მოგვეყვებოდნენ სილენები, პანები, კენტავრები. მის ნატერფალზე ყვავილები და ხილი ხარობდა და როცა კლდეს დაჰკრავდა კვერთხს, იქიდან ანკარა წყარო ამოჩქეფდა.

რთვლობისას საბერძნეთს ეწვეოდა ხოლმე; და სოფლებიც წინ ეგებებოდნენ მცენარეთა ნაყოფის წითელი და მწვანე წვნით მოთხუპნულნი; სახეზე ხის, ფოთლებისა ან მერქანის ნიღბები ჰქონდათ აფარებული, ხელში თიხის ჭამები ეპყრათ და ვნებიანად როკავდნენ. მათი ცოლები ღმერთის თანმხლებ ქალებს ჰბაძავდნენ, თავზე მწვანე სუროს გვირგვინი ეხურათ, ჩამოქნილ თეძოებზე თხისა და ირმის ტყავს იკრავდნენ. ქალიშვილები ყელზე ლედვის წნულებს იბამდნენ, კვერებს აცხობდნენ და ფალოსის გამოსახულებას დაატარებდნენ მისტიური კალათებით. ტკბილი წვენით მოთხუპნილი მევენახეები თავიანთ ურიკებში იდგნენ და გამვლელ-გამომვლელთ დაციხვითა და ლანძღვა-გინებით უმასპინძლებოდნენ. ასე ჩაისახა ტრაგედია.

ცხადია, ნაკადულის პირას მხარ-თეძოზე გდებით კი არა, მძიმე შრომით ასწავლა დიონისემ ადამიანებს ეთესათ მცენა-

რეები და მოეწიათ ტკბილი ნაყოფი. და როს ფიქრობდა რა გზით ექცია ტყის უხეში ბინადარნი ლირის მოყვარულ და სამართლიანობის მიმდევარ ხალხად, შთაგონებით დამწვარ შუბლზე მრავალჯერ გადაუარა კაეშანმა და პირქუშმა სიმღეგემ. მაგრამ უძირო ცოდნამა და ადამიანებისადმი სიყვარულმა ყველა დაბრკოლება გადაალახვინა. ჰოი, ღვთაებრივო დღეებო! ჰოი, სიცოცხლის მშვენიერო აისო! ჩვენ ბაკქანალიებს ემართავდით მთების აქოჩრილ მწვერვალებზე და ზღვების ოქროსფერ სანაპიროებზე. ჩვენს თამაშობათ ნიადები და ორეადები უერთდებოდნენ. ჩვენს მოახლოებაზე აფროდიტე ამიდიოდა ზღვის ქაფიდან და ღიმილით გვეგებებოდა.

თ ა ვ ი XIX

ნაამოზის გაგრძელება

როცა კაცო მიწის დამუშავება, ფარების მწყემსვა, წმიდა ციტადელების კედლებით შემოზღუდვა ისწავლეს და ღმერთების შეცნობა იწყეს მათი მშვენიერებით, მე განვმართოვდი ამ ვრცელი ტყეებით შემოფარგლულ, სანეტარო მხარეში, სტიმფალეს, ერიმანთის, ოლბიოსის და სტიქსეს ყინულოვანი ტალღებით ნაკვები ზვიადი კრათიდის წყლებით რომაა მორწყული; და აქ, გრილ ველზე, ბუჩქნარით მოფენილი ბორცვის ძირას, ზეთის ხილისა, ფიჭვნარის, ჭადრებისა და თეთრი ალვების ჩრდილში, გაბარჯლულ დანამასტიკებს შორის, საამური რაკრაკით მდინარი ნაკადულის პირას მწყემსებსა და ნიმფებს ვუმღეროდი ქვეყნიერების დაბადებაზე, ცეცხლის გაჩენაზე, ამო ჰაერის, წყლისა და მიწის წარმოქმნაზე. ვუამბობდი, რა საცოდავად ცხოვრობდნენ ულრან ტყეში შიშველ-ტიტველი პირველყოფილი ადამიანები, სანამ განსწავლულმა დემონებმა არ აზიარეს ხელოვნებათ; მოვუთხრობდი ღმერთის მისტერიებზე, იმაზე, თუ როგორ მიაწერდნენ სემელეს დიონისეს დედობას, რაკილა მისი კეთილმყოფელი აზრი ელვაში იყო ჩასახული.

დემონების უსაყვარლესმა ხალხმა — ბერძნებმა იოლად

როდი აითვისეს ბრძული კანონები და ხელოვნებანი. მათი პირველი ტაძარი დაფნის ტოტებისაგან ნაგები ქოხი იყო; ხე კი ღვთის პირველ ხატებად ჰქონდათ დასახული; მათი პირველი საკურთხეველი გაურანდავი ქვა გახლდათ, იფიღენიას* სისხლით შეღებილი. მაგრამ ცოტა ხანში სიბრძნე და მშვენიერება იმ ზომამდე მიიყვანეს, რა ზომამდეც არც მანამ მიუყვანია ვისმე და არც მას შემდეგ დელამიწის ზურგზე. რას მივაწეროთ, არკად, ეს ერთადერთი სასწაული ამქვეყნად? რატომ გაიხარა იონიისა და ატიკის წმიდა მიწაზე ამ უბადლო ყვავილმა? იმიტომ, რომ აქ არ იყო სამღვდლოება, არც ღოგმა, არც გამოცხადება და ბერძნებს თავის ღღეში არ სცნობებიათ მოშურნე ღმერთი. თავისი გენით, საკუთარი სილამაზით შექმნა ელინმა თავისი ღმერთები და როს მხერას აღაპყრობდა ცისკენ, იქ თავის სახებას ხედავდა. დიახ, ყოველივეს თავის საზომით ზომავდა და თავის ტაძრებს სრულყოფილი პროპორციები მისცა: იქ ყოველივე ხორცშესხმული გრაცია, ჰარმონია, ზომიერება და სიბრძნე გახლდათ; ყოველივე იმ უკვდავთა საკადრისი იყო, შიგ რომ მოსახლეობდნენ და თავიანთი ტკბილხმოვანი სახელებითა და სრულქმნილი ნაკვთებით აღამიანთა გენიას განახორციელებდნენ. სვეტებს, მარმარილოს კოჭებს რომ იმაგრებდნენ, ფრიზსა და ლავგარდანს რალაც აღამიანური ჰქონდათ, რაც მოწიწებას შთააგონებდა ყოველს; ხანდახან, როგორც მაგალითად ათენსა და დელფოსში, თვალს მოჰკრავდით, ღონიერი და მომღიმარე ყმაწვილი ქალები ზეაწვდილი ხელებით განძთსაცავებისა და ტაძრების ანტაბლემენტს. როგორ ამაგრებდნენ. ჰოი, დიდებულებავ, ჰოი, ჰარმონიავ, ჰოი, სიბრძნევ!

დიონისემ გადაწყვიტა იტალიას გადასულიყო, სადაც მის მისტერიებს დახარბებული ხალხები მას ბახუსს ეძახდნენ. მეც ჩავუჯექი ვაზის რტოებით შემკულ გემში და ელენეს ორი ძმის* თვალწინ ყვითელი ტიბრის შესართავს მივადექი. ღვთაების გაკვეთილების წყალობით ლაციუმის მკვიდრთ უკვე იცოდნენ ვაზისა და თელის რტოების შეუღლება. მე საცხოვრებლად საბინიის მთათა ძირი ავირჩიე, ფოთლოვანი ტყით დაფარული ხევი, რომელსაც ანკარა ნაკადულები რწყავდნენ. მინდორში ცოცხანასა და ბალბას ვკრეფდი. ფერმკრთალი ზეთისხილის ხეები, რომელთა დაღრეკილი ტანებიც დამრეც

ფერდობებზე შეფენილიყო, თავიანთ გემრიელ ნაყოფს მთავაზობდნენ. აქ მე ვწვრთნიდი ჯიუტ ადამიანებს, რომელთაც ბერძნებივით არ უჭრიდათ გონება, მაგრამ მტკიცე გული ედგათ საგულეს, მომთმენნი იყვნენ და უზომოდ აღიღებდნენ ღმერთებს. ჩემი მეზობელი, სოფლელი ქარისკაცი, თხუამეტი წლის მანძილზე სამსახურში რომ იდგა, რომაულ არწივს მისდევდა მთებსა და ზღვებზე. თავის თვალთ ჰქონდა ნანახი, მეფე-ხალხის მტრები როგორ გარბოდნენ. ახლა თავის ორი წიქარა ხარის ნახნავს მისდევდა, რომელთაც შუბლზე, განზე გაზიდულ რქებს შორის, თეთრი ვარსკვლავები ესხდათ. ამასობაში ისლით დახურულ ქოხში მისი ზნეკეთილი და დარბაისელი მეუღლე ნიორს ნაყავდა ბრინჯაოს როდინში და ცერცვის შექამანდს ხარშავდა კერიის წმიდა ქვაზე. მე კი, მისი მეგობარი, მუხის შორიახლოს ვიჯექე, ვამხიარულებდი შრომაში გართულს ჩემი სალამურის რაკრაკით და ვუღამოდი მის პატარა ბავშვებს, ტყიდან რომ ბრუნდებოდნენ მოჭრილი ტოტებით დატვირთულნი იმ დროს, როცა მზე უკვე აგრძელებდა ჩრდილებს. ბალის კართან, სადაც მსხალი და გოგრა მწიფდა და შროშანი და მარადმწვანე აკანთო ყვაოდა, ლელვის ხის ტანიდან გამოკვეთილი პრიაპოსი* ქურდებს აფრთხობდა თავის ვეება ასოთი, მის თავსზემოთ კი მოშრიალე ლერწმები თავზარს სცემდნენ ქურდბაცაცა ფრთოსნებს. ახალმთვარეობას ღვთისმოსიში მიწათმოქმედი მურტითა და როზმარინით თავშემკულ თავის ლარებს* ერთ მუჭა მარილსა და ქერს სძღვნიდა.

მე ვნახე როგორ დაიზარდნენ მისი შვილები და მისი შვილიშვილები, რომელნიც გულში უწინდებურ ღვთისმოსაობას ინახავდნენ და არ ავიწყდებოდათ მსხვერპლის შეწირვა ბახუსისათვის, დიანასათვის, ვენერასათვის, არც წმიდა ზელაშეს ჩასხმა და ყვავილების ჩაყრა შადრევნებში. მაგრამ თანდათანობით აკლდებოდათ უწინდებური მოთმინება და სიმარტივე. მესმოდა როგორ ჩიოდნენ, როცა ძლიერი წვიმით ძალმოცემული ნიაღვარი აიძულებდათ აევოთ კაშხალები მამაპაპეული მინდვრების დასაცავად: საბინის მაგარი ღვინო უღიზიანებდათ გააზიზებულ სასებს. ბერძნული ღვინის სასმელად გარბოდნენ მეზობელ სამიკიტნოში და ავიწყდებოდათ დრო-ჟამი, როს ვაზის ტალავერქვეშ მსხლომნე უცქერდნენ,

როგორ ცეკვავდა სალამურზე დამკვრელი ქალი და კროტა-
ლის* ხმაზე რა მარჯვედ ატოყებდა კრიალა თეძოებს. მხენელ-
მთესველნი ტკბილ მოსვენებას ეძლეოდნენ ფოთოლთ შრი-
ალში და ნაკადულის რაკრაკში; ჩინარებს შორის კი, წმიდა
გზის გაყოლებით უკვე დგამდნენ საუცხოო აკლდამებს, ქან-
დაკებებს, საკურთხეველებს. ეტლთა გრიალიც უფრო გახშირ-
და ძველ გზატკეცილებზე. ალუბლის ნერგმა, ძველმა ჯარის-
კაცმა რომ ჩამოიტანა ლაშქრობიდან, გვამცნო კონსულის შო-
რეული დაპყრობების ამბავი და ლირაზე დანამღერმა ოდებმა
ქვეყნიერების მეუფის, რომის საგმირო საქმენი ცასა და
ხმელს მოჰფინეს.

მთელი ეს მიწა-წყალი, დიდმა დიონისემ რომ მოვლო, მხა-
რე, სადაც გარეული ნადირი ადამიანად აქცია და ხვავით მოჰ-
ფინა თავის მენადების სავალი გზა, ახლა რომაული მშვიდო-
ბით სუნთქავდა, მგლის ძუძუნაჰმს*, ჯარისკაცსა და მიწის-
მთხრელს, დამარცხებულ ხალხთა მეგობარს გზები გაჰყავდა
ნისლიანი ოკეანის ნაპირებიდან კავკასიის ციცაბო სანაპირო-
ებამდე; ყველა ქალაქში ავგუსტეს და რომის ტაძრები იგებო-
და და იმდენად დიდი იყო რწმენა სამყაროში ლათინური სა-
მართლისადმი, რომ თესალის ხეობებსა თუ რაინის ტყიან სა-
ნაპიროებზე მონა, სანამ უსამართლო ტვირთქვეშ სული აღ-
მოხდებოდა, შესძახებდა ხოლმე: „დიდება კეისარს!“ ეჰ, რა-
ტომაა, რომ ამ უბედურ დედამიწისა და წყლის სფეროზე
ყველაფერი ჭკნება, კვდება და უმშვენიერესი საგნებიც ასე
უხანონი არიან? ჰოი, საბერძნეთის სათაყვანო ასულნო; ჰოი,
მეცნიერებაჲ, ჰოი, სიბრძნეჲ, ჰოი, მშვენიერებაჲ, გულ-
მოწყალე ღვთაებანო, თქვენ ლეთარგიული ძილით ჩაგეძინათ,
სანამ განიცდიდით ბარბაროსთა შეურაცხყოფას, ჩრდილოე-
თის ჭანჭრობებიდან და ხრიოკი სტეპებიდან რომ მოიწევდ-
ნენ თქვენს დასარბევად გრძელფაფარიან, ტანდაბალ, უბელო
ცხენებზე ამხედრებულნი.

ძვირფასო არკად, სანამ მომთმენი ლეგიონერი იყო დაბა-
ნაკებული ფაზოსისა და ტანაის პირად, აზიისა და საზარე-
ლი აფრიკის ქალები და ქურუმები შემოიჭრნენ მარადიულ
ქალაქში* და თავიანთი სასწაულებით ხიბლავდნენ რემის
შვილებს. მანამდე დახელოვნებულ დემონთა მღვენელ იაღვეს
არავინ იცნობდა მსოფლიოში, რომლის შექმნასაც ის ჩემუ-

ლობს. დიახ, მასზედ არავინ არაფერი უწყობდა, გარდა რამდენიმე სირიული ტომისა, რომლებიც დიდხანს მასავით სისასტიკით გამოირჩეოდნენ და მონობის ერთ უღელს რომ გადაიგდებდნენ, მუდამ მეორეში ცვიოდნენ ხოლმე. ახლა ამ ძველმა ღმერთმა ისარგებლა რომაული მშვიდობით, ხალხებს თავისუფლად ვაქრობისა და მოგზაურობის საშუალებას რომ აძლევდა, იდეების გაცვლა-გამოცვლასაც უწყობდა ხელს და კადნიერად სამყაროს დაპყრობა განიზრახა. კაცმა რომ თქვას, ასეთი რამ სხვასაც ჰქონდა გულში ამოქრილი. უამრავი სხვა ღმერთიც, დემიურგიცა და დემონიც, მაგალითად მიტრა, თამუზი, კეთილი იზიდა, ეგებულოსი მასავით ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ დამშვიდებული სამყარო. ამ სულთაგან იალკე ყველაზე ნაკლებ მომზადებული ჩანდა გამარჯვებისათვის. მის უვიცობას, სისასტიკეს, ამპარტავნობას, აზიურ ფუფუნებას, კანონებისადმი ზიზღს, უხილავად ქცევის სურვილს უნდა შეურაცხეყო ეს ელინები და ლათინები, რომელთაც დიონისესა და მუზების გაკვეთილები ჰქონდათ ნასწავლი. თავადაც იგრძნო, რომ ძალი არ შესწევდა თავისუფალ ადამიანთა გულების, გონებანათელ ხალხების დასაპყრობად და ეშმაკობას მიმართა. სულეები რომ მოენადირებინა, გამოიგონა არაკი; იგი ისე ოსტატურად ვერ იყო შეთხზული, როგორც მითები, რომლებითაც ჩვენ ანტიკური ხანის მოწაფეთა გონებას ვკვებავდით, მაგრამ შეეძლო შეეძრა გონებასუსტი არსებანი, ყველგან მრავლად რომ გვხვდებოდნენ. გამოაცხადა, ადამიანებმა შესცოდეს ჩემ წინაშე და ეს შეცოდება გადაეცემა მამიდან შვილსო. ამისათვის სასჯელი მიეზღვებათ სააქაო და საიქიო ცხოვრებაშიც (აკი მოკვდავთ რატომღაც მტკიცედ სჯერათ, რომ მათი არსებობა ჯოჯოხეთშიც გაგრძელდება). და მზაკვარმა იალკემ ამცნო ყველას, ღვიძლი ძე გამოვაგზავნე დედამიწაზე, თავის სისხლით რომ გამოისყიდოს კაცობრიობის ცოდვაო. რა დასაჯერებელია, რომ სასჯელი გამოისყიდის დანაშაულს, კიდევ ნაკლებ სარწმუნო გახლავთ, თითქოს უცოდველს შეეძლოს ზღოს დამნაშავის მაგიერ. უცოდველის ტანჯვა არაფერს ანაზღაურებს და მხოლოდ ბოროტებას ურთავს ბოროტებაზე. მაინც მოიძებნენ უბედური არსებანი, თაყვანი რომ ეყათ იალკესა და მისი მაცხოვარი ძისათვის და გამოეცხადებინათ მისტერიები, როგორც სასიხარულო ამბავი. განა ათასჯერ არ გვი-

ნახავს, როცა ტიტველნი იყვნენ და მშვიდნი, პირქვე ემხო-
ბოდნენ შიშის ყოველი აჩრდილის წინაშე და კეთილსმყოფელ
დემონთა ნაკარნახევის აყოლას ამჯობინებდნენ სასტიკ დემი-
ურგთა ბრძანებას დამორჩილებოდნენ? იაღვემ თავისი ეშმა-
კობით თითქოს ბადეში გააბა სულელები. მაგრამ რომ ელოდა,
იმდენი დიდება როდი მოიმკო. მას კი არა, მის ძეს ერგო ადა-
მიანთა თაყვანისცემა და სწორედ მან მისცა სახელი ახალ
კულტს. თვითონ კი თითქმის უცნობი დარჩა დედამიწაზე.

თ ა ვ ი X X

ნაამოვანის გაგრძელება

ახალი ცრურწმენა ჯერ სირიასა და აფრიკას მოედო; მოიცი-
ვა ნავსადგურები, სადაც ბილწი მოსახლეობა ფუთფუთებს
და იტალიაში შემოაღწია. ჯერ კურტიზანი ქალები და მონები
მოინადირა, მერე ქალაქის პლებსაც დარია ხელი. მაგ-
რამ სოფლებში დიდხანს ვერ შეაღწია. სოფლელები უწინდე-
ბურად დიანას სწირავდნენ ფიქვს, რომელსაც ყოველწლიუ-
რად ახალგაზრდა ტახის სისხლით რწყავდნენ, ლარების კე-
თილგანწყობას იმსახურებდნენ ნეზვის შეწირვით და ბახუსს,
კაცთა მწყალობელს, ზვარაკად სწირავდნენ თეთრ-საპეტაკ ცი-
კანს; თუ ლარიბები იყვნენ, კერიის, ვენახისა და ყანის დამ-
ცველთათვის ცოტაოდენი ღვინო და ფქვილი მაინც მოეპო-
ვებოდათ. აკი შთავაგონებდით, რომ საკმარისია წმიდა ხელი
შეახო საკურთხეველს და ღმერთები მოკრძალებულ ძღვენს
სიხარულით შეიწირავენ. ამასობაში ათასგვარი სისულელე
უკვე გვამცნობდა იაღვეს მეუფებას. ქრისტიანები წვავდნენ
წიგნებს, ამხობდნენ ტაძრებს, ცეცხლს უკიდებდნენ ქალა-
ქებს, თვით უდაბნოებსაც კი აჩანაგებდნენ. აქ ათასობით უბე-
დური თავის სიშმაგეს საკუთარი თავის წინააღმდეგ მიმარ-
თავდა და რკინით იფლეთდა გვერდებს. მთელი დედამიწიდან
ამ ნებით გვემულთა კენესა ქება-დიდებად აღწევდა ღმერთამ-
დე; ჩემი მოჩრდილული სამყოფელიც დიდხანს ვერ გადურ-
ჩებოდა ამ გახლებულთა სიშმაგეს.

იმ ბორცვის მწვერვალზე, თავს რომ დასცქეროდა ზეთის-ხილის ტყეებს და დღეცისმარე ჩემი სალამურის ჰანგები ამხიარულეზდა, რომაული მშვიდობის პირველ წლებიდანვე იდგა წინაპართა ქოხებივით მრგვალი, პატარა მარმარილოს ტაძარი. კედლები არა ჰქონდა. შვიდი საფეხურის სიმაღლის საძირკველზე წრედ აღმართულიყო თექვსმეტი აკანთოს ვოლუტიანი სვეტი, რომელთაც თავს ადგა თეთრი კრამიტის თალი. ეს თალი იფარავდა მშვილდმომართული ამურის ქანდაკებას. იგი ათენელი მოქანდაკის ნახელავი გახლდათ. ყმაწვილი თითქოს სუნთქავდა; სიხარული ეფრქვეოდა ბაგეთაგან; ყველა მისი ნაკვთი ჰარმონიული და მოქნილი იყო. მე თავყანს ვცემდი ღმერთთა შორის უძლიერესის ხატებას და სოფლელებს ვასწავლიდი მისთვის ძღვნად მოეტანათ ორი წლის ღვინით გალიცლიცებული, ცოცხანის რტოებით შემკული თასი.

ერთ დღეს, როცა ჩვეულებისამებრ ღვთის ფერხთით ვიჩქე და ვფიქრობდი, რა შეგონებანი და სიმღერები შემეთხზა, ვილაც პირქუში, წვერგაბურძგნილი უცნობი მოუახლოვდა ტაძარს, ერთი ნახტომით ამოვლო მარმარილოს საფეხურები და ავი სიხარულით აღვსილმა შეჰყვირა:

— დაიღუპე, სულთა მომწამვლელო და დაე შენთან ერთად დამიწინენ სიხარულიცა და სიმშვენიერეც.

თქვა ეს, იშიშვლა ნაჯახი და ღმერთს დაუღირა. მე ხელში ვწვდი, მიწაზე დავეც და ჩლიქებით გაკეთლე.

— დემონო, — დამიყვირა მან შეუპოვრადა და მძვინვარედ, — მაცალე ამ კერპის დამხობა და მერე თუნდაც სიცოცხლეს გამომასალმე!

მე არ შევიწყნარე ეს მკრეხელური ვედრება, რაც ძალი და ღონე მქონდა, დავაწეე მკერდზე, ჩემს მუხლებქვეშ ღრჭიალი რომ მოიღო; ორთავ ხელი ყელში წავუჭირე უწმინდურს და დავახრჩვე.

მერე ენაგადმოვარდნილი და სახედალურჩებული მომღიმარე ღმერთის ფერხთით დავაგდე და განსაწმედად წმიდა წყაროს წყალში განვიბანე. შემდეგ დავუტევე ეს მხარე, ქრისტიანთა სათარეშოდ რომ იქცა, გადავკვეთე გალია და მივალწიე სონის ნაპირებს, სადაც უწინ დიონისემ ვაზი შეიტანა. ქრისტიანთა ღმერთი ამ ბედნიერ ხალხებს ჯერაც არ მოვლენოდა. ისინი მისი სიმშვენიერისათვის ეთაყვანებოდნენ გაბარ-

ჯღლულ წიფელს, რომლის ვეება ტოტებიც მიწამდე სცემდა და ზედ შალის ნაკუწებს ჰკიდებდნენ. კიდევ თაყვანს სცემდნენ წმიდა წყაროს და ტენიან მღვიმეებში თიხის ქანდაკებებს დგამდნენ ტყისა და მთის ნიმფებს ყველის თავებსა და რძიან ჯამებს სიღვნიდნენ კაკლახ, მწუხარების მოციქული* მათაც მოუვლინა ახალმა ღმერთმა. ტარანივისა გამოძხმარი იყო, მაგრამ მარხვითა და უძილობით დასუსტებულაც დაუშრეტელი მგზნებარებით ქადაგებდა რაღაც ბნელ მისტერიებს. უყვარდა ტანჯვა და სასიკეთოდ მიიჩნდა იგი. მისი რისხვა თან სდევდა ყოველივეს, რაც კი რამ მშვენიერი, ნაზი და მზარული შეხვდებოდა. მისმა ცულმა სულ ერთიანად აკაფა წმიდა ხე. სძულდა ნიმფები იმის გამო, რომ სიტურფით განთქმულნი იყვნენ. შეაჩვენებდა კიდეც, როცა მათი მომრგვალებული თეძოები გაიფლავებდნენ საღამოობით ფოთლებში. ჩემი ტკბილხმოვანი საღამურიც აითვალწუნა. იმ ბედკრულს ეგონა, შელოცვებს შეუძლიათ გააქციონ უკვდავი დემონები, რომელთაც გრილ მღვიმეებში, უღრან ტყესა და მთის მწვერვალებზე დაუდევთ ბინა. ეგონა, გვძლევდა რამდენიმე წვეთი წყლით, თუკი ერთ-ორ სიტყვასაც წაიბუტუნებდა და ჯვრის ნიშანს გამოსახავდა. ნიმფები, შური რომ ეძიათ, ლამლამობით ეცხადებოდნენ და მგზნებარე წადილს აღუძრავდნენ, იმ ყეყეჩს დიდ ცოდვად რომ მიიჩნდა; მერე გარბოდნენ და მინდვრებს წყრილა სიცილით ახმიანებდნენ, სანამ მათი ვნება-აშლილი მსხვერპლი გამწარებით იკრუნჩხებოდა ფოთლების საწოლზე. ასე დასცინიან ღვთაებრივი ნიმფები თავიანთ შემჩვენებლებს, ასე იგდებენ მასხრად ბოროტებსა და მათ ბილწუბიწობას.

მოციქულს იმდენი ვნება არ მოუტანია, რამდენიც სურდა, რადგან მარტივსა და ბუნების დამყოლ სულებს უქადაგებდა. თავადვე უწყით, კაცთა უმრავლესობა ფრიად მოკლე ჭკუნისა გახლავთ და ცოტა დასკვნაც გამოაქვს იმ პრინციპებიდან, მას რომ შთააგონებენ. პატარა ტყე, სადაც მე დავიდე ბინა, ერთ გალს ეკუთვნოდა. ეს გალი სენატორთა გვარის კაცი იყო და ლათინური მოხდენილობის კვალი მთლად არ წარხოცოდა. უყვარდა ახალგაზრდა მონაყოფილი ქალი და მასთან იზიარებდა ნარკისებით ამოქარგულ ძოწეულის სარეცელს. მონები ვენახსა და ბაღ-ბოსტანს უმუშავებდნენ. თვითონ პოეტი

იყო და ავზონიუსის* მიბაძვით უგალობდა ვენერას, თავის ვაჟს ვარდების კონით რომ როზგავს. თუმც კი ქრისტიანი გახლდათ, როგორც ადგილის გენიას, არც მე მივიწყებდა და რძეს, ხილსა და ბოსტნეულს მიძღვნიდა. სამაგიეროდ განსვენების უამს ვატკბობდი ჩემი სალამურითა და ძილში საამურ სიზმრებს მოვბერავდი. ამ მშვიდობიანმა გალებმა არსებითად ძალიან ცოტა რამ იცოდნენ იაღვესა და მის ვაჟზე.

მაგრამ აი, ცეცხლის ენები ავარდა პორიზონტზე და ქართით მოტანილმა ნაცარმა დაფარა ჩვენი ტყის პირები. გლეხები გზებზე მიაგორებდნენ საზიდრებს, გაძალებით პერეკებოდნენ ნახირს. თავზარდაცემული ძახილი ისმოდა სოფლებიდან: „ბურგუნდები!“* აი, პირველი მხედარიც გამოჩნდა ხელთ შუბი ეპყრა, ბრინჯაოს აბჯარი ესხა და გრძელი, მწითური თმა ორ ნაწნავად დაჰფენოდა მხრებზე. მას ორი სხვაც მოჰყვა, მერე კიდევ ოცი მოჰარდა, მერე ათასობით წამოვიდნენ, პირქუშნი, გასისხლიანებულნი. ზოცავდნენ მოხუცებს, ბავშვებს, ნამუსაუხდელს არ ტოვებდნენ დედაბრებისაც, რომელთა ჭადრა თმაც ახალშობილთა დანთხეულ ტვინთან ერთად ეკვროდა მოძალადეთა ლანჩებს. ჩემმა ახალგაზრდა გაღმა და მისმა მონაყოფილმაც თავიანთი სისხლით შეღებეს ნარცისებით მოქარგული სარეცელი. ბარბაროსები ცეცხლს უკიდებდნენ ბაზილიკებს, რომ შიგ მთლიანი ხარები შეეწვათ, ამსხვრევდნენ ამფორებს და დატბორილ სარდაფებშივე ჭვრებდნენ ღვინოს. მოდიოდნენ და ფეხდაფეხ საომარ ეტლებში ჩარიგებული ნახევრადმიშველი ცოლები მოსდევდნენ. როცა სენატი, ქალაქელები და ეკლესიის მესვეურნი ჩაიღუპნენ ცეცხლის ალში, ფორუმის თაღებქვეშ მიყრილ ბურგუნდებსაც გამოუნელდათ ღვინო. ორი კვირის შემდეგ კი ნახავდით ერთი მათგანი ხშირი წვერიდან როგორ უღიმოდა ჩვილს, მის ქერა მეუღლეს რომ აეტატებინა ხელში სახლის ზღურბლზე. მეორე ამასობაში სამჭედლო ქურას ახურებდა და რკინას ნება-ნება სცემდა უროს. მესამე მუხის ქვეშ ჩამოძვარიყო და გარს შემოჯარულ ამხანაგებს უმღეროდა თავისი მოღვმის ღმერთებსა და გმირებზე. სხვებს გასაყიდად გამოეფინათ ციდან ჩამოცვნილი ქვები, დომბების რქები და ავგაროზები. ამ მხარის ძველ მკვიდრთაც თანდათანობით და-

უცხრათ შიში, ტყეებიდან გამოვიდნენ, სადაც იყვნენ შეფარებულნი და თავიანთი ცეცხლმოდებული ქოხების აღდგენას მიჰყევს ხელი. მალე მინდვრების დამუშავება და ვაზის გასხვლაც იწყეს. ასე ხელახლა შეუდგნენ ცხოვრებას; მაგრამ ეს ხანა ყველაზე უბადრუკი იყო იმათგან, კაცობრიობას რომ განუვლია. ბარბაროსებმა დაამხეს იმპერია*. ზნე-ჩვეულებანი უხეში ჰქონდათ და რაკი შურისმაძიებელნი და ხარბებიც იყვნენ, მტკიცედ სწამდათ, რომ შეიძლებოდა შეცოდების გამოსყიდვა. იალვესა და მისი ვაჟის იგავი ჭკუაში დაუჭდათ და მით უფრო აღვილად ირწმუნეს, რომ რომაელთაგან ჰქონდათ ნაქადაგევი. რომაელები ხომ თავიანთზე უფრო განსწავლულად მიაჩნდათ და მათ ხელოვნებასა და ზნე-ჩვეულებებს იღუმალ თაყვანს სცემდნენ. ვაგლახ! საბერძნეთსა და რომს მხოლოდ ბრიყვი მემკვიდრეები დარჩათ. ყოველგვარი ცოდნა და იკარგა, მაშინ დიდ ამბად ითვლებოდა, თუკი ვინმეს საეკლესიო გუნდში გალობა შეეძლო, იმათ კი, ვინც ზეპირ იცოდა რამდენიმე ფრაზა ბიბლიიდან, უჩვეულოდ განსწავლულა ხალხის სახელი ჰქონდათ გავარდნილი. პოეტები კიდევ გვხვდებოდნენ, როგორც ჩიტები გვხვდებიან სოლმე, მაგრამ მათი ლექსები ყველა მუხლით მოიკოჭლებდა. ძველი დემონები, კაცის კეთილი გენიები უწინდელ პატივს მოკლებულნი, გაძევებულნი და დეჟინილი ტყეებში იმალებოდნენ და თუ ოდესმე კვლავ ეჩვენებოდნენ ადამიანებს, მათთვის მოწიწება რომ მთავრდებოდა, საშინელ სახეს ღებულობდნენ. წითელი, მწვანე ან შავი თავპირი ჰქონდათ, მრისხანე მზერა, ბანჯგვლიანი კუდი და ტახის ეშვებით შემკული ვეება ლაშენი; შუბლს რქები უმშვენიებდათ; ხანდახან კაცის სახეც ებათ მუცელზე. ნიმფები კი კვლავინდებურად წარმტაცნი იყვნენ; და ბარბაროსებიც, რაკი არც ერთი იმ ნაზ სახელთაგანი არ უწყოდნენ, რომლებიც უწინ ამ ქალღმერთთ ამკობდნენ, მათ ფერიებს ექაჩდნენ; ჭირვეულადა და გულუბრყვილოებად მიაჩნდათ, ემინოდათ მათი და სიყვარულით ეკიდებოდნენ.

ჩვენ ერთობ დამცრობილნი, ერთობ დამდაბლებულნი ვიყავით, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაგვიყრია; ამ სასტიკ დროებაშიაც ხალისიანი და კეთილი ბუნება შეგვრჩა და ადამიანებს ჰემმარიტ მეგობრობას ვუწყევდით. შევნიშნეთ თუ არა,

რომ ბარბაროსები დღითი დღე ნაკლებ მფრთხალნი და სასტიკნი ხდებოდნენ, მათთან ბაასის გასაბმელად ათასგვარ სახეს ვლებულობდით. როგორ არ ვაქეზებდით, რა ჟანდს არ მიემართავდით, რომ ბებერი იაღვე უცდომელი ბატონი არ ჰგონებოდათ. არ შინებოდათ მისი მუქარისა, ბრმად არ დაჰყოლოდნენ მის ბრძანებებს. თუ გაჭირდებოდა, მაგიასაც ვიმეველიებდით ზოლმე. შთავაგონებდით ადამიანებს დაუცხრომლად შეესწავლათ ბუნება და კვლავ ეძებნათ ანტიკური სიბრძნის კვალი. ეს ჩრდილოელი მეომრები თუმც კი გაურანდავნი იყვნენ, ზოგ ხელობას მაინც იცნობდნენ. სწამდათ, ცაში ბრძოლებიაო გამართული. ქნარზე დანამლერი ჰანგები ცრემლებს ჰგვრიდათ და იქნებ იმ გადაგვარებულ ვალეზსა და რომაელებზე მეტ რამისად შესწევდათ გონება, რომელთა მიწებიც დაიბყრეს. არ იცოდნენ არც ქვისა და არც მარმარილოს გათლა, მაგრამ რომიდან და რავენიდან ჩამოჰქონდათ პორფირი და სვეტები. მათი ბელადები საბექდავებად იჩემებდნენ მშვენიერების გარდასულ დღეთა ბერძენი ოსტატების ნახელავ გემებს. აგურებისაგან მარჯვედ აგებდნენ წვერწამახულ კედლებს და ახერხებდნენ აღემართათ ამოდ სახილველი, მუქარით მომზირალი თავებით შემკული, მძიმე კაპიტელებიანი ეკლესიები, სადაც ერთურთს ძიძგნიდნენ ურჩხულთა გამოსახულებანი.

ჩვენ მათ ლიტერატურასა და მეცნიერებასაც ვასწავლიდით. მათი ღმერთის ერთმა ქორეპისკოპოსმა — ეერბერმა* ჩვენგან ფიზიკის, არითმეტიკის, მუსიკის გაკვეთილები მიიღო და ხმაც დაუვარდა, რომ ჩვენ მოგვეყიდა სული. საუკუნე საუკუნეს ცვლიდა; ზღე-ჩვეულებანი კი კვლავ სასტიკნი რჩებოდნენ. ქვეყანა ცეცხლის ალში იყო გახვეული და ირგვლო სისხლის ღვარი დიოდა. ამ მუყაითი ეერბერის მემკვიდრეებმა სულთა განმგებლობა აღარ იკმარეს (რამეთუ სარგებელი, ამ საქმიდან რომ შეიძლება გამოადნოს კაცმა, ჰაერზე უმსუბუქესია) და სხეულის ხელში ჩაგდებაც მოისურვეს. მსოფლიო მონარქიისაკენ მიილტვოდნენ იმ უფლებით, რომელიც თითქოს ტიბერიადის ტბის* მესათხველისაგან ჰქონდათ ბოძებული. ერთმა მათგანმა კიდევაც განიზრახა ეჯობნა ჩლუნგი გერმანელის, აგუსტუსის მემკვიდრისათვის*. მაგრამ საბოლოოდ სულიერი მეუფენი იძულებული გახდნენ

შალაუფლება საერო ხელისუფალთათვის გაეყოს და ხალხს ქედზე ორ ურთიერთმოქიშპე ბატონთა უღელი დაედო. ხალხი უჩრბოდა და საშინელ შფოთს სტეხდა. ირგვლივ გაუთავებელი ომები, შიმშილობა, ხოცვა-ჟლეტა გამეფებულიყო. დარაკი თავიანთ ღმერთს მიაწერდნენ ყველა თავს დამტყდარ უბედურებას, მას სახიერს უწოდებდნენ, ქარაგმულად კი არა, უბრალოდ იმიტომ, რომ საუკეთესოდ მიაჩნდათ ის, ვინც ყველაზე მწარედ ურტყამდათ. ამ ძალმომრეობათა ხანაში მყუდრო მოცალეობა რომ მეპოვნა, მივიღე გადაწყვეტილება, რომელმაც შეიძლება გაგაკვიროვთ, მაგრამ სინამდვილეში ბრძნული გახლდათ.

სონისა და შაროლის მთებს შორის, ხარების საბალახოზე, ერთი ტყიანი ბორცვი აღმართულიყო, რომლის ოდნავ დამრეცი ფერდობიც ნებიერად ეშვებოდა ანკარა ნაკადულებით მორწყულ ველ-მინდვრებზე. აქ გაეშენებინათ ერთი მთელს საქრისტიანოში განთქმული მონასტერი*. ჩემი ჩლიქებიანი ფეხები ანაფორაში შევმალე, ამ სააბატოში ბერად შევდექე და მშვიდად ვცხოვრობდი მეომართაგან გაკიდევანებული, მტრები თუ მოყვარენი თანაბრად აბეზრები რომ იყვნენ. კვლავ ბავშვობაში ჩავარდნილ კაცს ყველაფერი თავიდან ჰქონდა სასწავლი. ძმა ლუკა, ჩემი სენაკის მეზობელი, ცხოველთა ზნე-ჩვეულებას სწავლობდა და ამტკიცებდა, სინდიოფალა თავის პატარებს ყურში სახავსო. მე მინდვრად ვკრეფდი სამკურნალო ბალახებს, რომ შვება მომეტანა სნეულთათვის, რომელთაც აქამდე მკურნალობის მაგივრად წმიდანთა ნაწილებზე ადებინებდნენ ხელს. სააბატოში რამდენიმე ჩემი მსგავსი ღემონი შემხვდა, ჩლიქებითა და კეთილი სიტყვით რომ შევიცანი. ჩვენ გაერთიანებული ძალებით ვცდილობდით ცოტათი მაინც გაგვეწვრთნა ბერთა გაურანდავი გონება.

სანამ სააბატოს კედლებქვეშ გოგო-ბიჭები დაკირობანას თამაშობდნენ, ჩვენი ბერ-მონაზვნები სხვა, მსავით ფუჭი თამაშობით იყვნენ გართულნი. ამ თამაშობაში მეც ვიყავ ჩაბმული; ავიღრო რითიმე უნდა მოიკლას და ეს, კარგად თუ ჩაუკვირდი; ცხოვრების ერთადერთი მიზანი გახლავთ. ჩვენი თავშესაქცევი სიტყვებით თამაში* გახლდათ; იგი ხიბლავდა ჩვენს გონებას, ერთსა და იმავე დროს ნატიფიც რომ იყო და

უხეშიც, საკამათოდ აღგვაგზნებდა ყველას და მთელ საქრისტიანოს აშფოთებდა. ჩვენ ორ ბანაკად გავიყავით. ერთნი ამტკიცებდნენ, სანამ ვაშლები გაჩნდებოდა, ვაშლის იდეა არსებობდა, სანამ თუთიყუშები გაჩნდებოდნენ — თუთიყუშების პირველდედანი, სანამ გარყვნილი და მსუნაგი ბერები გაჩნდებოდნენ, იყო ბერი, - გ ა რ ყ ვ ნ ი ლ ე ბ ა და ს ი მ ს უ ნ ა გ ე ო; სანამ წიხლი და უკანალი გაჩნდებოდა ამქვეყნად, პანჩურს ოდითგან იმარხავდა უფლის წიაღიო. მეორე ბანაკი გაიძახოდა, პირიქით, ვაშლებმა მისცეს ადამიანს ვაშლის იდეა, თუთიყუშებმა — თუთიყუშებისა. ბერებმა დაბადეს ბერის, სიმსუნაგისა და გარყვნილების იდეაო, პანჩურიც მას შემდეგ გაჩნდა, რაც საკადრისად უთავაზეს კაცს უკანალის ასაწვავადო. მოთამაშენი კამათში ისე ფიცხდებოდნენ, რომ მუშტი-კრივამდე მიდიოდნენ. მე მეორე ბანაკს ვემხრობოდი; ის უკეთ ეხამებოდა ჩემს გონებას. მაგრამ ჩვენი რწმენა დაგმობილ იქნა სუასონის საეკლესიო კრებაზე.

ამასობაში სუზერან-ვასალებმა ერთმანეთთან გამუდმებულ ბრძოლა არ იკმარეს და აღმოსავლეთში გალაშქრება გადაწყვიტეს. ეს სენიორები, რამდენადაც შახსოვს, გაიძახოდნენ, უფლის საფლავის გამოსახსნელად მივეშურებით*. ამას კი ჩემულობდნენ, მაგრამ მათი გაუმადლობა და ფათერაკებს დახარბებული გონება იმსიშორეს მიწების, ქალების, მონების, ოქრო-ვერცხლის, მურის, საკმევლის საძებნელად მიერეკებოდა. ეს ლაშქრობები, რაღა თქმა უნდა, წარმატებით არ დაგვირგვინებულა, მაგრამ ჩვენმა გონებაჩლუნგმა თანამემამულეებმა იქიდან მოიტანეს აღმოსავლურ ხელოსნობათა და ხელოვნებათა ცოდნა და ფუფუნების სიყვარული. მას შემდეგ უფრო გაგვიადვილდა აგვემუშავებინა. ისინი და გამოგონებებისათვის წაგვექეზებინა. ეს ჩვენ ავაგეთ არნახულად ლამაზი ეკლესიები*, თამამად დატეხილი თაღებით, ისრული კამარებით შემკული მაღალი კოშკები, ათასობით წვერწამახული სამრეკლო, რომლებიც იაღვეს ცისაკენ იჭრებოდნენ და ერთსა და იმავე დროს: მიჰქონდათ მისთვის მდაბალთა ლოცვავედრებაცა და მაღალთა მუქარაც, რამეთუ ეს ყოველივე ჩვენი ნახელავიც იმდენადვე იყო, რამდენადაც ადამიანებისა. უცნაური სანახავი გახლდათ თუ როგორ მუშაობდნენ ტაძრის აგებაზე ერთიმეორის მხარდამხარ ადამიანები და დემონები;

თითოეული როგორ ხერხავდა, როგორ აშალაშინებდა, ადულა-
 ბებდა ქვეებს, ლავგარდანებსა და სვეტისთავეებზე ნარშავას, მაყ-
 ვლის შტოს, ჩიტვაშლას, მარწყვის ბუჩქს როგორ ჭრიდა, რა
 გატაცებით კვეთდა ღვთისმშობლისა და წმიდანთა სახეებს,
 გველეშაპებს, ვირისთავიან თევზებს, მაიმუნებს, უკანალს
 რომ იფხანდნენ; ყოველი მათგანი შიგ აქსოვდა თავის პირ-
 ქუშ, გოქმაყ, დიდებულ, კნინ, დამკინავ, ზვიად ნიქსა და ყო-
 ველივე ამისგან ადგენდა ჰარმონიულ კაკაფონიას, სიხარუ-
 ლისა და მწუხარების მომხიბვლელ ქებათა ქებას, ბაბილო-
 ნის მძლევარ გოდოლს. ჩვენი შთაგონებით მკვდაგებმა, ოქ-
 რომპედლებმა, მემინანქრებმა სასწაული მოახდინეს და ფუ-
 ფუნების სამსახურში მღვარი ყველა ხელობა ერთბაშად ააყ-
 ვავეს, ლიონის მეაბრეშუმეობა გნებავთ, არას მეხალიჩეობა,
 რეიმსის ტილოს წარმოება თუ რუანის შალის მრეწველობა.
 დარბაისელი ვაჭრები ბაზარ-ბაზარ დადიოდნენ თავიანთ ფა-
 შატებზე ამხედრებულნი და ნავერდისა და სტავრა-ატლასის
 ნაჭრებს, მაქმანებს, ფარჩეულობას, ძვირფას სამკაულებს, ვერ-
 ცხლის ჭურჭელსა და მინიატურებით შემკულ წიგნებს დაატა-
 რებდნენ. მხიარული შეგირდები ტაძრებში ან საჯარო მოედ-
 ნებზე სცენებს აგებდნენ და თავიანთ გუნებისად მართავდნენ
 წარმოდგენებს ცასა, მიწასა და ჯოჯოხეთზე. ქალები საუცხო-
 ოდ ირთებოდნენ და მსჯელობდნენ სიყვარულზე. გაზაფხუ-
 ლობით, როცა ცას ლაჟვარდისფერი გადაჰკრავდა, კეთილშო-
 ბილთ თუ მდაბიოთ წადილი იპყრობდა მოელხინათ ყვავილო-
 ვან მდელოზე, მევიოლინე აწყობდა თავის საკრავს, ქალბატო-
 ნები, რაინდები და ასულები, ქალაქელი ქალი თუ კაცი, სოფ-
 ლის ბიჭები და გოგონები ხელი ხელს ჩაჰკიდებდნენ და ფერ-
 ხულს უვლიდნენ. მაგრამ უეცრად ომი, შიმშილობა ან შავი
 ჭირიც ებმოდნენ ფერხულში, სიკვდილი ხელიდან სტაცებდა
 საკრავს დამკვრელს, თვითონ იწყებდა დაკვრას და თავის ნება-
 ზე აროკებდა ხალხს. ხანძარი ანადგურებდა სოფლებსა და მო-
 ნასტრებს, მეომრები გზაჯვარედინებზე, მუხის ტოტებზე ჰკი-
 დებდნენ გლეხებს, გამოსასყიდის გადახდა რომ არ შეეძლოთ და
 ხის ტანზე აკრავდნენ ორსულ ქალებს, რომელთაც ღამით ნა-
 ყოფს მგლები უჭამდნენ მუცელში. ღატაკ ხალხს ამეებისაგან
 ჭკუა-ერეოდა. ზოგჯერ კვლავ მშვიდობიანობა ჩამოვარდებოდა,
 საამუერი დროება დგებოდა. და უეცრად უმიზეზოდ საშინელი

სიშლენე შეიპყრობდათ, დააგდებდნენ სახლ-კარს და გუნდ-
გუნდად გარბოდნენ ნახევრად შიშვლები, რკინის კაუჭებით
იგვემდნენ თავს და გალობდნენ... ყველა ამ სიავისათვის მე
როდი ვადანაშაულებ იაღვესა და მის ძეს. ბევრი უმსგავ-
სობა მისდა უნებურად და მის საწინააღმდეგოდაც კი ხდებო-
და. მაგრამ სახიერი ღმერთის (როგორც უწოდებდნენ) ხელი
უთუოდ მოჩანდა იმ ჩვეულებებში, მისმა ქორეპისკოპოსებმა
რომ დააწესეს და მთელ საქრისტიანოზე გაავრცელეს: ზარე-
ბის გრიალში და ფსალმუნთა გალობაში კოცონზე წვავდნენ
კაცებსა და ქალებს*, დემონთაგან განსწავლულნი ამ ღმერთზე
თავინებურად რომ სჯიდნენ.

თ ა ვ ი XXI

ნაამოგის გაგრძელება და დასასრული

მეცნიერება და აზროვნება თითქოს სამუდამოდ ჩაკედა,
დედამიწაც თითქოს ველარასოდეს დაიბრუნებდა მშვიდობას,
სიხარულსა და მშვენიერებას.

მაგრამ ერთ დღეს რომის კედლებქვეშ მუშებმა, ძველი
გზის გაყოლებით მიწას რომ თხრიდნენ, იპოვეს მარმარილოს
სარკოფაგი, რომლის კედლებზეც ამურის გამოსახულება და
ბახუსის ზეიში იყო ამოკვეთილი. სარქველი რომ ახადეს, გა-
მოჩნდა ქალწული*; მისი სახე სიქორფით ბრწყინავდა. გრძელი
თმა ლამაზად ეფინა თეთრ მხრებზე, ძილში ნეტარად ილიმე-
ბოდა. მოხიბლულმა და აღელვებულმა ქალაქელებმა მხრებ-
ზე შეიგდეს ეს სასიკვდილო სარეცელი და კაპიტოლიუმში
წაასვენეს. ხალხი ჯგროდ მოაწყდა რომაელთ ასულის უქცო-
ბი სილამაზის სახილველად და ხმაგაკმედილი უთვალთვალებ-
და, როდის გაიღვიძებდა ღვთაებრივი სული, ამ სათაყვანო
სხეულში რომ ჩაბუდებულიყო. ქალაქი ისე ააღელვა ამ სანა-
ხაობამ, პაპს შეეშინდა, წარმართული კულტი არ დაბადოს ამ
სწორუბოვარმა სხეულმაო. ამიტომაც იყო, ღამით რომ მო-
პარვინა იგი და დაამარხვინა. მაგრამ ამაოდ დაშვრას ამაო
გამოდგა მისი სიფრთხილე! ანტიკური სილამაზე ამდენი საუ-

კუნის ბარბაროსობის შემდეგ კვლავ ეჩვენა ადამიანებს. ეს საკმარისი შეიქნა იმისათვის, რომ მისი ხატება მათ გულეებში ჩაქედლიყო და შთაენერგა მგზნებარე წყურვილი, შეეყვარებინათ იგი და უკეთ გაეცნოთ. მას მოღმა ქრისტიანთა ღმერთის ვარსკვლავი მიმცხრალდა და ჩასასვლელად მიეწურვა. მამაცმა ნაოსნებმა აღმოაჩინეს ქვეყნები, სადაც ცხოვრობდა ხალხი, რომელიც არ იცნობდა ბებერ იაღვებს და ეჭვი შეეპარათ, უთუოდ არც თავად იცნობს ამ ხალხებს, რაკი არც თავისი ამბავი უმცნევია მათთვის და არც თავისი მაცხოვარი ძისაო. ერთმა პოლონელმა კანონიკმა დაამტკიცა, დედამიწა ბრუნავს* და აღმოჩნდა, რომ ისრაელის ბებერ დემიურგს სამყარო შეექმნა კი არა, მისი აგებულებაც არ სცოდნია. ძველ ფილოსოფოსთა, ორატორთა, იურისტთა და პოეტთა სწავლანი მონასტრების მტვრიანი წიგნთსაცავებიდან ამოიღეს; ისინი ხელიდან ხელში გადადიოდნენ და კაცთ გონებას სიბრძნის სიყვარული მოჰბერეს. მოშურნე ღმერთის ნაცვალს — პაპსაც კი აღარ სჯეროდა იმისა, ვისაც დედამიწაზე წარმოადგენდა. მას უყვარდა ხელოვნებანი* და სხვა საზრუნავი არ გააჩნდა, თუ არ ანტიკური ქანდაკებების შეგროვება, დიდებული სასახლეების აგება, სადაც მკვდრეთით აღმსდგარიყო ბრამანტეს მიერ აღორძინებული ვიტრუვიუსის ხელოვნება*. ჩვენც თავისუფლად ამოვისუნთქეთ. თავიანთი ხანგრძლივი გადასახლებიდან დაბრუნებული ქემმარტი ღმერთები კვლავ სახლდებოდნენ დედამიწაზე. კვლავ დაიმკვიდრეს აქ ტაძრები და საკურთხეველები. პაპმა ლეონმა მათ ფერხთით დაუწყო ბეჭედი, სამმაგი გვირგვინი, კლიტეები და იღუმალ სამსხვერპლო გუნდრუკს უკმევდა. ნაზი პოლიმნიაც* კვლავ ჰკიდებდა ხელს მედიტაციების ოქროს ძაფს, ბაღებში ზნეკეთილი გრაციები და ნიმფები სატირებთან ერთად ფერხულს უვლიდნენ; დედამიწაზე, როგორც იქნა, კვლავ ისწავლეს სწახარული. მაგრამ ჰოი უბედურებავ, ჰოი სიმწარევი ერთი ლუდითა და თეოლოგიით გაბერილი გერმანელი ბერი* აღსდგა ხელახლად შობილი წარმართობის წინააღმდეგ, შეება მას, ზურგზე ბოლი ადინა, მარტოდმარტომ აჯობა ეკლესიის მთავართ, აიყოლია ხალხები, უბიძგა რეფორმისაკენ, რათა ეხსნათ ის, რაც დანგრევის კარს იყო მისული. ჩვენ შორის ყველაზე მოხერხებულნი ამოდ დაშვრნენ, გულიდან ვერ ამოაგდებდ-

ეს განზრახული. ყველაზე მეტად განსწავლული დემონი შე-
უჩნდა, დედამიწაზე ბელზებელს რომ უხმობენ; ხან საგონე-
ბელში აგდებდა საწინააღმდეგო საბუთებით, ხანაც თავს აბეზ-
რებდა სასტიკი ოინებით.

ჯიუტ ბერს მოთმინების ძაფი გაუწყდა, სამეღნე გაუქანა
თავში და განაგრძო ბედნავსი რეფორმაცია. სხვა რაღა გი-
თხრათ? ამ ძალ-ლონით საგსე მუშაკმა შეაკეთა, ამოვმანა,
ფეხზე დააყენა დასანგრევად მიწურვილი ეკლესიის ღომალ-
დი. იესო ქრისტე ამ ანაფორიანს უნდა უმადლოდეს, რომ
მისი გემის დაღუპვა ბარე ათ საუკუნეზე მეტი ხნით გადაიდო.
მას შემდეგ საქმე სულ უფრო და უფრო გაუარესდა. ამ ზონ-
ზროხა, ლოთი და მოჩხუბარი ბერ-მონაზვნის შემდეგ მოვიდა
მაღალი, ხმელ-ხმელი ენეველი დოქტორი*, ბებერი იაღვეს
სულით რომ იყო გამსკვალული და ცდილობდა მსოფლიო
კვლავ ისუ ნავესა* და ისრაელ მსაჯულთა საზარელი დროები-
სათვის დაებრუნებინა. ეს გულცივი და შმაგი მანიაკი, ეს
ერეტიკოსი, სხვა ერეტიკოსებს რომ ხრუკავდა კოცონზე, გრა-
ციათა უბოროტესი მტერი იყო.

ეს ცოფმორეული მოციქულები და მათი ცოფიანი შეგირ-
დები ჩემისთანა დემონებს, რქოსან ეშმაკებს, მონატრებდნენ
იმ დროს, როცა ძე თავის ქალწულ დედასთან ერთად მეუფებ-
ოდა ხალხებზე, დაბრმავებულნი რომ იყვნენ ამდენი დიდებუ-
ლებით: ტაძრების ქვათა ჩუქურთმებით, ვიტრაჟების მოვლ-
ჯარე ვარდ-ყვავილებით, ფერადოვანი ფრესკებით, სადაც ათა-
სი საუცხოო ამბავი იყო გამოხატული, მდიდრული ვარაყით,
სამარტივლეთა და სანაწილეთა ელვარე მინანქრებით, ჯერე-
ბისა და ბარძიმების ოქროთი, ჩრდილიან თაღებში შეყუყუ-
ლი სანთლების ხომლებითა და ორგანთა ჰარმონიული ხმი-
ანობით. ყოველივე ამას, ცხადია, პართენონი არ ეთქმოდა,
არც პანათენეუმში, მაგრამ თვალსა და გულს ახარებდა; რამე-
თუ სახელად სიმშვენიერე ერქვა. ამ წყეულ რეფორმატორებს
კო ჭირივით სძაგდათ ყველაფერი, რაც საამური იყო საცქერ-
ლად. ერთი გენახათ, შავ გუნდად როგორ მიძვრებოდნენ პორ-
ტალებზე, ცოკოლებზე, პინაკლებზე, სამრეკლოებზე, და თა-
გიანთი ბილწი ჩაქუჩით რა გააფთრებით ამსხვრევდნენ ქვის
ქანდაკებებს, დემონებმა რომ გამოკვეთეს ოსტატებთან თან-
ხმობით; სულ ერთიანად ლეწდნენ სახიერ წმიდანებს, მოხდე-

ნილ წმიდან ქალებს, პირმშვენიერ ღვთისმშობლებს, მკერდზე რომ იხუტებდნენ თავიანთ ჩვილებს, რაკი, სიმართლე თუ გნებავთ, ცოტაოდენმა ტკბილმა წარმართობამ შეაღწია მოშურნე ღმერთის კულტში. ეს საზარელი ერეტიკოსები ძირფესვიანად თხრიდნენ კერპთაყვანისმცემლობას. მე და ჩემმა მეგობრებმა ყველაფერი ვიღონეთ, მათთვის ამ საშინელ საქმეში ხელი რომ შეგვეშალა. მე, ჩემის მხრით, სიამოვნება მხვდა წილად თორმეტიოდე მაინც ძირს გადმომეშვა პორტალებიდან და გაღერებიდან, ტაძრის კარიბჭეზე რომ დაეთხიათ უწმიდური ტვინი.

ყველაზე უარესი ის იყო, რომ კათოლიკურმა ეკლესიამაც განიცადა რეფორმა და უფრო ბოროტი შეიქნა, ვინემ ოდესმე. საფრანგეთის ტკბილ მხარეში სორბონელმა სწავლულებმა და ბერებმა არნახული გააფთრებით შეუტიეს მარჯვე დემონებსა და მეცნიერებს. ჩემი სავანის წინამძღვარი მეცნიერების დაუძინებელი მტერი გამოდგა. ეს ერთი ხანობა იყო, ჩემმა ბეჯითმა ღამისთევამ შეაწუხა, თუმცა რაღაც ფათერაკად ჩემი ჩლიქებიც ჰქონდა შენიშნული. იმ ფარისეველმა მყისვე გააჩხრეკინა ჩემი სენაკი და იქ ქაღალდი, მელანი, ახლად გამოცემული ბერძნული წიგნები და კედელზე დაკიდებული პანის სალამური იპოვა. ამ ნიშნების მიხედვით უმალ დაასკვნა, ეშმაკეული სული იქნებაო და ბრძანა, ჩემთვის ხაროში ეკრათ თავი, სადაც სიმწრის პურსა და სევდის წყალზე დამსვამდნენ, რომ არ მემარჯვა, ფანჯრიდან არ დავსხლტომოდი და ტყეში არ გავხიზნულიყავ ნიმფებსა და ფაუნებს შორის.

ყველგან კოცონები ბრიალებდნენ და დამწვარი ხორცის სუნს ავრცელებდნენ ირგვლივ. ყველგან ტანჯვა-წამება იყო გამეფებული, დამსხვრეული ძვლებისა და მოჭრილი ენების გორა იდგა. იალვეს სულს ჯერ ასეთი სასტიკი სიშმაგე არ ჩაუგონებია ადამის ძეთათვის. და მაინც, ამოდ როდი აუხდია კაცს ანტიკური სარკოფაგის სარქველი, ამოდ როდი უქვრეტია ტურფა რომაელი ქალწულისათვის. ამ დიდი შიშინანობის უამს, როცა პაპისტები და რეფორმატორები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ძალმომრეობასა და სისასტიკეში, როს ირგვლივ ტანჯვა-წამება იყო გამეფებული, ადამიანის გონება კვლავ იკრებდა ძალასა და სიმამაცეს. კვლავაც ბედავდა თვალი აღმართა ცისკენ და იქ ხედავდა არა შურისძიებით მთვრალ სე-

მიტს, არამედ მშვიდსა და სხივმჭინარე ვენერა ურანოს-საც*.

მაშინ ახალი წესწყობილება მყარდებოდა, იწყებოდა დი-დი საუკუნეები. თუმც კი საჩაროდ არ უარუყვია თავის წინა-პართა ღმერთი, კაცობრიობა ახლა მის ორ დაუძინებელ მტერს — მეცნიერებასა და გონებას მონებდა და აბატმა გა-სენდომ* უფალი ერთი ხელის დაკვრით გადახაფრა პირველ-მიზეზთა შორეულ უფსკრულში. კეთილმა დემონებმა, რომ-ლებიც წვრთნიან და ნუგეშს სცემენ უბედურ მოკვდავთ, იმ დროის უნიჭიერეს კაცთ შთააგონეს შეექმნათ ათასგვარი მსჯე-ლობანი, კომედიები და სრულყოფილი ხელოვნებით შეთხზუ-ლი ზღაპრები. ქალებმა გამოიგონეს საუბრის ხელოვნება, ში-ნაურული მიმოწერა და ზრდილობა, ზნე-ჩვეულებათა წინათ არნახული სინაზე და კეთილგონიერება შეიძინეს. გონების საუკუნის ერთ-ერთმა უჭკვიანესმა კაცმა, ზნეკეთილმა ბერ-ნიემ* მისწერა ერთხელ სენტ-ევრემოს*: „დიდი ცოდვაა სიამოვნების მოკლება“. ეს ერთი ფრაზაც კმარა იმის საჩვე-ნებლად, თუ რა პროგრესს მიაღწია ჰკუა-გონებამ ევროპაში. არ კი იფიქროთ, ეპიკურელები წინათ არ გვეოლიანო, მაგ-რამ მათ შეგნებულნი არ ჰქონდათ ეს თავისი ნიჭი ბერნიეს, შაპელისა* და მოლიერის მსგავსად. მაშინ პირმოთნედ სიწმი-დის მჩემებელთაც ესმოდათ ბუნება და რასინძაც, რაზომ ფა-რისეველიც არ უნდა ყოფილიყო, უღმრთიო ფიზიკოს ათეისტ გი-პატენივით* მშვენიერად უწყოდა, მარტოოდენ ორგანოთა ნაირგვარი მდგომარეობისათვის უნდა მიეწერა ვნებანი, ადა-მიანებს რომ აშფოთებენ.

თვით ჩემს სააბატოშიც, სადაც 'შიშინანობის შემდეგ დაე-ბრუნდი, გარს თუმც მარტოოდენ უვიცი და ჰკუამოკლე მა-მები მეხვია, სხვებზე ცოტა განსწავლულმა ახალგაზრდა ბერ-მა გამანდო, სულიწმიდა ცუდი ბერძნულით მეტყველებს, რა-თა მეცნიერები დაამციროსო.

და მაინც თეოლოგია და კაზუსტიკა ჯერ კიდევ მძვინვა-რებდა აწ გონივრულ საზოგადოებაში. პარიზის მახლობლად, ერთ მოჩრდილულ ველზე ნახავდით განდეგილებს, რომელ-თაც უფალთ ეძახდნენ*; ისინი თავს წმინდა ავგუსტინეს მოწა-ფეებად თვლიდნენ და შესაშური გულმოდგინებით ამტკიცებ-დნენ, ბიბლიის ღმერთი ლახვრავს იმას, ვისაც მისი შიში აქვს,

თწლობს იმას, ვინც ეურჩება, არად მიითვლის კეთილ საქმეთ და თუკი მოეგუნება, სჯის თავის უერთგულეს მსახურთაცო; რამეთუ მისი სამართალრ კაცთ სამართალი როდია და მიუწვდომელიაო გზაწი უფლისანი. ერთ საღამოს ამ უფალთაგან ერთს შევხვდი; თავის ბაღში კომბოსტოსა და სალათის კვლებს შორის ფიქრს მისცემოდა. მის წინაშე მოვიდრიკე რქოსანი შუბლი და ტკბილი სიტყვა ვუთხარი:

— დაგიფაროთ ბებერმა იელოვამ, უფალო! რა კარგად გცნობებიათ. ო, რა კარგად გცნობებიათ და რა კარგად გაგიგიათ მისი ხასიათი!

წმიდანმა ჯოჯობეთის მოციქულად მიმიჩნია, თავი შერისხულად ჩათვალა და შიშისაგან იქვე გააფრთხო სული.

მომდევნო საუკუნე ფილოსოფიის საუკუნედ იქცა. ფრთა გაშალა მაძიებელმა სულმა, ღვთის პატივისცემა დაიკარგა; ხორციელი ძალა შესუსტდა და გონებამ ახალი ძალები მოიკცა. ზნე-ჩვეულებათ მანამდე უცნობი ლაზათი შეიძინეს. ჩემი ორდენის ბერები კი, პირიქით, სულ უფრო და უფრო უვიცნი და ბინძურნი შეიქნენ; მონასტერში ყოფნაც უპირატესობად აღარ ჩამეთვლებოდა, რაკი ქალაქებში ზრდილობა და თავაზიანობა სუფევდა. მეც ვეღარ გავუძელ. ჩემი ფლასისძველა ქინკრებში გადავუძახე, შეპუდრული პარიკი დავიკოსე რქოსან შუბლზე, ვაცის ჩლიქებიანი ფეხები თეთრ წინდებში მივმალე, ხელში ჯოხი ავიღე და გაზეთებით ჯიბეებგამოტენილი ქვეყანაში გამოვედი. არ ვაკლდებოდი მოღურ სეირნობებს, ხშირი სტუმარი ვიყავ კაფეებისა, სადაც ლიტერატორები იკრიბებოდნენ. იმ საღონებშიაც მიმიღეს, სადაც წვეულთა საამებლად ახლებური სავარძლები დაედგათ, უკანალის ფორმას რომ ესადაგებოდნენ. აქ კაცებსა და ქალებს კეთილგონიერულად მსჯელობა გამეართათ. თვით მეტაფიზიკოსებიც ნათლად მეტყველებდნენ. ქალაქში დიდი ავტორიტეტი მოვიპოვე ეგზეგეტიკის დარგში; თავმოთნეობით არ ვიტყვი, საკმაო წვლილი მიმიძღვის მამა მელიეს ანდერძის* შედგენასა და პრუსიის მეფის კაპელანთა „კომენტირებული ბიბლიის“ მომზადებაში.

სწორედ იმხანად ბებერ იაღვეს სასაცილო და სავალალო ოინი შეემთხვა. ერთმა ამერიკელმა კვაკერმა ფრანის შემწეობით ელვა მოჰპარა*.

მე პარიზში ვცხოვრობდი და ვესწრებოდი იმ ვახშამს, სადაც ითქვა, უკანასკნელი მღვდელი უკანასკნელი მეფის ნაწლავებით უნდა მივაშთოთო. საფრანგეთი დიდ მღვლვარებას მოეცვა, იფეთქა საზარელმა რევოლუციამ. შეძრწუნებული სახელმწიფოს ეფემერული ხელისუფალნი ტერორით მეფობდნენ ენით უთქმელ საფრთხეთა შორის. ისინი უმეტეს შემთხვევაში ნაკლებ სასტიკნი და ნაკლებ ულმოებლნი იყვნენ, ვიდრე თავადები და იაღვეს მიერ მიწაზე დადგინებული მოსამართლენი, მაგრამ უფრო უწყალონი გამოჩნდნენ, რადგან კაცობრიობის სახელით გამოჰქონდათ მსჯავრი. საუბედუროდ ადვილად იცოდნენ გულის აჩვილებაც. მგრძნობიარენი იყვნენ. მგრძნობიარე ხალხს კი გულფიცხოვა მოსდგამს და ბრაზიც ადვილად ერევა. სათნოებით ქებულთ ზნეობაც მაღალი ჰქონდათ, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთობ ვიწროდ ესმოდათ თავიანთი მორალური ვალდებულებანი და ადამიანთა საქციელს მისი ბუნებრივი შედეგების მიხედვით კი არ სჯიდნენ, არამედ აბსტრაქტული პრინციპების მიხედვით. ყველა იმ მანკიერებათაგან, რომელთაც სახელმწიფო მოღვაწის დაღუპვა ძალუძთ, სათნოება ყველაზე საბედისწეროა: იგი დანაშაულისაკენ უბიძგებს ადამიანს. კაცთა კეთილდღეობისათვის რომ იღვწოდე, ყოველგვარ მორალზე მაღლა უნდა იდგე, როგორც ღვთაებრივი იულიუსი*. ღმერთი, რომელსაც ეს ერთი ხანობა იყო ასე უდიერად ექცეოდნენ, ამ ახალი თაობისაგან ძალიან არ დაზარალებულა. მათ შორისაც გამოუჩნდა მფარველები. მას ახლა უზენაეს არსებას უწოდებდნენ და უწინდებურად თაყვანს სცემდნენ. შეიძლება ისიც ითქვას, რომ ტერორმა ხალხი ერთგვარად ჩამოაცილა ფილოსოფიას და სამსახური გაუწია ბებერ დემიურგს, რომელიც ახლა წესრიგის, საზოგადოებრივი სიმშვიდისა და ადამიანთა და მათი ქონების უშიშროების განსახიერებად იქცა.

სანამ თავისუფლება იშვებოდა ამ ქარიშხლიდან, მე ოტეოლში ვცხოვრობდი, ქალბატონ ჰელვეციუსის* ხშირი სტუმარი გახლდით და მასთან ვხვდებოდი ხალხს, ვინც თავისუფლად მსჯელობდა ყველა საკითხზე. ეს კი ვოლტერის შემდგეგაც მეტად იშვიათი რამ იყო. კაცს, ვინც სიკვდილს ძრწოლის გაარეშე ხვდება, გამბედაობა არ ჰყოფნის საკუთარი აზრი გამოთქვას ზნე-ჩვეულებებზე. იგივე კაცური ღირსება, თავგან-

წირვისაკენ რომ უბიძგებს ადამიანს, მონურად ქედს ადრე-კინებს საზოგადოებრივი აზრის წინაშე. იმხანად ვტკბებოდი ვოლნესთან, კაბანისთან და ტრასისთან მასლაათით. დიდი კანდელიაკის* ეს მოწაფეები ყველა ჩვენი ცოდნის წყაროდ შეგრძნებას თვლიდნენ. თავს იდეოლოგებს უწოდებდნენ, ქვეყნად უპატიოსნესი ადამიანები იყვნენ და გონებაჩლუნგ ხალხს ერთობ ანაწყენებდნენ იმით, რომ უკვდავებაზე უარს ეუბნებოდნენ. ადამიანთა უმრავლესობას, თუმცა არ სწყინს რა უყოს ამ სიცოცხლეს, კიდევ სხვა, მარადიული სიცოცხლეც სწყურია. სანამ შიშინაობა იყო, ჩვენს პატარა, ფილოსოფიურ წრეს ოტეილის მშვიდობიან ჩრდილქვეშ ზოგჯერ პატრიოტთა პატრულები აწუხებდნენ. კონდორსე*, ჩვენი დიდებული კონდორსე გააძევეს. მეც საეჭვოდ მიმიჩნიეს ხალხის მეგობრებმა, თუმც ტეტიური იერი მქონდა და ბამბაზიის ხალათი მეცვა; არისტოკრატობა შემწამეს და არცთუ უსაფუძვლოდ, რაკი აზრის თავისუფლება ყველაზე ზვიადი არისტოკრატიზმი გახლავთ.

ერთ საღამოს, როცა ბულონის ტყის დრიადებს ვუთვალთვალეზდი, ფოთლებსმიღმა ჰორიზონტიდან ახლად ამოწვერილ მთვარესავით რომ ელავდნენ, მე, როგორც საეჭვო პირი, დამაკავეს და საპყრობილეში მიკრეს თავი. ეს უბრალო გაუგებრობა იყო; მაგრამ მაშინდელი იაკობინელები, მათგან გაძევებული ბერებისა არ იყოს, ძალიან ძვირად აფასებდნენ საყოველთაო მორჩილებას. ქალბატონ ჰელვეციუსის სიკვდილის შემდეგ ჩვენი საზოგადოება კვლავ შეიკრიბა ქალბატონ დე კონდორსეს სალონში. ბონაპარტიც კი არ თავილობდა ხანდახან ჩვენთან საუბარს.

რაკი დიდ ადამიანად დავსახეთ, გადავწყვიტეთ, ისიც ჩვენსავით იდეოლოგიად. საკმაოდ დიდი გავლენა გვქონდა ქვეყანაში. ეს გავლენა მის სასიკეთოდ გამოვიყენეთ და იმპერატორობის ხელში ჩასაგდებად აღძვართ, რათა მსოფლიოსთვის ახალი მარკუს ავრელიუსი* მოგვევლინა. იმედი გვქონდა, სამყაროს მშვიდობას მოჰფენსო, მაგრამ მან არ გაამართლა ჩვენი ვარაუდები; და ჩვენც სულ ტყუილად ვაბრალდებით, გაგვაწბილაო.

ეს კაცი ბევრად მეტობდა სხვებს გამჭრიახობით, თვალთმაქცობითა და ქმედების უნარით. სულ ერთთავად მოცემული

წამით ცხოვრობდა, არაფერზე ფიქრობდა იმდღევანდელი საზრუნავის გარდა და სწორედ ეს აქცევდა ჭეშმარიტ მეუფედ. მისი გენია ვრცელი და მსუბუქი გახლდათ. დიდი ჭკუის პატრონი იყო, მაგრამ არა შორს გამხედავი. აზრით მთელ კაცობრიობას მოიცავდა, ოღონდ არ კი მალღებოდა მასზე. იმასვე ფიქრობდა, რასაც მისი არმიის ყველა გრენადერი, მაგრამ განზრახულისაყენ მუდამ არნახული ძალით მიიღტვოდა ხოლმე. უყვარდა ბედის გამოცდა და ასი ათასობით პიემის ერთიმეორესთან შეხლით შეტყობა ამისა, ოუ რას მოუტანდა ყისმათი. ასეთი გახლდათ სამყაროსაყით დიდი ბავშვის თავშესაქცევი. ერთობ საზრიანი იყო საიძისოდ, თავის თამაშიდან ბებერი იაღვე რომ გამოერიცხა, რომლის ძლიერებასაც ჯერ კიდევ არ გასვლოდა ყავლი დედამიწაზე და აკი თავადაც მას მოჰგავდა ძალმომრეობის სიყვარულითა და მბრძანებლობის წყურვილით. დაუპატიმრა ნაცვალი*, ყელზე დანა მიაბჯინა და აიძულა მირონცხება*, ჯერ კიდევ საულის დროიდან მოკიდებული მეფეებს ძღვეამოსილს რომ ხდის. ასე აღადგინა დემიურგის კულტი, Te Deum-ი უგალობა და მისი შეწევნით თავი დედამიწის ღმერთად გამოაცხადა პატარა-პატარა კატეხიზმოებში, მთელს იმპერიასში რომ იყო მოფენილი. თავისი ეღვა და მეხი უფლისას შეუერთა და გაგინარია, ყურისწამლები ხმაური ატყდა.

სანამ ნაპოლეონის შექცევანი ევროპას არყევდა, ჩვენ თავი მოგვწონდა ჩვენი სიბრძნით, თუმცა კი გულს ნაღველი გვაწვა იმის გამო, რომ ფილოსოფიის ერა იწყებოდა ხოცვა-ჟლეტით, ტანჯვა-წამებითა და ომებით. ყველაზე სავალალო ისაა, რომ ამ საუკუნის შვილებმა, საძრახის უზნეობაში რომ იყვნენ ჩაცვივნილი, წარმოშვეს რაღაც თვალწარმტაცი, ლიტერატურული ქრისტიანიზმი*, რაც მათ წარმოუდგენელ გონებაჩღუნგობას მოწმობს და საბოლოოდ ჩაეფლნენ რომანტიზმში. ომი და რომანტიზმი საზარელ უბედურებად დაგვაწვა. რა სავალალოა ცქერა ამ ხალხისა, რომელსაც ბავშვური, შმაგი სიყვარულით უყვარს თოფები და დოლ-დაფდაფი. ვერ კი შეუგნიათ, რომ ომს, რომელმაც გამოაწრთო გულები და უვიც, ველურ აღამიანებს ქალაქები ააგებინა, თვით გამარჯვებულთათვისაც არ მოაქვს არაფერი, ნანგრევებისა და სიღუხჭირის მეტი; მას ღღესღღეობით ვერც ვერაფერს ვუწო-

დებთ სახელად, გარდა საშინელი და უაზრო დანაშაულისა, დღესდღეობით, როცა ხალხებს ერთმანეთთან აკავშირებს საერთო ხელოვნება, მეცნიერება და ვაჭრობა. უგონო ევროპელებო, ერთიმეორის ყელის გამოღადვრას რად ესწრაფით, როცა ერთი და იგივე ცივილიზაციითა ხართ შედუღაბებულნი!

მე ხელი ავიღე ამ გიჟების მოქცევაზე; აგერ ამ სოფელს შემოვეხიზნე და მებაღეობას მივყავ ხელი. ჩემი ბალის ატმები მენადების მოოქრულ კანს მაგონებს. ადამიანები ძველებურადვე მიყვარს, ცოტა აღტაცებითა და დიდი სიბრალულით ვუცქერ, ბალ-ბოსტანს ვამუშავებ და ველოდები იმ ჭერ კიდევ შორეულ დღეს, როცა დიდი დიონისე მოგვევლინება თავის ფაენებისა და ბაკქი ქალების ამალით, დედამიწას სიხარულსა და სიმშვენიერეს მოჰფენს და ზედ კვლავ ოქროს ხანას მოიყვანს. მაშინ მეც სიხარულით ავედევნები მის ეტლს. მაგრამ ვინ იცის, ამ ძღვევის უამს ადამიანებს თულა შევხედებით? ეგების საიმდროოდ მათი მოდგმა შეასრულებს თავის დანიშნულებას და სხვა არსებანი აღმოცენდებიან იმ ფერფლიდან და ნანგრევებიდან, ოდესღაც ადამიანი და მისი გენია რომ ერქვა? ეგების ფრთოსნები დაეპატრონონ ამიერსოფელს? მაშინ კეთილ დემონებსაც საქმე გამოუჩნდებათ: ფრთოსნებს შეასწავლიან ხელოვნებებსა და ნეტარებას აზიარებენ.

თავი XXII

სადაც ვიხილავთ, როგორ უაპოვრია მაგილო
გინარდონის ცოდვიანი ბედნიერება უკონოდ
უხეპარავული ძალის მშვიანობა

ზეფირინი როდი ტყუოდა; მაგილო გინარდონმა პრინცესას ქუჩის სხვენზე მოწყობილი სახელოსნოდან ნამალავად გაზიდა დაგროვილი სურათები, ავეჯი და იშვიათობანი, კურსელის ქუჩაზე. დუქანი იქირავა და ყველაფერი იქ გამოფინა, თვითონაც იქ გადაბარგდა და ორმოცდაათი წლის ერთობლივი ცხოვრების შემდეგ მიატოვა ზეფირინი ისე, რომ ერთი ლეიბი, ერთი ქვაბი, ერთი სუც კი აღარ დაუტოვა საბრალოდ

ქალს. ერთი ფრანკი და სამოცდაათი სანტიმილა შერჩა, შემთხვევით საფულეში ჩარჩენილი. მამილო გინარდონი ძველი სურათებისა და იშვიათი ნივთების მაღაზიას ხსნიდა და ყმაწვილ ოქტავიას იქ აბინავებდა.

ვიტრინა მართლაც საუცხოო სანახავი იყო: აქ გამოეფინათ ჟერარ დავიდის მანერით დახატული, მწვანე მანტიით მოსილი ფლამანდური ანგელოზები, ლუინის სკოლის სალომეა, ფრანგ ოსტატთა ნახელავი, ხისგან გამოკვეთილი და შელებილი წმიდა ბარბარეს ქანდაკება, ლიმოჟური მინანქარი, ბოჰემური და ვენეციური ბროლი, ურბინული თეფშები; იქვე ეწყო ინგლისური მაქმანები, რომლებიც ზეფირინის თქმით მისთვის ახალგაზრდობაში მიერთმია მისი სიტურფით მოხიბლულ იმპერატორ ნაპოლეონ III. დუქნის ჩრდილშიაც ოქროს გაჭონდა ბზინვა და ქრისტეები, მოციქულები, პატრიციები და ნიმფები იყვნენ ჩარიგებულნი. ერთი ტილო კედლისაკენ იყო შებრუნებული, რომ მხოლოდ მცნობთ შეძლებოდათ მისით დატკობა. მცნობნი კი, მოგეხსენებათ, იშვიათნი არიან. ეს გახლდათ ფრაგონარის „ბეჰდის“ რეპლიკა, რომელიც თავად მამილო გინარდონის სიტყვებით ისე გამოიყუროდა, თითქოს საღებავი არ შეშრობიაო. მაღაზიის სიდრამეში იის ხის კომოდი იდგა, რომლის უჯრებიც იშვიათობებით, ბოდუენის გუაშებით, XVIII საუკუნის ნახატებიანი წიგნებით, მინიატურებით იყო გამოტენილი.

მოლბერტზე იდო საფარველჩამოფარებული შედეგრი, სასწაული რამ, განძი, მარგალიტი, ფრა ანჟელიკოს უნაზესი, ცისფერ, ოქროსფერ და ვარდისფერ ტონებში შესრულებული „ღვთისმშობლისათვის გვირგვინის დადგმა“, რომელშიაც მამილო გინარდონი ას ათას ფრანკს ითხოვდა. ლუდოვიკო XV სტილის სკამზე, იმპერიისდროინდელი მაგიდის წინ, რომელზედაც ყვავილებიანი ლარნაკი იდგა, საქარგით ხელში ყმაწვილი ოქტავია იჯდა; ქალიშვილს თავისი ბრჭყვიალა კონკები პრინცესას ქუჩის სხვენზე დაეტოვებინა და ახლა რემბრანტის გაცოცხლებულ სურათს კი არ მოჰგავდა, არამედ — ვერმეერ დელფტელის ქმნილებას ნაზი და იღუმალი ელვარებით, იმ მოყვარულთა თვალის გასახარად, მამილო გინარდონის დუქანში რომ ირეოდნენ. მშვიდი და უმანკო ყმაწვილი ქალი მთელ დღეს მარტო იჯდა მაღაზიაში, სანამ ბერიკაცი

ტილოზე ღმერთმა უწყის რას ხატავდა. მხატვარი ხუთი საათისათვის ჩამოდიოდა ძირს და შემოჩვეულ სტუმრებს ემუსაიფებოდა.

მაღაზიის ყველაზე ხშირი სტუმარი გრაფი დემეზონი გახლდათ, მაღალ-მაღალი, მთლად ჩამომხმარი, წელიში ორად მოხრილი კაცი. ჩავარდნილ ყვრიმალებს ბალანი უმოსავდა, თანდათან ფართოვდებოდა და სპეტაკად ეფინებოდა ნიკაპსა და მკერდზე. წამდაუწუმ ივარცხნიდა ამ წვერს თავისი ოქროსბექდიანი გრძელი და გაძვალტყავებული თითებით. აგერ უკვე ოცი წელი იყო, რაც თავის ცოლს დასტიროდა, სრულიად ახალგაზრდა და მშვენიერი ტუბერკულიოზმა რომ იმსხვერპლა. დამწუხრებული ქვრივი მკვდრებთან ურთიერთობის გზათა ძებნას შეუდგა და უხეირო ნახატებით ავსებდა თავის დაობლებულ ბინას. გინარდონს თვალდახუჭული ენდობოდა ყველაფერში. ბ-ნი ბლანმენილი, დიდი საკრედიტო დაწესებულების ადმინისტრატორი მასზე იშვიათად როდი მოდიოდა მაღაზიაში. ეს გახლდათ ჯან-ლონით სავსე, წარმოსადეგი მამაკაცი, ასე, ორმოცდაათი წლისა. ხელოვნება ნაკლებად აინტერესებდა, ბევრი არც გაეგებოდა მისი; მაგრამ იზილავდა ყმაწვილი ოქტავია, ამ მაღაზიაში ისე რომ დაფართატებდა, როგორც მგალობელი ჩიტი თავის გალიაში.

ბ-ნმა ბლანმენილმა უმაღ გამონახა მასთან საერთო ენა; ამ ამბავს მხოლოდ მამილო გინარდონი ვერ ამჩნევდა, რაკი გამოცდილება აკლდა — ბერიკაცი ხომ ოქტავიას სიყვარულში ახალბედა გახლდათ. ბ-ნ გაეტან დ'ესპარვიესაც ხანდახან ცნობისწადილი სძლევა და შემოახედებდა მამილო გინარდონთან, რაკი ექვობდა, ერთობ მარჯვე ყალბისმქნელიაო.

ბ-ნი ლე ტრუკ დე რიუფეკი, ეს დიდებული სამხედრო კაცი, ერთ დღეს მოხუც ანტიკვარს ეწვია და თავისი გეგმები გაანდო. ბ-ნი ტრუკ დე რიუფეკი მცირე სასახლეში აწყობდა ცივი იარაღის რეტროსპექტიულ გამოფენას, რომლის შემოსავალიც პატარა მაროკოელთა აღზრდის საქმეს უნდა მოხმარებოდა. ამიტომ მამილო გინარდონს სთხოვდა, თქვენი კოლექციიდან რამდენიმე საუკეთესო ნიმუში მათხოვეთო.

— ჯერ „ჯვრისა და მახვილის“ გამოფენა გესურდა მოგვეწყო, — უამბობდა იგი მოხუცს, — ამ ორი სიტყვის შეხამება უთუოდ მიგახვედრებთ, ჩვენი წამოწყება რა სულისკვეთით

ბითაც იქნებოდა გამსჭვალული, უაღრესად პატრიოტულმა და ქრისტიანულმა გრძნობამ შეგვაკავშირებინა სიქველის სიმბოლო — ხმალი და ჯვარი — ნიშანი ხსნისა. ამ საქმის პატრონობა მისმა უდიდებულესობა ომის მინისტრმა და მონსინიორ კაშპომ იტვირთეს. მაგრამ ჩანაუიქრის განხორციელება გაჭირდა და იმჟღერებული გავსდით გადაგვედო განზრახული... დღესდღეობით მხოლოდ მაზვილის გამოფენას ვაწყობთ. მე შევადგინე უწყება, რომელიც განმარტავს ამ გამოფენის აზრსა და მნიშვნელობას.

ეს თქვა თუ არა, ბ-ნმა ლე ტრიუკ დე რიუფეკმა ჯიბიდან ქალღმერთთა გატენილი საფულე დააძრო, ათას სადღეელო უწყებათაგან და ვალაუვალობის ოქმთაგან ერთი მეტისმეტად შელანძღული პატარა ფურცელი ამოარჩია და უთხრა ანტიკვარს:

— აბა, ყური მიგდეთ! „მახვილი პირჭუში ქალწულია. ის უპირატესად ფრანგთა საბრძოლო იარაღი გახლავთ. დღეს, როს ეროვნული გრძნობა დიდი ხნის ძილის შემდეგ იღვიძებს, იგი უფრო მგზნებარედ გაბრწყინდა, ვინემ ოღესმე“ და სხვა... გესმით, არა?..

და ბ-ნმა ლე ტრიუკ დე რიუფეკმა კვლავ გაიმეორა თავისი თხოვნა, ერთი ჩინებული, ძველებური ხმალი გვათხოვეთ, პატარა მაროკოელთა სასარგებლოდ გამართულ გამოფენაზე საექსპოზიციო ადგილი რომ მივუჩინოთ, გამოფენაზე, რომლის სახელით თავმჯდომარედაც გენერალი დ'ესპარვიე არის არჩეული.

მამილო ვინარდონს მაინცდამაინც არ იტაცებდა იარაღი: უპირატესად სურათებით, ნახატებითა და წიგნებით მოვაჭრე კახლდათ. მაგრამ მისი შეცბუნება იოლი საქმე როდი იყო. ჰყისვე ჩამოხსნა ლუდოვიკო XIII სტილზე ნაკეთები, ნაპოლტონ III დროინდელი ვადამოფილიგრანებული რაპირა და კაშოფენის ორგანიზატორს გაუწოდა. ისიც დააკვირდა მოკრალეებითა და იქვენული ღიმილით.

— ამაზე უკეთესიცა მაქვს, — უთხრა ანტიკვარმა.

და საექსპოზიციოდან ჯოხებსა და ქოლგებს შორის გადანახული ერთი უსაშველოდ გრძელი, პერალდიკული შროშანებით ქემკული ქეშმარიტად სამეფო ხმალი გამოიტანა. ეს ხმალი სართლაც მეფისა გახლდათ — ფილიპ-ავგუსტუსის როლის.

შემსრულებელ მსახიობს ეპყრა ხელთ ოდენონის სცენაზე წარმოდგენილ სპექტაკლში „აგნესა მერანელი“*. 1846 წელს გინარდონს იგი წვერით ძირს ეჭირა, ჯვრის სახედ, თვითონ ვადაზე ღვთისმომად ჩაეგლო ხელი და ისეთივე უღალატო ჩანდა, როგორც ეს მახვილი.

— წაიღეთ თქვენს გამოფენაზე, — უთხრა სტუმარს, — ქალწული არ შეგარცხვენთ. სახელად ბუვინი ჰქვია.

— რომ გაგაყიდინოთ, — ჰკითხა ბ-ნმა ლე ტრიუკ დე რიუფუკმა და თავისი ვეება ულვაშები გადაიგრიხა, — ცოტა საკომისიო ფულს ხომ მომცემთ?

რამდენიმე დღის შემდეგ მამილო გინარდონმა გრაფ დემეზონსა და ბ-ნ ბლანმენილს იღუმალი სახით ახლადმიკვლეული ელ გრეკო* უჩვენა. ნახატი მხატვრის ბოლოდროინდელი მანერით იყო შესრულებული და წმიდა ფრანსუა ასიზელს გამოსახავდა, ალვერნის კლდეზე მდგარი ცად რომ მალღებოდა კვამლის სვეტივით და ღრუბელთ საუფლოში შეერგა ნასწაულებრივად ვიწრო, პერსპექტივით დაპატარავებული თავი. ერთი სიტყვით, ნამდვილი გრეკო იყო, ქეშმარიტად, მეტისმეტად ნამდვილი. ხელოვნების ორთავ მოყვარული ყურადღებით ათვალეერებდა ამ სურათს, სანამ მამილო გინარდონი ქება-დიდებას ასხამდა მის უძირო, შავ ტონებსა და საუცხოო ექსპრესიას. მოხუცი ჰაერში იწვდიდა ხელებს, რომ მსმენელთათვის ნათლად დაეხატა, ტინტორეტოდან როგორ იშვა თეოტოკოპული, რომელმაც ასი თავით გაუსწრო მასწავლებელს.

— უმანკო იყო, წმიდა, ძლიერი, მისტიური, აპოკალიფსური.

გრაფმა დემეზონმა განაცხადა, ელ გრეკო ჩემი უსაყვარლესი მხატვარიო. ბლანმენილს კი გულში მაინცდამაინც არ მოსწონდა ნახატი.

უეცრად კარი გაიღო და თავს წამოადგათ ბ-ნი გაეტანი.

მან ერთი გადახედა წმიდა ფრანსუას და აღმოხდა:

— დალახეროს ეშმაკმა!

ბ-ნმა ბლანმენილმა მისი აზრის გაგება ისურვა, ჰკითხა, რას ფიქრობთ ამ მხატვარზე, დღეს ასეთ მოწონებაში რომ არისო. გაეტანმაც არ ახვეწინა, მიუგო, არა მგონია, ელ გრეკო მართლაც უცნაური და გიჟი ყოფილიყო, როგორადაც

უწინ შიამნდათ, უფრო საფიქრალია, რომ მხედველობის დეფექტი ჰქონდა, ამიტომაც გამოუდიოდა დეფორმირებული ფიგურები.

— ასტიგმატი იყო და სიელმე სჭირდა, — განაგრძო გაეტანმა, — ხატვით კი იმას ხატავდა, რასაც ხედავდა და როხორც ხედავდა.

გრაფი დემეზონისათვის მთლად იოლად სარწმუნო როდი გახლდათ ასეთი ბუნებრივი ახსნა, ბ-ნ ბლანმენილს კი მოსწონდა იგი მისი სიმარტივის გამო.

შეურაცხყოფილმა მამილო გინარდონმა შეჰყვირა:

— ბატონო დ'ესპარვიე, განა თქვენის აზრით წმიდა იონეც ასტიგმატი იყო, რაკი იხილა „დედაკაცი, რომელსა ემოსა მზე, მთოვარე აქუნდა ფერხვთა მისა და თავსა ზედა გვრგვნი ვარსკულავთა ათორმეტთა“, ანდა: „მკეცი ერთი აღმომავალი ზღვთ, რომელსა აქუნდეს ათნი რქანი და შუდნი თავნი“ და ბოლოს: „ანგელოზნი შუდნი, რომელთა ემოსა სამოსელი სელისაჲ წმიდაჲ და ბრწყინვალეჲ, ხელთ ეპყრა შუდნი ლანკნანი ოქროსანი, სავსენი გულის წყრომითა ღმრთისაჲთა“?

— ასეა თუ ისე, — დაასკვნა ბ-ნმა გაეტანმა, — ელ გრეკოს ხელოვნება მართლაც მოწონების ღირსია, რაკი საკმაო ნიჭი გამოაჩნდა საიმისოდ, რომ ჩვენთვისაც თავს მოეხვია ეს უცნაური ხედვა. თანაც ტანჯვას, მისი პერსონაჟები რომ შეუბყრია, შეუძლია სიამე მოჰგვაროს ტანჯვის ტრფიალ სულელებს; ასეთები კი უფრო მრავლად მოიძეევენ, ვიდრე ჰგონიათ ხოლმე.

— შეესიტყვა გრაფი დემეზონი და თავის ხშირ წვერზე ხელი ჩამოისვა, — უნდა შევიყვაროთ ის, რასაც ვუყვარვართ. ტანჯვას ვუყვარვართ და კიდევაც შეგვთვისებია... უნდა შევიყვაროთ იგი, თუ გვსურს ავიტანოთ სიცოცხლე; ქრისტიანობის ძალა და სიკეთეც სწორედ იმაშია, რომ შეიგნო ეს... ვაგლახ!.. მე ურწმუნო ვარ და სწორედ ეს მაგდებს სასოწარკვეთაში.

მოხუცს გაახსენდა ქალი, ვისაც ოცი წელია დასტიროდა; გონებამ დაუტევა იგი და მისი ფიქრიც უღრტვინველად მიჰყვა ტკბილი და მწუხარე სიგიჟის წარმოსახვებს.

— მას შემდეგ, რაც ფსიქიური მეცნიერებანი შევისწავ-

ლე, — თქვა მან, — ზემგრძნობიარე მედიუმის შემწეობით უამრავი ცდა ჩავატარე; მინდოდა შემეტყო, როგორ გარდაიქმნება და რას სჩადის სული ადამიანის გარდაცვალების შემდეგ. გასაოცარი შედეგებიც მივიღე, მაგრამ ეს როდი მაკმაყოფილებს.

შემდეგ უამბო დამსწრეთ, გარდაცვლილის სული გამჭვირვალე, ლაბისმაგვარ მასად წარმომიდგა, რომელიც არაფრით მაგონებდა ჩემი სათაყვანებელი არსების სახესო. ყველაზე სამძიმო ამ ასგზის განმეორებულ ცდაში ის გახლავთ, რომ ეს განზრქელებული მასა უამრავი უწვრილესი საცეცათ იყო შეიარაღებული; რაღაც უცნაურ რიტმს აყოლილი დაუსრულებლად ამოძრავებდა ამ საცეცებს, უთუოდ რაღაცას მანიშნებდა თავის ენაზე, მაგრამ ვერაფრით შევიძელ აზრის გაგებაო.

მთელი ამ მოთხრობის მანძილზე ბ-ნი ბლანმენილი ახალგაზრდა ოქტავიას ევლებოდა თავს; ქალიშვილსაც მშვიდად, უსიტყვოდ დაეხარა თვალები.

ზეფირინი როდი დამორჩილდა ხვედრს. უღირსი მეტოქისათვის სულაც არ აპირებდა საყვარლის დათმობას. დილდილობით ხშირად მოდიოდა თავის კალათით ხელში, ანტიკვარული მალაზიის ირგვლივ დაძრწოდა სასოწარკვეთილი და გამძვინვარებული. ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებით ქენჯნილს ხან სურდა მოლაღატისათვის ერთი კარდალა ქეძაფი შეესხა, ხან კი ნატრობდა, ფეხებში ჩავარდნოდა, კოცნითა და ცრემლებით დაეღბო მისი სათაყვანო ხელები. ერთ დღეს, როცა ეგზომ ძვირფასსა და დამნაშავე მიშელს უთვალთვალებდა, ვიტრინის შუშებს მიღმა ახალგაზრდა ოქტავიას ჰკიდა თვალი; ქალიშვილი საქსოვით ხელში იჭდა მაგიდის წინ, სადაც ბროლის ლარნაკში ვარდი ჰკნებოდა. გაშმაგებულმა ზეფირინმა ქერათმიან თავზე ქოლგა დასცხო მეტოქეს, თან ძუქნა და თახსირიც უწოდა. თავზარდაცემული ოქტავია პოლიციელების დასაძახებლად გაიქცა; მწუხარებისა და სიყვარულისაგან გახელებული ზეფირინი კი თავისი ძველი ქოლგის წვერით დაერია ფრაგონარის „ბეჭედს“; ელ გრეკოს მურისფერ წმიდა ფრანსუას, ღვთისმშობლებსა და მოციქულებს, ვარაყს აყრვენიებდა ფრაანჟელიკოს ყვირილით:

— მთელი ეს სურათები, ელ გრეკოც, ნეტარი ანჟელიკოც ფრაგონარიც, ყერარ დავიდიც, ბოდუენეიც, დიახ, სუყველა,

სუყველა გინარდონის დახატულია, იმ თაღლითი, არამზადა გინარდონისა. მე შევისწარი, როცა ამ ფრა ანჟელიკოს ხატავდა ჩემს საუთოო ფიცარზე, ეს ჟერარ დავიდიც ბებიაქალის ძველ აბრაზე აქვს დახატული... ღოროი შენს კახპასა და შენც ისევე მოგსპობთ, როგორც ეს შენი ოხერი ტილოები მოვსპე!

ამ სიტყვებით ტანსაცმელში სწვდა ერთ მოხუც მოყვარულს, აკანკალებული თავის საშველად საკუქნაოში რომ შემძვრალიყო და იმ ყალბისმქნელი და ფიცისგამტეხი გინარდონის ცოდვა-ბრალი სულ ერთიანად გადმოუღაგა. პოლიციელებმა ძლივს გამოათრიეს ქალი აონრებული მაღაზიიდან. კომისართან რომ მიჰყავდათ, დიდძალი ბრბო მიაცილებდა; ზეფირინს ზეცისაკენ აღემართა ცეცხლოვანი მზერა და ქვითინით გაიძახოდა:

— ეჰ, თქვენ არ იცნობთ მიშელს! რომ იცნობდეთ, მიხვდებოდით, უმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია. მიშელი ისეთი ლამაზი, ისეთი კეთილი, ისეთი მომხიბვლელია! მიშელი ღმერთია, ხორცშესხმული სიყვარულია ო, რომ იცოდეთ, როგორ მიყვარს! მიყვარს ბევრი მაღალი წრის კაცი მცნობებია: ჰერცოგები, მინისტრები და უკეთესებიც... მაგრამ არც ერთი არ იყო ღირსი მიშელის ფეხსაცმლიდან მტვერი მოეცილებინა. კეთილო ბატონებო, დამიბრუნეთ ჩემი მიშელი..

თ ა ვ ი X X I I I

საღაც მძლავრდებოდა გუშობის საუცხოო ხასიათი,
ქალთმომართვის წინააღმდეგოვი და სიუპარულის მორჩილი,
კოლა, ნულარავინ უმეწაფავს, ავტორი ქალთმომკლავარ

მაქს ვეერდინგენიდან რომ გამოვიდა, თავადმა იშთარმა ხამანწყების საქმელად და ეროი ზოთლი თეთრი ღვინის დასაყოლებლად ჰალის ერთ-ერთ დუქანს მიაშურა. და რაკი ძალას მუდამ სიფრთხილეს უზავებდა, თავის მეგობარ თეოფილ ბელესთანაც შეიარა, რათა მუსიკოსის კარადაში დაემაღა ბომბები, რომლებითაც ჯიბეები ჰქონდა გამოტენილი. „გოლკონდის დედოფალ აღინის“ ავტორი შინ არ იყო. ქერუბინს

მარტო ბუშოტი დაუხვდა; სარკის წინ იდგა და ქალიშვილ ზიგულის როლს განასახიერებდა. ამასწინათ მთავარი როლი შესთავაზეს ოპერეტაში „აპაშები“, რომელიც ერთ მუზიკ-პოლში იდგმებოდა. ახალგაზრდა მსახიობს მეძავის როლი უნდა შეესრულებინა, უხამსი ქესტებით რომ იზიდავს გამვლელს, ხაფანგში აგდებს და კვლავ უხმობს ავხორცულად, სადისტიური სისასტიკით, სანამ უბედურ მსხვერპლს პირში ბურთს სჩრიან და ხელ-ფეხს უკრავენ. ამ როლში ქალს მარტო მომღერლის კი არა, მიმიკოსის ნიჭიც უნდა გამოემქლავნებინა და აღტაცებაში იყო მოსული.

აკომპანიატორი არ ჰყავდა, წასულიყო. თავადი იშთარი მიუჯდა პიანინოს და ბუშოტმაც განაგრძო სამუშაო. მისი ქესტები ბილწი და წარმტაცი იყო. ტანთ არაფერი ეცვა, გარდა მოკლე ქვედაკაბისა და პერანგისა, რომლის ბეჭიც მარჯვენა მკლავზე ჩამოცურებოდა და არკადიის წმიდა გამოქვაბულივით გრილსა და აქოჩრილ იღლიას უჩენდა. ხვეული, მწითური თმა უსაშველოდ გასწეწოდა; კანი დასცვაროდა და იისა და ტუტის სუნი სდიოდა. ეს სუნი ცხვირში ულიტინებდა და თვითონაც ათრობდა. უეცრად ამ მგზნებარე ხორცის სურნელით შეზარხოშებული თავადი იშთარი ზე წამოიჭრა და ისე, რომ თვალებითაც კი არაფერი უთქვამს, მკლავები მოხვია ქალს და ტახტზე დააგდო. პატარა, ყვავილებით მოჩითულ ტახტზე, რომელიც თეოფილმა სახელგანთქმულ მაღაზიაში იყიდა განვადებით და რომელშიაც კიდევ მრავალ წელს თვეში ათი ფრანკი უნდა ეხადა. ქერუბი კლდის ლოდვივით დაეცა ქალის სათუთ სხეულს; მისი სუნთქვა საბერველის ქშენასავით გაისმოდა, მისი ვეება ხელები წურბელებივით ჩაფრენოდნენ მსხვერპლს. იშთარი ასე მოულოდნელად რომ არ დატაკებოდა ბუშოტს, უთუოდ ეწეოდა გულისწადილს; ქალი ისე იყო აღტაცებული და აღგზნებული, რომ არ გააწბილებდა. მაგრამ ბუშოტი ამაყი იყო; მისი პირქუში სიამაყე მყისვე ყალყზე დგებოდა, როგორც კი ვინმე დამცირებას დაუპირებდა. დანებებაზე ყაბულს იყო, მაგრამ ძალით არავის დანებდებოდა. სულ ადვილად დაჰყვებოდა სიყვარულს, ცნობისმოყვარეობას, სიბრალულს ხომ კიდევ უფრო ადვილად; მაგრამ ძალას, დამორჩილებას კი სიკვდილს ამჯობინებდა. გაოცება მყის სიშმაგედ ექცა. მთელი მისი არსება ფიცხლად წინ აღუდგა

ძალმომრეობას. წაწვეტებული ფრჩხილებით გაავებით ჩამო-
აკაწრა ქერებს ლოყები და ქუთუთოები და ამ მთისოდენა
სხეულის ქვეშ დატნეულმა ისე დაჭიმა თავისი თქოები; ისე
მარჯვედ აათამაშა ნიდაყვებისა და მუხლების ზამზარები, რომ
სისხლითა და ტკივილით დაბრმავებული ადამიანისთავა ხარი
პირდაპირ პიანინოს მიაწყვიტა, რომელმაც ერთი საბრალობ-
ლად დაიქურიალა. ქერების ჯიბეებიდან გადმოცვენილმა ბომ-
ბებმაც იატაკზე მოიღეს ბრავგანი. თმაგაჩეჩილი და მკერდგა-
ღელილი ბუშოტი კი, მშვენიერი და საზარელი, ძირს დავარ-
დნილ გოლიათს ცხვირწინ გელას უტრიალებდა და დასძა-
ბოდა:

— წყნარად-მეთქი! თორემ თვალებს ამოგჩიჩქნი!

თავადი იშთარი პირის ჩამოსაბანად წაძუნძულდა სამზა-
რეულოში და გასისხლიანებული სახე ჩაჰყო ბადიაში, სადაც
სუასონური ლობიო იყო დამბალი; მერე წავიდა ისე, რომ
გულში არც რისხვა და არც ღვარძლი არ ჩაუდევს, რადგან
დიდბუნებოვანი გახლდათ.

კარი გაიხურა თუ არა, გარედან კვლავ გაისმა ზარის რეკ-
ვა. ბუშოტმა ამოდ ეძახა მოახლე ქალს, მერე ხალათი გადა-
რიცვა და თვითონ გაემართა კარის გასაღებად. ზღურბლზე ძალ-
ზე ზრდილი და საკმაოდ თვალადი ყმაწვილი კაცი იდგა. ბუ-
შოტს თავაზიანად მიესალმა, მოუბოდიშა, იძულებული ვარ,
მე თვითონ წარმოგიდგინოთ ჩემი თავიო და თავისი სახელი
უთხრა. ეს შორის დ'ესპარვიე გახლდათ.

შორისი ისევ და ისევ თავის მფარველ ანგელოზს დაეძებ-
და, იმედგაცრუებული და მარად მოიმედე სადღა არ ცდი-
ლობდა მისი გზა-კვალის მიგნებას. ეკითხებოდა ჯაღოქრებს,
მისნებს, სასწაულმოქმედთ, აშშორებულ ბუნაგებში რომ ბი-
ნადრობენ, გამოუთქმელ მომავალს წინასწარმეტყველებენ,
დედამიწის მთელი განძეულობის მფლობელნი გადაქლექილ
შარვლებს ატარებენ და ძეხვეულზე გადადიან ხოლმე. იმ
დღესაც მონმარტრის ერთ ქუჩაზე იყო სატანის ქურუმთან,
რომელიც შავ მაგიასა და ჯადოსნობას მისდევდა. ბუშოტთან
ქალბატონ ვერდელიერის თხოვნით შეიარა. ქ-ნი ვერდელიერი
საქველმოქმედო საღამოს მოწყობას აპირებდა სოფლის ეკ-
ლესიების სასარგებლოდ და სურდა ბუშოტიც მოეწვია, უეც-
რად მოდურ მსახიობად რომ ქცეულიყო. ბუშოტმა სტუმარი

პატარა ყვავილებით მოჩითულ დივანზე დასვა და მორისის თხოვნისამებრ თვითონაც გვერდით მიუჯდა. ოჯახიშვილმა მომღერალ ქალს გრაფ ვერდელიერის მეუღლის სურვილი გადასცა; გრაფის მეუღლეს სურდა, რომ ბუშოტს ერთ-ერთი აპაშური სიმღერა ემღერა, რომელთაც ალტაცებაში მოჰყავს მაღალი წრის ხალხი; საუბედუროდ, ქალბატონ დე ლა ვერდელიერს ძალზე მცირე ჰონორარის გაცემა შეეძლო, მსახურობის ღირსებას რომ არ შეესატყვისებოდა, მაგრამ ქველმოქმედება აბა რის ქველმოქმედება იყო...

ბუშოტი დაყაბულდა; დათანხმდა მცირე ჰონორარზეც, აკი ღარიბები მუდამ გულუხვობას იჩენენ მდიდრების მიმართ, ხელოვანთაც ხელგაშლილობა სჩვევიათ მაღალი საზოგადოების მიმართ; ბუშოტი უანგარო გახლდათ; სოფლის ეკლესიების გადარჩენაც გულით ეწადა. თავის პირველი ზიარება რომ აგონდებოდა, თვალები ცრემლით ევსებოდა და ტირილს ვერ იკავებდა. რწმენა ისევ უღვიოდა გულში. როცა ეკლესიას ჩაუვლიდა ხოლმე, სურვილი იპყრობდა შიგ შესულიყო, მეტადრე საღამოობით. ამიტომაც არ უყვარდა რესპუბლიკა, რომელიც სულ იმის ცდაში იყო, როგორმე დაემხო ეკლესია და არმია. გული სიხარულით ევსებოდა, რაკი ხედავდა, რომ ეროვნული გრძნობა ხელახლა იშვებოდა საფრანგეთში. ქვეყანა ისევ ფეხზე დგებოდა და მუზიკ-პოლებშიაც ყველაზე მეტად იმ სიმღერებს უკრავდნენ ტაშს, სადაც ჯარისკაცებსა და მოწყალეების დებზე იყო ლაპარაკი. მორისი ამასობაში იყნოსავდა მისი მწითური თმის სურნელს, მისი სხეულის მჰახე, მომჯადოებელ სუნს და საღერღელი ეშლებოდა. გვერდიგვერდ ისხდნენ პატარა დივანზე და ყმაწვილ კაცს ათრობდა ქალის ნატიფი და თბილი სხეულის სიახლოვე. ქათინაური უთხრა ხელოვანს, საუცხოო ნიჭის პატრონი ბრძანდებითო. ბუშოტმა ჰკითხა, რა უფრო მოგწონთ ჩემი რეპერტუარიდანო; მორისს არაფერი ჰქონდა მონასმენი; მაინც ისეთი პასუხი გასცა, ქალს საამუჟრად დაურჩა; ეს პასუხები თვითონ უკარნახა ისე, რომ თავადაც არაფერი შეუნიშნავს. პატივმოყვარე მსახიობი ისე ლაპარაკობდა თავის ნიქსა და წარმატებებზე, როგორც სურდა ხალხს ელაპარაკა. ენა არ ეღლებოდა თავის გამარჯვებათა აღწერით, სხვაფრივ თავად კდემამოსილება იყო. მორისმა გულწრფელად შეუქო სილამაზე;

სახის სიჭორფე, მოხდენილი აღნაგობა. ბუშოტი გაენდო, ასე იმიტომ გამოვიყურებო, რომ ჩემს დღეში არ ვითხიპნებო. ხორციც საკმარისად მასხია, მკლე არ მეთქის, მაგრამ ვერც სიმსუქნეს შემწამებს კაციო. თან ნათქვამისათვის მეტი დამაჭერებლობა რომ მიეცა, ორთავ ხელი მოისვა სხეულზე, ოდნავ წამოიწია კიდეც, რომ გამოეკვეთა სანეტარო ბორცვები, რომლებზედაც იჯდა; მორისი ძალზე ააღელვა ამ ამბავმა.

დღე იწურებოდა; ქალმა თქვა, შუქს ავანთებო. ვაჟმა სთხოვა, ნუ იქმთ მაგასო.

საუბარი გრძელდებოდა, ჯერ ლაღი და მხიარული, მეჩაე ინტიმური, ძალზე ტკბილი და ცოტა მინაზებულები. ბუშოტს ეგონა, ბ-ნ მორის დ'ესპარვიეს დიდი ხანია ვიცნობო და რაკი გალანტურ კაცადაც მიიჩნია, გული გადაუშალა. უთხრა, პატროსან ქალად ვარ შობილი, მაგრამ ხარბი და უსინდისო დედა მყავდაო. მორისმა კვლავ მიაქცია თავის თავის ჭკრეტად და ოსტატური პირმოთნეობით გაუცხოველა მგზნებარე სიყვარული, ქალს თავის სიტუარფისადმი რომ ჰქონდა. და თუმც სახმილი სულ უფრო და უფრო ედებოდა, ანგარებიანი მოთმინებით ნანატრ ქალს თანდათან გაუღვივა სურვილი უფრო მეტად მოეწონებინა მისთვის თავი. ბუშოტს ხალათი გადაეხსნა და თავისით ჩაცურდა ძირს, მხრების საუცხოო ატლასმა გაიბრწყინა სადამოს იღუმალეებით მოცულ შუქში. ვაჟი ისე ფრთხილად, ისე მარჯვედ და მოხერხებულად იქცეოდა, რომ გულშემოყრილი და აღგზნებული ქალი მანამ მოიმწყვდია მკლავებში, სანამ ქალი იაზრებდა, ჯერ თანხმობაც არ მითქვამსო. ერთმანეთს შეურწყყეს სუნთქვა და ჩურჩულს მოჰყვნენ. პატარა, ყვავილებით მოჩითული დივანიც მათთან ერთად დაფავდა სულს.

როცა გრძნობათა გამოთქმა კვლავ შეიძლეს სიტყვებით, ქალმა ვაჟს ყურში უჩურჩულა, ჩემზე უფრო ნაზი კანი გაქვთო.

ვაჟმა მკლავები მოხვია და უთხრა:

— რა საამურიია, ასე რომ გიკრავ გულში. მეჩვენება, რომ ძვლები არცა გაქვს.

ქალმა თვალეზი მილულა და მიუგო:

— ეს იმიტომ, რომ შეგიყვარე. სიყვარული მილხობს ხოლმე ძვლებს; მთლად მთენთავს და მშლის, როგორც ჩამუწუხებულ ხბოს ფეხს.

ამ სიტყვებზე თეოფილიც შემოვიდა, ბუშოტმა უთხრა, მადლობა მოახსენე ბატონ მორის დ'ესპარვიეს, დიდი პატივი დაგედო, მაღალ ჰონორარს გვპირდება გრაფ დე ლა ვერდელიერის მეუღლისაგანო.

მუსიკოსი ბედნიერი იყო, ოჯახში სიამტკბილობა და მშვიდობა რომ დახვდა; მთელ დღეს ამაოდ იწანწალა ქალაქში და უაზრო გაკვეთილებით გატანჯულს კიდევ ათასი უსიამოვნებისა და დამცირების გადატანა მოუხდა. ახლა უკვე სამ თანავეტორს ახვევდნენ თავს, მასთან ერთად რომ მოაწერდნენ ხელს მის ოპერეტას და საავეტორო უფლებებში წილს დაიდებდნენ; თან იმასაც მოითხოვდნენ, ტანგო შეეტანა გოლკონდის სამეფო კარის მეჯლისზე. თეოფილმა ხელი ჩამოართვა ახალგაზრდა დ'ესპარვიეს და უზომოდ დაღლილი ჩაესვენა პატარა დივანში. დივანმა ამჯერად სიმძიმეს ვეღარ გაუძლო, ოთხივე ფეხი მოსძვრა და ერთბაშად დაიფუშა. ანგელოზმაც ზღართან მიიღო და თავზარდაცემული გადაემხო მორისის ჩიბიდან ამოვარდნილ საათზე, კვესზე, პორტსიგარსა და თავად იშთარის მოტანილ ბომბებზე.

თ ა მ ი X X I V

რომელიც გვიამბობს იმ ფატიჰაჰიმზე, ზანდომის პრიორის „ლუკრეციუსს“ რომ გააძადა თავს

ლეჟე-მასიეს, წიგნის მკაზმავ უფროსი ლეჟეს მემკვიდრეს, სენ-ჟერმენ-დე-პრეს აბატთა ძველი ოტელის პირდაპირ რომ იდგა, აბეის ქუჩაზე, უბანში, სადაც მრავლად იყო დაწყებთი სკოლები და მეცნიერული საზოგადოებები, შესანიშნავი მუშაკები ჰყავდა. მაგრამ მცირერიცხოვანი პერსონალი ძლივს აუღიოდა ძველსა და მოთმინებით შემოკრებილ მუშტრებს. ექვსი კვირა იყო გასული, რაც მკაზმავს ბ-ნ სარიეტისაგან გამოგზავნილი წიგნების პარტია მიეღო, მაგრამ ჯერ ხელიც არ ეხლო. ლეჟე-მასიემ ბ-ნ სარიეტისაგან გამოტნეული სრის მიხედვით ისინი მხოლოდ ორმოცდამეცამეტე დღეს ჩამოურიგა თავის მკინძავეებს. ვანდომის პრიორის გერბიანი პატარა „ლუკრეციუსი“, რახან ამ ნუსხაში არ იყო მოხვედრილი,

სხვა კლიენტის საკუთრებად ჩათვალეს. მაგრამ რაკი არც ერთ სიაში არ აღმოჩნდა, კარადაშივე დარჩა ჩაკეტილი. იქიდან ლოქე-მასიეს შვილმა, ახალგაზრდა ერნესტმა ამოიღო მალულად ერთ დღეს და ჯიბეში უკრა თავი. ერნესტი მეზობელ თეთრეულის მკერავ ქალს, როზას ეტრფოდა. როზა კი ბუნების ტრფიალი იყო და მოსწონდა ტყეში ჩიტების გალობა. და საიმისოდ, რომ მისი შატუში წასაყვანი ფული ეშოვა, ერნესტმა „ლუკრეციუსი“ ათ ფრანკად დაუთმო სენ X-ის ქუჩის მძველმანეს, მამილო მორანჯეს, რომელიც თავის დღეში არ გამოიძიებდა, საიდან მოდიოდა საქონელი. მამილო მორანჯემ იმავ დღეს გადაულოცა ეს წიგნი სამოც ფრანკად სენ ჟერმენის გარეუბნელ ბუკინისტს ბ-ნ პუსარს, ამ უკანასკნელმა სატიტულო ფურცლიდან შტამპი ამოფხიკა, ამ უნიკალური ეგზემპლარის წარმომავლობას რომ ამქლავნებდა და იგი ხუთას ფრანკად მიჰყიდა ბ-ნ ჟოზეფ მეიერს, სახელგანთქმულ წიგნის მოყვარულს, რომელმაც მყისვე დაუთმო იგი სამი ათას ფრანკად ბ-ნ არდონს, წიგნებით მოვაჭრეს; მანაც დიდხანს არ დააყოვნა და ეს წიგნი შესთავაზა ცნობილ პარიზელ ბიბლიოფილს ბ-ნ რ.-ს; რომელმაც მას ექვსი ათასი ფრანკი ჩაუთვალა; ორი კვირის თავზე კი „ლუკრეციუსი“ გრაფ დე გორსის მეუღლეს მიჰყიდა და გვარიანი მოგებაც ნახა. მაღალ საზოგადოებაში ცნობილი ეს ქალი, როგორც XVII საუკუნეში იტყოდნენ ხოლმე, სურათების, წიგნებისა და ფაიფურის ტრფიალი გახლდათ; თავის ოტელში, იენის გამზირზე, შეკრებილი ჰქონდა ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც მის მრავალმხრივ ცოდნასა და ჩინებულ გემოვნებაზე მეტყველებდნენ. ივლისის თვეში, როცა გრაფ დე გორსის მეუღლე ნორმანდიაში, სარვილში იყო და თავის კოშკში ისვენებდა, იენის გამზირზე, მის დაცარიელებულ სახლში ღამით ქურდი შეიპარა, რომელიც ე. წ. კოლექციონერთა ბანდის წევრად მიიჩნის, მხოლოდ ხელოვნების ნიმუშებს რომ იპარავენ ხოლმე.

როგორც შემდგომ გამოიჩინა, ბოროტმოქმედი წყლის სადინარ მიღებს აუყვა, მეორე სართულზე რომ ასულიყო, მერე აივანზე გადაცოცდა და მარწუხის დახმარებით გახსნა დაჩაბა, ჩამტვრია ფანჯარა, მოქაჩა ურდულს და დიდ გაღერებაში შეადწია. აქ რამდენიმე კარადა გატეხა, დახვია ხელი, რაც რამ მოეწონა და წაიღო. უფრო მცირე ზომის საგნებს დახარ-

ბდა. ასე დაიკარგა რამდენიმე ოქროს კოლოფი, XIV საუკუნის სპილოს ძვლის ნაკეთობანი, XV საუკუნის ორი მდიდრული ხელნაწერი, წიგნი, რომელიც გრაფის მეუღლის მდივანმა მოიხსენია, როგორც „გერბით მორთული ტარსიკონი“ და რაც სხვა არა იყო რა, თუ არ დ'ესპარვიეთა ბიბლიოთეკის „ლუკარეციუსი“.

ეჭვობდნენ, დამნაშავე ინგლისელი მზარეული უნდა იყოსო, მაგრამ მის კვალს ვერსად მიაგნეს. და აი, ქურდობიდან ორი თვის შემდეგ ერთი კობტად ჩაცმული, პირწმინდად გაპარსული ახალგაზრდა კაცი ბინდბუნდში მამილო გინარდონს მიაღვა. კურსელის ქუჩაზე და ვანდომის პრიორის „ლუკარეციუსი“ შეაძლია. ანტიკვარმა ასი სუ გადაუხადა, შეათვალა იერ-შემოათვალა იერა წიგნი, ლამაზი ეჩვენა, მიხვდა, რა იშვიათობაც იყო და იის ხის კომოდში ჩადო, სადაც ძვირფას საგნებს ინახავდა ხოლმე.

აი, რა ფათერაკები გადახდა თავს ერთი სეზონის განმავლობაში ამ საუცხოო წიგნს.

თ ა ვ ი X X V

როგელშიაც მორისი კვლავ კოულოვს თავის
მზარველ ანგელოვს

წარმოდგენის შემდეგ ბუშოტი საპირფარეშოში გრიმს იცლიდა. მისი ბებერი მფარველი, ბ-ნი სანდრაკი ფეხაკრეფით შემოვიდა, მის უკან შემოლაგდა თაყვანისმცემელთა მთელი დასი. ქალი არც კი შემობრუნებულა, ისე შეუღრინა მათ, აქ რისთვის მოსულხართ, რად შემომყურებთ ბრიყვებივით, ნილის ბაზრობაზე, ბალაგანში ხომ არ გგონიათ თავი, არნახულ ჯოჯოებს რომ უჩვენებენ ხოლმეო.

— „ქალბატონებო და ბატონებო, ჩააგდეთ ათი სანტიმი ყულაბაში ამ ქალიშვილის სამზითვოდ და შეგიძლიათ ხელით მოუსინჯოთ კანკები. მარმარილოა პირდაპირი!“

მერე მრისხანე მზერა მოავლო შეკრებილთ და დასწყვიტა:

— აბა, მოუსვით აქედან!

ყველას კარში აგდებდა, თავის გულის სწორ თეოფილსაც კი, რომელიც აქვე იდგა, ფერმკრთალი, წვერგაუპარსავი, ნაზი, ხაღვლიანი, ბეცი და გათიშული. მაგრამ თავის საყვარელს, მორისს მოჰკრა თუ არა თვალი, ქალმა გაიღიმა. ვაჟი მიუახლოვდა, მის სკამის ზურგზე გადმოიხარა, შეუქო სიმღერა და თამაში, თან ქების ყოველ სიტყვას კოცნას აყოლებდა. ქალი ამას არ დასჯერებია, კვლავ კითხვა-კითხვით, ჩაცემით, მოჩვენებითი უნდობლობით აიძულა ორჯერ, სამჯერ და ოთხჯერაც გაემეორებინა ალტაცების სიტყვები და როცა მორისი ჩერდებოდა, ქალი ისეთი იმედგაცრუებული ჩანდა, რომ დ'ესპარვიეტა ნაშიერი იძულებული იყო ისევ თავიდან მოჰყოლოდა ხოტბას. ეს მთლად იოლი არ გახლდით მისთვის, რაკი გამოცდილება აკლდა. მაგრამ სიამეს ჰგვრიდა სინათლით მოოქრული, მრგვალი და სავსე მსრების ხილვა, ლამაზი სახის ცქერა ტუალეტის სარკეში.

— წარმტაცი იყავით.

— მართლა? აგრე ფიქრობთ?

— მომაჯადოებელი, ღვთა...

უეცრად მორისს ხმამაღალი კივილი აღმოხდა. სარკეში თვალი მოჰკრა შემომავალ არსებას. მყის შემობრუნდა, მკლავგაშლილი მივარდა არკადს და დერეფანში გაათრია.

— რა უმსგავსობაა! — შესძახა გაოგნებულმა ბუშოტმა.

მაგრამ ახალგაზრდა დ'ესპარვიეს უკვე სწავლული ძაღლების ხროვა და ამერიკელი აკრობატების ოჯახი გაერღვია და თავის ანგელოზს გასასვლელისაკენ მიაქანებდა.

ბულვარის ჩრდილსა და სიგრილეში სიხარულით მთვრალი, ჯერ კიდევ თავის ბედნიერებაში დაეჭვებული მორისი გაიძახოდა:

— როგორც იქნა, გაპოვეთ! როგორც იქნა იმდენ ხანს დაგეძებდით, არკად თუ მირარ, როგორც გაგეხარდებათ, და ბოლოს მოგაგენით. არკად, თქვენ ჩემი მფარველი ანგელოზი წამართვით, დამიბრუნეთ იგი. არკად, კიდევ გიყვარვართ?

არკადმა მიუგო, ზეანგელოზური საქმის აღსასრულებლად, თავს რომ ვიდევ, იძულებული გავხდი ფეხქვეშ გამეთელა მეგობრობა, სიბრალული, სიყვარული და ყველა სხვა გრძნობა, რომლებიც სულს აძაბუნებენო. მაგრამ, მეორე მხრივ, ჩემმა ახალმა ყოფამ ტანჯავასა და გაჭირვებას მეც მაზიარა და კაცთ-

მოყვარე შევიქენ. ჩემი საბრალო მორისიც კვლავ ძველებუ-
დად მიყვარსო.

— კეთილი, — შეპყვირა მორისმა, — რაკი იოტისოდენათი
მაინც გიყვარვართ, დამიბრუნდით, დარჩით ჩემთან. უთქვენ-
ნოდ ყოფნა არ შემიძლია. სანამ გვერდში მყავდით, თქვენს
სიახლოვეს ვერა ვგრძნობდი. მაგრამ დამავდეთ თუ არა, სა-
შინელმა სიცარიელემ დაისადგურა ჩემს გულში. უთქვენოდ
უსულოდ შთენილი სხეულივითა ვარ. რომის ქუჩაზე, პირველ
სართულზე მდებარე პატარა ბინაში, ჟილბერტის გვერდითაც
ეულად ვგრძნობ თავს, თქვენზე ვნადვლობ და თქვენს ნახვა-
სა და თქვენი ხმის გაგონებას ვნატრობ, როგორც იმ დღეს,
როცა ისე ძლიერ გამარისხეთ... გამოტყდით, რომ მაშინ მარ-
თალი ვიყავ და მთლად საზოგადოებაში გაჩვეული კაცივით არ
მოიქცეით. თუ ჩაუფიქრდი, პირდაპირ გაუგონარი ამბავია,
რომ სწორედ თქვენ, ასეთი მაღალი წარმომავლობისა და ასე-
თი კეთილშობილი გონების პატრონმა ჩაიღინეთ ასეთი უკად-
რისი საქციელი. ქალბატონ დეზ ობელს ჯერაც ვერ უპატიებია
თქვენთვის. კვლავ შემომწყურალა, რომ შეაშინეთ ასე უდროოდ
დროს გამოჩენით და კადნიერადაც მოეპყარი, როცა კბა-
სა და ფეხსაცმელებს უკრავდით. მე კი ყველაფერი დავი-
წყებას მივეცი. მარტო ის მახსოვს, რომ თქვენ ჩემი ზეციერი
ძმა ხართ, ჩემი ბავშვობის წმიდა თანამგზავრი. არა, არკად,
თქვენ არ უნდა მომცილდეთ, ჩემთან განშორება არ ძალგიძთ.
თქვენ ჩემი ანგელოზი ხართ, ჩემი საკუთრება.

არკადმა მოახსენა ახალგაზრდა დ'ესპარვიეს, აღარ შემიძ-
ლია ქრისტიანის მფარველ ანგელოზად ყოფნა, რაკილა თავად
უფსკრულში გადავეშვიო. მე ახლა საზარელი, სიძულვილითა
და რისხვით ანთებული ჯოჯოხეთის სული ვარო.

— სისულელეა, — გააწყვეტინა მორისმა. ღმილით, თუმც
კი ცრემლებით სავსე ჰქონდა თვალები.

— ვაგლახ; ჩვენი რწმენა, ჩვენი ბედ-იღბალი, ყველაფერი
გვაშორიშორებს, ჩემო მორის. მაგრამ არ ძალმიძს გულიდან
ამოვიღო სინაზე, თქვენდამი რომ ვგრძნობ და თქვენი გულ-
უბრყვილობა მაიძულებს გიყვარდეთ.

— არა! — ამოიოხრა მორისმა, — თქვენ არ გიყვარვართ.
არც არასოდეს გყვარებოვართ. ასეთი გულგრილობა ძმას, ან-
და დას. რომ გამოეჩინა, ბუნებრივი იქნებოდა; მეგობრისა...

გან — ჩვეულებრივი; მფარველი ანგელოზისაგან კი აუტანელი რამ არის. არკად, ო, რა საძაგელი გამხდარხართ. არკად, მე მძულხართ.

— მე თქვენ გულით მიყვარდით, მორის, და ახლაც მიყვარხართ. თქვენ შესძარით ჩემი გული, ცხრა კლიტით დაკეტილი რომ მეგონა; თქვენ დამანახეთ ჩემი სისუსტე. როცა პატარა უცოდველი ბიჭი იყავით, ისევე ნაზი და კიდეე უფრო უმანკო სიყვარულით მიყვარდით, ვიდრე მის კეტს, თქვენს ინგლისელ აღმზრდელს, საზარელი ავნორცობით რომ გეხვეოდათ ხოლმე. სოფლად, წელიწადის იმ დროს, როცა ჭადრებს ქერქი ზოლა-ზოლა ჩამოსდით და ღია მწვანე ღეროები უშიშვლდებათ, ნაწვიმარს, დამრეც ფილაქნებზე ქვიშას რომ მოჰფენს, ამ ქვიშით, ამ ქერქით, მინდვრის ყვავილებითა და გვიმრის ღეროებით სოფლური ღიდეების, ველურთა ქოხების, ტერასებისა და აღონისის ბაღების გაკეთებას გასწავლიდით, რომლებიც მხოლოდ ერთ საათს ცოცხლობდნენ. მაისის თვეში, პარიზში, დედაღვთისას საკურთხეველს ვღმარათავდით და საკმეველს ვაკმევდით, რომლის სუნიც მთელს სახლს ეფინებოდა, მზარეულ ქალ მარსელინს თავის სოფლის ეკლესიასა და დაკარგულ სიქალწულეს აგონებდა და მწარე ცრემლებს აღრევივინებდა; დედათქვენს კი, ქვეყნად ყველა ბედის ნებიერთათვის ჩვეული მოწყენილობა რომ სჩაგრავდა, გარს შემოჯარულ სიმდიდრეში, თავს ატკიებდა. უოლექში რომ შეხვედით, თქვენს წარმატებებს თვალყურს ვადევნებდი; თქვენი მეცადინეობისა და თამაშობების მონაწილე ვიყავ, თქვენთან ერთად ვიმტვრევდი თავს არითმეტიკის ძნელ ამოცანებზე, ვცდილობდი იულიუს კეისრის გაუგებარი ფრაზის აზრს ჩავწვდომოდი. რამდენჯერ გვირბენია და გვიბურთავია ერთად ბევრჯერ გვიგემნია გამარჯვების სიმთვრალე და ჩვენი ყმაწვილური დაფნები არ ყოფილა დაცვარული არც სისხლითა და არც ცრემლებით. მორის, რაც კი შემეძლო, ყველაფერი ვიღონე საიმისოდ, თქვენი უბიწოება რომ დამეცვა, მაგრამ ვერას გავხდი და თოთხმეტი წლისამ უკვე დაკარგეთ იგი დედათქვენის მოახლის მკლავებში. მერე გულისტკივილით გიმზერდით, როგორ გიყვარდათ სხვადასხვა ფენისა და სხვადასხვა ასაკის ქალები; რომლებთაგანაც ყველა ლამაზი არ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში ანგელოზის თვალში. ამ ამბით დამწუხრებული

სწავლას მივეძაღე, მდიდარი ბიბლიოთეკა ისეთ საგანძურს მთავაზობდა, რომელსაც იშვიათად შეხვდებით. ღრმად შევისწავლე რელიგიათა ისტორია. დანარჩენი თავადაც უწყით.

— მაგრამ ახლა, ჩემო ძვირფასო არკად, — დაასვენა ახალგაზრდა დ'ესპარვიემ, — აღარც თანამდებობა შეგერჩათ და აღარც მდგომარეობა. სახსარიც არავითარი გაგაჩნიათ. დეკლასირებული ნაძირალა გახდით. მაწანწალა ხართ, უპოვარი.

ანგელოზმა საკმაოდ გესლიანად გადაუკრა, ახლა ასეა თუ ისე, უკეთ მაცვია, ვიდრე მაშინ, როცა თვითმკვლელის ძონძებს ვატარებდიო.

მორისს სურდა თავი ემართლებინა და ყველაფერი იმას გადააბრალა, თვითმკვლელის ძონძებით იმიტომ შეგმოსეთ ჩემი შიშველი ანგელოზი, რომ ლალატისათვის თქვენზე გამწყრალი ვიყავიო. მაგრამ წარსულის გახსენება და ერთმანეთისათვის ბრალის დადება არა ღირს; სჯობს ის გადაეწყვიტოთ, ახლა რა გზას დავადგეთო.

— არკად, მინც რა გაქვთ განზრახული?

— აკი გითხარით, მორის, მინდა ვძლიო, ვინც ზეცად სუფევს, დავამხო იგი და მის ადგილას სატანა დავსვა.

— მაგას ვერ იზამთ, ჯერ ერთი საამისოდ ხელსაყრელი დრო არ არის. საზოგადოებრივი აზრი ხელს არ გიმართავთ. ცხოვრებასთან ფეხშეწყობით ვერ მიაბიჯებთ, როგორც მამაჩემი ამბობს ხოლმე. ახლა ყველა კონსერვატორობას ჩემულობს, ყველას მტკიცე ხელისუფლება სწყურია. ხალხს სურს მართავდნენ და რესპუბლიკის პრეზიდენტი პაპთან მოლაპარაკებას. ლამობს*. ნუ ჯიუტობთ, არკად, იმზომ ბოროტი როდი ხართ, როგორადაც გსურთ თავი მოგვაჩვენოთ. არსებითად ისეთივე ხართ, როგორც ყველა: თქვენც სახიერ ღმერთს ეთაყვანებით.

— მგონი უკვე გასწავლეთ, ჩემო ძვირფასო მორის, რომ ის, ვისაც ღმერთად მიიჩნევთ, სინამდვილეში მხოლოდ დემიურგია. იგი სრულიად არ იცნობს მასზედ აღმატებულ ღვთაებრივ სამყაროს და თავი გულწრფელად ჰგონია ერთადერთი და ჭეშმარიტი ღმერთი. მონსენიორ დიუშენის „ეკლესიის ისტორიის“ პირველ ტომში, 162-ე გვერდზე თავადვე ნახავთ, რომ ამ ზვიადსა და გონებაშეზღუდულ დემიურგს სახელად იალდაბაოთი ჰქვია: იქნებ მეტად ერწმუნოთ ამ ეკლესიის მე-

ისტორიეს, ვიდრე თქვენს მფარველ ანგელოზს. ახლა კი უნდა წავიდე, მშვიდობით.

— დარჩით, რა!

— არ შემიძლია.

— ასე ვერ გაგიშვებთ. თქვენ ჩემი მფარველი ანგელოზი მომტაცეთ. ზარალი უნდა მიზღაოთ. სხვა ანგელოზი მიბოძეთ! არკადმა მიუგო, მაგას ვერ შეგისრულებთ, რაკი მფარველ სულთა უზენაეს გამრიგეს გადავუდექ და ვერაფერს გამოვთხოვო.

— არა, ძვირფასო მორის, — დასძინა მან ღიმილით, — თავად შეევედრეთ იალდაბაოთს.

— არა და არა! — შეჰყვირა მორისმა, — იალდაბაოთი არ არსებობს. თქვენ წამგვარეთ ჩემი მფარველი ანგელოზი და თქვენვე დამიბრუნეთ.

— ვაგლახ, რომ არ შემიძლია.

— არ შეგიძლიათ, არკად, რაკი აჯანყებული ანგელოზი ხართ?

— დიახ.

— ღვთის გარეგანი?

— დიახ.

— სატანური სული?

— დიახ.

— მაშ, კარგი, — შეჰყვირა ახალგაზრდა მორისმა, — აწი მე ვიქნები თქვენი მფარველი ანგელოზი. ჩემს ღღეში არ მიგატოვებთ.

და მორის დ'ესპარვიემ არკადი პ.-სთან წაიყვანა ხამანწკების საქმელად.

თ ა ვ ი X X V I

თ ა თ გ ი რ ი

იმ დღეს არკადისა და ზიტასაგან წვეული მოჯანყე ანგელოზები სენის სანაპიროზე შეიკრიბნენ ჟონწერში, ერთ მიტოვებულსა და დაფხავებულ თეატრალურ დარბაზში, რომელიც თავადმა იშთარმა იჭირავა ვილაც სამიკიტნოს პატრონის,

გვარად ბარატანისაგან. სამასი ანგელოზი იჭუჭყებოდა ამფითეატრსა და ლოქებში. სცენაზე, რომელზედაც ჩამოძონძილი დეკორაციები სოფლის ხედს განასახიერებდა, მაგიდა, ერთი სავარძელი და სკამები ჩარიგებულყო. კედლები, ტემპერით ყვავილები და ხილი რომ მიეხატათ, სინესტისაგან ჩამოშვავებულიყო და ალაგ-ალაგ ატკეჩილიყო. მაგრამ გაპარტახებული, უმსგავსი ადგილი კიდევ უფრო თვალში საცემს ხდიდა იმ ვნებათა სიდიადეს, აქ რომ დულდა. როცა თავადმა იმთარმა სთხოვა საკრებულოს, პრეზიდენტი აირჩიეთ, უპირველეს ყოვლისა კი საპატიო პრეზიდენტი დაასახელეთო, ყველას ერთი სახელი მოუვიდა თავში, სამყარო კიდით-კიდევ რომ გაეცსო, მაგრამ რელიგიურმა მოწიწებამ შეუკრათ ბაგე. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ კენჭის ყრის გარეშე აირჩიეს ნექტერი, რომელიც კრებას არ ესწრებოდა. არკადს ზიტასა და იაპონელ ანგელოზს შორის მდგარ სავარძელში მიუჩინეს ადგილი. წამიცი და უკვე სიტყვა აიღო:

— ცის შვილნო! ძმებო! თქვენ თავი დააღწიეთ ცათა მონობას; გადაიგდეთ მისი უღელი, ვისაც იაღვეს უხმობენ, მაგრამ მას უნდა დაეუბრუნოთ ქვემარტი სახელი იაღდაბაოთი, რადგანაც იგი არ არის სამყაროთა შემოქმედი, ის მხოლოდ უვიცი და სასტიკი დემიურგია; სამყაროს ერთი ბეწო ნაწილი ხელთ იგდო თუ არა, იქ ტანჯვა და სიკვდილი დათესა. ცის შვილნო, მიპასუხეთ, გსურთ თუ არა შეებრძოლოთ იაღდაბაოთსა და სძლიოთ იგი?

დარბაზმა ერთხმად იხუვლა:

— დიახ, გვინდა, გვინდა!

ბევრმა ფიციტაც თქვა, ავიჭრებით იაღდაბაოთის მთაზე, დაემზობთ იასპისა და პორფირის კედლებს და ტირანს ცის საუფლოდან მარადიულ წყვედიადში დავნთქავთო.

უეცრად ბროლივით წკრიალა ხმამ გააპო ყურთასმენის წამლები ავი ყაყანი:

— უწმიდურებო, მკრეხელებო, უგუნურებო, ძრწოდეთ! უფალი უკვე თქვენკენ იწვდის თავის მსახვრალ ხელს!

ეს ერთი ერთგული ანგელოზი იყო; რწმენითა და სიყვარულით ანთებულს, სულიერ მამათა და მარტვილთა ბედის მოშურნეს, თავის ღმერთივით მოსწადინებოდა გასტოლებოდა ადამიანს, მასავით ეგემნა თავის მსხვერპლად მიტანის სიტკბო

და ბედნიერება. მიეჭრა ღვთის მგმობთ, რომ გაეკიცხა ისინი, შეეძრწუნებინა და მათი ხელით განგმირულიყო.

მთელი საკრებულოს რისხვა ერთბაშად დაატყდა თავს. ვინც უფრო ახლოს იყო, ხელიც შემოჰკრა.

ის კი წკრიალა და უცოდველი ხმით ლაღადებდა:

— დიდ არს უფალი! დიდ არს უფალი! დიდ არს უფალი! ერთი მოჯანყე ანგელოზი ყელში სწვდა საბრალოს და ღვთის სადიდებელი შიგ ჩაუხშო. ესეც არ აკმარეს, წამოაქციეს და ფეხებით გადაქელეს.

თავადმა იშთარმა წაჰოაყენა იგი, ორ თითშუა მოიმწყვდია ფრთებით, კვამლის სვეტივით აიშართა, გამოალო საკმელი, რომელსაც მის მეტი ვერავინ მისწვდებოდა და იქიდან გადაუძახა ერთგული ანგელოზი.

დარბაზში მყის წესრიგი დამყარდა.

— ძმებო, — განაგრძო არკადმა, — ახლა, როს განზრახული გავამყლავნეთ, უნდა დავსახოთ სამოქმედო გზები და მათ შორის უმჯობესი გამოვარჩიოთ. უნდა გადავწყვიტოთ, ძალით ვძლიოთ მტერს თუ გვიჯობს ხანგრძლივი და კარგად მოფიქრებული პროპაგანდით ჩვენკენ გადმოვიბიროთ ცის შვილნი.

— ომი გვიჯობს, ომი! — იხუვლა კრებამ.

გეგონებოდათ, საყვირების ხმა და დოღების ბრავაბრუგიც გაისმაო.

თეოფილი, თავადმა იშთარმა ძალით რომ მოიყვანა კრებაზე, გამტკნარებული წამოდგა და აღელვებული ხმით თქვა:

— ძმებო, ცუდად ნუ ჩამომართმევთ, რაც უნდა გითხრათ. თქვენდამი მეგობრობა შთამაგონებს ამ სიტყვებს. მე ერთი საწყალი მუსიკოსი ვარ. მაგრამ მერწმუნეთ: თქვენი ზრახვები კიდევ ერთხელ დაიმსხვრევა ღვთაებრივ სიბრძნეზე, რომელსაც ყოველივე წინასწარა აქვს განჭვრეტილი.

თეოფილ ბელეს ყიჟინა დასცეს და ისიც იძულებული გახდა დამჯდარიყო. არკადმა კი კვლავ განაგრძო:

— იალდაბათი წინასწარ ჰვრეტს ყველაფერს: მე როდი უარვყოფ ამას. წინასწარ კი ჰვრეტს ყოველს, მაგრამ თავისუფალი არჩევანი რომ დაგვიტოვოს, ისე იქცევა, თითქოს სრულიად ვერაფერს ჰვრეტდეს. სულ მუდამ სახტად დარჩენილი და გაოცებულია; ყველაზე უფრო მოსალოდნელი ამბებიც კი აცბუნებს. თავად ინდომა წინასწარჰვრეტის უნარი

კაცთა და ანგელოზთა თავისუფალი ნებისათვის შეერიგებინა; ეს კი ნიადაგ გადაულახავ წინააღმდეგობებსა და საშინელ გასაჭირში აგდებს. თავის ცხვირს იქით ვერასოდეს ვერაფერს ხედავს. იგი არ ელოდა, რომ ადამი ურჩობას გაუბედავდა, იმდენად არ ელოდა კაცთა ბოროტებას, რომ კიდევაც ინანა მათი შექმნა, ხალხს წარღვნა მოუვლინა სასჯელად და შიგ ჩაახრჩო კაცთა მოდგმა ცხოველებთან ერთად, რომელთა სასაყვედუროც არაფერი ჰქონდა. თავის სიბრძნით მხოლოდ კარლოს X ჰგავს, მისგან რჩეულ მეფეს. თუ ცოტა სიფრთხილეს გამოვიჩინებთ, მოულოდნელად წავადგებით თავს. ვფიქრობ, ეს მოსაზრებანი ჩემს ძმასაც დაამშვიდებს.

თეოფილს კრინტი არ დაუძრავს საპასუხოდ. უყვარდა ღმერთი, მაგრამ შიშობდა, მეც იმ ერთგული ანგელოზის ბედი არ მეწიოსო.

კრების ერთ-ერთი ყველაზე უფრო განსწავლული სული — მამონა მთლად ვერ გადაარწმუნეს ძმა არკადის მოსაზრებებმა.

— იმაზედაც გემართებს ფიქრი, — თქვა მან, — რომ იალდაბაოთს დიდი განათლების პატრონი არ ეთქმის, მაგრამ მეომარია თხემით ტერფამდე. სამოთხეც სამხედრო ყაიდაზე აქვს მოწყობილი, იერარქიასა და დისციპლინაზე დაფუძნებული. უსიტყვო მორჩილება იქ საყოველთაო კანონის ძალას იძენს. ანგელოზთ კრებული ნამდვილი მხედრობაა. შეადარეთ ეს ზეცის საუფლო ელისეს მინდვრებს, ვერგილიუსმა რომ აგვიწერა. ელისეს მინდვრებში თავისუფლება, გონება და სიბრძნე მეფობს. ნეტარ სულებს სჯა-ბაასი გაუმართავთ მურტის ტყეებში. იალდაბაოთის ცაში კი ვერსად ნახავთ ერისკაცებს; ყველა ლეგიონშია ჩარიცხული, რეგისტრირებული და დანომრილია. ეს გახლავთ ყაზარმა და საწვრთნელი მოედანი. იფიქრეთ ამაზე!

არკადი შეესიტყვა, მტერი კეშმარიტი სახით უნდა დავინახოთ და სამოთხის სამხედრო მოწყობილობა მეფე გლეგლეს* სოფლებს უფრო მეტად მოჰგავს, ვიდრე ფრიდრიხ დიდის პრუსიასო.

— ჯერ კიდევ ეამთ დასაბამამდე, პირველი აჯანყების დროსაც ბრძოლა ორ დღეს გრძელდებოდა და იალდაბაოთის ტახტი შეირყა. ბოლოს დემიურგმა მოიპოვა გამარჯვება. მაგრამ

რას უნდა უმადლოდეს თავის წარმატებას? ბრძოლის დროს უეცრად ამტყდარ ქვეა-ქუხილს. მეხმა, ლიუციფერსა და მის ანგელოზებს რომ დაატყდათ თავს, ისინი დაანახშირა და გასტეხა. იაღდაბათი მეხს უნდა უმადლოდეს თავის გამარჯვებას. მეხი მისი ერთადერთი იარაღია და ერთობ ბოროტადაც იყენებს ამ იარაღს. სწორედ ქუხილთა და მეხთა შორის გამოსცა თავისი კანონი. „ცეცხლი მიუძღვის წინ“, ამბობს წინასწარმეტყველი. ფილოსოფოსი სენეკა კი ამტკიცებს, მეხს დაცემისას მცირეთათვის მოაქვს ზიანი, თავზარს კი ყველას სცემსო. ჭეშმარიტი ბრძანება იყო ქრისტიანული ერის პირველი საუკუნის მკვიდრთათვის, მეოცე საუკუნის ანგელოზთათვის კი არა. ეს კი იმას მოწმობს, რომ თუმცა ღმერთი ელვათმპყრობელია, საკმაოდ ძლიერი არ ეთქმის. ამიტომაც დაეცა შიშის ზარი, როს ადამის ძეთ ალიზისა და ფისისაგან გოდოლის აგება იწყეს*. როცა მირიადობით ციური სული თანამედროვე მეცნიერებისაგან ნაბოძები კურგებით შეიარაღდება და იერიშს მიიტანს ცაზე, ნუთუ გგონიათ, რომ აბრაამისდროინდელი საჭურვლით აღკაზმული ანგელოზებით გარშემორტყმული მზის სისტემის ბებერი ბატონი მათ წინააღმდეგობას შეძლებს? დემიურგის მხედრობას დღესაც ოქროს მუზარადები ხურავს და ხელთ აღმასის ფარები უპყრია. მიქაელმა, მისმა საუკეთესო მხედართმთავარმა, მხოლოდ ორთაბრძოლების ტაქტიკა იცის. ის ჯერ კიდევ ფარაონთა ეტლებსა ხმარობს და თავის დღეში არ გაუგონია მაკედონურ ფალანგებზე საუბარი.

ჭაბუკი არკადი კიდევ დიდხანს ავლებდა პარალელს იაღდაბათის შეიარაღებულ ნახირსა და რევოლუციის შეგნებულ გვარდიას შორის. შემდეგ ფულად სახსრებზე მსჯელობას მოჰყენენ.

ზიტამ დაარწმუნა დამსწრენი, ფული იმდენი გვაქვს, ომის დასაწყებად გვეყოფა, ელექტროფორები შეკვეთილია და პირველი გამარჯვებაც ნდობას მოგვიხვეჭს და უმაღ კრედიტს გავიხსნიანო.

კამათი გავრძელდა, ცხარე, უთავბოლო. ამ ანგელოზთა პარლამენტში ისევე, როგორც კაცთ სინოდებში, უხვად იღვრებოდა ფუჭი სიტყვები. რაც უფრო ახლოვდებოდა კენჭისყრა, მით უფრო მატულობდა აურზაური. ექვს გარეშე

გახლდათ, რომ უზუნაესი მთავარსარდლობა გადაეცემოდა იმას, ვინც აღმართა პირველი აჯანყების ალაში, მაგრამ რაკი ყველას ეწადა ლიუციფერის თანაშემწე ყოფილიყო, თითოეული, როს მხედართმთავრის სახეს ხატავდა, რომლისთვისაც უპირატესობა უნდა მიენიჭებინათ, მსმენელთ საკუთარ პორტრეტს სთავაზობდა. მოჯანყე ანგელოსთაგან ყველაზე ახალგაზრდამ, ალკორმა, აი, რა უთხრა საკრებულოს:

— ჩვენდა საბედნიეროდ იალდაბათის არმიასი მეთაურობა უხუცესთ ერგებათ ხოლმე. ამიტომ საეკვოა, რომ ეს პოსტი მართლა ნიჭიერ სარდალს შეხვდეს. მეთაურობა ხანგრძლივი მორჩილებით როდი ისწავლება, არც წვრილმანებში გულმოდგინება ვარგა ვეებერთელა მთელის დასაუფლებლად. ჩვენ ძველი და ახალი ისტორიები გვასწავლის, რომ უდიდესი მხედართმთავრები იყენენ ან ალექსანდრესა და ფრიდრიხისნაირი მეფეები, ან კეისრისა და ტიურენისნაირი არისტოკრატები, ან არადა ბონაპარტისნაირი უხეირო სამხედროები. ხელობით მეომარი მუდამ უვარგისი ან საშუალო ნიჭისა გამოდგება. ძმებო, მაშ, ავირჩიოთ ჰკვიანი, ძალ-ღონით აღსავსე მეთაურები. მოხუცს შეიძლება შენარჩუნებული ჰქონდეს ძლევის ჩვევა, მაგრამ ჰაბუკი უნდა იყო, ეს ჩვევა რომ მოიხვეჭო.

ალკორს ტრიბუნაზე ფილოსოფოსი სერაფიმი შეენაცვლა.

— ომი არასდროს ყოფილა ზუსტი მეცნიერება და არც გარკვეული ხელოვნება, — თქვა მან, — მაგრამ მასში მაინც ცნაურდება ერის გენია და ან ერთი კაცის განზრახული. ოლონდ როგორ უნდა განვსაზღვროთ აუცილებელი თვისებები, მომავალი ომის სარდალს რომ უნდა გააჩნდეს, ომისა, სადაც უშქარი ჯარია ჩაბმული და ისე მიმოიძვრის, რომ ერთი კაცის გონება ვერ გადასწვდება. ტექნიკური აღჭურვილობის სულ უფრო და უფრო მზარდი ოდენობა, უსასრულობამდე რომ ზრდის შეცდომის მიზეზებს, წინამძღოლთა ნიჭს ადამბლაეებს. სამხედრო ექსპანსიის რალაც საფეხურზე, რომელსაც საცაა მი-ალწევენ ჩვენთვის მაგალითად ქცეული ევროპელები, ყველაზე უფრო გონიერი სარდალი ყველაზე უმეცარს უთანაბრდება თავისი უძლურებით. მძლავრი თანამედროვე შეიარაღების მეორე შედეგი კი ის გახლავთ, რომ ყველაფერში განუხრელად ბატონობს დიდ რიცხვთა კანონი. მართლაცდა, ექვი არავის ეპარება, რომ ათი მოჯანყე ანგელოზი სჯობს იალდაბა-

ოთის ათ ანგელოზს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ერთი მილიონი მოჩანყე ანგელოზი უეჭველად სძლევს იაღდაბოთის ერთგულ ერთ მილიონ ანგელოზს. დიდ-დიდი ციფრები ომშიაც ისევე, როგორც სხვაგან, აუქმებენ გონიერებასა და ინდივიდუალურ უპირატესობათ და ძლევას ანიჭებენ ელემენტარულ კოლექტიურ სულს.

დამსწრეთ ყაყანმა დაფარა ფილოსოფოსი ანგელოზის ხმა და ორატორმა თავისი სიტყვა საერთო გულგრილობაში დაასრულა.

შემდეგ ტრიბუნიდან კვლავ გაისმა მოწოდება, იარაღს მოკვიდოთ ხელი და გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებაო. სიტყვით გამოსულნი ხოტბას ასხამდნენ მახვილს, სამართლიან საქმეს რომ იცავს. გაშმაგებული ბრბოს ტაშისცემაში აქ ოცვზის წინასწარ იზეიმეს აჯანყებულ ანგელოზთა გამარჯვება. ყიეანა: „გაუმარჯოს ომსი“ მრავალჯერ აიჭრა მუნჯი ზეცისაკენ.

ამ მღელვარებაში რომ იყვნენ, თავადი იშთარიც აფარდა ესტრადაზე და მისი სიმძიმის ქვეშ იატაკი აჭრიალდა.

— მეგობრებო, — თქვა თავადმა, — თქვენ გამარჯვება გწყურიათ და ბუნებრივია თქვენი წადილი. მაგრამ გატყობთ, გაუხრწინხართ ლიტერატურასა და პოეზიას, რაკი ამ გამარჯვებას ომიდან გამოელით. ომის ატეხა დღეს აზრად მხოლოდ გონებაჩლუნგ ბურჯუებსა და დრომოჭმულ რომანტიკოსებს თუ მოუვათ თავში (რა არის ომი? უაზრო მასკარადი, ბრიყვულად რომ აღაგზნებს პატრიოტ მეგიტარეთა გულებს) ნაპოლენი პრაქტიკულ გონებასთან რომ არ ყოფილიყო მწყურაღად, არ იომებდა. მაგრამ ის ოსიანით*მთვრალი მეოცნებე გახლდათ. რახან გაჰყვირით, ომს გაუმარჯოსო, მაშ, თქვენც ფუჭი მეოცნებენი ყოფილხართ. ინტელექტუალებად როდისღა იქცევით? გონებაგანსნილი ხალხი ძალასა და ძლიერებას არ გამოელის იმ ზმანებათაგან, სამხედრო ხელოვნებას რომ შეადგენენ: ტაქტიკისაგან, სტრატეგიისაგან, ფორტიფიკაციისაგან, არტილერიისა და სხვა ჩმახისაგან. მათ აღარ სჯერათ ომისა, ომი ხომ ცარიელი ფანტაზიაა; მათ სჯერათ ქიმიისა, ქემშარიტი მეცნიერება რომ გახლავთ და ძალი შესწევთ ალგებრულ ფორმულაში ჩაქეტონ გამარჯვება.

თავადმა იშთარმა აქ ჩიბიდან პატარა ბოთლი ამოიღო, უჩვენა საკრებულოს და მედიდური ღიმილით შესძახა:

— აი, ეს არის გამარჯვება!

სადაც ვაოვებთ შრიად საიღუმლო და ღრვა მიჯანს,
რომელიც ხშირად იმპერიებს აღჰრავს იმპერიების
წინააღმდეგ, დალუპვის კარს მიხუთავს გამარჯვებულნიცა
და დაპარცხებულნიც და სადაც ბრძენი მკითხველი
(თუკი ასეთი მოიძებნება, რაზიაც შრიად ვაოვოვ)
დაჟიძრდება ამ მოსწრებულად ნათქვამში:

„ოში ხრიკინაოზააი“

ანგელოზები დაიშალნენ. მეღონის ბორცვის ძირას, ბა-
ლახზე ჩამომსხდარი არკადი და ზიტა გასცქეროდნენ, ტირი-
ფებს შორის სენა როგორ მიედინებოდა.

— ამქვეყნად, — თქვა არკადმა, — რომელსაც სამზეოსაც
ვუწოდებთ, თუმცა ზედ ბევრი ისეთი რამაც ხდება, მზის
თვალს რომ არ ენახვება, ვერც ერთი მოაზროვნე არსება ვერ
წარმოიდგენს, თუნდაც ერთი ატომის გამოკლება მოხერხდე-
ბაო. დიდი-დიდი ვიფიქროთ, რომ შევძლოთ გარდავქმნათ
რიტმი ზოგიერთ ატომთა ჯგუფის მოძრაობისა და თითო-
ოროლა უჯრედის აგებულებაც შევეცვალოთ. ჩვენი დიდი წა-
მოწყობაც, კაცმა რომ თქვას, სწორედ ამით იფარგლება და
როს წინააღმდეგომ სულს დავსვამთ იალდაბათის ადგილას,
ამაზე მეტი საქმე არც მაშინ გაკეთდება... ზიტა, ბოროტება
თვით საგანთა არსში ბუდობს, თუ მათ აგებულებაში? აი,
რისი ცოდნა გემართებს პირველყოვლისა. ზიტა, პირდაპირ
შეძრწუნებული ვარ.

— მეგობარო, — მიუგო ზიტამ, — სამოქმედოდ თუ აუ-
ცილებელი შეიქნა ბუნების საიღუმლოს ცოდნა, თავის დღეში
ვერავინ გამოიღებს ხელს და ველარც ვიცხოვრებთ, რამეთუ
სიცოცხლე მოქმედებაა. არკად, სიმხნევემ უკვე გიღალატათ?

არკადმა დაარწმუნა მშვენიერი მთავარანგელოზი, კვლა-
ვაც ვიწვი სურვილით დემიურგი მარადიულ წყვილიადში დავ-
ნთქაო.

გზაზე ავტომობილი მოდიოდა და გრძელი მტვრის კუდი
მიაცილებდა. მანქანა შედგა ორი ანგელოზის წინ და სარკ-
მელში ბარონ ევერდინგენის მოკაუტქებული ცხვირი გამოჩნდა.

— გამარჯობათ, ციურო ძმებო, გამარჯობათ, — დაიძახა

კაპიტალისტმა, — ცის შვილნო, მოხარული ვარ, რომ შეგხვდით. თქვენთვის რიგიანი რჩევა უნდა მომეცა. უმოკმედობა აღარ შეგშვენით, ძილს ნუ მისცემინხართ; შეიარაღდით, შეიარაღდით! თორემ იალდაბაოთი დაგასწრებთ. აკი საომარი ფონდი გაქვთ: ხარჯეთ დაუთვლელად. ეს-ესაა შევიტყვე, რომ მთავარანგელოზმა მიქაელმა ცად ელვისა და მეხის მსხვილი შეკვეთა მისცა. თუ დამიჯერებთ, კიდევ ორმოცდაათი ათასი ელექტროფორის შექენა გმართებთ. შეკვეთას მე ვლენბულობ. გამარჯვება მოგცეთ, ანგელოზებო! ციურ სამშობლოს გაუმარჯოს!

და ბარონმა ევერდინგენმა ლუვესიენის აყვავებული ნაპირისაკენ გააქროლა მანქანა ლამაზ მსახიობ ქალთან ერთად.

— მართალია, დემიურგისასაც იარაღდებიანო? — იკითხა არკადმა.

— ადვილი შესაძლებელია, — მიუგო ზიტამ, — რომ ცაშიაც მეორე ბარონი ევერდინგენი შეიარაღებისაკენ მოუწოდებდეს.

ახალგაზრდა მორისის მფარველი ანგელოზი ერთხანს ჩაფიქრებული დარჩა. შემდეგ წაიჭურჩულა:

— ნუთუ ფინანსისტთა სათამაშოდ ვიქეციით?

— მერა რა! — შესძახა მშვენიერმა მთავარანგელოზმა, — ომი ხრიკიანობაა, და მუდამ ხრიკიანობა იყო.

მერე დიდხანს ეძებდნენ გზებს თავიანთი გრანდიოზული წამოწყების განსახორციელებლად. ზიზლით უკუაგდეს თავად იშთარის ანარქისტული ზრახვები და დასახეს საუცხოო გეგმა, ელვისებურად როგორ შეჭრილიყვნენ ცათა საუფლოში მათი მედგარი და განსწავლული ჯარები.

ბარატანი, ჟონშერის სამიკიტნოს პატრონი, რომელმაც მოჯანყე ანგელოზებს იჯარით მისცა სააქტო დარბაზი, უშიშროების აგენტი გამოდგა. პრეფექტურისადმი წარდგენილ პაკტაში მან დაასმინა ამ კრების წევრები — თავდასხმას ამზადებენ ვილაც პიროვნებაზე, მქვინვარებდა და სასტიკად რომ სახავდნენ და სახელად ალაბალოთს ეძახდნენო. აგენტს ეგონა, ეს ფსევდონიმია და მის უკან რესპუბლიკის პრეზიდენტი ან სულაც რესპუბლიკა იგულისხმებაო. შეთქმულნი ერთხმად უთვლიდნენ მუქარას ალაბალოთს. ერთმა მათგანმა, მეტად

საშიშმა პიროვნებამ, ანარქისტულ წრეებში კარგად ცნობილ-
მა და მემბროხური ნაწერებისა თუ გამოსვლებისათვის ბევრ-
ჯერ ნასამართლებმა კაცმა, თავს თავად იშთარსა და ქერუბს
რომ უწოდებს, ძალზე პატარა ყალიბის, მაგრამ აშკარად და-
მანგრეველი ბომბი ააჯლარუნაო. სხვა შეთქმულები უცნობი
იყვნენ ბარატანისათვის, თუმცა ეს აგენტი რევოლუ-
ციური წრეების ხშირი სტუმარი გახლდათ. ბევრი მათგანი
ძალზე ახალგაზრდა იყო; ბარატანმა განსაკუთრებული ყურად-
ღება მიაქცია ორ მათგანს, სხვებზე გაცილებით უფრო მგზნე-
ბარე სიტყვებს რომ წარმოთქვამდნენ. ისიც შეიტყო, რომ
პირველი, სახელად არკადი, სენ-ჟაკის ქუჩაზე სახლობდა, მე-
ორე — მეტად თავისებური ზნეობის ქალი ზიტა კი მონმარ-
ტრზე იდგა. ეს ორი ადამიანი რითი ირჩენდა თავს, არავინ უწ-
ყოლა.

პოლიციის პრეფექტს ეს საქმე მეტად სერიოზული ეჩვენ-
ნა. გადაწყვიტა, მყისვე მოლაპარაკებოდა სათათბიროს თავ-
მჯდომარეს.

იმხანად მესამე რესპუბლიკისათვის ერთი იმ კლიმაქტე-
რულ პერიოდთაგანი იდგა, როცა ძლიერი ხელისუფლების
ტრფიალ, ძალის მოთაყვანე ფრანგ ხალხს ჰგონია, დავილუპერო
და ხმამალა უხმობს მხსნელს, რაკი მაგარი ხელი არ მარ-
თავს. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სამართლის მინისტ-
რი სულ იმის ნატვრაში იყო, ნეტა ამ მხსნელად მე მოვევლი-
ო ქვეყანასო. მაგრამ ნატვრა რომ ახდენოდა, რალაც საფრ-
ანზე უნდა ჰქონოდა ასარიდებელი. ამიტომ შეთქმულების ამ-
ავი მეტად საამოდ დაურჩა. პოლიციის პრეფექტს გამოჰ-
კითხა, რა ხასიათისა ჩანს და რაოდენ საშიში უნდა იყოს ეს
საქმეო. პოლიციის პრეფექტმა მოახსენა, ამ ხალხს, ეტყობა,
ფული აქვს, ჰქუაუ უჭრის, ენერგიაც მოსდგამს; მაგრამ ძა-
ლიან ბევრს ლაყობენ, თანაც ერთობ მრავალრიცხოვანნი
არიან საიშისოდ, რომ საიდუმლოდ და თანხმობით იმოქმედო-
ნო. თავის საეარძელში გადაწოლილი მინისტრი ჩაფიქრდა.
ამპირის სტილის საწერი მაგიდა, რომელსაც უჯდა, ძველე-
ბური ხალიჩები, რომლებითაც კედლები იყო შემკული, კედ-
ლის საათი და რესტავრაციის დროინდელი კანდელაბრები —
ყველაფერი ამ მამა-პაპურ კაბინეტში მმართველობის დიდ
პრინციპებს ჩააგონებდა; ეს პრინციპები კი, ურყევენი რომ

რჩებიან უამთა მონაცვლეობის დროსაც, მოგეხსენებათ, ეშ-
მაკობა და სიმამაცე გახლავთ) ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ და-
ასკვნა, უნდა ვადროვოთ, სანამ შეთქმულება ძალას მოიციმს,
გამოკვეთილ სახეს მიიღებს, იქნებ კიდევაც სჯობდეს ხელი
შევუწყოთ, ფრთა გავაშლევინოთ, შევალამაზოთ და მხოლოდ
მაშინ ჩავახშოთ, როცა მისგან ყველა სარგებელი ამოგებული
გვექნებაო.

ამიტომაც უბრძანა პოლიციის პრეფექტს, თვალყური ადევ-
ნეთ ამ საქმეს, ყოველდღე დაწვრილებით ჩამაბარეთ ანგარი-
ში, ოღონდ ინფორმატორის როლს უნდა დასჯერდეთო.

— მე ვენდობი თქვენს ქებულ სიფრთხილეს: თვალყური
ადევნეთ და ნუ ჩაერევით.

და მინისტრმა სიგარეტს მოუკიდა. იმედოვნებდა, რომ
ამ შეთქმულების შემწეობით შეასუსტებდა ოპოზიციას, გააძ-
ლიერებდა თავის ძალაუფლებას, დაამცირებდა კოლეგებს, და-
ამდაბლებდა რესპუბლიკის პრეზიდენტს და ნანატრ მხსნელად
მოეველინებოდა ქვეყანას.

პოლიციის პრეფექტმა აღუთქვა მინისტრს, თქვენი მითი-
თებისამებრ ვიმოქმედებო, გუნებაში კი გაიფიქრა, მხოლოდ
ჩემს ნებაზე მოვიქცევით. მყისვე მეთვალყურეები მიუჩინა
ბარატანისგან დაბეზღებულ პირებს და თავის აგენტებს უბრ-
ძანა, ნურავითარ შემთხვევაში ნუ ჩაერევითო. იგრძნო თუ
არა, თვალყურს მადევნებენო, თავადმა იშთარმა, ძალას მუ-
დამ სიფრთხილეს რომ უხამებდა ხოლმე, სახურავის ღარიდან
საგანგებოდ გადამალული ბომბები ამოალავა, მღევართათვის
გზა-კვალი რომ აერია, ავტომობილიდან მეტროში გადაჯდა,
მეტროდან ავტობუსში და ასე ეშმაკურად, მიხვეულ-მოხვე-
ული გზით მივიდა ბუსიკოს ანგელოზთან, რათა ქურგები მას-
თან დაემალა.

ყოველთვის, როცა სენ-ჟაკის ქუჩაზე მდებარე ბინიდან გა-
მოდინდა, არკადი კართან მეტისმეტად კეთილშობილური იე-
რის მქონე კაცს აწყდებოდა, ყვითელი ხელთათმანები რომ
ეცვა და ყელსახვევზე „რეგენტზე“* ღიდი ბრილიანტი ეკეთა.
მოჯანყე ანგელოზი მიწიერ საქმეთაგან ისე შორს იყო, რომ
ამ შეხვედრას ყურადღებას სულაც არ აქცევდა. მაგრამ ჭაბუ-
კი დ'ესპარვიე, ვისაც კისრად ედო თავისი მფარველი ანგე-
ლოზისათვის მფარველობა გაეწია, შეშფოთებით უცქერდა ამ

ვაებატონს, ბ-ნ მინიონივით ფეხმოუცვლელად რომ იდგა აქ და იმ აგენტზე ფეხიწელი ჩანდა, რომელიც ოდესღაც თავის გამჭოლ მზერას მიმოატარებდა გარანსიერის ქუჩაზე მდებარე დე ლა სორდიერის ოტელის ვერძის თავებიდან სენ-სულპისის ეკლესიის აბსიდამდე. მორისი დღეში ორჯერ-სამჯერ აკითხავდა არკადს შინ, ჩასჩიჩინებდა, საფრთხე მოგელის და გიჯობს ბინა გამოიცვალეო.

მორისს თავისი მფარველი ანგელოზი ყოველ საღამოს დაჰყავდა ლამის კაბარეებში, სადაც კახპებთან ერთად ვახშმობდნენ. ჭაბუკი დ'ესპარკიე წინასწარმეტყველებდა, რომელ მოკრივეს დარჩებოდა გამარჯვება მომავალ მატჩზე, შემდეგ ცდილობდა დაემტკიცებინა არკადისათვის ღმერთის არსებობა, რელიგიის აუცილებლობა, ქრისტიანული რწმენის სიკეთე და ევედრებოდა, ხელი აიღე ბოროტ, უკეთურ განზრახვაზე, ვერაფერს მოიძკი სიმწარისა და იმედის გაცრუების მეტსო.

— თორემ, ქრისტიანობა ყალბი რომ ყოფილიყო, — ამბობდა ახალგაზრდა აპოლოგეტი, — ყველას ეცოდინებოდა ეს ამბავი.

კახპები კვერს უკრავდნენ მორისს, უწონებდნენ უფლისადმი მოწიწებას და როცა პირმშვენიერი არკადი მათთვის გასაგები ენით ღვთის საგმობ სიტყვას იტყოდა, ყურებს იცობდნენ და აჩუმებდნენ, ჩუმად, თორემ ვაითუ თქვენთან ერთად ჩვენც დავილაზნვროთო, რაკი სწამდათ, რომ ყოვლისშემძლე და ყოვლად სახიერი უფალი თავის მაგინებლებზე მყის შურს იძიებს და სულ უბოროტოდ ძალუძს დამნაშავეს უცოდველიც ზედ მიაყოლოსო.

ხანდახან ანგელოზი და მისი მფარველი ვახშმად ეწვეოდნენ მუსიკოს ანგელოზს. მორისს დროდადრო ახსენდებოდა, რომ ბუშოტის საყვარელი იყო და სწყინდა, არკადს მომღერალ ქალთან ასე შელაზნადარებულს რომ ხედავდა, ქალიც აძლევა ამის ნებას მას შემდეგ, რაც მუსიკოსმა ანგელოზმა ყვავილებით მოჩითული დივანი შეაკეთებინა და არკადი და ბუშოტი ზედ შეწყვილდნენ. მორისს, რომელსაც ძალიან უყვარდა ქ-ნი დეზ ობელი, გული ბუშოტისთვისაც უთქვამდა და ცოტა არ იყოს, ეჭვიანობდა არკადზე; ეჭვიანობა კი, ერთნაირად რომ მოსდგამთ ადამიანებსა და ცხოველებს, რაგინდ სუსტიც არ უნდა იყოს, სასტიკ ტყვილს გვაყენებს. ამიტომ

იქვეა თუ არა სიმართლე, რომელსაც საქმაოდ საცნაურს ხდი-
და ბუშოტის ტემპერამენტი და ანგელოზის ღასიათი, მორისი
ლანძღვა-გინებითა და სარკაზმებით იკლებდა არკადს, უზნეო-
ბას უკიჟინებდა. არკადი მშვიდად მიუგებდა, ძნელია ფიზი-
ოლოგიური იმპულსები დაუქვემდებარო მკაცრად ჩამოყალი-
ბებულ წესებსო, აკი მორალისტებიც დიდ სიძნელეებს აწყდე-
ბიან შინაგან სეკრეციაზე მსჯელობისასო.

— ჰოდა, ხალისით ვაღიარებ, — თქვა არკადმა, — რომ
თითქმის შეუძლებელია ბუნებრივი მორალის სისტემურად ჩა-
მოყალიბება. ბუნებას მორალი არ გააჩნია. ის არავითარ სა-
ბუთს არ გვაწვდის ვიფიქროთ, თითქოს კაცის ცხოვრება პა-
ტივისცემას იმსახურებდეს. ბუნება გულგრილია და არავითარ
განსხვავებას არ ჰპოვებს კეთილსა და ბოროტს შორის.

— აი, ხომ ხედაფთ, — შეესიტყვა მორისი, — რელიგია
აუცილებელი ყოფილა.

— ჭგომოცხადებულად წოდებული მორალი, — განაგრძო
ანგელოზმა, — არსებითად ყველაზე უხეში ემპირიზმითაა შთა-
გონებული. ზნეობას მხოლოდ ადათი განსაზღვრავს. ის, რაც
ზეცამ დაგვიდო კანონად, სხვა არაფერია, თუ არ ჩვეულება-
თა გაადათწესება. ღვთაებრივი კანონი, ფიერვერკების ცე-
ცხლში რომ გვემცნო სადღაც სინას მთაზე, მხოლოდ ადამი-
ანთა ცრურწმენების კოდიფიკაციაა. და რაკი ზნე-ჩვეულებანი
იკვლებიან, რელიგიებიც, რომლებიც ხანგრძლივ ცოცხლო-
ბენ, იუდეო-ქრისტიანიზმისა არ იყოს, დროდადრო თავიანთ
მორალს ასხვაფერებენ.

— დაბოლოს, — თქვა მორისმა, ვისაც თვალდათვალ ემა-
ტებოდა განსჯის უნარი, — დამეთანხმებით, რომ რელიგია ბევრ
უწესრიგობას გვაცილებს თავიდან და ბევრ დანაშაულსაც
ლაგმავს.

— თუკი თავად არ გვიბიძგებს დანაშაულისაკენ, როგორც
იფილენიას მსხვერპლად შეწირვისას.

— არკად, — შეჰყვირა მორისმა, — როცა თქვენს სჯა-
ბაას ვუსმენ, მიხარია, სწავლული რომ არა ვარ.

ამასობაში გრძელი, ქერა თმის ფარდით სახედაფარული,
კლავიატურაზე თავდახრილი თეოფილი თითებს შთაგონებით
სცემდა კლავიშებს; გატაცებით უკრავდა და მღეროდა „ალი-
ნი, გოლკონდის დედოფლის“ მთელ პარტიტურას.

თავადი იშთარიც მოდიოდა ამ მეგობრულ შეკრებებზე, ზომბებითა და შამპანურის ბოთლებით ჯიბეებგამოტენილი. ერთიცა და მეორეც ბარონ ევერდინგენისაგან ჰქონდა ნაწყალობევი. ბუშოტი სიხარულით ხედებოდა ქერუბინს მას შემდეგ, რაც კი პატარა, ყვავილებით მოჩითულ დივანზე მოპოვებული გამარჯვების მოწმედ და ნადავლად დაეგულებინა. ქალისათვის ქერუბი გოლიათის მოჭრილი თავივით იყო ყრმა დავითის ხელში*. აღტაცებული გახლდათ თავადით, მოეხიბლა მის აკომპანიატორობის ნიჭს, სმის სასწაულებრივ უნარს და ძალ-ღონეს, იმ სამახსოვრო დღეს მისგან რომ იძლია.

ერთხელ, ღამით, ჭაბუკი დ'ესპარკიე მანქანით მიაცილებდა თავის ანგელოზს ბუშოტის სახლიდან სენ-ჟაკის ქუჩამდე; ცა მოქუფრული იყო; კარის წინ ჯაშუშის ბრილიანტი შუქურასავით ბრწყინავდა. სამი ველოსიპედისტი, მის სხივებქვეშ რომ შეყრილიყო, მანქანის მოახლოებისთანავე დასცილდა აგენტს და აქეთ-იქით გაიფანტა. ანგელოზს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ მორისმა მყისვე იაზრა, არკადის ასავალ-დასავალი სახელმწიფოში ძლიერებით აღჭურვილ პირებს აინტერესებთო. საფრთხე კარს მოგვდგომიაო, იფიქრა და გადაწყვეტილებაც უმაღლ მიიღო.

მეორე დღითვე შინ მიაკითხა ექვმიტანილს, რომის ქუჩაზე რომ გადაეყვანა. ანგელოზი საწოლში დაუხვდა. მორისმა უთხრა, ჩქარა ჩაიცვით ტანთ და გამოიყევითო.

— წამომყევით; თქვენთვის ეს სახლი აღარაა საიმედო. თვალყურს გადავენებენ. ერთი დღეც იქნება და დაგაპატიმრებენ. გინდათ თავი ციხეში ამოჰყოთ? არა? ჰოდა, მომყევით. მე საიმედო ადგილას გადაგმაღავთ.

სულს ცოტა არ იყოს სიბრაღულით გაეღიმა თავის მიამიტ მხსნელზე და უთხრა:

— განა არ იცით, რომ ანგელოზმა დაამსხვრია ციხის კარი, რომელშიაც პეტრე იყო დამწყვდეული და გამოიხსნა მოციქული? ეჰ, ჩემო მორის, თქვენ მე იმ ციურ ძმაზე ნაკლები გგონივართ და ფიქრობთ, ვერ შეეძლებ ჩემთვის გავაკეთო ის, რაც მან ტიბერიალის ტბის მესათხვევლისთვის გააკეთა?

— შავის იმედი ნუ გექნებათ. მან ეს სასწაულის ძალით გააკეთა.

— ანუ „სასწაულით“, როგორც ეკლესიის ერთი თანამედ-

როვე ისტორიკოსი ამბობს. თუმცა ეგ სულ ერთია. წამოგყვებით, ოღონდ ნება მიბოძეთ, რამდენიმე წერილი დავწვა და შევკრა წიგნების დასტა, რომელთა წამოღებაც მინდა.

არკადმა ქალაღდები შეუძახა ბუხარში, ჳიბე-უბეები წიგნებით გამოიტენა და თავის მეგზურს გაჰყვა მანქანამღე, შორიახლოს, საფრანგეთის კოლეჯის კართან რომ იცდიღა. მორისი საჰეს მიუჴღა. მანაც ჰქერუბივით სიფრთხილეს მიმართა, სულ მიხვეულ-მოხვეული გზებით იარა, იმღენი წრე დაარტყა, ისე სწრაფად დატრიაღდა, რომ აღვენებულ ველოსიპედისტებს, რაგინღ მრავალრიცხოვანი და მარღად მოარულნიც არ უნღა ყოფილიყვენენ, ყვეღას გზა-კვღს აურავღა. ბოღოს, მას შემღეგ, რაც ჰღლაჰი კიღით-კიღემღე გაღაჰსეღეს, მორისი რომის ჰუჩაზე, პირველი სართუღის წინ გაჰერღა, საღაც ანგეღოზი გამოეცხაღა.

იმ ბინაში რომ შეღგა ფეხი, საიღანაც წელიწადნახვერის წინ გამოვიღა თავისი მისიის აღსასრულეზღად, არკადს წარსული გაახსენღა და გული სინანულით აეღსო. ჟიღბერტის სურნელი რომ შეისუნთჰა, ნესტოები აუთრთოღღა. მორისს ჰკითხა, ჰღღბატონი ღეზ ობელი როგორ ბრღანღებაო.

— ძალიან კარგად, — მიუგო მორისმა, — ცოტა გასუჰღა და ერთობ დამშენღა. თჰვენს უტიფრობაზე ახღაც ნაწყენია. მგარამ იმეღი მაჰვეს, ერთი ღღეც იჰნება და შეგინღობთ, როგორც მე შეგინღეთ და დავიწყღება თჰვენი უკადრისი საჰციელი. ოღონღ ჰერ თჰვენზე ძალიან გულმოსულია.

ჰბბუკმა ღესპარვიემ, როგორც კეთიღშობიღ კაცს შეეფერებოღა, თავისი ბინა დაუთმო ანგეღოზს, მეგობრული მზრუნვეღობით ურვენა დასაკეცი საწოღი, რომელიც არკადს ყოველ საღამოს უნღა გაეშაღა წინა ოთახში, დიღით კი ბნელ საკუჰნაოში შეეჩურთა; ურვენა ტუღღეტის მაგიღა და მისი მოწყობიღობა, პირსაბანი ტაშტი, საცვღების კარაღა, კომოღი, დაარიგა როგორ გაეთბო და გაენათებინა ოთახი, შეჰპირღა, საჰმელს კონსიერჰი ამოგიტანთ, ბინასაც ის ღაგიღაგებთო და ურვენა დიღაკი, რომელზეღაც თიიი უნღა ღაეჰირა, მსახურისთვის რომ ეხმო; მერე უთხრა, ისე იგრღენით თავი, როგორც საკუთარ სახღში და სტუმრად ვინც გინღათ, ის იწვიეთო.

სანამ მორისს საყვარლებად მხოლოდ პატიოსანი ქალები ჰყავდა, მის ქცევაში ვერაფერს ხედავდნენ სააუგოს. სხვაგვარად დატრიალდა საქმე, როცა ყმაწვილმა კაცმა ბუშოტთან იწყო სიარული. დედამისი აქამდე თვალებს ხუჭავდა შვილის დიალაც დანაშაულებრივ, მაგრამ თავსაქებ და უჩუმარ კავშირებზე; ახლა კი ძალიან შეიცხადა, როცა შეიტყო, რომ მისი ვაჟი ქვეყნის დასანახად მომღერალი ქალის საყვარელი გამხდარიყო. მორისის უმცროსმა დამ — ბერტამ კატეხიზმოსავით ზეპირად იცოდა ძმის ყველა სამიჯნურო თავგადასავალი და აღუშფოთებლად უყვებოდა თავის უწლოვან მეგობრებს. პატარა ლეონმაც, სულ ახლახან რომ შეიქნა შვიდი წლისა, ერთ დღეს სტუმრებთან გამოუცხადა დედამისს, როცა გავიზრდები, მეც მორისივით ვიქორწინებო. დედის გულს ლახვარივით მოხვდა ეს ამბავი.

იმხანად მეტად მნიშვნელოვანმა ოჯახურმა საქმემ შეაშფოთა ბ-ნი რენე დ'ესპარვიე. თამასუქები მოუტანეს, რომელზედაც მის ნაცვლად მის ვაჟს მოეწერა ხელი. მორისი მამის ხელმოწერის მიბაძვას არ ცდილა, მაგრამ ცხადი იყო, რომ თავის ხელმოწერა მამისად სურდა გაესაღებინა. ეს კი აშკარა ყალბისმქეხელობა იყო; თანაც ამჟღავნებდა, რომ მორისი უწესო ცხოვრებას ეწეოდა, ვალებს იღებდა და იმ ზომამდე იყო მისული, რომ საძრახი საქმის ჩადენასაც არ თაკილობდა. შეწუხებული ოჯახის მამა დიდხანს ეთათბირა თავის მეუღლეს. შეთანხმდნენ, რომ მამას მკაცრად დაეტუქსა ვაჟიშვილი, დაძუქებოდა, შავ დღეს დაგაწევო და ამ დროს დადარდიანებულ და მოსიყვარულე დედასაც შემოეღო კარი, რომ გული მოეღბო სამართლიანად განრისხებული მამისათვის. საქმე ამგვარად გაარიგეს და ბ-ნმა რენე დ'ესპარვიემ მეორე დღეს ვაჟს კაბინეტში უხმო. სადღესასწაულო იერი რომ ჰქონოდა, რედინგოტიც კი გადაიცვა. ამით მორისმა მყისვე შეატყო, სერიოზული საუბარი გვექნებაო. ოჯახის უფროსს ფერი წასვლოდა, ცოტა მორცხვი გახლდათ და მთლად თავდაჭერებული

ტონით ვერ უთხრა შვილს, აღარ შემძლია იმ უწყობის ატანა, რომელშიაც ჩაფლულხარო და უბრძანა, ცხოვრების ნიჩი ახლავ უნდა შეიცვალო. თავი ანებე უწყობისგობას, ნელარც ვალებს დაიდებ, ცუდ წრეს ჩამოშორდი, იმუშავე, რიკიანადაც მოიქეც და გარს ხეირიანი ხალხი შემოიკრიბეო.

მორისს გულით ეწადა, მორჩილად ეპასუხნა მამისათვის, ან კი რა ეთქმოდა, ბარონი ტყუილუბრალოდ როდი ემართლებოდა. საუბედუროდ მორისიც მორცხვი გახლდათ და რედინგოტიც, ბ-ნ დ'ესპარვიეს რომ გადაეცვა, რათა ღირსეულად მოეხდინა ოჯახური განჩინება, მამა-შვილს შორის გულითადობას სულაც არ უწყობდა ხელს. მორისი ერთხანს უხერხულად დუმდა და ეს დუმილი მოხუცს კადნიერად ეჩვენა. ამ დუმილმა აიძულა ბ-ნი დ'ესპარვიე კვლავ საყვედურებრთ აეკსო შვილი და უფრო მწარედაც დაეტუქსა. მან გამოალო ისტორიული მაგიდის უჯრა (ეს ის მაგიდა გახლდათ, რომელზედაც ალექსანდრე დ'ესპარვიემ დაწერა თავისი „ესსე ხალხთა სამოქალაქო და რელიგიურ დაწესებულებებზე“) და იქიდან მორისის ხელმოწერილი თამასუქი ამოიღო.

— გესმის თუ არა, შვილო, რომ ნამდვილი ყალბისმქნელობა ჩაიდინე? — უთხრა ვაჟს, — ასეთი სერიოზული დანაშაული რომ გამოისყიდო...

ამ დროს, როგორც შეთანხმებულნი იყვნენ, საგარეო კაბაში გამოწყობილი ქალბატონი რენე დ'ესპარვიეც გამოჩნდა. შენდობის ანგელოზი უნდა განესახიერებინა, მაგრამ საამისოდ არც გარეგნობა უწყობდა ხელს, არც ხასიათი. ერთობ პირქუში და უხეში ქალი გახლდათ. მორისს ყველა სანიადგო და აუცილებელი სათნოების თესლი უღვიოდა გულში. უყვარდა დედა და პატივსაც სცემდა. მოვალეობის გამო უფრო უყვარდა, ვიდრე გულის კარნახით და მისდამი მოწინებაც ჩვეულებით უფრო იყო პირობადებული, ვიდრე გრძნობით ნასაზრდოები. ქალბატონ რენე დ'ესპარვიეს სახის სიწითლე სჭირდა. და რაკი ზედ უზომო პუდრი შეეფრქვია, რათა უკეთ გამოჩენილიყო ოჯახურ სამსჯავროზე, პირისახე შექარში ჩაწყობილ მარწყვს მიუგავდა. მორისი გემოვნებიანი ყმაწვილი გახლდათ, არ შეეძლო თვალი დაეხუჭა მის სიმანინჯეზე; დედა ცოტა გულის ამრევადაც ეჩვენა. აიმრიზა და როცა დედამისმა ყვედრება დაუწყო, გაუათყეცა ცოდვა-ბრალი, რომელთა

გამოც მამამ უკვე შეახურა, უძლებმა შვილმა თავი შეაბრუნა, რომ მშობლის მზერისათვის გაღიზიანებული სახე მოერიდებინა.

ქალი კი განაგრძობდა:

— დეიდაშენმა დე სენ-ფენმა ქუჩაში ისეთ ცუდ წრეში გნახა, მადლობელიც დაგირჩა, რომ არ მისალმებინარ.

ამ სიტყვებზე მორისმა იფეთქა:

— დეიდაჩემმა დე სენ-ფენმაო? ნახა რა, სასირცხვილო! ქვეყანამ იცის, რომ ახალგაზრდობაში არც არაფერი მოუკლია. ახლა კი ამ პირმოთნე ბებერს ნებავს...

მაგრამ სათქმელი ვეღარ დაასრულა. მისი მზერა მამამისის სახეს წააწყდა, რომელიც მწუხარებას უფრო გამოხატავდა, ვინემ წყენას. მორისს სინდისი ქენჯნიდა ამ სიტყვებისათვის, გრძნობდა თავის დანაშაულის სიმძიმეს და თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, ასეთი რამ როგორ დასცდა ბაგეთაგან. უნდოდა ცრემლად დაღვრილიყო, მუხლზე ჩოქვით ეთხოვა პატიება, როცა ჰერზე თვალეზაბყრობილმა დედამისმა ამოიგმინა:

— რით გავარისხე უფალი, რომ ასეთი წამხლარი ვაჟი მომცა?

მორისს ეს სიტყვები ხელოვნური და სასაცილო ეჩვენა. მწარედ მონანიე ყმაწვილი დამნაშავის სანეტარო სიამაყემ მოიცივა, ააჯანყა და გაშმაგებულმა ქალს ერთი ამოსუნთქვით, უტიფრად მიახალა სიტყვები, რომლებიც დედის ყურმა თავის დღეში არ უნდა გაიგონოს:

— მე რომ მიშლით ნიჭიერ, ღირსეულ და უანგარო მსახიობ ქალთან მეგობრობას, გიჯობთ აუკრძალოთ ჩემს უფროს დას.— ქალბატონ დე მარჟის ყოველ საღამოს თეატრსა თუ სტუმრად გულისამრევ და საზიზღარ სუბიექტთან გამოჩენა; ისედაც ყველამ იცის, რომ ის კაცი მისი საყვარელია. კიდევ გიჯობთ თვალყური ადევნოთ ჩემს უმცროს დას— ეანას, ხელწერას რომ იცვლის, უშმაწურ წერილებს სწერს თავის თავს და უტიფრად გატყუებთ, ჩანთაში ვიპოვნეო, რომ უარესად შეგაშფოთოთ და შეგაწუხოთ. ურიგო არ იქნება მიხედოთ ჩემს ნაბოლარა ძმა ლეონსაც, შვიდი წლის ლაწირაკი ლამის ძალას რომ ნმარობს მადმუაზელ კაპორალზე; თქვენს მოახლესაც სჯობია უთხრათ, რომ...

— მიბრძანდით, ბატონო, დამეკარგეთ ამ სახლიდან, — შეჰყვირა რისხვისაგან გადაფითრებულმა ბ-ნმა რენე დ'ესპარტიემ და ვაჟიშვილს კარისაკენ მიუთითა.

თ ა ვ ი X X I X

სადაც ვიხილავთ, კაცად ქაეული ანგელოზი როგორ
იჩინს კაცურ ზნეს, როგორ უთქვამს გული მოქვანის
ცოლისათვის და როგორ ღალატობს მეგობარს

ანგელოზს მოეწონა თავისი ახალი ბინა. დილდილაობით მუშაობდა, ნაშუადღევს კი გამოდიოდა, აგენტებს არ ერიდებოდა და შინ დასაძინებლად ბრუნდებოდა. მორისიე ქალბატონ დეზ ობელს უწინდებურად, კვირაში ორჯერ-სამჯერ გამოცხადების ოთახში ღებულობდა.

საქმე ჩინებულად მიდიოდა, სანამ ჟილბერტი არ მოვიდა თავის პატარა ხავერდის ხელჩანთის წასაღებად, წინაღობით რომ დავიწყნოდა ცისფერი ოთახის მაგიდაზე და არკადს არ წაადგა თავს, პიჟამის ამარა რომ გაშოტილიყო დივანზე, სიგარეტს აბოლებდა და ცათა დაპყრობის გეგმებს ადგენდა. ქალს ხმამაღალი კივილი აღმოხდა:

— ეს თქვენა ხართ, ბატონო ჩემო?... რომ მცოდნოდა, აქ დამხვდებოდით, მერწმუნეთ... მე ჩემი ხელჩანთის წასაღებად მოვედი, გვერდით ოთახში დამრჩა... ნება მიბოძეთ...

და ქალმა ანგელოზს, თითქოს ცეცხლს ეკრძალებო, ისე ფრთხილად, ისე ჩქარი ნაბიჯით ჩაუარა გვერდით.

ქალბატონ დეზ ობელს იმ დღეს რეზედანსფერი ინგლისური კოსტიუმი ეცვა და ძალიანაც შვენოდა. ვიწრო კაბაში ყოველი მისი მოძრაობა იკვეთებოდა. ყოველი მისი ნაბიჯი ერთი იმ ბუნებრივ სასწაულთაგანი იყო, გაოცებას რომ ბადებს კაცთა გულეებში.

წამიე და, იგი კვლავ გამოჩნდა ჩანთით ხელში:

— კიდევ ერთხელ ბოდიშს მოგიხდით. ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ...

არკადმა სთხოვა, დაბრძანდით, ცოტა ხანს დარჩით ჩემთანო.

— არ მეგონა, ბატონო, — უთხრა ქალმა, — რომ ამ ბინაში მიმასპინძლებდით. ვიცი, როგორ უყვარხართ ბატონ დ'ესპარვიეს; მაინც არ ვიფიქრებდი, თუ...

ამინდი უეცრად მოიქუფრა. ეანგისფერმა ბინდმა მოიცვა ოთახი. ქალბატონმა დეზ ობელმა თქვა, ფეხით მოვედი, გავლა მინდოდა, მაგრამ უთუოდ გამიავდრდებო. მერე სთხოვა ანგელოზს, ეგებ მანქანას გამოუძახოთო.

არკადი მუხლებში ჩაუვარდა ეილბერტს, მკლავებში მოიმწყვდია ისე ნაზად, როგორც ძვირფასი რამ ლარნაკი, თან ყურში უჩურჩულებდა სიტყვებს, რომლებიც თავისთავად არაფერს ნიშნავდა, მაგრამ ნდომას გამოხატავდა. ქალმა ხელები აიფარა პირზე, თვალებზე და შეპყვირა:

— მე მძულხართ!

მერე ქვითინი აუვარდა და წყალი მოითხოვა. სული ეხუთებოდა. ანგელოზმა უშველა საკინძის გახსნა. ამ უკიდურეს საფრთხეში ქალმა მედგრად დაიცვა თავი:

— არა! არა! — გაიძახოდა იგი, — არ შემიძლია თქვენი შეყვარება. თორემ უზომოდ შემიყვარდებით.

და ბოლოს მაინც დანებდა.

საამო ლალობაში, მათ ორმხრივ გაოცებას რომ მოჰყვა, ქალმა უთხრა:

— მე ხშირად ვკითხულობდი თქვენს ამბავს. ვიცი, რომ მონმარტრის ქუჩის ხშირი სტუმარი ბრძანდებით, ხშირად გნახულობენ მადმუაზელ ბუშოტთან ერთად, თუმც კი ეს ქალი სილამაზით ვერ დაიკვებნის; ვიცი ისიც, რომ ძალზე ელეგანტური გახდით და ბევრ ფულს შოულობთ. მე არ გამკვირვებია. თქვენ წარმატებისათვის იყავით შობილი. იმ დღესაც, როცა...

აქ ქალმა მიუთითა ფანჯარასა და სარკიან კარადას შორის.

— ...გამომეცხადეთ, ძალიანაც გავბრაზდი მორისზე, თვითმკვლელის კონკებში რომ გამოგაწყოთ. დანახვისთანავე მომეწონეთ. ო! თქვენი სილამაზის გულისთვის კი არა. ნუ იფიქრებთ, რომ ქალები, როგორც ამბობენ, ისე მგრძნობიარენი არიან გარეგნული სილამაზისადმი. ჩვენ სიყვარულში სხვა რამეს დავეშებთ. არის რაღაც, არ ვიცი, როგორა ვთქვა... ერთი სიტყვით, ნახვის უმაღლვე შეგიყვარეთ.

წყვედიანი კიდეც უფრო შემქმნა.

ქალმა ჰკითხა:

— ხომ მართლა ანგელოზი არა ხართ, არა? მორისს კი სჯერა, მაგრამ მას იმდენი რამისა სჯერა...

ქალი არკადს თვალებით ეკითხებოდა და თვალები ეშმაკურად უცინოდა.

— გამოტყდით, რომ გააპამპულეთ, რომ სულაც არა ხართ ანგელოზი.

არკადმა მიუგო:

— მე მხოლოდ ის მწაღია, თავი მოგაწონოთ; მუდამ ის ვიქნები, რასაც თქვენ ინებებთ.

ჟილბერტმაც გადაწყვიტა, ანგელოზი როგორ იქნება, სად გაგონილა, კაცი ანგელოზი იყოსო. თან თავისი ეჭვების გასამაგრებლად სხვა, უცილო საბუთებიც ჰქონდა, რომელთაც ისევ სიყვარულის საგანს დაუბრუნეს იგი. არკადი ქალს აღარ შეწინააღმდეგებია და კვლავ სიტყვები აღარ ეყოთ გრძნობათა გამოსახატავად.

გარეთ წვიმდა მძიმედ, გადაუღებლად. ფანჯრებს ნიაღვარი ჩამოსდიოდა. ელვამ გაანათა მუსლინის ფარდები, ქუხილმა მინები შეარყია. ჟილბერტმა პირჯვარი გადაიწერა და საყვარლის მკერდში ჩარგო თავი.

— თქვენ ჩემზე უფრო თეთრი კანი გაქვთ, — უთხრა არკადს.

იმ წუთს, როს ქალბატონი დეზ ობელი წარმოთქვამდა ამ სიტყვებს, ოთახში მორისი შემოვიდა. მოვიდა გალუმპული, მომღიმარი, მიმნდობი, მშვიდი, ბედნიერი, სურდა ეხარებინა თავისი ანგელოზისათვის, ლონშანში* წუხელ ჩასულ თანხაზე თორმეტჯერ მეტი მოვიგეთო.

ქალსა და ანგელოზს ამ დღეში რომ წაასწრო, სიშმაგემ დარია ხელი; მრისხანებამ ძალი წაუღო, სახეზე სისხლი მოაწვა, წამოჭარხლდა, შუბლის ძარღვები დაებერა. მუშტებმოდერილი მიეჭრა ჟილბერტს, მაგრამ უეცრად შეჩერდა.

დაუოკებელი ძალა სითბოდ გადაიქცა: მორისს ოხშივარი ასდიოდა. რისხვამ იგი არქილოქეს დარად შურისმგებელი ლირიზმით როდი შეაიარაღა*. მოლაღატე ქალს მხოლოდ ბინძური ძუკნა უწოდა.

ქალმა ტანისამოსი გაისწორა თუ არა, მყის შეიმოსა უწინდელი ღირსება. ადგა უზომოდ დამორცხვებული, მოხდენილი

და თავის ბრალმდებელს მიაპყრო მზერა, ერთსა და იმავე დროს შეურაცხყოფილ სათნოებასაც რომ გამოხატავდა და მიმტევებელ სიყვარულსაც.

მაგრამ რაკი ახალგაზრდა დ'ესპარვიე ლანძღვა-გინებას არ იშლიდა, თვითონაც მოუვიდა გული:

— თქვენც კარგი ჩიტი ხართი განა მე გავვარდი თქვენი არკადის საძებნელად? თქვენ თვითონ მოიყვანეთ აქ, თანაც რა ყოფაში.. ერთი სული გქონდათ, მეგობრისათვის გადაგელოცათ ჩემი თავი. მაგრამ ნურას უკაცრავად! ამ სიამოვნებას ჩემგან ვერ ეღირსებით.

მორის დ'ესპარვიემ პასუხად ესლა უთხრა:

— გაეთრიე აქედან, მაიმახო!

და ისე აიქნია ფეხი, თითქოს ქალისთვის პანჩურის ამოკვრა სურდა. არკადმა ვერ აიტანა, მის სატრფოს ასე უდიერად რომ ეპყრობოდნენ, მაგრამ არ იცოდა, ჰქონდა თუ არა უფლება მორისისათვის შენიშვნა მიეცა. ქალბატონმა დეზ ობელმა, თავი კვლავ ამაყად, ღირსეულად რომ ეჭირა, ყმაწვილ დ'ესპარვიეს მიაპყრო მბრძანებლური მზერა და უთხრა:

— აბა ერთი მანქანა მომგვარეთ!

და იმზომ დიდია ქალთა ძალაუფლება კეთილშობილ სულელებზე ჩვენს გალანტურ ხალხში, რომ ჰაბუკი ფრანგი მაშინვე გავარდა კონსიერჟთან და უბრძანა, ტაქსი გამოიძახეთო. ქალბატონმა დეზ ობელმა დამშვიდობებისას ზიზღნარევი მზერა ესროლა მორისს, როგორც სჩვევიათ ხოლმე ქალებს, მათგან მოტყუებულ მამაკაცს რომ უცქერენ და შეეცადა თავის მიხრა-მოხრისათვის წარმტაცი მომხიბვლელობა მიენიჭებინა. მორისმა გულგრილად გააყოლა თვალი, თუმც კი გულგრილი სულ არ ეთქმოდა. შემდეგ შემობრუნდა ანგელოზისაკენ, სწორედ იმ ყვავილებიან პიეამაში რომ იყო გამოწყობილი, რომელიც მორისს ეცვა მისი გამოცხადების დღეს და თუმცა ეს ამბავი თავისთავად დიდი მნიშვნელობისა არ იყო, უღირსად მოტყუებულ მასპინძელს სულ ცეცხლი შემოენთო.

— შეგიძლიათ დაიტრაბახოთ, არამზადა ვარო. უღირსად მომეჩქეცით და სულ ტყუილუბრალოდ. ეს ქალი თუ მოგწონდათ, თუნდაც ერთი სიტყვა გადმოგვეკრათ ჩემთვის და სიამოვნებით დაგიტომობდით, მე უკვე მობეზრებული მყავდა.

ამას იმიტომ ამბობდა, რომ გულისტკენა დაემალა, თორემ

ტილბერტი უწინდელზე მეტად უყვარდა, მისმა ლალატმაც ძალიან დიდი ტანჯვა მიაყენა.

— ის კი არა და, აქეთ მინდოდა მეთხოვა თქვენთვის, თავიდან მომაცილეთ-მეთქი. მაგრამ ბინძურმა ბუნებამ გძლიათ და ღორულად მომეკეცით.

ამ საზეიმო წუთს არკადს ერთი გულიდან ამონადენი სიტყვაც რომ ეთქვა, ახალგაზრდა მორისი ცრემლებად დაიღვრებოდა, შეუნდობდა ძმობილსაც და საყვარელსაც და სამთავეს გულში კვლავ კმაყოფილება და სიამე დაისადგურებდა. მიგრამ არკადს ადამიანური სინაზის რძე როდი ჰქონდა ნაწოვი. ტანჯვა თავის დღეში არ ეგემნა და ტანჯულთათვის როგორ ეთანაგრძნო, არც ის უწყოდა. მორისსაც ცივი, გონივრული პასუხი შეაგება:

— ძვირფასო მორის, აუცილებლობა, რომელიც წარმართავს და ერთიმეორეს აბამს სულიერ არსებათა საქციელს, ხშირად გაუთვალისწინებელ შედეგს იძლევა, ზოგჯერ — აბსურდულსაც. სწორედ ამგვარად მოხდა, თქვენი საწყენი საქმე რომ ჩავიდინე. საყვედურს არ მეტყოდით, ბუნების ფილოსოფიაში რომ იყოთ ჩახედული; მაშინ გეცოდინებოდათ, რომ ნებისყოფა ოდენ ილუზიაა და ფიზიოლოგიური თვისებებიც ისევე ზუსტადაა დეტერმინებული, როგორც ქიმიური კომბინაციები და შეიძლება მათსავით ფორმულებად იქნას ჩამოყალიბებული. ვფიქრობ, შესაძლებელია ეს ქეშმარიტებანი ჩაგაგონოთ კიდევ, მაგრამ ეს ერთობ ძნელი საქმე იქნება და დროსაც ბევრს მოითხოვს, თან იქნებ არც კი მოგვჯაროთ დუკარგული სულის სიმშვიდე. მაშ, უმჯობესი იქნება, ადგილი ღაგიცალოთ და...

— ნურსადაც ნუ წახვალთ, — უთხრა მორისმა.

ძალზე ახლოს მიჰქონდა გულთან სოციალური მოვალეობანი. კაცურ ღირსებას ყველაფერზე მაღლა აყენებდა. ამ წუთსაც უკვე ბეჯითად იცოდა, რომ შეურაცხყოფას მარტო სისხლი თუ ჩამორეცხდა. ამ აზრმა მის ყოფაქცევასა და სიტყვებს მყის მოულოდნელი კეთილშობილება მიანიჭა.

— არა, ბატონო; ეს მე უნდა წავიდე ამ ბინიდან, დღეიდან აქ ფეხის დამდგმელი არა ვარ. თქვენ კი დარჩით აქ, ჩემგან შერისხული. ჩემს სეკუნდანტებსაც აქ გაახლებთ.

ანგელოზს გაეღიმა:

— თქვენი ხათრით მივიღებ მათ, მაგრამ, ძვირფასო მორის, გაითვალისწინეთ ისიც, რომ მე ვნებას ვერ მომიტანთ. ციურ სულებს, თუნდაც ხორცუმესხმულნი იყვნენ, მაინც არ ეკარებათ მახვილის წვერი და პისტოლეტის ტყვია. წარმოიდგინეთ, მორის, რა დღეში მაგდებს ორთაბრძოლისას ეს სავალალო უთანასწორობა; იმაზეც იფიქრეთ, სექუნდანტების წამოყენებაზე უარი რომ ვთქვა, აქაოდა ციური წარმოშობისა ვარო, გაუგონარი ამბავი დატრიალდება.

— ბატონო, ამაზე მანამ უნდა გეფიქრათ, სანამ შეურაცხყოფას მომაყენებდით, — მკვახედ მიახალა ბუსარ დ'ესპარვიეთა ნაშიერმა და ამაყად გავიდა.

მაგრამ კარი გაიხურა თუ არა, მთვრალივით დაბარბაცდა. წვიმას ჯერაც არ გადაეღო. საით მიდიოდა, ვერ ხედავდა, არაფერი ესმოდა, ალაღბედზე მიაბიჯებდა, ნაკადულებში, წყლის ღარებში მიტოპავდა, ნაგვის გროვებში მიაბოტებდა. დიდხანს მიუყვებოდა გარე ბულვარებს და ბოლოს დაქანცული ერთი უშენის კიდეზე ჩამოჯდა; ყურებამდე მოთხვრილიყო, ტალახში აწელილი ცრემლები სახეზე დვარად ჩამოსდიოდა. ვიდაც გამვლელმა მათხოვრად მიიჩნია და ორი სუ გადაუგდო. მორისმა აიღო სპილენძის მონეტა, ფრთხილად ჩაიდო უბეში და სექუნდანტების საძებნელად გაემართა.

თ ა ვ ი x x x

რომელიც ღირსების საქმეზე მოგვითხრობს და
გვიჩვენებს, მანუშაულის ჩაღწა არკადის მტაცებისას
გართლა გვაკეთილშობილებს თუ არა

ბრძოლის ველად პოლკოვნიკ მანშონის ბაღი აირჩიეს, დედოფლის ბულვარზე, ვერსალში. ბატონები დე ლა ვერდელიერი და ლე ტრიუჟ დე რიუფეკი, რომელთაც ღირსების საქმე მუდმივ პრაქტიკად გაეხადათ და ყველა მისი წესი ზეპირად იცოდნენ, სექუნდანტობას უწევდნენ მორის დ'ესპარვიეს. კათოლიკურ სამყაროში ბ-ნ დე ლა ვერდელიერის გარეშე დუელი არ შედგებოდა. ამ ძველ მეომარს რომ მიმართავდა, მორისი სხვათა წაბაძულობით იქცეოდა, თუმცა, ცოტა არ

იყოს, საჩოთიროდ მიაჩნდა, რადგან ყველამ იცოდა, რომ ის ქალბატონ დე ლა ვერდელიერიის საყვარელი იყო; მაგრამ ბ-ნი დე ლა ვერდელიერი განა შეიძლებოდა ქმრად მიგეჩინათ? ეს ინსტიტუტი გახლდათ. რაც შეეხება ბატონ ლე ტრიუკ დე რიუფესს, ღირსების საქმე იყო მისი ერთადერთი ცნობილი პროფესიაცა და ერთადერთი აღიარებული შემოსავალიც; და როცა ზოგ-ზოგები ამაზე აყვირობას მოჰყვებოდნენ საზოგადოებაში, მათ მიუგებდნენ, ღირსებაზე უფრო სანაქებო კარიერას რომელს გაჰყვებოდაო ბ-ნი ტრიუკ დე რიუფეკი. არკადს სეკუნდანტებად თავადი იშთარი და თეოფილი ჰყავდა. მუსიკოსი ანგელოზი მთლად ზალისითა და თავისი ნებით როდი გარეულა ამ საქმეში. ძალმომრეობის მტერი გახლდათ და ჰირივით სძულდა ორთაბრძოლები. პისტოლეტის ხმა, ხმლების ქაზაქუხი თავზარს სცემდა; დანთხეული სისხლის დანახვაზე გული მისდიოდა. ცის ეს სათნო შვილი გაჯიუტდა, არასდიდებით არ უნდოდა სეკუნდანტად გაჰყოლოდა თავის მეგობარს და რომ დაეყოლიებინათ, ქერუბინი იძულებული გახდა დამუქრებოდა, ჰურვს გადაგამტვრევ თავზეო. მოშულართა, სეკუნდანტებისა და ექიმების გარდა ბალში ვერსალის გარნიზონის თითო-ოროლა ოფიცერი და რამდენიმე ჟურნალისტი თუ ტრიალებდა. თუმცა ჭაბუკი დ'ესპარვიე მხოლოდ ოჯახიშვილობით იყო ცნობილი და არკადის სახელი დედამიწის ზურგზე არავის სმენოდა, დუელს მაინც საკმაოდ მრავალი ცნობისმოყვარე მიეზიდა. მეზობელი სახლების ფანჯრებში ფოტოგრაფების, რეპორტიორებისა და მაღალი საზოგადოების ხალხისაგან ტევა აღარ იყო. ცნობისმოყვარეობა ყველაზე მეტად იმან გააღვიძა, რომ ხმა დაირხა, დუელის მიზეზი ქალიაო. ბეგარი ბუშოტს ადებდა ხელს, უმეტესობა კი ქალბატონ დეზობელზე მიუთითებდა. ისიც ცნობად გახლავთ მოსატანი, რომ დუელები, რომლებშიაც ბ-ნი დე ლა ვერდელიერი სეკუნდანტობდა, მთელ პარიზს იზიდავდა ხოლმე.

ეს ცას ლაჟვარდისფერი გადაჰკრავდა, ბალი ვარდებით გადაპენტლიყო. ხეზე შაშვი გალობდა. ბ-ნმა დე ლა ვერდელიერი-მა, ბრძოლას რომ წარმართავდა ხელჯონხმომარჯვებული, მეტოქეების მახვილთა წვერები ერთმანეთს მიაბჯინა და შესძახა:

— დაიწყეთ, ბატონებო!

მორის დ'ესპარვიე ჯიქურ, მახვილის კვეთებით ეძგერა მოწინააღმდეგეს. არკადი ხმაღს არც იქნევდა, ისე იგერიებდა მომხდურს. პირველმა შეტაკებამ უშედეგოდ ჩაიარა. სეკუნდანტებს ისეთი შთაბეჭდილება დარჩათ, რომ ბ-ნი დ'ესპარვიე მისდა ჭირად ნერვიულ გაღიზიანებას შეეპყრო, მისი მოწინააღმდეგე კი დაუღალავი ჩანდა. მეორედ რომ შეიბნენ, მორისმა კიდევ უფრო გახელებით შეუტია, გაშალა ხელები და მკერდი გაიშიშვლა. მერე ფეხი წინ წადგა და გამეტებით დასცხო მოწინააღმდეგეს, მისი ხმლის წვერი არკადს მხარში მონვდა. მაყურებელთ ეგონათ, კიდევაც დაიქრაო. მაგრამ სეკუნდანტებმა გაოცებით შენიშნეს, რომ მორისს ჰქონდა განაჩხაპნი მაჯახე. მორისმა დაიჩემა, არაფერი მიშავსო და ექიმმა კილმაც, ჭრილობა რომ გასინჯა, განაცხადა, ჩემს პაციენტს შეუძლია ბრძოლა განაგრძოსო.

თხუთმეტწუთიანი შესვენების შემდეგ, როგორც წესი მოითხოვდა, დუელი განახლდა. მორისი გაშმაგებით უტევდა მოწინააღმდეგეს. მოწინააღმდეგე კი აშკარად ზოგავდა და დიდად არც თავდაცვაზე ზრუნავდა, რაც ერთობ აშფოთებდა ბ-ნ დე ლა ვერდელიერს. მეხუთე შეტაკების დასაწყისშივე შავი პუდელი*, რომელიც კაცმა არ იცის, როგორ შემოიპარა ბაღში, ვარდების ბუჩქნარიდან გამოძვრა, ბრძოლის ველზე შეაღწია და თუმც ბევრი უყვირეს და ჯოხიც ბევრი უქნიეს, მორისს ფეხებში შეუვარდა. ჰაბუკს კი თითქოს მთლად დაუძძიმდა მკლავი და თავის მოუწყვლად მეტოქეს მხრითლა უტევდა. ჯიქურ მიეჭრა მოწინააღმდეგეს, გამეტებით დასცხო დი თვითონ კი წამოეგო მახვილზე. მკლავთ სადრეკზე დაჭრილს ჭრილობამ იდაყვამდე გაუარა.

ბ-ნმა დე ლა ვერდელიერმა შეწყვიტა ბრძოლა, რომელმაც საათნახევარს გასტანა. მორისი მძიმე შოკში ჩავარდა. სასწრაფოდ წაიყვანეს და გლიცინიებშემოხვეული კედლის ძირას მდგარ მწვანე ძელსკამზე დასვეს. სანამ ქირურგები ჭრილობას უხვევდნენ, მორისმა არკადს უხმო, დაჭრილი მარჯვენა გაუწოდა და როცა თავის გამარჯვებით დამწუხრებული ანგელოზი მიუახლოვდა, მხურვალედ ჩაიკრა გულში და უთხრა:

— დიდსულოვნება იხმარე, არკად; მომიტევე შენი ღალატი. ახლა, ნაბრძოლევს, შემიძლია გთხოვო, შევრიგდეთ-მეთქი.

მერე ტირილით მოეხვია მეგობარს და ყურში ჩასჩურჩულა:

— მოდი ჩემს სანახავად და ჟილბერტიც მოიყვანე.

რაკი დედ-მამასთან ისევ უბრად იყო, მორისმა თავი რომის ქუჩის პირველ სართულზე მიაყვანინა.

მიწვა თუ არა ლოგინზე საძინებელი ოთახის სიღრმეში, რომლის ფარდებიც ისევე იყო გადახსნილი, როგორც გამოცხადების დღეს, არკადი და ჟილბერტიც მის სასთუმალთან გაჩნდნენ. მორისს უკვე სასტიკად ტანჯავდა ჭრილობა. სიცხემ აუწია, მაგრამ როდი შფოთავდა. კმაყოფილებამა და ბედნიერებამ დაისადგურა მის გულში. ანგელოზი და ქალი ცრემლების ფრქვევით დაეცნენ საწოლის ფერხთით. მორისმა მარცხენა ხელში მოიმწყვდია მათი ხელები, ორთავეს გაუღიმა და ნაზად აკოცა.

— ახლა დანამდვილებით ვიცი, რომ თქვენ ორს აღარ წაგეკიდებით: აწი ველარ მომატყუებთ, უკვე ვიცი, რომ თქვენგან ყველაფერს უნდა მოელოდეს კაცი.

ატირებულმა ჟილბერტმა მორისს შეჰფიცა, გარეგნულმა მხარემ ტყუილად შეგიყვანა შეცდომაში, არკადთან არ მილალატია შენთვის, არც სხვა ვინმესთან ღალატი გამივლიათ გულში. და ამას ისე გულწრფელად ამბობდა, ბოლოს თვითონაც დაიჭერა თავისი ნათქვამი.

— თავს ტყუილად სწამებ ცილს, ჟილბერტ, — მიუგო დაჭრილმა, — მილალატე და ასედაც გმართებდა... ჟილბერტ, კარგი ჰქენ, რომ უღირსად მომატყუე ჩემს საუკეთესო მეგობართან, ისიც ამ ოთახში. ეს რომ არ ჩაგედინა, სამთავე აქ არ ვიქნებოდით თავშეყრილი და ჩემს სიცოცხლეში უდიდეს სიხარულს ვერ ვიგემებდი. ო, ჟილბერტ! რა ტყუილუბრალოდ უარპყოფ აწ გარდასულ და საუცხოო ამბებს.

— თუკი ასე გსურს, მეგობარო, — შეესიტყვა ჟილბერტი და, ცოტა არ იყოს, წყენაც დაეტყო ხმაში, — აღარ ვუარობ, ოღონდ მართო იმიტომ, რომ გასიამოვნო.

მორისმა ქალი საწოლზე დასვა და არკადსაც სთხოვა, შენ სავარძელში დაჯექიო.

— მეგობარო, — უთხრა არკადმა, — მე უმანკო ვიყავ. კაცად ვიქეც თუ არა, მაშინვე ბოროტება ჩავიდინე და უკეთესიც გავხდი.

— მოდით ნუ გადავაჭარბებთ, — უთხრა მორისმა, — სჯობს ბრიჯი ვითამაშოთ.

მაგრამ ავადმყოფს სამი ტუზი მოუვიდა და გამოაცხადა, უკოზიროდ ვითამაშობო. უცებ თვალთ დაუბნელდა, ქალაღლი ხელიდან გაუვარდა, თავი დაუშქიმდა და ისეე ბალიშზე მიესვენა. გამწარებული მოჰყვა ჩივილს, საშინლად მეწვის საფეთქლებიო. ქალბატონი დეზ ობელი მყისვე სავიზიტოდ გაეშურა, უეჭველად სურდა გამოჩენილიყო საზოგადოებაში, რათა თავდაჯერებული და მშვიდი ქცევით გაებათილებინა ის ხმები, მასზე რომ ირხეოდა. არკადმა ქალი კარამდე მიაცილა, კოცნით შეისუნთქა ამო სურნელი და ოთახშიაც შემოიტანა, სადაც მორისი თვლემდა.

— ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ამგვარად წარემართა საქმე, — ჩაიდუღუნა დაჭრილმა.

— მოსახდენი მოხდა, — მიუგო სულმა, — ყველა მოჯანყე ანგელოზი ჩემნაირად მოექცეოდა ჟილბერტს. აკი მოციქულიც იმას ამბობს, დედაკაცები რიდემოსხმულნი უნდა ლოცულობდნენ, ანგელოზებმა რომ არ შეასწრონ თვალიო. ღვთის შვილნი დაადგამენ თუ არა ფენს მიწაზე, უმალ მოკვდავთა ქალების ხვევნას ნატრობენ და წადილსაც ისრულებენ. მათი ხვევნა ტკბილია და დამათრობელი, ცის შვილნი ალერსის ენით უთქმელ საიდუმლოს ფლობენ, რომელიც კაცთა ასულებს ვნების უფსკრულში სძირავთ. თავიანთ ბედნიერ მსხვერპლთ ბაგეზე აღმოდებულ თაფლს აწვეთებენ, ძარღვებში მაგრილობელი ცეცხლის ნიაღვარს ადენენ და დამსხვრეულებსა და აღტაცებულებს ტოვებენ განშორებისას.

— მომწყდი თავიდან, ბილწო, პირუტყვო! — შეჰყვირა დაჭრილმა.

— კიდევ ერთს გეტყვი, ჩემო ძვირფასო მორის, — არ მოეშვა ანგელოზი, — მხოლოდ ერთ სიტყვას თავის გასამართლებლად და მერე მოგასვენებ. ზუსტ მითითებებს არაფერი სჯობს: რათა დარწმუნდე, რომ შეცდომაში არ შემყავხარ, იხილე ქალთა და ანგელოზთა სიყვარულისათვის: იუსტინიანეს „აპოლოგიების“ I და II; იოსებ ფლავიუსის „იუდეველთა სიძველენი“, წიგნი I, თავი III; ათინაგორეს „აღდგომისათვის“, ლაქტანციუსის II წიგნი, თავი XV; ტერტულიანეს „ქალწულთა რიდისათვის“, მარკუს ეფესელის „ფსელუსი“, ევსე-

ნიუსის „ევანგელური შეგონებანი“, წიგნი V, თავი IV; წმიდა ამბრუაზის „ნოესა და კიდობნისათვის“, თავი V, წმიდა ავგუსტინეს, „უფლის ქალაქი“, წიგნი XV, თავი XXIII, იეზუიტ მამა მელდონატის „ტრაქტატი დემონთა შესახებ“, გვერდი 218, მეფის მრჩევლის, პიერ ლებიეს...

— არკად, გაჩუმდი, ღვთის გულისათვის! გაჩუმდი გაჩუმდი-მეთქი! და გააგდე ეს ძალლი — შეპყვირა მორისმა. სახე წამოჭარხლებოდა, თვალები ბუდეებიდან გადმოსცვენოდა და სიციხით გათანგულს აბოდებდა, საწოლზე შავი პუდელი მიზისო.

ქალბატონი დე ლა ვერდელიერი ყველა წესს ხალისით ადასრულებდა, რაც კი მოღაღ შემოვიდოდა მაღალ საზოგადოებაში — უყვარდა მამულიშვილური გრძნობების გამოძღვანებაც და მაღალი წრის ერთ-ერთ უმშვენიერეს მოწყალების დად ითვლებოდა. იგი ახლაც უთხოვნელად მოვიდა მორისის ამბის გასაგებად და დაჰკრიღის მოვლაც იკისრა. მაგრამ ქალბატონმა დეზ ობელმა გესლიანი სიტყვა ჩააწვეთა ყურში არკადს და მანაც უწვეველ სტუმარს ცხვირწინ მიუკეტა კარი. მორისს თანაგრძნობა და ყურადღება არ მოჰკლებია. სინზე დაწყობილ საევიტო ბარათებს უთვალავი პაწაწინა კუთხეები გაეწვდინათ მისკენ. ბ-ნმა ლე ტრიუკ დე რიუფეკმა ერთ-ერთმა პირველმა მოიტანა რომის ქუჩის პირველ სართულზე თავისი ვაჟკაცური თანაგრძნობის სიტყვა, კეთილშობილურად გაუწოდა ხელი ახალგაზრდა დ'ესპარვიეს, როგორც ღირსების კაცმა ღირსების კაცს და ოცდახუთი ლუიდორი სთხოვა ღირსების ვალის გადასახდელად.

— ეშმაკმა დალახვროს, ჩემო ძვირფასო მორის, ეს ისეთი სამსახურია, ყველასგან როდი ივალებს კაცი!

იმავე დღეს ბ-ნი გაეტანიც მოვიდა თავისი ძმისწულის მოსაკითხად. მორისმა მას არკადი უჩვენა.

— აი ჩემი მფარველი ანგელოზი, რომლის ფეხმაც აღტაცება მოგგვარათ, როცა მზაკვრულად მოყრილ ფხენილზე ნახეთ აღბეჭდილი, ბიძაჩემო. შარშან სწორედ ამ ოთახში გამომეცხადა. არა გჭერათ?.. მე კი მართალს გეუბნებით!

მერე სულს მიუბრუნდა:

— რას იტყვი, არკად? პატუის, ამ დიდ თეოლოგსა და ჩინებულ მღვდელს, არ სჯერა შენი ანგელოზობა; ბიძაჩემ გაე-

ტანსაც, თავისი კატეხიზმოც რომ არ იცის ზეპირად და რწმენაც არ გააჩნია, საექვოდ მიაჩნია ჩემი ნათქვამი. ორთავ უარსა გყოფს: ერთი იმიტომ, მორწმუნე ვარო, მეორე კი იმიტომ, რომ რწმენა არ გააჩნია. მაშასადამე, შენს ამბავს ოდესმე თუ მოყვა ვინმე, არავინ დაიჭერებს. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, ამის მთხრობელი გემოვნებიან კაცად ვერ ჩაითვლება და დიდ მოწონებასაც ვერ მოიმკის საზოგადოებაში, რადგანაც შენი თავგადასავალი სულაც არ არის საქებური. განა არ მიყვარხარ, მაგრამ საძრახ საქმეს გიძრახავ. მას შემდეგ, რაც ათეიზმში გადავარდი, აუტანელი არამზადა გახდი. ცუდი ანგელოზი ხარ, ცუდი მეგობარი, მოლალატე და კაცისმკვლეელი; დარწმუნებული ვარ, ჩემი მოკვლა გასურდა, როცა ის შავი პუდელი მომაგდე ფეხებში.

ანგელოზმა მხრები აიჩეჩა და ბ-ნ გაეტანს მიუბრუნდა:

— ეჰ, ბატონო ჩემო, არ მიკვირს, თქვენში უნდობლობას რომ ვბადებ: გამიგონია იუდეურ-ქრისტიანულ კას შემოსწყრომიხართ, საიდანაც მე ვარ წარმოშობით.

— ბატონო ჩემო, — მიუგო გაეტანმა, — არა მწამს იელოვა და ვერც მის ანგელოზებს ვირწმუნებ.

— ბატონო, ვისაც თქვენ იელოვას უწოდებთ, სინამდვილეში უვიცი და უხეში დემიურგია, სახელად იალდაბაოთი.

— თუკი ეგრეა, მზად ვარ ვირწმუნო მისი არსებობა. მაშ, ამბობთ, უმეცარი და გონებაშეზღუდულიაო? მისი არსებობა ძნელი დასაჯერებელი აღარ გახლავთ ჩემთვის. როგორაა, რასა იქმს?

— ცუდადი მომავალ თვეს დამხობას ვუპირებთ.

— თავს ნუ ითნევთ, ბატონო. თორემ ჩემს ცოლისძმა კუისარს მაგონებთ, აგერ უკვე ოცდაათი წელია, დღეცისმარე რესპუბლიკის დამხობას რომ ელის.

— ხედავ, არკად, — შეჰყვირა მორისმა, — ბიძაჩემი გაეტანიც ჩემსავით ფიქრობს, მანაც იცის, რომ არ გაგიმარჯვდება.

— ერთი მიბრძანეთ, ბატონო გაეტან, რატომ ფიქრობთ, რომ არ გამიმარჯვდება?

— რატომ და, ის თქვენი იალდაბაოთი თუ არ იმქვეყნად, ამქვეყნად ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია. წინათ მას მორწმუნე სამღვდელოება უჭერდა მხარს. დღეს კი საყრდენად ისინი

ჰყავს, ვისაც არა სწამს მისი — ფილოსოფოსები. ახლახან გამოჩნდა ერთი ცუდმეცნიერი, სახელად პიკროშოლი*, რომელსაც სურდა მეცნიერება გაეკოტრებინა, რათა გაეუმჯობესებინა ეკლესიის საქმეები. ამას წინათ პრაგმატიზმიც გამოიგონეს საგანგებოდ იმისათვის, რომ უფრო სანდო გაეხადათ რელიგია განსჯის მოყვარულთა გონებაში.

— შეგისწავლიათ პრაგმატიზმი?

— არც მიფიქრია. უწინ ქარაფშუტა ვიყავ და მეტაფიზიკას ვეუფლებოდი. ჰეგელსა და კანტს ვკითხულობდი. წლებთან ერთად სერიოზულობაც მომემატა და ახლა მხოლოდ გრძნობადი ფორმებით ვარ გატაცებული, იმით, რისი დანახვაც თვალს შეუძლია და რისი გაგებაც ყურთასმენას ძალუძს. ადამიანი ხომ მარტოდენ ხელოვნებაა. დანარჩენი ყოველივე სიზმარია და სხვა არაფერი.

ასე გაგრძელდა საუბარი სალამომდე, ისეთი ბილწსიტყვაობა გაიმართა, კირასირსაც კი გააწითლებდა, თუმცა კირასირი რა სათქმელია, ისინი ხომ ხშირად უმანკონი არიან; ბ-ნ გაეტანისა და ანგელოზის სიტყვები პარიზელ ქალსაც სირცხვილის აღმურს მოსდებდა.

ბ-ნი სარიეტიც მოვიდა თავისი ყოფილი მოწაფის სანახავად. ოთახში რომ შემოვიდა, მყის აღექსანდრ დ'ესპარვიეს ბიუსტი გამოჩნდა ბიბლიოთეკარის მელოტ თავს ზემოთ. მოხუცი საწოლთან მივიდა. ცისფერი ფარდების, სარკიანი კარადის, ბუხრის ადგილი მაშინვე სფეროებისა და ბიუსტების დარბაზის წიგნებით სავსე კარადებმა დაიკავა და ჰაერიც ერთბაშად დაიხუთა საქალღდეებით. საკატალოგო ბარათებით, ბ-ნი სარიეტი ისე შენივთებოდა თავის ბიბლიოთეკას, რომ შეუძლებელი იყო მისი წარმოდგენა ან დანახვა უწიგნთსაცავოდ. თვითონ უფრო ფერმკრთალი, უფრო უჩინარი იყო, ვიდრე სახეები, რომელთაც იწვევდა მნახველის მეხსიერებაში.

მორისს ავადმყოფობაში გულჩვილობა დასჩემდა და ძალზე ააღელვა ამ მეგობრულმა ყურადღებამ.

— დაბრძანდით, ბატონო სარიეტ; ქალბატონ დეზ ობელს სომ იცნობთ. ახლა არკადს წარმოგიდგენთ, ჩემს მფარველ ანგელოზს. სანამ უხილავი იყო, სწორედ ის გახლდათ, ორი წლის მანძილზე თქვენს ბიბლიოთეკას რომ აჩანაგებდა, სმაქამა აღგაკვეთინათ და კინალამ სიგიჟის კარს მივიყვანათ. სწო-

რედ მას მიჰქონდა სფეროთა დარბაზიდან ძველ-ძველი წიგნების დასტები. ერთ დღეს ცხვირწინ აგართვათ რომელიღაც ძვირფასი გამოცემა და თქვენი კიბეზე დაცემის მიზეზი შეიქნა. მეორე დღეს ბ-ნ სალომონ რეინაკის ბროშურა წაგართვათ და რაკი იძულებული იყო მე გამომყოლოდა (მე, როგორც შემდეგ შევიტყვე, თურმე ფეხდაფეხ დამდევდა), ეს ბროშურა პრინცესას ქუჩის თხრილში ჩაუვარდა. მიუტევეთ, ბატონო სარიეტ, მაშინ უხილავი იყო და ჭიბეები არ ჰქონდა. ეჰ, რა მწარედ ვნანობ, რომ თქვენი წიგნები ხანძრის წერა არ გახდა და წყალმა არ წალეკა. მაგათ აურიეს ტვინი ჩემს მფარველ ანგელოზს. კაცად იქცა და აღარც რწმენა გააჩნია, აღარც სინდის-ნამუსი. ახლა მე გავხდი მისი მფარველი ანგელოზი და ღმერთმაღა უწყის, როგორ დამთავრდება ეს ამბავი.

ამ სიტყვებს რომ ისმენდა, ბ-ნ სარიეტს სახეზე ენით უთქმელი მწუხარება აღებეჭდა, უსაზომო, სამარადქამო, მუმიის მწუხარება. გამოსამშვიდობებლად რომ აღვა, სასოწარკვეთილმა ყურში უჩურჩულა არკადს:

— საწყალი ყმაწვილი ძალიან ავადაა; აბოლებს.

მორისმა კვლავ თავისთან უხმო ბერიკაცს:

— დარჩით, დარჩით, ბატონო სარიეტ. ჩვენთან ერთად ბრიჯს ითამაშებთ. ბატონო სარიეტ, ყური უგდეთ ჩემს რჩევას. მე ნუ მომბაძავეთ, ცუდ წრეში ნუ დაიწყებთ ტრიალს, თორემ დაიღუპებით. ბატონო სარიეტ, ჯერ ნუ წახვალთ, ერთი ძალზე მნიშვნელოვანი რამ მინდა გთხოვოთ. როცა კვლავ დააპირებთ ჩემს სანახავად მოსვლას, მომიტანეთ რელიგიის კემპარიტებაზე მლალადებელი წიგნი. მინდა შევისწავლო, რათა ჩემს მფარველ ანგელოზს დაკარგული რწმენა დაეუბრუნო.

რომელშიაც განსვიფრებააუი მოხვალთ, თუ რა აღვილად
 უაუაქლია პატიოსან, მორცხვ და მოუპარულ კაცს
 საუნიელი დანაშაულის ჩაღენა

ჭაბუკი მორისის სიტყვებით ღრმად დამწუხრებული ბ-ნი სარიეტი ავტობუსში ჩაჯდა და თავის მეგობართან, თავის ერთადერთ მეგობართან, მამილო გინარდონთან მივიდა, ერთადერთ არსებასთან ამქვეყნად, ვისი ნახეაც და მოსმენაც ეამებოდა. როცა ბ-ნი სარიეტი მალაზიაში შევიდა კურსელის ქუჩაზე, გინარდონი მარტოკა იყო და ძველებურ სავარძელში თვლემდა. თმა-წვერი გაბურძგნოდა, სახეზე ჭარხლის ფერი ედო; იისფერ ძარღვებს დაექსელა ბურგუნდიული ღვინით გაწითლებული მისი ცხვირი. დიახ, დღეიდან ვეღარ დავფარავთ იმ ამბავს, რომ მამილო გინარდონი ღვინოს ეძალებოდა. მისგან ორი ნაბიჯის მოშორებით, ოქტავიას ხელსაქმის მაგიდაზე, დამშრალ ჭიქაში ვარდი ჭკნებოდა და ხელსაქმის კალათაში შეწყვეტილი საქარგავი იყო. ოქტავია სულ უფრო და უფრო ხშირად გარბოდა მალაზიიდან და ბ-ნი ბლანმენილიც არასდროს გამოჩენილა აქ მის არყოფნაში. მიზეზი ამისა ის გახლდათ, რომ კვირაში სამჯერ, ხუთ საათზე, ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ პაემნის სახლში, ელისეს მინდვრებს ახლოს. მამილო გინარდონმა არაფერი იცოდა ამის შესახებ. დანამდვილებით არ უწყოდა, რა უბედურება იყო მის თავს, მაგრამ მაინც იტანჯებოდა.

ბ-ნმა სარიეტმა ხელი ჩამოართვა მეგობარს; მისთვის ყმაწვილი ოქტავიას ამბავი არ უკითხავს, გინარდონისა და ქალიშვილის კავშირს არ ცნობდა. უფრო ურცხვად მიტოვებულ ზეფირინთან საუბარი ეამებოდა, ნატრობდა, ნეტა გინარდონმა კანონიერ მეუღლედ გაიხადოს იგიო. მაგრამ ბ-ნი სარიეტი ფრთხილი გახლდათ და იმით დაკმაყოფილდა, რომ მოიკითხა მეგობარი.

— ჩინებულად ვარ, — მიუგო გინარდონმა, თუმცა თავს უქეიფოდ გრძნობდა, ჯანსა და ღონეს მაშინ მოჰკვებდა, როცა ერთიცა და მეორეც დალატობდა. — მადლობა ღმერთს! შევინარჩუნე ტანის სიმრთელე და გონების დასამდურიც არა-

ფერი მქირს. მე უმანკო ვარ. უმანკო იყავ, სარიეტ! უმანკოება ძალას გვანიჭებს.

შაშილო გინარდონმა იმ საღამოს იის ხის კომოდიდან ამო-
ალაგა რამდენიმე ძვირფასი წიგნი ერთი რჩეული ბიბლიოფი-
ლისათვის, ბ-ნ ვიქტორ მეიერისათვის რომ ეჩვენებინა და ამ
მუშტრის წასვლის შემდეგ ისე ჩასთვლიმა, წიგნები თავის ად-
გილას აღარ ჩაუწყვია. ბ-ნი სარიეტი ხომ წიგნების გიჟი იყო,
თვალი მოჰკრა კომოდის მარმარილოზე დაწყობილ წიგნებს და
ცნობისმოყვარეობით დაუწყო თვალიერება. პირველი, რომე-
ლიც გაშალა, ტარსიკონოსყდიანი „ქალწული“ იყო, ინგლი-
სური გრავიურებით. თქმა არ უნდა, მის ფრანგულსა და ქრის-
ტიან გულს უმძიმდა ალტაცებაში მოსულიყო ამ ტექსტითა
და სურათებით, მაგრამ მშვენიერი წიგნი მუდამ სათნოდ და
უბიწოდ ეჩვენებოდა. გულითადად ესაუბრებოდა გინარდონს
და თან სათითაოდ იღებდა ხელში წიგნებს, რომელთაც ანტი-
კვარი ფასსა სდებდა მათი ყდის, საკაზმავის, ესტამპების, წარ-
მომავლობისა თუ იშვიათობის მიხედვით. მერე ერთბაშად სი-
ხარულისა და გაოცების ყიჟინა აღმოხდა. ის იყო, იპოვა ვან-
დრმის პრიორის „ლუკრეციუსი“, რომელსაც ახლა გულში
იკრავდა.

— როგორც იქნა, ვიპოვე, — ოხრავდა იგი და ბაგეებით
ზედ ეკონებოდა.

შაშილო გინარდონი ჯერ კარგად ვერ ხვდებოდა, რისი თქმა
სურდა მის ძველ მეგობარს; მაგრამ როდესაც სტუმარმა გა-
ხუცხადა, ეს წიგნი დ'ესპარვიეთა ბიბლიოთეკის საკუთრებაა,
მე, სარიეტს მეკუთვნისო და ხელიც დაავლო წასაღებად, ახ-
ლა უკვე მთლად გამოფხიზლებული ანტიკვარი ზე წამოიჭრა
და გადაჭრით უთხრა, წიგნი ჩემია, გინარდონისა, კანონიერი
გ'ხითა მაქვს ნაყიდი და ხუთი ათას ფრანკზე ნაკლებ არავის
დავუთმობო.

— ეტყობა, არ გესმით, რას გეუბნებით, — შეეპასუხა
სარიეტი, — ეს წიგნი დ'ესპარვიეთა ბიბლიოთეკას ეკუთვნის;
მე თავის ადგილს უნდა დაეუბრუნო იგი.

— არავითარ შემთხვევაში.

— ეს წიგნი მე მეკუთვნის!

— ხომ არ გაგიჟდით, ბატონო სარიეტ!

და რაკი შენიშნა, რომ ბიბლიოთეკარს მართლაც ამღვრე-

ული ჰქონდა მზერა, ანტიკვარმა ხელიდან გამოსტაცა წიგნი და შეეცადა სხვა საგანზე გადაეტანა საუბარი.

— ნახეთ თუ არა, სარიეტ, რომ ეს ღორები მაზარინის სასახლეს უპირებენ გამოშიგნვას და ხელოვნების რალაც უდღეური ნაწარმოებებით უნდათ დაფარონ სიტეს კუნძული, პარიზის ყველაზე დიდებული, ყველაზე თვალწარბტაცი ადგილის ესენი ვანდალებზე უარესნი არიან; ვანდალები მხოლოდ ანგრევდნენ ანტიკურ ძეგლებს, საზიზლარი შენობებითა და სამარცხვინო სტილის ხიდებით როდი ცვლიდნენ, აი, იმგვართ, როგორც ალექსანდრეს ხილია. საწყალი თქვენი გარანსიერის ქუჩაც ხომ ბარბაროსთა მსხვერპლი შეიქნა. რა უყვეს იმ მშვენიერ ბრინჯაოს მასკარინს სასახლის შადრევანზე?..

მაგრამ სარიეტს არაფერი ეყურებოდა.

— გინარდონ, ეტყობა ვერ გამიგეთ. აბა, კარგად დამიგდეთ ყური. ეს წიგნი დ'ესპარვიეთა ბიბლიოთეკის საკუთრებაა. სადღაც იყო გაბნეული. როგორ? რანაირად? არ ვიცი. ამ ბიბლიოთეკაში ბევრი საშინელი და საიდუმლოებით მოცული ამბავი მოხდა. მოკლედ, ეს წიგნი მოიპარეს. ტყუილად როდი მივმართავ თქვენს უმწიკვლო პატიოსნებას, ჩემო კეთილო მეგობარო. უთუოდ არ ინდომებთ ნაპარავი ნივთის შემსყიდველად ჩაგთვალთ ვინმემ. მომეცით ეს წიგნი. მე მას ბატონ დ'ესპარვიეს დაუვბრუნებ. ის კი, ექვი ნუ გექნებათ, ზარალს აგინაზლაურებთ; მის გულუხვობას ენდეთ და მოიქეცით ისე, როგორც თქვენისთანა კეთილშობილ კაცს შეჰფერის.

ანტიკვარს სიმწრით გაელიმა.

— დ'ესპარვიეს ენდო, იმ ბებერ კრიქანგს, რომელიც ტილსაც კი გაატყავებს, სარგებელი რომ ნახოს?! შემომხედეთ, ჩემო კარგო სარიეტ და მითხარით, სულელს თუ ვგავარ. თქვენც კარგად მოგხსენებათ, რომ დ'ესპარვიემ ვერ გაიმეტა ორმოცდაათი ფრანკი მეძველმანისათვის მისაცემად თავისი დიდი წინაპრის ალექსანდრე დ'ესპარვიეს სურათში, ერსანის ყალმით რომ იყო ნახატი და საცოდავი პაპამისიც მონპარნასის ბულვარზე დარჩა, სასაფლაოს პირდაპირ, იმ ბებერი ებრაელას ვიტრინაში გამოდგმული და მთელი უბნის ძალები ზედ აფსამენ... მე რომ ბატონ დ'ესპარვიეს გულუხვობის ამბავი ვიცი... ვერ მოგართვით, ჩემო ძვირფასო.

— მაშ, კარგი, გინარდონს მე თვითონ მოგცემთ კომპენსაციას, რომელსაც მცოდნე კაცები დააწესებენ. გესმით?

— უმადურებთან სულგრძელობის გამოჩენა არ ღირს, ჩემო სარიეტ. განა დ'ესპარვიემ არ წარგტაცათ მთელი თქვენს ცოდნა, ძალ-ღონე, მთელი სიცოცხლე ხელფასის სანაცვლოდ, რომელსაც ლაქიაც არ ინდომებს? შეეშვით ამ საქმეს. უკვე გვიანაა. წიგნი გაყიდულია.

— გაყიდულიაო? ვის მიჰყიდეთ? — ჰკითხა სასოწარკვეთით ბ-ნმა სარიეტმა.

— თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს? აწი ველარ იხილავთ მის ამბავსაც ველარ შეიტყობთ. წიგნი ამერიკაში მიდის.

— ამერიკაში? ფილიპ ვანდომელის გერბიანი „ლუკრეციუსი“, ვოლტერმა რომ გაუკეთა მინაწერები, ამერიკაში მიდის? ჩემი „ლუკრეციუსი“ ამერიკაში?

მამილო გინარდონს სიცილი აუტყდა.

— ჩემო კარგო სარიეტ, კავალერ დე გრიეს* მაგონებთ იმ წუთას, როცა ტყობილობს, რომ მის ძვირფას საყვარელწ მისისიპში უპირებენ გავზავნას. „ჩემი სატრფო მისისიპში“

— არა, — პირში სწვდა მთლად გადაფითრებული სარიეტი, — არა, ეს წიგნი არ წავა ამერიკაში. იგი, როგორც სამართალი მოითხოვს, დ'ესპარვიეთა ბიბლიოთეკას დაუბრუნდება. მომეცით აქეთ, გინარდონ!

ახტიკვარმა უკვე მეორედ სცადა შეეწყვიტა საუბარი, რომელსაც ცუდი პირი უჩანდა.

— ჩემო კეთილო სარიეტ, რატომ არაფერს მეტყვიან ჩემს გრეკოზე? ზედაც არ უყურებთ. საუცხოო რამ კია.

და გინარდონმა სურათი ისე დადო, რომ შუქი მომგებინა და დასცემოდა.

— შეხედეთ ამ წმიდა ფრანცისკს, უფლის გლახაკსა და იესოს ძმას; მისი მურისფერი სხეული ისე მიემართება ცინკენ, როგორც უფლისთვის საამური ზვარაკის კვამლი, როგორც აბელის შესაწირავი.

— გინარდონ, წიგნი-მეთქი — შესძახა სარიეტმა ისე, რომ თავიც არ მოუტრიალებია, — წიგნი მოიტათ-მეთქი!

მამილო გინარდონს უეცრად სისხლი აუვარდა თავში; გაქარხლებულმა და საფეთქლებზე ძარღვებდაბერილმა დასკე-ქა:

— თავიდან მომწყდით! — და „ლუკრეციუსი“ პიჯაკის ჭიხეში ჩაიღო.

მამილო სარიეტი მაშინვე ეკვეთა ანტიკვარს, ისეთი გააფთრებით მიიტანა მასზე იერიში, რომ თუმც ჩაჩანაკი იყო, ჯან-ლონით სავსე ბერიკაცი ყმაწვილი ოქტავიას სავარძელში გადააყირავა.

ღაბნეულმა და გამძვინვარებულმა გინარდონმა მოხუც მანიაკს ლანძღვა-გინება გადმოანთხია თავზე, მერე მუშტის ერთი დაკვრით გასტყორცნა ოთხ ნაბიჯზე, მიაწყვიტა ფრაანტელიკოს ყალბით ნახატ „გვირგვინის დადგმას“, რომელიც ხმაურით დაეცა ძირს. სარიეტი მაინც არ მოეშვა, კვლავ მიეჭრა მეგობარს და შეეცადა როგორმე ჯიბიდან ამოერთმია წიგნი. მამილო გინარდონი ამჯერად კი სულს გააფრთხობინებდა, თავში ავარდნილ სისხლს რომ არ დაებრმავებინა და უნებურად მუშტი არ მოხვედროდა ყმაწვილი ქალის ხელსაქმის მაგიდაზე. სარიეტი ჩააფრინდა გაოცებულ მოწინააღმდეგეს, სავარძელში გადააყირავებულს წამოდგომის საშუალება არ მისცა, თავისი პატარა, გაძვალტყავებული ხელები კისერში წაუჭირა და ისედაც წამოწითლებული მთლად გააჭარხლა. გინარდონი თავის გამოხსნას ლამობდა, მაგრამ პატარა თითებმა თბილი და დამყოლი ხორცი იგრძნეს თუ არა, შიგ ნეტარებით ჩაესვენენ. ისინი თითქოს რაღაც უხილავ ძალას მიეჯაჭვა თავის მსხვერპლზე. გინარდონი ხრიალებდა, დუქი გადმოსდიოდა ტუჩის კუთხიდან. მისი ვეება სხეული ჟამიდან-ჟამს ფართხალებდა ბერიკაცის თითებქვეშ; მაგრამ ფართხალიც სულ უფრო და უფრო იშვიათი და სუსტი ხდებოდა, ბოლოს მიწყდა კიდევც. მკვლელმა ძლიეს გახსნა თითები. რის ვაი-ვაგლახით მოაშორა ისინი უბედურის ყელს. საფეთქლები უშხუოდა. მაინც გაიგონა წვიმის შხაპუნი, მიყრუებული ნაბიჯების ხმა გაისმა ქვაფენილზე, შორიდან ყურს სწვდებოდა გაზეთების დამტარებელთა ძახილი. სარიეტმა დაინახა, ბინდში როგორ ჩაიარეს ქოლგებმა, მკვდარს ჯიბიდან წიგნი ამოაძრო და თავს უშველა.

ყმაწვილი ოქტავია იმ საღამოს არ დაბრუნებულა მალაზიაში. დასაწოლადაც პატარა ანტრესოლში დარჩა, მეორე საანტიკვარო დუქნის თავზე, ბ-მა ბლანმენილმა რომ უყიდა იმავე კურსელის ქუჩაზე. ყარაულმა, მალაზიის დაკეტვა რომ ევა-

ლებოდა, ანტიკვარს ჯერ კიდევ თბილს მიუსწრო, მყისვე უხმო კოხსიერე ქალს — ქალბატონ ლენენს, რომელმაც ტახტზე დასვეხა გინარდონი, თვალები დაუხუჭა მიცვალებულს, თავითი ორი სანთელი დაუნთო და იქვე ნაკურთხი წყლით სავსე თასში ჩადგმული ბზის რტოც დაუდო. საგანგებოდ წვეულმა ექიმმა სიკვდილი სისხლის ჩაქცევას მიაწერა.

ქალბატონმა ლენენმა ზეფირინთან აფრინა კაცი, მანაც უმაღვე მოიბრინა მიცვალებულისთვის ღამის სათევად. მხატვარს ისეთი სახე ჰქონდა, იფიქრებდით, სძინავსო. სანთლების მოცახტახე შუქზე გრეკოს წმიდანი ნისლივით იჭრებოდა ცაში; პრიმიტივთა ოქროს ბინდბუნდში ბრწყინევა გაჰქონდა. სასიკვდილო სარეცლის მახლობლად გარკვევით მოჩანდა ბოდუენის ნახატი ქალი, წამალს რომ სვამდა. მთელ ღამეს ქუჩაში, ორმოცდაათ ნაბიჯზე ისმოდა ზეფირინის მოთქმა:

— მომიკვდა, მომიკვდა ჩემი მეგობარი, ჩემი ღმერთი, ჩემი სიცოცხლე, ჩემი სიყვარული... არაა არ მომკვდარა, დახეთ, ინძრევა.. ეს მე ვარ, მიშელ, ეს მე ვარ, შენი ზეფირინი. აბა, გაიღვიძე, მომაპყარ ყური. მიპასუხე: მიყვარხარ და თუ მწუხარება მოგაყენე, მაპატიე... მკვდარიაო მკვდარიო ო, ღმერთო ჩემო, შეხეთ, რა ლამაზია ისეთი კეთილი იყო, ისეთი ჭკვიანი, ისეთი ზრდილი ღმერთო ჩემო ღმერთო ჩემო ღმერთო ჩემო გვერდით რომ ვყოლოდი, არ მოკვდებოდა მიშელ! ჩემო მიშელ!

ღილით ქალი დადუმდა. ეგონათ, ჩასთვლიმაო, მაგრამ მომკვდარიყო.

თ ა ვ ი X X X I I

საღაც ძლოღოშირის დუჟანში ნიძბარის
სალაშურის ხმას გაიგონებთ

ქალბატონი დე ლა ვერდელიერი ავადმყოფის თავზე დასადგომად ვერ შემოიჭრა მორისის ბინაში, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ქალბატონ დეზ ობელის იქ არყოფნაში დრო იხელთა და ისევ მობრუნდა, რათა ახალგაზრდა დ'ესპარვიესათვის მისი ობოლი გამოერთმია საფრანგეთის ეკლესიების

სარესტავრაციოდ. არკადმა ქალი შემოიყვანა ავადმყოფთან, რომელსაც უკვე მომჯობინება დაეტყო.

მორისმა ყურში უჩუჩუღულა ანგელოზს:

— მოღალატევე, ახლავე მომაცილე ეს კაციჰამია, თორემ შენს კისერზე იქნება, რაც აქ ცოდვა-ბრალი დატრიალდება.

— შენ არხეინად იყავ, — გულდაჭერებით უთხრა არკადმა. ერთმანეთი რომ მოიკითხეს, ქალბატონმა დე ლა ვერდე-ლიერმა ანიშნა მორისს, ანგელოზი დაითხოვეო. მორისი ვითომ ვერ მიუხვდა და სტუმარიც იძულებული გახდა თავისი მოსვლის მიზეზი გაემხილა.

— ეჰ, ნეტა რა ბედი ეწევათ ჩვენს ეკლესიებს, ჩვენს სათაყვანო სოფლის ეკლესიებს?

— რა და, ჩამოიქცევიან. ნანგრევებად დაიფშენებიან, ქალბატონო. ერთობ სამწუხარო კია ველარაფერი მანუგე-შებს. ეკლესია სოფლის სახლებში ისე მოჩანს, როგორც კრუხი წიწილებს შორის.

— მართალი ბრძანებაა, — შესძახა აღტაცებული ღიმილით ქალბატონმა დე ლა ვერდელიერმა, — საუცხოოდ შენიშნეთ!

— ქალბატონო, ახლა სამრეკლოებს აღარ იტყვიო?

— ოო, სამრეკლოები!

— სამრეკლოები ისე აღმართულან ცაში, როგორც ქერუბინთა შიშველ უკანალებს დამიზნებული ვეებერთელა სასხურები.

ქალბატონმა დე ლა ვერდელიერმა მყისვე დატოვა იქაურობა.

იმავ დღეს აბატი პატუიცი ეწვია დაქრილს რჩევა-დარიგებითა და ნუგეშის სიტყვით. მორისს შეგონება დაუწყო, ცუდ წრეს განერიდო, შენიანებს შეურიგდიო; დაუხატა ცრემლმდინარე დედა, რომელიც მზად იყო მკერდში ჩაეკრა თავისი ხელახლა ნაპოვნი შვილი. ვაჟკაცობას თუ გამოიჩინ, ზურგს თუ შეაქცევ უწესო ცხოვრებასა და ფუჭ სიამეთ, კვლავ ჰპოვებ სულისა და გულის სიმშვიდეს, მტანჯველი ქიმერებისაგან განთავისუფლდები, ბოროტ სულსაც განაგდებო.

ახალგაზრდა დ'ესპარვიემ მადლობა მოახსენა აბატს ამდენი სიკეთისათვის და ფიცით უთხრა, რწმენა არ დამკარგვიაო.

— ჩემს დღეში არ ვყოფილვარ ისეთი მორწმუნე, როგორც

ახლა. და არც არასდროს ასე არ მქირვებია რწმენა. ბატონო აბატო, წარმოგიდგენიათ, იძულებული ვარ კათეხიზმო ვასწავლო ჩემს მფარველ ანგელოზს, რომელმაც გადაივიწყა იგი.

ბნმა აბატმა პატუიმ ერთი ღრმად ამოიოხრა და ჩაგონება დაუწყო მორისს, ილოცეთ, საყვარელო შეილო ჩემო, რამეთუ ლოცვა ერთადერთი საშველია დემონისაგან შეპყრობილი სულის საოხადო.

— ბატონო აბატო, — ჰკითხა მორისმა, — გინდათ, ჩემს მფარველ ანგელოზს გაგაცნობთ? ერთ წუთს მოითმინეთ, სიგარეტების საყიდლად გავგზავნე.

— ეჰ, საწყალი ბიჭი! — აღმოხდა აბატს და ფუნჩულა ლოყები დარდისაგან ჩაუცვივდა, მაგრამ მაშინვე კვლავ დაებერა. ლხინის ნიშნად; სალხენი კი, იცოცხლეთ, ბევრი ჰქონდა.

საზოგადოებრივი აზრი სასიკეთოდ შემობრუნებულიყო. იაკობინელები, ფრანკ-მასონები, ბლოკისტები¹ სახელგატეხილები იყვნენ. ელიტა კარგ მაგალითს იძლეოდა. ფრანგულად აკადემია მართებულად ფიქრობდა. სასულიერო სასწავლებლები მრავლდებოდნენ. ლათინური კვარტალის ახალგაზრდობა ეკლესიის მორჩილი გამხდარიყო და ნორმალურ სკოლას² სემინარიის სუნი ასდიოდა. ჯერს გამარჯვება მოეპოვებინა. მაგრამ კიდევ ბევრი, ძალზე ბევრი ფული იყო საჭირო.

თვენახევრის წოლის შემდეგ მორის დ'ესპარვიეს ექიმმა მანქანით გასეირნების ნება დართო. მორისს კვლავ შეხვეული ჰქონდა ხელი. საყვარელიცა და მეგობარიც თან ახლდნენ. სამავემ ბულონის ტყეს მიაშურა. ხე და ბალახი რომ იხილეს, ულს სიამე მოეფინათ. ყველაფერს უღიმოდნენ და ყველავერი ღიმილითვე პასუხობდათ. არკადის თქმისა არ იყო, "შეცოდებამ უკეთესები გახადა ისინი. მორისს ეკვიანობა და რისხვა დაუცხრა. მოულოდნელად სიმშვიდემ და კეთილგანწყობამ დაისადგურა მის გულში. ჯერ კიდევ უყვარდა ეილბერტი, ოღონდ მიმტევებელი სიყვარულით. ანგელოზსაც უფრო მეტად უთქვამდა გული ქალისათვის, ვიდრე ოდესმე, მაგრამ რაკი ეინი ჰქონდა მოკლული, მის სურვილს დაეკარგა ცნობისმოყვარეობის შხამი. ეილბერტი მოსვენებას ეძლეოდა, აღარ ცდილობდა თავი მოეწონებინა ვისმესთვის და მით უფრო მოსაწონი გამხდარიყო. შადრევანთან რძე შესვეს და ერ-

თობ საამური ეჩვენათ. სამთავეს დაუბრუნდა უცოდველობა. არკადს დავიწყებოდა ქვეყნის ბებერი ტირანის უსამართლობანი, მაგრამ სულ მალე შეახსენეს.

შინ რომ დაბრუნდნენ, იქ ზიტა დაუხვდათ. იჭდა და ელოდა მეგობარს სპილოს ძელისა და ოქროს ქანდაკების დარი.

— ო, რა შესაბრაალისი ხართ, — უთხრა არკადს, — დგება დღე, რომლის მსგავსიც არ დამდგარა, რაც დრო-ეპი სუფევს, და იქნებ აღარც დადგეს, სანამ მზე თავისი კორტეჟით ჰერკულესის თანავარსკვლავედში არ შევა. ხვალ იალდაბაოთს მივუხდებით მის პორფირის სასახლეში, თქვენ კი, ვინც ცათა გამობხნისათვის იწვოდით, ვისაც ერთი სული გქონდათ, ძლევით შესულიყავით თქვენს გამობხნილ სამშობლოში, ერთბაშად დავიწყებით დიადი ზრახვები და ადამის ძეთა ასულების მკლავებში მისცემიხართ განცხრომას. ან რა სიამე შეიძლება იგემოთ ამ პატარა, ბინძურ ცხოველებთან სიხლოვით, რომლებიც ისეთი დაუდგრომელი ელემენტებისაგან არიან შეთხზულნი, რომ მათი შემხედვარე იტყვი, ყოველ წამს იმლებიანო. ჰოი, არკად! თურმე ტყუილად როდი ვეჭვობდი თქვენში: თქვენ ინტელიგენტი ხართ და მეტი არაფერი; მხოლოდ ცნობისმოყვარეობა გამოძრავებთ. სამოქმედოდ კი არ შეგწევთ ძალი.

— ცუდად გიცვნივართ, ზიტა, — მიუგო ანგელოზმა, — ცათა შეილებს დიახაც მოსდგამთ კაცთა ასულების სიყვარული. ქალთა სხეულები და ყვავილები ხრწნადნი არიან? მერე რა ვუყოთ, გახა ამიტომ ნაკლებია მათი ხიბლი? მაგრამ ნუ დარდობთ, ამ პატარა ცხოველთაგან ვერც ერთი ვერ შეძლებს გულიდან ამომიშახთოს სიძულვილი და სიყვარული. მე მუდამ მზადა ვარ აღვდგე იალდაბაოთის წინააღმდეგ.

ისევ საომრად შემართული რომ ნახა, ზიტამ შეაქო მეგობარი. თან წააქეზა, კვლავაც შეუხელებლად იმუშავეთ ჩვენი დიადი წამოწყების წარმატებით დასაგვირგვინებლადო. ნურაფერს დაეაჩქარებთ და ნურც ნურაფერს გადავდებთ სახვალიოდო.

— დიადი საქმე მრავალი პატარისგანაა შემდგარი; ყველაზე დიდებული მთელიც კი ათასი წვრილმანი დეტალისაგან შედგება. უგულუბელყოფა არაფრისი გემართებს.

ზიტას იმისთვის შემოერბინა, რომ არკადი კრებაზე წაეყ-

ვანა, სადაც მისი დასწრება აუცილებელი იყო. იქ გადაითვლიდნენ აჯანყებულთა ძალებს.

— ნექტერიც მოვა, — დასძინა სტუმარმა.

მორისმა ზიტა რომ ნახა, სანდომიანადაც კი არ სჩვენებია; არ მოეწონა, რაკი ზიტა სრულყოფილი სილამაზის პატრონი იყო, კემშარიტი სილამაზე კი მუდამ მძიმე გოაცებას ჰგვრიდა. სტუმარი კიდეც უფრო აითვალწუნა მას შემდეგ, როცა შეიტყო, ესეც მოჯანყე ანგელოზია და არკადს იმისთვის მოაკითხა, შეთქმულებთან რომ წაიყვანოსო. საბრალო ჰაბუკი შეეცადა დაგეგვებინა თავისი მეგობარი, ყველა ხერხს მიმართა, რასაც გონება და გარემოებანი კარნახობდნენ. ემუდარა, ოლონდ დარჩი და ბოქსის არნახულ მატჩს გიჩვენებ, ისეთ რევიუზე დაგასწრებ, სადაც პუანკარეს აპოთეოზს იხილავ, ისეთ სარო-სკიპოში წაგიყვან, სადაც თავიანთი მშვენიებით, ნიჭით, მანკით ან სიმახინჯით განთქმულ ქალებს ნახავო. მაგრამ ანგელოზი ცდუნებას არ აპყოლია და უთხრა, ზიტას უნდა გავყვეო.

— რისთვის?

— შეთქმულება უნდა მოვაწყოთ ცის დასაპყრობად.

— კიდეც არ იშლი მაგ სისულელეს?! შეთქმულებაო?.. კი მაგრამ, ხომ დაგიბტკიცე, არ გაგიმარჯვდება-მეთქი; თანაც ეგ საქმე არც არავის სჭირდება.

— სალამო მშვიდობისა, მორის.

— მაინც მიდიხარ?.. მაშ, მეც მოგყვები.

და ხელშეხვეული მორისი თან გაჰყვა არკადსა და ზიტას მონმარტრზე, ქლოდომირის დუქანში, სადაც ეზოში, ფანჩაურის ქვეშ სუფრა იყო გაშლილი.

თავადი იშთარი და თეოფილი უკვე მოსულიყვნენ. მათ ოთი პატარა, ყვითელი კაცუნაც ახლდათ, ბავშვს რომ წაა-ავდა; ეს იაპონელი ანგელოზი გახლდათ.

— ნექტერსლა ველით, — თქვა ზიტამ.

წამიც და, მოხუცი მებაღეც უხმაუროდ წამოადგათ თავს. სკამზე ჩამოჯდა და ერთგული ძაღლიც მიუწვა ფერხით. ფრანგულ სამზარეულოს ბადალი არა ჰყავს მსოფლიოში. მისი ეს დიდება, ფვიქრობ, ყველა სხვას დააჭარბებს, როს დაბრძენებული კაცობრიობა მახვილზე მალლა შამფურს დააყენებს. ქლოდომირი ანგელოზებსა და მათთან წვეულ მოკედაცს გა-უშმასპინძლდა კომპოსტოთი, ღორის ქონითა და ლორით შე-

ზაგებული წვნიანით, ღვინოში ჩაბუქებული ღორის სუ-
კითა და თირკმელებით, რაიც აშკარად მოწმობდა, რომ მონ-
მარტრის ეს მზარეული ჯერ კიდევ არ წაეხდინათ ამერიკე-
ლებს, სასტუმრო-ქალაქის საუკეთესო მზარეულთაც რომ
რყვნიან ხოლმე.

ქლოდომირმა ბორდოს დაბეჭდილი ბოთლი გახსნა, და
თუმც ეს ღვინო მედოკის საუკეთესო ღვინოთა შორის არ
ირიცხებოდა, სურნელითა და თაიგულით თავის კეთილშობილ
წარმომავლობას ამჟღავნებდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ და
ბევრ სხვა მარკის ღვინოს მეპატრონემ დიდის აძბით მიაყოლა
მათრობელა და ნაზი რომანეც — ბურგუნდიის ზვრებში მო-
წეული ცეცხლოვანი, შუშხუნა, გრძნობა-გონების დამატკ-
ბობელი სასმელი.

მოსუცმა ნექტერმა ჭიქა ასწია და წარმოთქვა:

— შენი ღღეგრძელობისა იყოს, დიონისევე. ღმერთთა შო-
რის უდიდესო; შენ გადევგმირებულ მოკვდავთ ოქროს ხა-
ნასთან ერთად დაუბრუნებ ყურძნის მტევნებს, ლესბოსი რომ
კრეფდა ოდესლაც მეტიმნზე, კვლავ მოუბოძებ ფაზოსის ვაზს,
მარეოტიდის ტბის თეთრ ყურძენს, ფალერნოს მარნებს, თმო-
ლუსის ვენახებსა და ღვინოთა მეფეს — ფანეს. ამ ზვართა
წვენი ღვთაებრივი იქნება და ისე, როგორც ბებერი სელინის
ხანაში, ადამიანები დაითრობიან სიბრძნითა და სიყვარულით.

ყავა რომ ჩამოარიგეს, ზიტამ, თავადმა იშთარმა, არკად-
მა და იაპონელმა ანგელოზმა იალდაბათის წინააღმდეგ აქ-
ხედრებულ ძალთა გადათვლა იწყეს. ანგელოზები, სამარადი-
სო ნეტარება ტანჯვა-წვალებით აღსავსე მიწიერი ცხოვრები-
სათვის რომ დაეგდოთ, გონებრივად გაიზარდნენ და შეცდომის
დაშვების, წინააღმდეგობაში ჩავარდნის უნარი შეიძინეს. ამი-
ტომ მათი თავყრილობებიც, ადამიანთა თავყრილობებისა არ
იყოს, ხმაურიანი და შფოთიანი გახლდათ. ერთი შეთქმული
რომ ციფრს დაასახელებდა, სხვანი უმაღლე პირში სწვდებოდ-
ნენ და მის ნათქვამს სადაოდ ხდიდნენ. ორი რიცხვიც კი ვერ
შეეკრიბათ ისე, კამათი რომ არ აეტეხათ. და თავად არითმე-
ტიკაც, ვნებათა ქარით ატანილი, კარგავდა თავის შეუვალო-
ბასა და სიზუსტეს. ქერუბინი, რომელსაც ძალით მოეყვანა
ღვთისმოსავი თეოფილი, აღშფოთდა, როცა მუსიკოსმა უფ-
ლის დიდება იწყო და თავზე ისე გამეტებით დასცხო მუშტა,

ხარსაც კი სულს გააფრთხობინებდა. მაგრამ მუსიკოსის თავი ხარისაზე უფრო ამტანია. რამდენი არ უბათქუნა თავადმე, ციურ ძმას ღვთის განგებაზე წარმოდგენა ვერ შეაცვლევინა. არკადიც დიდხანს უპირისპირებდა თავის მეცნიერულ იდეა-ლიზმს ზიტას პრაგმატიზმს; მშვენიერმა მთავარანგელოზმა უთხრა, ვერა სჯი მართებულადო.

— და განა ეს გასაკვირია?! — შეპყვირა ახალგაზრდა მორისის მფარველმა ანგელოზმა, — მეც, თქვენი არ იყოს, ადამიანთა ერთ ვმსჯელობ. ადამიანთა ენა კი რაა, თუ არ მთისა და ტყის ნადირთა ძახილი, ზვიადი პრიმატებისაგან წარყვნილ-გართულებული? აბა, ჩამოაყალიბეთ, ზიტა, რიგიანი მსჯელობა ამ გააგებულ და მომჩივან ბგერათაგან. ანგელოზები საერთოდ არა სჯიან; ადამის ძენი კი, ანგელოზთ რომ მეტობეხ, ცუდადა სჯიან. მე როდი გელაპარაკებით პროფესორებზე, რომლებიც ლამობენ განსაზღვრონ აბსოლუტი ყვირილით, თავიანთი წინაპრების — ანთროპოპითეკებისაგან, მაიმუნებისაგან, ჩანთოსნებისა და ქვეწარმავლებისაგან რომა აქვთ მქმკვიდრეობად ბოძებული. მეტი თავის აგდება გაგონილა?! როგორ გაართობდა ღემიურგს ეს ამბავი, ჭკუა რომ მოსდგამდეს!

ღამეულ ცაზე ვარსკვლავები ჩახჩახებდნენ. მეზღე დუმდა.

— ხექტერ, — უთხრა მას მშვენიერმა მთავარანგელოზმა, — დაუკარით თქვენი სალამური, თუ არ გეშინიათ, რომ ცა და მიწა ააღელვოთ.

ნექტერი სალამურს დასწვდა. ჭაბუკმა მორისმა სიგარეტს მოუკიდა. იფეთქა ალმა, წყვილიდში დანთქა ზეცა თავის ვარსკვლავებიანსა და მყისვე ჩაკვდა. ნექტერმაც უმღერა ამ ალს თავისი შთაგონებული სალამურით. ვერცხლის ხმამ გაიწყრი-ალა და ჩაარაკრაკა:

— ეს ალი მთელი სამყარო გახლავთ, წამისყოფით რომ აღასრულა თავისი ბედი. შექმნა მზეები, პლანეტები. ვენერა ურახუსმა გაზომა მათს უსასრულო სივრცეებში მორიალე სფეროთა ორბიტები. ეროსის, ღმერთთა შორის პირველ-შობილის სუნთქვაზე იშვენენ მცენარეები, ცხოველები, აზრები. სიცოცხლესა და სიკვდილს შორის ჩავლილ ამ ოციოდ წამში აღმოცენდნენ ეს სამყაროები, ეს ცივილიზაციები, იმპერიები დაუყვენ თავიანთი ხანგრძლივი დაცემის გზებს. დე-

დები იგლოვდნენ, უტყვე ზეტას სწვდებოდა სიყვარულის სა-
გალობლები, სიძულვილის ყიჟინა და მსხვერპლთა კენესა-
ვაება. როგორც მის სიმცირეს ჰფერობდა, ამ სამყაროში იმ-
დენ ხანს იარსება, რამდენ ხანსაც იარსებებს ის, რომლის
ზოგიერთი ატომიც დაგვნათის თავზე. აკი ერთიცა და მეო-
რეც ოდენ უსასრულობაში გამკრთალი სხივია.

სანამ ეს ნათელი და წმიდა ხმები იღვრებიან მოჯადოე-
ბულ ჰაერში, დედამიწა ცრიატ ღრუბლად გადაიქცევა, ვარ-
სკვლავები სწრაფად სწერენ თავიანთი ორბიტებს. დიდი დათვის
თახავარსკვლავედი იშლება და მისი ნაწილები აქეთ-იქით
იფანტებიან. ორიონის სარტყელი იმსხვერვა. პოლარული ვარ-
სკვლავი ტოვებს თავის მაგნიტურ ღერძს. სირიუსი, პორი-
ზონტს რომ სტყორცნიდა გავარჯარებულ ცეცხლს, ლურჯდე-
ბა, წითლდება, ირყევა და ქრება თვალის დახამხამებაში. თა-
ხავარსკვლავედები იშლებიან, ახლებურად ლაგდებიან, მერე
განიშქრევიან. ამ ჯადოსნურმა სალამურმა გრძნების ძალით
ერთ წამში მოიცვა სიცოცხლე, თვალნაოლივ დახატა იმ სამ-
ყაროს ძვრები, რომელიც ურყევი და მარადიული ეჩვენებათ
აღამიანებსა და ანგელოზებს. მერე დადუმდა; ცას ისევ ძვე-
ლებური იერი დაუბრუნდა. ნექტერი გაქრა. ქლოდომირმა
ჰკითხა სტუმრებს, ღორის ქონიაა და ღორით შეზავებული
წვნიანი თუ გეამებათ, ოცდაოთხ საათს მედგა ცეცხლზე, კარ-
გად რომ მოხარშულიყო. მერე ბოქოლეს ღვინას ქებას მოჰ-
ყვა, წვეულთ რომ შესვეს.

სააბური ღამე ჩამოდვა. არკადმა თავისი მფარველი ანგე-
ლოზის, თეოფილის, თავად იშთარის და იაპონელი ანგელო-
ზის თანხლებით სახლამდე მიაცილა ზიტა.

თ ა ვ ი X X X I I I

რა შიშის ზარი ღასტა პარიზელას
შეგაძრუნებულმა თავდასხმამ

მთელი ქალაქი ძილში იყო დანთქმული. ფილაქანზე მკვეთ-
რად გაისმოდა მიმავალთა ფეხის ხმა. მონმარტრის ბორცვი
სანახევროდ აელეს და ფეტრიეს ქუჩის კუთხეში, მშვენნი-

რი მთავარანგელოზის კარებწინ შედგნენ. არკადი საყდრებს და უფლებებზე ესაუბრებოდა ზიტას, რომელსაც თითი ღოლაკზე დაედო, მაგრამ ზარის დარეკვას არ ჩქარობდა. თავადი იშთარი ხელჯოხის წვერით ტროტუარზე ახალი ჭურვების სქემას ხაზავდა და ისე ღრიალებდა, რომ ძილს უფრთხობდა ჩაძინებულ ბურჟუეებსა და მეზობლად მობინადრე პასიფაეთ* ხდომას აღუძრავდა. თეოფილ ბელე მთელი ხმით გაჰკიოდა ბარკაროლას „გოლკონდის დედოფალ ალინის“ მეორე აქტიდან. მორისს მარჯვენა ხელი შეხვეული ჰქონდა და მარცხენათი ეფარიკავებოდა იაპონელ ანგელოზს, ნაპერწკლებს აყრე-ვინებდა ფილაქანს და გამყინავი ხმით გაჰყვიროდა: „ტუშე!..“

ამასობაში ბრიგადირი გროლი მეზობელი ქუჩის კუთხეში იდგა და ფიქრს მისცემოდა. მხარ-ბეჭითა და ტანადობით რომაელ ლეგიონერს არ დაუვარდებოდა და იმ ზვიადი და უზომოდ მორჩილი რასის ყველა თვისებით იყო შემკული, რასისა, რომელიც მას მოღმა, რაც ადამიანებმა ქალაქების აგება იწყეს, იცავს იმპერიებსა და ბურჯად უდგას დინასტიებს. ბრიგადირი გროლი ძალ-ღონეს არ ემდურებოდა, მაგრამ ქანცი ჰქონდა გაცილი მიძიმე ჯაფითა და მშვიერი ლუკმით. მოვალეობის კაცი გახლდათ, ოღონდ ადამის სხვა ძეთა დარად არც მას შესწევდა ძალი გამკლავებოდა მსუბუქი ყოფაქცევის ქალთა ხიბლსა და ჯადოსნობას; ეტრფოდა ამ ქალებს, მრავლად რომ ხვდებოდნენ ბულვართა ჩრდილში, უშენ ადგილთა გარშემო; მაგრამ ეტრფოდა ჯარისკაცულად, ზეზეურად, იარაღით ხელში მდგარი და ამ ამბავს ისე მოედნო საწყალი, რომ სიმამაცე საცაა უღალატებდა. ჯერ ცხოვრების შუაგზამდეც არ მიეღწია და უკვე სანეტარო დასვენებასა და მინდვრის მშვიდობიან სამუშაოებზე ოცნებობდა. მიუღერის ქუჩის კუთხეში მდგარს ამ წყნარ ღამითაც ფიქრები აშლოდა; ფიქრობდა მშობლიურ კერაზე, ერთი ხელისდადება ზეთისხილის ბაღზე, მამისეულ მიწის ნაკვეთზე, თავის მოხუცებულ, ხანგრძლივი ჯაფით წელში მოკაცულ დედაზე, რომლის ნახვაც აღარ ეწერა. ამ ოცნებათაგან ღამეულმა ჩოჩქოლმა გამოარკვია და ბრიგადირმა გროლმაც გზაჯვარედინისაკენ გასწია, სადაც მიუღერისა და ფეტრიეს ქუჩები კვეთდნენ ერთმანეთს. წყრომით გადახედა უსაქმურთა ბანდას, მისმა სოციალურმა ინსტიტუტმა დანახვის უმაღვე კანონიერების მტრებად რომ

შერაცხა. მაგრამ მოთმინებით აღიჭურვა და გადაწყვეტილებაც მყისვე მიიღო. ერთხანს მღუმარედ უცქირა შეკრებილთ, მერე თავზარდამცემი სიმშვიდით უბრძანა:

— დაიშალენით!

მაგრამ მორისი და იაპონელი ანგელოზი ფარიაკობით ისე იყვნენ გართულნი, რომ არაფერი ესმოდათ; მუსიკოსი მხოლოდ თავის მელოდიებს უგდებდა ყურს, თავადი იშთარ თავისი ქურეების ფორმულებში იყო დანთქმული, ზიტა და არკადი ბკობდნენ უდიდეს წამოწყებაზე, რომელიც კი განზრახულა მას აქეთ, რაც მზის სისტემა წარმოიშვა თავდაპირველი ნისლეულიდან და აინუნშიც არ აგდებდნენ რაც ირგვლივ ხდებოდა.

— მითქვამს, დაიშალეთ-მეთქი! გაინეორა ბრიგადირმა.

ანგელოზებმა ახლა კი გაიგონეს ეს მკაცრი ბრძანება, მაგრამ გულგრილობითა და ზიზლით ქეზმობმულნი არ დამორჩილდნენ, წამითაც კი არ შეუწყვეტიათ ყვირილი, სიმღერა და კამათი.

— მაშ, გინდათ, დაგატუსალოთ? — დაუღრიალა ბრიგადირმა გროლმა და ვეება ხელი თავად იშთარს დაადო მხარზე.

ამ ბილწი ხელის შეხებით განრისხებულმა ქერუბინმა მუშტის ერთი დარტყმით გადაუძახა თხრილში მომხდური. მაგრამ პოლიციელმა ფეხანდემ უკვე მოირბინა უფროსის საშველად და ახლა ორთავ ერთად ეტაკნენ თავადს; მექანიკური სიმამით ცემდნენ და მისი ძალისა და გოლიათური აღნაგობის მიუხედავად თავპირდასისხლიანებულს კიდევაც წაათრევდნენ უბანში, იაპონელ ანგელოზს რომ არ ემარჯვა და ერთი ხელის მოქნევით არ წამოექცია ორივე; წამიც და, მომხდურნი სიმწრით იგრისებოდნენ მტვერში და მანამ ღრიალებდნენ, სანამ შორისმა, არკადმა და ზიტამაც არ მოისაზრეს ხელის გამოღება. მუსიკოსი ანგელოზი კი განზე გამდგარი კანკალებდა და ზეცას უხმობდა საშველად.

ხმაურზე მოირბინა წელსზემოთ შიშველმა, თეთრწინსაფრიანმა მეფუნთუშის ორმა ქარგალმაც; მეზობელ სარდაფში ცომის ზეღით ყოფილიყვნენ გართული. სოციალური სოლიდარობის ინსტინქტური გრძობის კარნახით წაქცეული პოლიციელების მხარე დაიჭირეს. მათ შემხედვარე თეოფილს ბუნებრივია, თავზარი დაეცა და მოკურცხლა; ქარგლები გა-

მოუდგხენ ლტოლვილს და ის იყო, მშვიდობის მცველთათვის უნდა გადაეცათ, რომ არკადმა და ზიტამაც მოუსწრეს და ბრძოლა გაჩაღდა, უთანასწორო და საშინელი, ორ ანგელოზსა და მეფუნთუშის ორ ქარვალს შორის. არკადმა, ძალითა და სილამაზით ლისიპეს ათლეტს* რომ მოჰგავდა, მკლავებში მოიმიწყვდია თავისი სქელი მოწინააღმდეგე. მშვენიერმა მთავარანგელოზმა დანა ჩასცხო მეფუნთუშეს, თავდასხმას რომ უპირებდა. ბანჯგვლიან მკერდზე შავმა სისხლმა იჩქეფა და კანონის ქომაგი ორი ქარვალი ქვაფენილზე გაიშხლართა.

პოლიციელი ფეხანდუ გულწასული ეგდო ჩასადენ ღარში სახეჩამხობილი. მაგრამ ბრიგადირი გროლი წამოდგა. ჩაპბერა სასტვენს, რომ მეზობელი პოსტისთვის ხმა მიეწვდინა და ჭაბუკ მორისს ეკვეთა; მანაც, რაკი თავდასაცავად მხოლოდ მარცხენა ხელი ჰქონდა, ამ მარცხენათი რევოლვერი დაახალა მომხდურს. პოლიციელმა ხელი მიიტანა გულთან, შემოტრიალდა და ძირს მოიღო ზღართან. მერე ერთი ღრმად ამოიკენესა და სამუდამოდ დაუბნელდა თვალები.

ამასობაში, ერთიმეორის მიყოლებით ირგვლივ მდგარი სახლების ფანჯრები გაიღო და ცნობისმოყვარეთ თავები გამოყვეს ქუჩაში. მძიმე ნაბიჯების ხმა ახლოვდებოდა. წამიცი და, ფეტრიეს ქუჩაზე ორი ველოსიპედიანი პოლიციელიც გაჩნდა. მათინ თავადმა იშთარმა ბომბი ისროლა. ბომბმა შეარყია დედამიწა, ჩააქრო გაზის ფარანი, დააქცია სახლები, სქელ კვამლში გაახვია იქაურობა და დაფარა ლტოლვილი ანგელოზებისა და მორისის კვალი.

არკადმა და მორისმა გადაწყვიტეს, ყველაზე საიმედო იქხება, თუ ამ ფათერაკის შემდეგ რომის ქუჩის პატარა ბინაში შეეფარებთ თავსო. აშკარა იყო, მათ მაშინვე არ დაუწყებდნენ ძებნას და ეგების ვერც ვერასოდეს მიეკვლიათ, აკი ქერუბინის ბომბმა ამ საქმის ყველა მოწმე სულ ერთიანად ამოხოცა. გამთენიისას ჩაიძინეს; დილის ათ-საათზედაც გულის ძილით ეძინათ, როცა კონსიერჟმა ჩაი შემოიტანა. ახალგაზრდა დ'ესპარვიემ, შეხუხულ პურს რომ შეიქცეოდა, უთხრა თავის ანგელოზს:

— მეგონა, დანაშაულის ჩადენა არაჩვეულებრივი რამ არის-მეთქი თურმე ვცდებოდი; სულ უბრალო კი ყოფილა... ქვეყნად ყველაზე უფრო ბუნებრივი.

— და ყველაზე უფრო ტრადიციულიც, — დააყოლა ანგელოზმა, — მრავალი საუკუნის მანძილზე კაცს მუდამ უხდებოდა და ჩვეულებადაც ექცა თავის მოძმეთა მოკვლა და ძარცვა. ომიანობის დროს საქებურადაც ითვლებოდა ეს საქმე. ზოგ ვითარებაში კაცისკვლა ახლაც საქებურად მიაჩნიათ და თქვენც მოგიწონებდნენ საქციელს; ჩემი მოკვლა რომ გეწადათ, რაკი ფიქრობდით, რომ უკადრისად მოვეპყარ თქვენს საყვარელს. მაგრამ კარგი ოჯახიშვილისთვის პოლიციელის მოკვლა მაინც საძრახისი მგონია.

— გაჩუმდი, — დაუყვირა მორისმა, — გაჩუმდი, შე ავაზაკო! ის საწყალი პოლიციელი ჩემდაუნებურად შემომაკვდა; თავადაც არ ვიცოდი, რას ჩავდიოდი და ახლაც სასოწარკვეთილი ვარ. ოღონდ დამნაშავე მე კი არა, შენა ხარ; შენა ხარ მკვლელი. შენ შემაგდე ამ ჯანყისა და ძალმომრეობის გზაზე, რომელსაც უფსკრულამდე მივყავართ. შენ დამლუპე, შენ უმსხვერპლე ჩემი სიმშვიდე, ჩემი ბედნიერება შენს სიამაყეს, შენს ბოროტებას. მაინც ამოოდ დაშვერ, რადგან გაფრთხილებ, არც შენ შეგეწყობა ხელი, შენს საქმეში არ გაგიმარჯვდება.

კონსიერემა გაზეთები მოიტანა. მორისმა დახედა მათ და გადაფიქრდა. გაზეთები მსხვილი შრიფტით იუწყებოდნენ ფეტრიეს ქუჩაზე მომხდარი თავდასხმის ამბავს. ერთი ბრიგადირი მოკლულია, ორი ველოსიპედიანი პოლიციელი და მეფუნთუშის ორი ქარგალი მძიმედ დაჭრილი; სამი სახლიც დანგრეულიყო და მაცხოვრებლები სულ ქვეშ დაეტანა.

მორისს ხელიდან გაუვარდა ფურცელი და სუსტი, მომჩივანი ხმით თქვა:

— არკად, რატომ არ მომკალი ვერსალის პატარა ბაღში, სადაც ვარდები ყვავოდნენ და შაშვი გალობდა.

პარიზი შიშმა შეიპყრო. საჯარო მოედნებსა და ხალხმრავალ ქუჩებში ხელჩანთიანი, ფერწასული დიასახლისები დანაშაულის ამბავს უსმენდნენ და წყევლა-კრულვით იგდებდნენ ბოროტმოქმედთ, მათთვის არანაირი სატანჯველი არ ედიდებოდათ. თავიანთ ზღურბლზე გადმომდგარი მედუქნეები ამ დანაშაულს ანარქისტებს, სინდიკალისტებს, სოციალისტებს, რადიკალებს მიაწერდნენ და გაპყვიროდნენ, სამართალი ვაგ-

ციხინეთო. უფრო შორს გამკვერეტნი ამეებში ებრაელთა და გერმანელთა ხელს ხედავდნენ და უცხოელთა განდევნას მოითხოვდნენ. ბევრი ხოტბას ასხამდა ამერიკულ ზნე-ჩვეულებას და ლინჩის კანონის შემოღებას ნატრობდა. გაზეთში დაბეჭდილ ცნობებს ავბედითი ხმებიც ზედ ერთვოდა. ბევრგან გაისმოდა აფეთქების ხმა, ხან აქ და ხან იქ ბომბებს პოულობდნენ. ხალხი მწარედ უსწორდებოდა ყველას, ვისაც ბოროტმოქმედად მიიჩნევდა, ძიძგნიდა და ასე გაძიძგნილს მიუგდებდა მართლმსაჯულებას. რესპუბლიკის მოედანზე ბრბომ სულ ნაკუწ-ხაკუწად აქცია ვილაც ლოთი, „ძირს ჯაშუშებიო“ რომ გაპყვიროდა.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრი დიდხანს ეთათბირა პოლიციის პრეფექტს. დაასკვნეს პარიზელთა მღელვარების დასაცხრობად დაუყოვნებლივ მიეღოთ ზომები და დაეპატიმრებინათ ხუთი-ექვსი აპაში იმ ოცდაათი ათასიდან, დედაქალაქში რომ პარპაშობდა. რუსეთის პოლიციის უფროსმა დაიჩემა, ამ თავდასხმაში ნიჰილისტების ხელი ურევიაო და მოითხოვა, ჩვენს მთავრობას გადმოეცით პარიზს გადმოხიზნული თორმეტამდე ლტოლვილიო. მისი მოთხოვნა უმალ დააკმაყოფილეს. ესპანეთის მეფის უსაფრთხოებისთვისაც რამდენიმე კაცს დაადეს ხუნდი.

ამ ენერგიული ზომების ამბავი რომ შეიტყო, პარიზმა შვებით ამოისუნთქა. საღამოს გაზეთები მთავრობას ქება-დიდებას ასხამდნენ. დაჭრილთა მდგომარეობაც საუცხოო იყო, საფრთხე აღარ ემუქრებოდათ და ვისაც კი უჩვენებდნენ, ყველაზე გაიძახოდნენ, ჩვენი თავდამსხმელები სწორედ ესენი არიანო.

ბრიგადირი გრილი, მართალია, მოკვდა, მაგრამ მის თავით ორი მოწყალეების და მორიგეობდა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემაც მოვალეობის ამ მსხვერპლს მკერდზე საპატო ლეგიონის ჯვარი მიაბნია.

ლამით ქალაქში კვლავ ალიაქოთი ატყდა. აჯანყების ხეივანზე, უშენ ადგილას პოლიციელებმა შენიშნეს მოხეტიალე აკრობატთა ფურგონი; ფურგონი ბანდიტთა სადგომად მიიჩნიეს, თავისიანებს უხმეს საშველად და როცა მიხვდნენ, რიცხობრივად ჩვენ ვჭარბობთო მტერს, ფურგონს თავს დაესხნენ. მათ ქველკეთილი მოქალაქენი შეუერთდნენ და რევოლ-

ვერის თხუთმეტი ათასი ტყვია დაახალეს ჩასაფრებულებს. ფურგონი დინამიტით ააფეთქეს და მის ნამუსრევს შორის მაიმუნის გვამს წააწყდნენ.

თ ა ვ ი I X I V

ს ა დ ა ტ უ მ ვ ი ტ ა მ ა თ ბ უ შ ო ტ ი ს ა დ ა მ ო რ ი ს ი ს
დ ა ა პ ა ბ ი მ რ ა ბ ი ს , დ ' მ ს პ ა რ კ ი ე თ ა ბ ი ზ ლ ი ო ტ ე ა ი ს ბ ა ჩ ა ნ ა ნ ა ვ ა ბ ი ს ა
დ ა ა ნ ვ ე ლ ო ზ ო ტ ა გ ა შ რ ა ნ ი ს ა მ ა მ ა მ ს

მორის დ'ესპარვიემ ძლივს გაათენა ის ღამე. იოტისოდენ ჩქამზედაც ხელს სტაცებდა თავის რევოლვერს, რომ მართლმსაჯულებას ცოცხალი არ ჩავარდნოდა ხელში. დილით გაზეთი ცხელებიანივით გამოგლიჯა კონსიერჟეს, ხარბად ჩაიკითხა და სიხარულის ძახილი აღმოხდა. გაზეთი იუწყებოდა, რომ, როცა ბრიგადირი გროლი საცხედრეში გადაიტანეს გასაკვეთად, სასამართლოს სამედიცინო ექსპერტებმა მის სხეულზე მხოლოდ დაჟეჟილობა ანუ ზედაპირული იარები შენიშნეს, და დაასკვნეს, სიკვდილი იორტის გაწყვეტითააო გამოწვეული.

— ხომ ხედავ, არკად, — გამარჯვების ყიჟინა დასცა მორისმა, — მე მკვლელი არა ვყოფილვარ, არაფერში მიმიძღვის ბრალი. ჩემს დღეში ვერ წარმოვიდგენდი, რა საამურო ყოფილა, უდანაშაულო რომ ხარ კაცი.

შემდეგ ჩაფიქრდა და, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე, ფიქრმა გაჰფანტა მისი სიხარული.

— უდანაშაულო კი ვარ, მაგრამ სიძარტლეს სად წავუვალ, — თქვა მან და თავი გააქნია, — ბოროტმოქმედთა ბანდაში გავერიე; ბანდიტებთან ვცხოვრობ. შენთვის ეს გარემო ზედგამოჭრილია, არკად, შენ ხომ საექვეო პიროვნება ხარ, სასტიკი და ზნედაცემული. მაგრამ მე, წესიერი ოჯახის შვილს, საუცხოო აღზრდის პატრონს, უზომოდ მრცხვენია ჩემი თავის.

— აღზრდა მეც საუცხოო მაქვს მიღებული, — არ შეეპუა არკადი.

— სად?

— ცაში...

— არა, არკად, აოა; შენ არავეითარი აღზრდა არ მიგიღია. შენთვის. ზნეობრივი წესები რომ ჩაეგონებინათ, კიდევაც შეინარჩუნებდი. ზნეობრივი პრინციპები უკვალოდ როდი ქრებიან. მე სიყრმიდანვე ჩამინერგეს ოჯახის, სამშობლოს და რელიგიის პატივისცემა. ეს ამბავი არ დამეიწყებია და არც დამავიწყდება თავის დღეში. იცი, ყველაზე მეტად რისთვის გიცხავ? შენი გარყვნილება, შენი სისასტიკე, შენი შავი უმადურება კი არ მზარავს, არც შენი ავნოსტიციზმი, იგი, თუ გაკირდა, შეიძლება აიტანოს კაცმა, არც შენი სკეპტიციზმი, რომელიც, სიმართლე თუ გინდა, ძალზე მოდაგასულია, აკი ეროვნული გამოღვიძების შემდეგ საფრანგეთში სკეპტიციზმს ყაველი გაუვიდა; არა, ყველაზე მეტად შენი უხამსი იდეები, შენი დოქტრინების უღაზათობა მგერის ზიზღს; შენ ინტელიგენტივით აზროვნებ, უღმრთო კაცივით ფიქრობ, ისეთი იდეები მოგდის თავში, რადიკალიზმის, კომბიზმისა* და სხვა უგვან თეორიათა სუნი რომ უდის. წადი, გამშორდი! თვალით დასახანავადაც კი მეჭავრები... არკად, ჩემო ერთადერთო მეგობარო, არკად, ჩემო ტკბილო ანგელოზო, ჩემო პატარავ, გაუგონე შენს მფარველ ანგელოზს: ყურად იღე ჩემი ვედრება, თავი ანებე მაგ გიჟურ ზრახვებს, კვლავ კეთილი, უმანკო, უზაკველი და ბედნიერი გახდი. აიღე ქუდი; წამყევ ღვთისმშობლის ტაძარში. ვილოცოთ და სანთელები დავანთოთ.

საზოგადოებრივი აზრი ამასობაში კვლავ მღელვარებით ი მოცული. დიდმა პრესამ — ეროვნული გამოღვიძების მეფდაფემ, ჭეშმარიტის აღმაფრენითა და შორსგამქვერეტლოთ ამხილა ამ საზარელი თავდასხმის არსი, ნამუსიანი ხალს გულისწყრომას რომ იმსახურებდა. ასახელებდა მის ჭეშმარიტ სათავეს, მის გამომწვევ, არაპირდაპირ, მაგრამ უთუო ძიზვნებს; ყველაფერი იმის ბრალია, რომ სათანადოდ არ ვებრძვით რევოლუციურ დოქტრინებს, სოციალური ხუნდები შეევასუსტეთ, მორალური სადავე მიშვებული გვაქვს, მადააშლილნი არანაირ ნდომას სამანს არ ვუდებთო. აუცილებელია საძირკველშივე მოვსპოთ ბოროტება, რაც შეიძლება სწრაფად ჩვენივე ნებით უარი ვთქვათ ქიმერებზე და უტობიებზე: სინდიკალიზმზე, შემოსავლის გამოსაღებზე და სხვა

მისთანანზე... ბევრი საქმოდ გავლენიანი გაზეთი გაქვირო-
და, დანაშაულთა მომრავლება ბუნებრივი ნაყოფია ღვთისგან
განდგომისათ და დასკვნითა, საზოგადოებას რელიგიისკენ
გულწრფელი და საყოველთაო შემობრუნება თუ იხსნისო.

დანაშაულიდან ერთი კვირის თავზე შენიშნეს, რომ ეკლე-
სიაში ჩვეულებრივზე მეტი ხალხი შეყრილყო.

გამომძიებელმა სალნევმა, ვისაც ამ საქმის გახსნა ჰქონ-
და მინდობილი, ჯერ უშიშროების მიერ დაკავებული ხალხი
დაჰკითხა და იმდენ მაცდუნებელ, მაგრამ უალბ კვალზე შე-
აგდეს, რომ თავგზა აერია; მოენე მოხტრეგების მოხსენებო-
მა ბარათმა მისი ყურადღება სწორი გზით წარმოათა და ფუ-
რიეს ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის მომქმედებად ეონშერის
ბანდიტები მიაჩნევინა. მსწრაფლ მოაძებნინა არკადი და ზოტა
და ორდერი გასცა თავად იშთარის დასაპატიჟრებლად. ორმა
პოლიციელმა იგი მაშინ დააკავა, როცა ბუშოტის სახლიდან
გამოვიდა, სადაც ახალი ტიპის ბომბების შესანახად იყო მი-
სული. აგენტების განზრახვა რომ შეიტყო, ქერუბინს ერთი
გულიანად გაელიმა და ჰკითხა უწვეველ სტუმრებს, რიგისი
მანქანა თუ გაქეთო. როცა მიუგეს, ზედ კართან გვიყენებო,
ჩაიდუღუხა, მეტი არც არა მინდა რაო. მერე ერთბაშად კიბე-
ზე მიაწვინა ორივე აგენტი. მივარდა მანქანას, რომელიც ელო-
და, ბედად ჩავლილი ავტობუსის ქვეშ შეაგდო მშლოლი და
თავზარდაცემული ბრბოს თვალწინ საქვს ჩააფრინდა.

იმავ საღამოს ბ-ნი ენკურტი, პოლიციის კომისარი სასამარ-
თლოს საქმეთა დარგში, თეოფილის ბინაში შეიკრა იმ წუთს,
როცა ბუშოტი თიხლო კვერცხს ყლაპავდა ხმის ჩასაწმენდად,
რადგან იმ საღამოს „ეროვნულ ელდორადოში“ უნდა ემღერა
თავისი ახალი სიმღერა: „გერმანიაში არ ებოვებათ!“ მუსიკო-
სი შინ არ იყო. ბუშოტმა მოხელესთან დიდეს ღირსებით და-
იჭირა თავი, ჩაცმულობის სისადავე რომ გავჭარწყლებინა.
ქალი ხომ პერახვისამარა იყო. ღირსმა მოხელემ „გოლკონ-
დის დედოფალ აღინის“ პარტიტურას დასტაცა ხელი და
კიდევ სამიჯნურო ბარათებს, რომელთაც მომღერალი ქალი
სათუთად ინახავდა ღამის მაგიდის უკრამში, რადგანაც წესრი-
გიანობა სჩვეოდა ყველაფერში. დაუპატიყებელი სტუმარი
უკვე წასვლას აპირებდა, როცა თვალი მოჰკრა კედლის გან-
ჯიხას: დაუდევრად გამოაღო და აუარება კურევი ნახა, ნახე-

ვარი პარიზის ასაფეთქებლად რომ იკმარებდა, იქვე ორ უზარმაზარ თეთრ ფრთასაც წააწყდა, რომელთა ვერც წარმომავლობა ამოიცნო და ვერც დანიშნულება. ბუშოტს უბრძანა, ტანთ ჩაიცვითო და თუმც კი ბევრს ყვიროდა გაძალიანებული ქალი, სატუხალოში უკრეს თავი.

ბ-ნი სალნევი ამას არ დასჯერდა. ბუშოტის სახლში ნაპოვნი ქაღალდების შესწავლის შემდეგ და მონტრემენის პატაკზე დაყრდნობით მან ჭაბუკ დ'ესპარვიეს დაპატიმრების მანდატიც გამოსცა. მისი ბრძანება დიდის სიფრთხილით სისრულეში იქნა მოყვანილი ოთხშაბათ ღღეს, 27 მაისს, დიდის შვიდ საათზე. სამი დღის განმავლობაში მორისს თვალი არ მოუხუჭავს, არც უსვამს, არც უჭამია, გადაავიწყდა სიცოცხლე, სიყვარული. ერთი წუთითაც არ შეეჩვენებულა: მაშინვე მიხვდა ამ ნაადრევი სტუმრობის მიზეზს. პოლიციის კომისრის დანახვისთანავე მოულოდნელმა სიმშვიდემ მოიცვა მთელი მისი არსება. არკადს ის ღამე სახლში არ გაუთევია. მორისმა სთხოვა კომისარს, დამელოდეთო, მერე საგულდაგულოდ მოიკაზმა და უკან გაჰყვა მოხელეს. კარებთან ტაქსი ელოდათ. უმფოთველობას დაესადგურებინა ჭაბუკის სულში და ეს სიმშვიდე ოდნავ თუ შეემღვრა, როცა კონსიერჟერის* კარი ჩაიკეტა მის უკან. საკანში მარტო რომ დარჩა, მაგიდაზე ავიდა და გარეთ გაიხედა. შენიშნა მტრედისფერი ცის ნაგლეჯი და გაიღიმა. ასე იმიტომ დამშვიდებულიყო, რომ გრძნობა დაჩლუნგებოდა, ტვინი გადაძაბვოდა ფიქრისაგან, თანაც უკვე აღარ ჰქონდა საშიშარი — დამიჭერენო. ამდენმა განსაცდელმა უზენაესი სიბრძნე მოუვლინა. მასზედ რომ მადლი გადმოსულიყო, გრძნობდა. არ მზვობრობდა, არც ზედმეტად ეზიზღებოდა თავისი თავი და სულ ერთიანად ღვთის განგებას მინდობოდა. საკუთარ შეცოდებათა მიჩქმალვას როდი ცდილა, იცოდა, რაშიაც იყო ბრალეული, მაგრამ ზეცად ღმერთს იხდიდა მოწმედ, ჯანყს მიტომ შეეგუდექ და უწესრიგო ცხოვრებას მიტომ მივყავ ხელი, რომ შევეცადე კეთილ გზაზე დამეყვინებინა ჩემი გზააბნეული ანგელოზიო. ამ ფიქრებში გართული ტახტზე მიწვა და მშვიდად ჩაეძინა.

როცა კაბარეს მომღერლისა და კარგი ოჯახიშვილის დაპატიმრების ამბავი შეიტყვეს, დედაქალაქი და პროვინციები გავოგნდნენ. დიდ-დიდი გაზეთები ისეთ ტრაგიკულ სურათებში

ხატავდნენ, რომ აღშფოთებული საზოგადოებრივი აზრი მოითხოვდა კანონს ტრიბუნალის წინაშე წაეყენებინა მძვინვარე ანარქისტები, რომელთა კისერზედაც უამრავი მკვლელობა და ხანძარი იყო, და არ ესმოდათ, ვის რა ხელი ჰქონდა ხელოვნებისა და ელევანტურობის სამყაროსთან. ეს ახალი ამბავი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, ბეჭდის მცველმა ლამის ყველაზე ბოლოს შეიტყო; თავის სფინქსებით შემკულ სკამზე შეხტა, შესახედავად მასზე ნაკლებ საზარონი რომ იყვნენ და გაშმაგებულმა ნაპოლეონის მაგალითისამებრ ჯაყვით დასერა იმპერიისდროინდელი წითელი ხის მაგიდა. და როცა მისგან ხმობილი გამომძიებელი სალნევი წარსდგა მის თვალთა წინაშე, თავმჯდომარემ ჯაყვა ბუხარში შეუძახა (აკი ლუდოვიკო XIV-მაც ფანჯრიდან მოისროლა თავისი ხელჯოხი ლოზენთან* კამათისას). მერე ძალ-ღონის უკიდურესი დაძაბვით შეიკავა თავი და ყრუდ უთხრა მოსულს:

— გაგიჟდით?.. განა გასაგებად არ გითხარით, შეთქმულება ანარქისტული, ანტისოციალური, უკიდურესად ანტისოციალური და მთავრობის საწინააღმდეგო უნდა იყოს-მეთქი? აკი გარკვევით მიგანიშნეთ, ამ საზღვრებს ნუ გადამილახავთ-მეთქი. აქვენ კი რას სჩადიხართ? ანარქისტებსა და რევოლუციონერებს ახარებთ ჩვენზე. ვის მიპატიმრებთ? ნაციონალისტ მაყურებელთა სათაყვანო მომღერალ ქალსა და კათოლიკურ პარტიაში უაღრესად პატივდებული კაცის შვილს, კაცისა, ვინც ეპისკოპოსებთან მეგობრობს, თავისუფლად შედის ვატიკანში და შეიძლება დღეს-ხვალ პაპთან დესპანადაც გაიგზავნოს. თქვენ ამ საქმით აგვიმხედრეთ ას სამოცი შემარჯვენე დეპუტატი და ორმოცი სენატორი, ისიც მაშინ, როცა დღის წესრიგში რელიგიური შემორიგების საქმე დადგა. გადამკიდეთ ჩემს დღევანდელ მეგობრებს და ხვალინდელ მეგობრებსაც. განა იმისათვის დაიჭირეთ ახალგაზრდა მორის დ'ესპარვიეს სამიჯნურო ბარათები, რომ შეგეტყოთ, იმ ყეყეჩ დეზობელივით რქები თუ გადგათ? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ: გადგათ და ეს მთელმა პარიზმა იცის. ოღონდ პირადი შეურაცხყოფისათვის შურისსაგებლად როდის ბრძანდებით პროკურატურაში.

— ბატონო ბეჭდის მცველო, — წაიჩურჩულა სულშეგუ-

ბებულმა გამოძიებელმა, რომელსაც კინალამ სისხლი ჩაექცა ტვინში, — მე ნამუსიანი კაცი ვარ...

— არა, ბრიყვი ხართ, პროვინციელი ბრიყვი... მომისმინეთ; თუ მორის დ'ესპარვიე და მადმუაზელ ბუშოტი ნახევარ საათში არ გაგიტავისუფლებიათ, სულ ერთიანად დაგფშვნით!

რენე დ'ესპარვიე თვითონ მიბრძანდა კონსიერჟერიში და გარანსიერის ქუჩის ძველ სახლში მიიყვანა თავისი ვაჟი. ერთობ საზეიმო იყო ეს დაბრუნება; ხმა დაარხიეს, კაბუკი მორისი წინდაუხედავი სულგრძელობით ჩაება მონარქიის რესტავრაციის ცდაში, გამოძიებელმა სალნევმა კი, ამ საძაგელმა ფრანკ-მასონმა, კომბისა და ანდრეს* დამქაშმა სცადა სახელი გაეტეხა მამაცი ყმაწვილი კაცისათვის და ბანდიტობა შესწამაო. სწორედ ასე ფიქრობდა აბატი პატუი, რომელიც ისევე აგებდა პასუხს მორისზე, როგორც საკუთარ თავზე. ყველას მოეხსენებოდა, რომ ახალგაზრდა დ'ესპარვიე გადაუდგარესპუბლიკას შერიგებულ მამას და თავგამოდებული რუაილისტი გახდა. საქმეში ჩახედულნი მის დაპატიმრებაში ებრაელთა შურისძიებას ხედავდნენ. განა მორისის ანტისემიტობა საყოველთაოდ არ იყო ცნობილი? კათოლიკური ახალგაზრდობა შინ მიექრა გამოძიებელ სალნევს გენეგოს ქუჩაზე, ზარაფხანის პირდაპირ, და ფანჯრებქვემოთ მოქუჩებულმა სიცილითა და სტვენით აიკლო.

სასამართლოს ბულვარზე სტუდენტთა ჯგუფმა მორისს პალმის შტო მიართვა.

კაბუკს გული აუჩვილდა, როცა ხელახლა იხილა თავისი 'იყრმის ოტელი და ტირილით ჩაუვარდა ღედას მკლავებში. ზედნიერი დღე გაუთენდათ, მაგრამ ჩამწარდათ საუბედუროდ. ანი სარიეტტი, ტვინი რომ არეოდა კურსელის ქუჩაზე მომხდარი დრამის შემდეგ, უეცრად გახელდა. ბიბლიოთეკაში ჩაიკეტა, მთელი ოცდათხუთი საათი იჯდა შიგ და საზარელი ყვირით იკლებდა იჭაურობას. არ გასჭრა არც თსოვნამ, არც მუქარამ, ვერაფრით გამოიყვანეს გარეთ. ღამითაც არ დამცხრალა, ხედავდნენ, სინათლის ალი გაუთავებლად როგორ დარბოდა ფარდის უკან. დილით, როცა გაიგო, რომ იპოლიტი უხმობდა ეზოდან, სფეროთა და ფილოსოფოსთა დარბაზის ფანჯარა გამოაღო და ორი-სამი კარგა მოზრდილი წიგნი გაუჩანა მოხუკ ლაჟიას თავში. მთელი სახლეული — კაცნი,

ქალები და ყმაწვილები ეზოში გამოეფინენ და ბიბლიოთეკარმაც წიგნები დასტა-დასტად გადმოაყარა მათ ზემო სართულიდან. ახლა კი ბატონმა რენე დ'ესპარვიემაც იკადრა ჩარევა. ღამის ჩაჩიანა და ხალათიანა გამობრძანდა და შეეცადა რამე შეესმინა საწყალი გიჟისათვის. მან კი პასუხად გინების ნიაღვარი გადმოარწყია თავზე კაცს, რომელსაც დღესაქამომდე თავის კეთილისმყოფელს ეძახდა და უდიდესი მოწიწებით ექცეოდა. გასრესაც მოუხდომა და ზედ გადმოაყარა უამრავი ბიბლია, თალმუდი, ინდოეთისა და სპარსეთის ყველა საკრალური წიგნი, უკლებლივ ყველა ბერძენი და ლათინი მამის თხზულება, წმიდა იოანე ოქროპირისა, წმიდა გრიგოლ ნაზიანზელის, წმიდა იერონიმეს, ნეტარი ავგუსტინესი, ყველა აპოლოგეტის შრომები და თვით ბოსუეს მინაწერებით აკრელებული „ცვლილებათა ისტორია“. In-octavo-ები, in-quarto-ები, in-folio-ები უღირსად ცვიოდნენ ეზოს ქვაფენილზე. ქარს შიპყვებოდა ერთმანეთში აზელილი გასენდის, მამა მერსენისა და პასკალის წერილები... მოახლე ქალი დაინხარა, რომ თხრილიდან ამოეღო ეს ფურცლები და ვეება ჰოლანდიური ატლასი კი მოხვდა თავში. საშინელი ხმაურით გულგახეთქილი ქალბატონი რენე დ'ესპარვიეც კარში გამოვარდა ნახევრადშეპუდრული. მის დანახვაზე მამილო სარიეტი მთლად გადაიხარია. ელვის სისწრაფით ერთმანეთს მოჰყვნენ მისგან ნატყორცი პოეტების, ფილოსოფოსების, ძველი დროის ისტორიკოსების, ჰომეროსის, ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს, ჰეროდოტეს, თუკიდიდეს, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, დემოსთენეს, ციცერონის, ვერგილიუსის, ჰორაციუსის, სენეკას, ეპიკურის ბიუსტები და დაიმსხვრნენ ქვაფენილზე. ცისა და მიწის სფეროებმაც ძირს მოიღეს ბრაგვანი და ერთხანს თავზარდამცემი დუმილი გამეფდა, რომელსაც მხოლოდ პატარა ლეონის გულიანი კისკისი აპობდა. ბიჭუნა ფანჯრიდან უტკეპროდა ამ წარმოდგენას. ზეინკალმა ბიბლიოთეკის კარი შეამტკრია, მთელი სახლეული შეეცვივდა შიგ და დაინახეს მამილო სარიეტი, ყორედ დაყრილი წიგნების უკან რომ იმალებოდა და ნაკუწ-ნაკუწ ფხრეწდა ვოლტერის ხელით ანოტირებულ ვანდომის პრიორის „ლუკრეციუსს“. გზა რის ვაი-ვაგლახით გაიკვლიეს ამ ბარიკადებს შორის. მაგრამ შეშლილმა რა დაინახა, ჩემი სამალავი ძალით აიღესო, სხვენს იქა და

სახურავზე გავარდა. ორი საათის განმავლობაში ისმოდა იქიდან მისი ბლავილი და მთელ არემარეს აყრუებდა. გარანსიერის ქუჩაზე ბრბო თანდათან მატულობდა, უცქერდა უბედურს და შიშით შექყვირებდა ხოლმე, როცა ბერიკაცი წაიბოროძიკებდა კრამიტებზე, მის ფეხქვეშ ლაწალუწი რომ გაჰქონდათ. აბატი პატუიკ ბრბოს შერეოდა და წუთი წუთზე ელოდა როდის დაინთქმებოდა სიცარიელეში ის უბედური, მისთვის სულთათანას ჯღაველენდა და მზად იყო ცოდვებიც მიეტევებინა in extremis.¹ პოლიციელები თვალყურს ადევნებდნენ და წესრიგის დაცვას ლამობდნენ. უხმეს მეხანძრეებსაც და მალე მათი საყვირების ხმაც გაისმა. მეხანძრეებმა სახლის კედელზე კიბე აღმართეს და საშინელი ბრძოლის შემდეგ ხელთ იგდეს გაშმაგებული მოხუცი, რომელიც ისე სასოწარკვეთით უძალიახდებოდათ, რომ ხელი იღრძო. ძირს ჩამოიყვანეს თუ არა, მაშინვე საგაიეთში გააქანეს*.

მორისმა შინ, თავისიანებთან ისადილა და ყველას კმაყოფილების ღიმილი მოერია პირზე, როცა ვიქტორმა, მოხუცმა მებრძოლმა შემწვარი ხბო შემოიტანა*. აბატი პატუი, ქრისტიან დედას მხარმარჯვნივ რომ უჯდა, ნეტარებით შესცქეროდა ამ ცისგან კურთხეულ ოჯახს. ქალბატონი დ'ესპარვიე კი საგოხებელში იყო ჩავარდნილი. დღე არ გავიდოდა ისე, უშვერი ლანძღვა-გინების უსახელო წერილი არ მიეღო; ჯერ იფიქრა, დათხოვნილი ლაქია თუ მიგზავნისო. მაგრამ ახლა დახამდვილებით იცოდა, რომ ამ ბარათებს მისი უმცროსი ქალი, ჯერ უწლოვანი ბერტა სწერდა. პატარა ლეონმაც ბევრი სავაგლახო და საწუხარი გაუჩინა... ცუდლუტობდა და ავ ზნეს იჩენდა. მის სისასტიკეს ყველა გაოცებაში მოჰყავდა: ცოცხლად გაპუტა თავისი დის იადონები, ქინძისთავებს ურჭობდა სავარძელში, სადაც მადმუაზელ კაპორალი ჯდებოდა; და თოთხმეტი ფრანკი მოჰპარა ამ საცოდავ ქალს, რომელიც დილიდან საღამომდე იცრემლებოდა და ცხვირს იხოცავდა.

სადილობას მორჩნენ თუ არა, მორისი რომის ქუჩაზე გავარდა. ერთი სული ჰქონდა, თავისი ანგელოზი კვლავ ეხილა. კართან მისულს ხმამაღალი ლაპარაკი შემოესმა და გამოცხა-

¹ In extremis — სულისხდომისას (ლათ.).

დების ოთახში თავშეყრილი არკადი, ზიტა, მუსიკოსი ანგელოზი და ქერუბი დაინახა. თავადი საწოლზე გამხლართულიყო, ვეება სიგარას ეწეოდა და დაუდევრად წვავდა ბალიშებს, ზეწრებსა და საბნებს. ანგელოზებმა გადაკოცნეს მორისი და უთხრეს, ცად ვეშურებითო. სახე გაბრწყინებოდათ სიხარულისა და სიმამაცისგან. მხოლოდ „გოლკონდის დედოფალ ალინის“ შთავონებული ავტორი ღვრიდა ცრემლებს და ცისკენ აღემართა თავზარდაცემული მზერა. ქერუბინმა ძალით ჩაითრია იგი ჯანყში. უთხრა, ორი გზალა დაგრჩენია, ან მიწაზე, ციხეში უნდა აღმოგხდეს სული, ან იალდაბაოთის სასახლეში შეიჭრა ცეცხლითა და მახვილითო.

მორისმა მწუხარებით შენიშნა, რომ მის მეგობრებს დედამიწაზე აღარ უდგებოდათ გული. უსაზღვრო იმედით აღსავსენი გზას ეშურებოდნენ და ეს იმედი ფუჭი სულაც არ გახლდათ. მართალია, ცოტა მებრძოლი ჰყავდათ, ცათა სულთანის ურიცხვი მხედრობისათვის რომ დაეპირისპირებინათ, მაგრამ რიცხვით სიმცირის ანაზღაურებას უეცარი, მედგარი თავდასხმით ფიქრობდნენ. ისიც კარგად უწყოდნენ, რომ იალდაბაოთი, თუმცა თავს ითნევს, ყველაფერი ვიცის, ზოგჯერ სრულიად მოუშადადებელი ხვდება განსაცდელს. ასედაც დაემართებოდა იმ პირველი აჯანყების ჟამს, მიქაელ მთავარანგელოზის რჩევისათვის ყური რომ არ ეგდო. ცათა მხედრობა სულაც არ გაუმჯობესებულა მოჯანყებზე გამარჯვების დღიდან, ჟამთასვლას რომ უსწრებდა წინ. შეიარაღებითა და აღჭურვილობით ისევე ჩამორჩენილი იყო, როგორც მარკოპოლთა ლაშქარი. მისი მხედართმთავრები სიზარმაცესა და უვიცობაში ჩაფლულიყვნენ. სიმდიდრითა და პატივით აღსავსეთ ზეიმი და მხიარულება ერჩიათ ომით დამაშვრალობას. მიქაელ მთავარსარდალი უწინდებურად ერთგული და მამაცი იყო, მაგრამ საუკუხეთა მანძილზე მგზნებარება და გამბედაობა დაეკარგა. 1914 წლის შეთქმულნი კი, პირიქით, ნგრევის მეცნიერული ხელოვნების ყველაზე ქმედითი და უახლესი მონაპოვრებით იყვნენ აღჭურვილნი. ერთი სიტყვით, ყველაფერი მომზადებული და გადაწყვეტილი იყო. მოჯანყეთა ლაშქარი, ასი ათას ანგელოზს რომ ითვლიდა, დედამიწის ყველა უდაბნოებში, სტეპებში, პამპასებში, ქვიშრობებში, თოვლიანსა და ყო-

ნულოვან ველებზე დაბანაკებულიყო და ერთი სული ჰქონდა საომრად ცაში აჰრილიყო.

იმ ატომთა რიტმის შეცვლით, რომლებსგანაც არიან შეთხზულნი, ანგელოზებს ძალუძთ გააპონ ნებისმიერი გარემო. დედამიწაზე ჩამოსულ სულებს, ხორცშესხმის შემდეგ ერთობ ზრქელი სუბსტანციისა რომ არიან, თავისით ფრენა აღარ შეუძლიათ; ეთეროვან სივრცეში ასაჰრელად და იქ განსაბხევად თავიანთ ძმათა შემწეობა სჭირდებათ, ძმებისა, მათსავით ჯანყს რომ ადგანან, მაგრამ ემპირეა არ დაუტევებიათ და ამდენად არამატერიალურნი კი არ დარჩენილან (სამყაროში არამატერიალური ხომ არაფერია), არამედ შეინარჩუნეს ენით უთქმელი სიმსუბუქე და გამჟვირვალეობა. ცხადია, არკადი, იშთარი და ზიტა შიშის ჟრუანტელის უმისოდ როდი ემზადებოდხენ დედამიწის სქელი ატმოსფეროდან ზეცის კამკამა უფსკრულებში გადასასვლელად. ეთერში შესაღწევად ისეთი ძალი უნდა იხმიონ, რომ თვით უმამაცესნიც დიდხანს ყოყმანობენ, სანამ გადაწყვეტენ აფრენას. მათი სუბსტანცია, ცის კამკამა სფეროში რომ შეიქრას, თვითონაც უნდა დაიწმინდოს. ორთქლად იქცეს, გაიზარდოს და სიდიდით იმ უზარმაზარ ღრუბლებს გაუტოლდეს, რომელთაც ოდესმე მოუცავთ ჩვენი დედამიწა. მალე სივრცე-სივრცით გაუსწრებენ ტელესკოპით საჩინო პლანეტებს, რომელთა ორბიტებსაც შეუმჩნევლად განვლიან თვალით უხილავნი. ამაზე დიდი ძალისხმევა თავის დღეში არ მოუწევთ ანგელოზებს, მათი სუბსტანცია ხან ცეცხლზე უფრო მგზნებარე იქნება, ხანაც ყინულზე უფრო ცივი და ცად მავალნი სიკვდილზე უარეს სატანჯველს გადაიტანენ.

მორისმა არკადის თვლებში ამოიკითხა, რა სიმამაცეს მოითხოვდა და რა ძნელად შესამართი იყო ეს საქმე.

— მაშ, მიდიხარ? — უთხრა არკადს ტირილით.

— ნექტერთან ერთად მივაკითხავთ დიდ მთავარანგელოზს, ვინც გამარჯვებისაკენ უნდა გაგვიძღვეს.

— ასე ვის უწოდებ?

— მას, ვინც დემიურგის ქურუმებმა თქვენს თვალში ცილისწამებით შებღალეს.

— უბედურო! — ამოიოხრა მორისმა.

მერე ხელებში ჩარგო თავი და ატირდა.

და უპანასენელი, სადაც თვალწინ გადაგვაშლება.
სატანას დიდებულნი სიზმარი

განგის ნაპირას, ლიანებში ჩაძირულ ტაძრამდე გამართული შვიდი მალალი ტერასა რომ აიარა, ხუთმა ანგელოზმა დიდი ხნის ფეხდაუკრავი ბილიკი განვლო და მიალწია სურნელოვანი მტევნებითა და კრეჭია მაიმუნებით სავსე ბაღს, სადაც თვალი ჰკიდა მას, ვის სანახავადაც იყო მოსული. მთავარანგელოზი მხარ-თედოზე წამოწოლილიყო, იდაყვებით დაყრდნობოდა შავ ბალიშებს, რომლებზედაც ოქრომკედით ცეცხლის ალები იყო ამოქარგული. მის ფერხთით ნებივრად გაწოლილიყვნენ ლომები და ნიამორები. ხეებზე შემოხვეულ მოთვიხიერებულ გველებს მისთვის მიეპყროთ. ალერსიანი მზერა. სტუმრად მოსული ანგელოზების დანახვაზე ნაღველი გაუკრთა თვალეში. როცა ყურძნის მტევანთა გვირგვინით შუბლშემკული, ვაზის ლერწისგან ნაკეთები კვერთხით ხელდამშვენებული მოძღვრავდა და ნუგეშს სცემდა ადამიანებს, გული მაშინაც ხშირად მოწურვია მწუხარებით, მაგრამ იმ დიდებული დაცემის დღიდან მის მშვენიერ სახეს ჭერაც არასოდეს გამოუხატავს ამდენი ურვა და კაეშანი.

ზიტამ მოახსენა, ათასობით შავი ბაირალი ფრიალებსო დედაძიწის ყველა უდაბნოში; ცის ყველა უბანზე, სადაც პირველმა აჯანყებამ იფეთქა, ანგელოზებს ხსნის გზები დასახული აქვთ და საომრად არიანო შემართულნი; მერე დასძინა:

— თავადო, შენი მხედრობა შენდა მოგელის. გვიწინამძღვრე და გაგვიძეხ გამარჯვებისაკენ.

— ძმებო, — მიუგო დიდმა მთავარანგელოზმა, — წინდაწინვე ვიცოდი თქვენი სტუმრობის მიზანი. აგე, იმ დიდი ხის ჩრდილში გელით ხილით სავსე კალათები და თაფლის ფიჭვები. მზე საცაა ჩაესვენება წმიდა მდინარის ტალღებში. შიმშილს რომ მოიკლავთ, ტკბილად გამოიძინებთ ამ ბაღში, სადაც გონიერება და სიტკბოება მეფობს მას მოღმა, რაც განუდევნე ბებერი დემიურგის სული; ხვალ კი პასუხს გეტყვით.

ღამემ ბაღს გადაახურა თავისი ლურჯი საბურველი. სატანას ჩასთვლიმა და იხილა სიზმარი. სიზმრად დედაძიწას დაჰა

ფრენდა თავს და საითაც არ გაიხედავდა, ყველგან მოჭანყე ანგელოზებს აწყდებოდა; ყველა მათგანი მშვენივრით ღმერთს მოჰგავდა, ელვას აკვესებდნენ მათი თვალები. ერთი პოლუსიდან მეორემდე მირიადობით შეძახილი ერთ ყიჟინად შენივთულიყო და იმედითა და სიყვარულით აღსავსე მისკენ მოიწევდა. და თქვა სატანამ:

— გავსწიოთ, ძმებო მის მაღალ საუფლოში მივუხტეთ ძველ მტერს.

და ციურ ტრამალებზე გაუძღვა ანგელოზთა ურიცხვ ლაშქარს. და ემცნო სატანას, რა ხდებოდა ციურ ციტადელში. როცა ამ მეორე აჯანყების ხმა მისწვდა იქამდის, მამამ ძენს უთხრა:

— ჩვენი მოსისხლე მტერი ისევ აღმსდგარა. ჩვენც განვემზადოთ, საომარი თადარიგი დავიჭიროთ, რათა ხელიდან არ გამოგვეცალოს ჩვენი ტახტი და საბრძანისი.

მამის ერთარსმა ძემ მიუგო:

— ჩვენ ვძლევთ მტერს იმ ნიშნის ქვეშ, რომელმაც გამარჯვება მოუტანა კონსტანტინეს*.

გულისწყრომამ მოიცვა უფლის მთა. ერთგულმა სერაფიმებმა ჯერ უსაზომო ტანჯვა-ვაება უქადეს მემამოხეთ; მერე დაიწყეს ფიქრი, როგორ ეძლიათ აჯანყებულნი. ყოველ მათგანს გულში დანთებული მრისხანება აღმურს უდებდა სახეზე. გამარჯვებაში ექვი არ ეპარებოდათ, მაგრამ ლალატისა ეშინოდათ და ამთავითვე მოითხოვდნენ, საუკუნო წყვდიადში დაეწითათ მოლაღატენი და ავი ენების მიმტან-მომტანნიო. მღეროდნენ ძველთაძველ ჰიმნებს, ესალმებოდნენ უფალს. მისტიურ ღვინოს ეწაფებოდნენ. იტყოდით, მეტისმეტად გაბერილი სიმამაცე თითქოს ველარ გაუძღვებდა დაძაბულობას და იღუმალი შფოთვა ისადგურებდა სულის ბნელ წიაღებში. მთავარსარდლობა მიქაელ მთავარანგელოზმა იკისრა. სხვებსაც სიმშვიდეს მოჰბერავდა თავის სიმშვიდით. სახეზე ცხადად აღბეჭდვოდა სულისკვეთება და შეატყობდით, რომ ზიზლით ხვდებოდა განსაცდელს. მისი ბრძანებით ხანგრძლივი მშვიდობიანობის ჟამს გასუქებული ქერუბინები წმიდა მთის მისადგომებთან მძიმე ნაბიჯით მიმოდინდნენ, ხარისებური თვალებით უფლის ცეცხლოვან ღრუბლებს მისჩერებოდნენ და ცდილობდნენ პოზიციებზე ჩაერიგებინათ ციური ბატარეები. თავ-

დასაცავი ზღუდეები რომ დაათვალიერეს, უფალს მოახსენეს, ყველაფერი მზადააო. შემდეგ იწყეს თათბირი, რა გზას დასდგომოდნენ. მიქაელმა ბრძანა, შეტევა სჯობსო. ბრძოლებში გამოცდილ-გამობრძმედილ მეომარს სწამდა: ომის უზენაეს კანონის ძალით ან შენ უტევ, ან აქეთ გიტევენ; სხვა გზა არ არსებობსო.

ესეც არ იყოს, დასძინა მან, ყველაზე მეტად შეტევა ჰფერობს საყდართა და უფლებათა სიფიცხესო. სხვა დანარჩენზე სიტყვაც კი ვერ ამოგლიჯეს პირიდან და ეს დუმილი გამარჯვებაში თავდაჯერებად მიუთვალეს მამაც მხედართმთავარს.

როგორც კი მტრის მოახლოება ამცნეს, მიქაელმა მათ შესახვედრად სამი ლაშქარი დასძრა მთავარანგელოზების: ურიელის, რაფაელისა და გაბრიელის წინამძღოლობით. აღსავლის ფერი დროშები აფრიალდნენ ეთეროვან ველებზე, ელვა დაატყდა ვარსკვლავთ ფილაქანს. სამ ღღესა და სამ ღამეს არ უწყოდნენ უფლის მთაზე, რა ბედი ეწია მათ სათაყვანო, მრისხანე მხედრობას. მეოთხე ღღეს, გამთენიისას, რაღაც ბუნდოვანი და გაურკვეველი ხმები მოვიდა. თითქოს გამარჯვებისა იყო ის ხმები, ვძლიეთ მტერი, გავაქციეთო, მაგრამ დანამდვილებით არავინ არაფერი უწყოდა. საგმირო საქმეთა ამბავს ამბავი ემატებოდა და რამდენიმე საათში ბათილდებოდა. ირწმუნებოდნენ, რაფაელმა მოჩანყეებს რომ ელვის ისრები აძგერა, მთელი ესკადრონები გაანადგურაო. სხვებს დახამდვილებით შეეტყოთ, ის რაზმები, უწმინდური ზიტა რომ მეთაურობდა, მოსრა ცეცხლის ქარიშხალმაო. ამბობდნენ, მძვინვარე იშთარი უფსკრულში შთაეარდა, ისე უეცრად წავიდა თავდაყირა, რომ ბაგეთაგან ამოსულ ღეთისგმობას უმსგავსი პრაწაპრუწიცი მოაყოლაო. ყველას გულით ეწადა ერწმუნა, რომ აღმასის ბორკილებდადებული სატანა ხელახლა გადაეხაფრათ უფსკრულში. თუმცა სამი ლაშქრის მეთაურებს ჯერ მაცნე არ გამოეგზავნათ. ძლევის ხმებს რაღაც ყრუ ხმებიც ერეოდა და შიშს აღუძრავდათ. ამბობდნენ, ბრძოლის ბედი ჯერ არ არის გადაწყვეტილი, ჩვენს ლაშქარს უკანდახევა მოუხდაო. ზოგი კადნიერად იმასაც გაიძახოდა, ერთმა სულ ბოლო კატეგორიის სულმა, მფარველმა ანგელოზმა, ვიღაც არკადმა სამი დიდი მთავარანგელოზის ბრწყინვალე მხედრობა არივ-ღარია და დაირეკაო.

მალე ხმა დაირხა, ჩრდილოეთის ცაში, სადაც ოდესღაც, ეპითასვლის უწინ აჯანყებამ იფეთქა, ახლაც მრავალი შეუდგა ლალატს და მტერს მიეკედლაო. ზოგს თავის თვალით ენახა შავ ღრუბლად წამოსული უწმინდური ანგელოზები დედამიწაზე შექმნილ მოჩანყეთა ჯარებს როგორ უერთდებოდნენ. მაგრამ კარგი მოქალაქენი ყურს როდი ათხოვებდნენ ამ საზარელ ხმებს და ხარბად ეწაფებოდნენ გამარჯვების ამბებს, პირიდან პირში რომ გადადიოდა და თანდათან მეტ დამაჯერებლობას რომ იძენდა. ზევით ძღვევის პიმნი დააგუგუნეს; სერაფიმებმა არფებს ჩამოჰკრეს ხელი, ბარბითი აახმიანეს და ქება შეასხეს საბაოთს, მეხთა მეუფეს. ნეტართ გალობა შეუერთდა ანგელოზთა ხმას უხილავი ღმერთის სადიდებლად. იმის გაფიქრებისას, მტერზე ღვთაებრივ რისხვის დამტეხთ უწმინდურები მოსრესო, ყველას შვეების ოხვრა აღმოხდა; ათასობით ძახილი ერთად შენივთდა და ციურ იერუსალიმში აიჭრა უხეხავისაყენ. მაგრამ ნეტართ ღებნას ისედაც მიელწია უმაღლეს წყარტილამდე და უმწვერვალეს ბედნიერებას სრულიად უგრძობელნი გაეხადა ისინი.

სიმღერა ჯერ მიმწყყდარიც არ იყო, როს ზღუდეებზე მოდარაჯე მცველებმა შენიშნეს ღვთაებრივი მხედრობის პირველი ლტოლვილნი: თავპირდალწილი სერაფიმები, უწესრიგოდ რომ მოფრინავდნენ და ყავარჯნებზე მოკელანე, სახეშეშლილი ქერუბინები. აუმიღერეველი მზერით უმზერდა ომის თავადი მიქაელი თავს დამტყდარ დიდ უბედურებას და მისი სხივნათელი გონება ამ მარცხის მიზეზთ აშკარად ჰკრეტდა. ცხოველი ღმერთის მხედრობა კვლავ იერიშით წამოვიდა. მაგრამ განგების ნებით, ომში რომ ფუშავს ხოლმე თვით უდიდესი მხედართმთავრის გეგმებსაც, მტერიც შეტევაზე გადავიდა და შედეგმაც არ დააყოვნა. ციტადელის კარი გაიღო თუ არა, რათა შეეშვა სახელოვანი, თავპირდალწილი სამი არმიის ხარჩენები, ცეცხლის წვიმა წამოვიდა უფლის მთაზე. სატანის ლაშქარი ჯერ არ ჩანდა და ტოპანის კედლები, ზურმუხტის თაღები, აღმასის სახურავები საშინელი გრუხუნით ჩამოიქცხენ ელექტროფორების ცეცხლის ქვეშ. მეხის ძველთაძველმა ღრუბლებმა პასუხის გაცემა სცადეს, მაგრამ მათი ცეცხლი შორს ვერ აღწევდა და მათგან ნატყორცნი მეხიც უდაბურ ველებში იკარგებოდა.

უხილავ მტერთაგან ლახვარდასობილმა ერთგულმა ანგე-
ლოზებმა თავი ანებეს ზღუდეებს. მიქაელი ვახლა თავის ღმერ-
თსა და მოახსენა, წმიდა მთა ოცდაოთხ საათში დაეცემა, ღე-
მონთა ხელში გადავა და სამყაროს უფალს მხოლოდ გაქცევადა
თუ გიხსნითო. სერაფიმებმა სკივრებში ჩააწყვეს ციური გვირ-
გვისის თვალნი პატიოსანნი. მიქაელმა მკლავი შესთავაზა ცათა
დედოფალს და ღვთაებრივი ოჯახი სასახლიდან გაიქცა პორ-
ფირის მიწისქვეშა გასასვლელით. ციტადელს ცეცხლის წვიმა
აწვიმდა. კვლავ დაიკავა თავისი საბრძოლო პოსტი. სახელო-
ვანმა მთავარანგელოზმა, ფიცით თქვა, ჩემს დღეში არ დაე-
ნებდებიო და მყის გამოატანინა ცხოველი ღმერთის ბაირადე-
ბი. იმავ საღამოს აჯანყებულთა ლაშქარი შევიდა სამგზის
წმიდა ქალაქში. ცეცხლის რაშზე ამხედრებული სატანა წინ
პიუძლოდა თავის დემონებს. უკან მოსდევდნენ არკადი, იშ-
თარი და ზიტა. და ისევე, როგორც დიონისეს დღესასწაულებ-
ზე, სულ ბოლოს თავის ვირუკაზე გადამჯდარი ნექტერი მოჰ-
ყვებოდათ. მიქაელმა გამარჯვებული მთავარანგელოზის ფერ-
ხით დადო ცეცხლოვანი მახვილი.

— აიღეთ ეგ თქვენი ხმალი, მიქაელ, — უბრძანა სატა-
ნამ, — ლიუციფერი გიბრუნებთ ამ მახვილს. მოიხმარეთ იგი
მშვიდობისა და კანონიერების დასაცავად.

შეძდეგ მზერა მოავლო ციურ ფალანგათა მეთაურებს და
მკეპარე ხმით შესძახა:

— მთავარანგელოზო მიქაელ, და თქვენ, მთავრობანო,
საყდარნო და უფლებანო, ერთხმად შემომფიცეთ, რომ ერთ-
გულნი იქნებით თქვენი ღმერთისა.

— ვფიცავთ, — იხუვლა ყველამ ერთხმად.

და თქვა სატანამ:

— ძალნო, საყდარნო და უფლებანო, გარდახდილ ომის-
გან აღარაფრის გახსენება არ მსურს, გარდა იმ უდრეკი სიმა-
ძაცისა, თქვენ რომ გამოიჩინეთ და იმ ერთგულებისა, ძალა-
უფლებისადმი რომ შეინარჩუნეთ. ვინ მითავმდებებს, რომ
ჩემთვის მოცემულ ფიცსაც არ გასტეხთ.

მეორე დღეს ეთეროვან ველზე სატანამ შავი ბაირადები
დაურიგა მხედრებს. ფრთოსანი ჯარისკაცები ეამბორნენ მათ
და ცრემლებით დაალტვეს.

და სატანამ თავი გამოაცხადა ღმერთად. ციური იერუსა-

ლიმის ბჭეს მოაწყდნენ მოციქულები, პაპები, ქალწულები, მოწამენი, აღმსარებელნი; რჩეულთა მთელი ეს ჯარი, საზარელი ბრძოლის ეამს საუცხოო სიმშვიდით რომ იყო მოცული, გვირგვინის დადგმის შემხედვარე უსაზღვრო ლხენას ეძლეოდა. ნეტარნი აღტაცებით უცქერდნენ, როგორ გადახაფრეს ჯოჯოხეთს ყოვლადმაღალი და როგორ დაბრძანდა სატანა უფლის ტახტზე. უფლის ბრძანებით მწუხარება აკრძალული ჰქონდათ და მათაც ძველ ხმაზე იმღერეს ახალი ბატონის სადიდებელი.

და სატანამ მიდამოს მოავლო გამჟოლი მზერა, გადახედა მიწისა და წყლის ამ პატარა სფეროს, სადაც ოდესღაც ღარგო ვაზი და შექმნა პირველი ტრაგიკული გუნდი. დააცქერდა იმ რომს, სადაც ძლეულმა ღმერთმა შეთქმულებებითა და სიცრუით დაამყარა თავისი ძალაუფლება. იმხანად წმიდანი მართავდა ეკლესიას. სატანამ შენიშნა, რომ იგი ლოცულობდა და ტიროდა. და რქვა მას:

— მე შენ მოგანდობ ჩემს მეუღლეს. ერთგულად მსახურებდე. განიკებ ძალაუფლებას დააფუძნო დოგმატები, დააწესებდე როდის ხამს წმიდათა საიდუმლოთა აღსრულება, შექქენ კანონები ზნეობის დასაცავად. ყველა მორწმუნე მათ მორჩილებდეს. ჩემი ეკლესია საუკუნოა და ჯოჯოხეთის კარიბჭენი მას ვერ სძლევენ. შენ უცდომელი ხარ. არაფერი შეცვლილა.

და მოციქულთა მესაყდრემ იგრძნო, როგორ აივსო ლხენით. განერთხო მიწას და ფილაქანზე შუბლდასობილმა მიუგო:

— უფალო ღმერთო, ვიცან შენი ხმა. შენი სუნთქვა გულს მალამოსავით მომეფინა. კურთხეულ იყოს სახელი შენი, იყავნ ნება შენი დედამიწაზეც ისევვე, ვითარცა ცაზე. ნუ შეგციყვანებ განსაცდელში; განგვარიდე ბოროტისაგან.

და სატანას დიდად ეამა ქება-დიდება და თაყვანისცემა. მოსწონდა, როცა უქებდნენ სიბრძნესა და ძლიერებას. აღტაცებით უსმენდა ტერუბინთა ქებათა ქებას, მისთა კეთილთა საქმეთა სადიდებლად აღვლენილს; აღარაფრად ექაშნიკებოდა ნექტერის საღამურის ჰანგები, რადგან ის ხმები ადიდებდნენ ბუნებას, თითოეულ მლილსა თუ ბალახის ღეროს მის წილ

ძალასა და სიყვარულს მიჰკერძავდნენ. უგალობდნენ სიხარულსა და თავისუფლებას. სატანას ოდესღაც ტანში ზარავდა იმის გაფიქრებაზე, რომ მწუხარება მეფობდა ქვეყნად, ახლაც კი მის გულს სიბრაღული აღარ ეკარებოდა. ტანჯვა-წვალებასა და სიკვდილს ისე უტკებდა, როგორც საკუთარი ყოვლისშემძლეობისა და უზეშთავისი სიკეთის ნაყოფს და მსხვერპლთა სისხლიც ისე მიიწევდა მისკენ, როგორც საამური რამ საკმეველი. მოიძულა ცნობისწადილი და შერისხა გონიერება. თავად აღარ სურდა რაიმეს შესწავლა იმის შიშით, სწავლას დაწაფებულს რომ მნახავენ, ეჭვი შეუვათ, იმთავითვე ყოვლისმცოდნე არ ყოფილაო. მოსწონდა, იღუმალების საფარველში რომ იყო გახვეული და ფიქრობდა, დავმცირდები, თუ შემიცვნესო და თავს შეუცნობლად აჩვენებდა. ტვინი ძნელად საწვდომი თეოლოგიით ჰქონდა დაბინდული. ერთ დღეს განიზრახა თავი თავისი წინამორბედის დარად ერთ, სამპირიან ღმერთად გამოეცხადებინა. ამას რომ ბრძანებდა, თვალი მოჰკრა დამცინავად მლიმარ არკადს და გააძევა. და წარხდნენ საუკუნენი, ვითარცა წამი ერთი. ერთ დღეს თავისი ტახტის სიმალლიდან მზერა დაასო უფსკრულის ძირს და თვალი ჰკიდა იალდაბაოთს, გენაში თავის სანაცვლოდ რომ გადახაფრა. იალდაბაოთს მარადიულ წყვდიადშიც შეენარჩუნებინა უღრეკი სიამაყე. დანახშირებულმა, დამსხვრეულმა, საზარელმა და დიდებულმა ცათა მეუფის სასახლისაკენ აღმართა ზიზლით აღსავსე მზერა და შემდეგ ისევ იბრუნა პირი. ახალმა ღმერთმა დიდხანს უტკებდა თავის მოწინააღმდეგეს და დაინახა მის ტანჯულ სახეზე როგორ გაკრთა გონიერებისა და სიკეთის ნაპერწკალი. მერე დედამიწას დაატკებდა და რა იხილა, ბოროტება და ტანჯვა იყო გამეფებული, გული კეთილი საქმისათვის აუჩქროლდა. მყის ზეწამოიჭრა, ეთერი გააპო თავისი უზარმაზარი მკლავებით, ნიჩბებს რომ მოჰგავდა, და გადმოიჭრა ციდან, რათა განესწავლა და დაემშვიდებინა ადამის მოდგმა. და აი უკვე მის ვეება ჩრდილს პლანეტისათვის ტრფობის დამესავით ნაზი, საამო ბინდი მოჰქონდა.

და ყინულის ოფლში გაწურულ სატანას გაედვიძა.

ნექტერი, იშთარი, არკადი და ზიტა გვერდში ედგნენ. ისმონდა იადონთა გალობა.

— ძმებო, — უთხრა დიდმა მთავარანგელოზმა, — მოდიოთ,

თავი ვანებოთ ზეცის დაპყრობას. საკმარისია, რომ საამისო ძალი შეგვწევს. ომი ომს წარმოშობს და გამარჯვება — დამარცხებას. ძლეული ღმერთი სატანად იქცევა, მძლევეარი სატანა კი — ღმერთად. ბედმა მაშოროს ეს საშინელი ხვედრი! მე მიყვარს ჯოჯოხეთი, რომელმაც გამოაწრთო ჩემი გენია, მიყვარს მიწა, რომლის წიაღშიაც ცოტაოდენი სიკეთე მაქვს დათესილი, თუკი შესაძლოა სიკეთის თესვა ამ საზარელ ქვეყანაზე, სადაც სკლერნი მხოლოდ მკვლევლობით ირჩენენ თავს. ახლა ჩვენის ძალით ბებერ ღმერთს წავგვარეთ მიწის საუფლო და ყველა არსება, რომელსაც კი ფიქრი შეუძლია ამ სფეროზე, მას ათვალწუნებით უმზერს, ან სულ არ იცნობს, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, მონებენ თუ არა ადამიანები იალდაბაოთს, თუკი იალდაბაოთის სული ისევ მათ შორის ტრიალებს, თუკი ისინი მასავით შურიანები, სასტიკნი, მოჩხუბარნი, ხარბნი, გაუმაძღარნი, ხელოვნებისა და სილამაზის მოძულენი არიან? რა ბედენაა, რომ დაამხეს სასტიკი დემიურგი, თუკი ყურს აღარ ათხოვებენ კეთილ დემონებს, რომლებიც მათ ჭეშმარიტებას უქადაგებენ: დიონისეს, აპოლონსა და მუზებს? ჩვენ, ციურმა სულებმა, ზვიადმა დემონებმა ჩვენდათავად უკვე დავამხეთ ჩვენი ტირანი იალდაბაოთი, თუკი გულიდან ამოვიძირკვეთ უვიცობა და შიში.

და სატანა მიუბრუნდა მეზადეს:

— ნექტერ, შენ ჩემთან ერთად იბრძოდი სამყაროს შობამდე. მაშინ იმიტომ ვიძლიეთ, რომ არ ვუწყოდით: გამარჯვება ოდენ სულია და რომ ჩვენში და მხოლოდ ჩვენში უნდა ვძლიოთ იალდაბაოთი.

კომენტარები

გვ. 5. მეორე იმპერია — ანუ იმპერია ნაპოლეონ III-ისა (1852—1870).

გვ. 6. ხელი არ შეეწყო კონგრეგაციებზე ფერის დეკრეტის გატარებისათვის — 1880 წლის 29 მარტის დეკრეტით, განათლების მინისტრმა ფერიმ რომ წამოაყენა, საფრანგეთის მთავრობამ შესთავაზა იეზუიტებს დაეხურათ თავიანთი სასწავლებლები; დანარჩენ კონგრეგაციებს (ერთსა და იმავე ორდენში შემავალ მონასტერთა გაერთიანებებს) მიეცათ საშუალება გადა თავიანთი ლეგალიზაციის საკითხის გასარკვევად.

რა დაინახა, ბ-ნ ფალიერის პრეზიდენტობის დროს დეციუსისა და დიოკლეთიანეს ხანა დაბრუნდა — რომის იმპერატორები დეციუსი (249—251) და დიოკლეთიანე (284—305) ქრისტიანობას დევნიდნენ. პრეზიდენტ არმან ფალიერის (1906—1913) დროს, როცა გამოიკა კანონი ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფის შესახებ (1905 წ.), საფრანგეთში იხურებოდა მონასტერთან არსებული სკოლები, მონასტრებს აკრიდნენ მამულებს, საეკლესიო ქონების ნაწილი გადაეცა საქველმოქმედო დაწესებულებებს.

1801 წლის კონკორდატი — შეთანხმება ნაპოლეონ I და პაპ პიუს VII შორის, რომელიც საფრანგეთში მოქმედებდა 1905 წლამდე. ამ შეთანხმების ძალით კათოლიციზმი საფრანგეთის სახელმწიფო რელიგიად იყო აღიარებული.

საკრე-კერი („იესოს გული“) — „იესოს გულის“ კულტი, რომელიც პაპმა პიუს IX შემოიღო საფრანგეთში 1874 წელს; მიმართული იყო საფრანგეთში პაპის სიმოქალაქო ძალაუფლების აღსადგენად და რეაქციულ წრეების მხარდაჭერით სარგებლობდა.

მესამე რესპუბლიკა — გამოცხადდა 1870 წლის 4 სექტემბერს, ნაპოლეონ III დამხობის შემდეგ.

გვ. 7. სიმპოსისა და ამბროსისდროინდელი რწმენის საკითხები — სიმპოსი (IV სკ.) — რომელიც მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე, იცავდა ინტიკურ რელიგიას; მისი მოწინააღმდეგე იყო მილანელი ეპისკოპოსი ამბროსი, რომელიც გააფრთხილებით ებრძოდა წარმართობას და სხვადასხვა ერესებს ქრისტიანობაში.

როცა გაცხარებული დავა იყო სახელმწიფოდან ცლენის გამოყოფის თაობაზე — კანონპროექტი ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფის შესახებ გამოიტანეს პარლამენტში 1904 წლის ოქტომბერს და დამტკიცებულ იქნა 9 დეკემბერს გაცხარებული დებატების შემდეგ.

„ქალწული“ — სტირულ-ანტიკლემტიკალური პოემა ვოლტერისა „ორ-
ლენელი ქალწული“ (1730—1735).

გვ. 8. გელესიასტი — ბიბლიის ერთ-ერთი წიგნი, რომელიც მეფე სო-
ლომონს მიეწერებოდა; მასში ლაპარაკია ამიერსოფლად კაცთა ყოფის
აშაობაზე.

როცა საფრანგეთის გელესიას ხასტიკი დევნა დაუწყეს — ე. ი. 1880-
იანსა და ცხრაასიან წლებში, როცა მიღებულ იქნა კანონი, რომელიც
ზღუდავდა კათოლიკური ეკლესიის საქმიანობას და მის გაუღენას საფრან-
გეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

გვ. 9. ლურდი — ქალაქი საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთით, სა-
დაც XIX სკ. შუა წლებიდან მლოცველები მიედინებოდნენ ლურდის
„სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის“ სათაყვანოდ; კათოლიკური პროპა-
განდის ერთ-ერთი ძირითადი ცენტრი. ლურდის სასწაულთა მხილებას
ედძენება ე. ზოლას რომანი „ლურდი“ (1894 წ.). იმავე 1894 წელს ფრანს-
უაკ გამოაქვეყნა სტატია „ლურდის ღვთისმშობლისათვის“, რომელიც
შემდგომ შეიტანა წიგნში: „ეპიკურეს ბაღები“ (სათაურით: „სასწაულისა-
თვის“).

გვ. 11. ყოველივე, რაც ფიზიკას მოხდევს — ანუ ფილოსოფია (მეტა-
ფიზიკა); ძველ დროში მიღებული წესის თანახმად არისტოტელეს ფილო-
სოფიური თხზულებანი თან მოსდევდა (ბერძნ. მეტა) ტრაქტატს, რომელ-
შიაც გადმოცემული იყო მისი მოძღვრება ბუნებაზე — ფიზიკა.

პრაგმატიზმი — სუბიექტივისტურ-იდეალისტური მიმართულება IX
სკ.-ის დასაწყისის ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში. პრაგმატიზმი უარყოფდა
ობიექტურ კეშმარტებას; კეშმარტებად მიიჩნევდა მხოლოდ იმას, რაც
მოსახერხებელი იყო და სასარგებლო. ეს მოძღვრება გახლდათ იმპერიო-
ლისტური ბურჟუაზიის თეორიული საფუძველი.

გვ. 12. ბევრ თომა აქვინელსა და არიუსს წარმოშობდა — თომა აქვი-
ნელი (1225—1274) ?—შუა საუკუნეების ღვთისმეტყველი, ერთი „ეკლე-
სიის მამათაგანი“. არიუსი (IV სკ.) — ალექსანდრიელი მღვდელი, არიო-
ნელთა სექტის დამაარსებელი, სექტისა, რომელიც ოფიციალურმა ეკლე-
სიამ დაგმო.

გახენდი, მამა შერხენი, პახკალი — პიერ გახენდი (1602—1655) — ფი-
ლოსოფოს-მატერიალისტი, ფიზიკოსი და ასტრონომი; რელიგიის სფეროში
დღიშმის თვალსაზრისზე იდგა. მამა შერხენი (1688—1648) — მღვდელი,
ფილოსოფოსი დეკარტის მეგობარი; ბევრს მუშაობდა ფიზიკის დარგში.
ბლუზ პახკალი (1628—1668) — ფილოსოფოსი, ფიზიკოსი და მათემატიკო-
სი; ცნობილია აგრეთვე, როგორც ავტორი ეზუიტების წინააღმდეგ მი-
მართული პამფლეტისა „წერილი პროვენციელისადმი“ (1656—1657).

თეზეიტია — რელიგიურ ტექსტთა ახსნა-განმარტებანი.

გვ. 14. თეოდორ დე ბანელი, შარლ ახელინო, ლუი მენარი — XIX
საუკუნის მეორე ნახევრის ფრანგი პოეტები.

„პარიზის ხაიდუმლოებანი“ (1842—1848) — ევენ სიუს თავის დროს
მეტად გახმაურებული რომანი.

ბოლ-უოზეფ შენავარი (1808—1895) — ფრანგი მხატვარი, რომელიც ისტორიულ ეანრში მუშაობდა.

გვ. 15. ვიქტორ დალონი (1795—1809) — მსხვილი ფრანგი იურისტი, ავტორი წიგნისა „ზოგადი იურისპრუდენციის საფუძვლები“.

გვ. 17. ღვთაებრივი პლატონის ადამიანთა წყვილები — ძველბერძენ ფილოსოფოს-იდეალისტ პლატონს (427—347 წვენს ერამდე) ადამიანის სული წარმოდგენილი ქონდა ორცხენეშებმული ეტლის სახით: სულს სხვადასხვა მხარეს მიეზიდებიათ ფიცხი ცხენი და თვენება ცხენი, მეეტლე — გონება კი ლამობს მათ შეკავებას.

გვ. 18. სემის სულში ჩაწვდომის უეცარი გზნებით ატანილი — ე. ი. ძველებრაელ ხალხის სულში ჩაწვდომის მოწადინე, ხალხისა, რომელიც ბიბლიის მიხედვით სწორედ სემის, ნოეს ერთი შვილთაგანის შთამომავლად ითვლება.

გვ. 20. იტალიური კომედიის დოქტორებს ჰგვანანო — ავტორს მხედველობაში აქვს იტალიური ხალხური ნიღბების კომედიის მუდმივი პერსონაჟები.

გვ. 22. ელისეის სასახლე (ელისეუმი) — 1870 წლიდან საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რეზიდენცია.

ჭირაშის შვილნი — ფრანკმასონთა საიდუმლო რელიგიურ-პოლიტიკური საზოგადოების „თავისუფალ ქვისმთელთა“ წევრები, რომლებიც თავიანთი ორგანიზაციის შესაძირკვლედ იერუსალიმში იეპოვას ტაძრის ლეგენდარულ მშენებელს — ქვისმთელ ქირაშს მიიჩნევენ.

გვ. 23. ბოლანდისტები — ანუ ბოლანდისტების მიერ შედგენილი წიგნები; ბერების, უპირატესად იეზუიტების მიერ დაწერილი „წმიდანთა ცხოვრებანი“, რომლებიც აგრძელებენ ანტიკვაქენელი იეზუიტის ბოლანდის (XVII სკ.) შრომას.

მეენ დილაკრუა (1799—1868) — ფრანგი მხატვარი, საფრანგეთში რომანტიკული სკოლის უპირველესი წარმომადგენელი.

გვ. 25. ჩიშაბუეს, ჭოტოს, ბეატო ანუელიკოს სტილით — ე. ი. იტალიური ადრეული რენესანსის ტრადიციებით; ამ მხატვართა ფრესკები გამოირჩეოდა უბრალოებითა და კომპოზიციის სიმკაცრით.

გვ. 27. ანდროგენები — ორსქესიანი არსებანი.

გვ. 28. შატისი და მეტცენეე — ანრი შატისი (1869—1954), 900-იანი წლების საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე მოღერი მხატვარი; ხატავდა უმთავრესად დეკორატიულ პანოებს, რომლებიც გამოირჩეოდნენ ცინცხალი ფერებითა და უკიდურესად გამარტივებული ნახატით. ლეონ-ფრედერიკ მეტცენეე (1842—1914) — გენერალი, რომელიც მეთაურობდა საფრანგეთის ჭარებს ინდოჩინეთში და დაიპყრო კიდევ ეს მხარე XIX საუკუნის 80-იან წლებში.

გვ. 29. პიერ ანტუან ბოდუენი (1728—1769) — ფრანგი მხატვარი, უპირატესობას ანიჭებდა ფრევილურ სიუჟეტებს.

გვ. 30. იპოლიტ ფლანდრენი (1809—1884) — ფრანგი მხატვარი, ხატავდა სურათებს რელიგიურ თემებზე.

გვ. 31. ეჯ-ბენინ ბოსუე (1697—1704) — ფრანგი ეპისკოპოსი, ლუი

XIV მეფობის კლერიკალური რეაქციის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი თავის თხზულებაში „მსჯელობანი მსოფლიო ისტორიაზე“ (1681) იცავდა სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის იდეას, ისტორიაში მხოლოდ „ღვთაებრივი განგების“ გამოხატულებას ხედავდა.

გვ. 32. იოსებ ფლავიუსი (I სკ.) — იუდეველი ისტორიკოსი, ავტორი წიგნებისა: „იუდეველთა ომის ისტორია“ და „იუდეველთა სიძველენი“.

ფილიპ ვანდომელის გერმანი ლუკრეციუსი — ავტორს მხედველობაში იქვს რომაელი პოეტის, ფილოსოფოს-მატერიალისტის ლუკრეციუს კარის (98—56 წწ. ერამდე) თხზულებათა ტომი. ფილიპ ვანდომელი (1656—1727) — ფრანგი მხედართმთავარი, მალტის ორდენის წევრი.

რიშარ სიმონი (1688—1712) — ბიბლიის მქადაგებელი და კომენტატორი, ავტორი „ძველი აღთქმის კრიტიკული ისტორიისა“.

გაბრიელ ნოდე (1600—1668) — ფრანგი მწერალი და ბიბლიოგრაფი, რიშელიესა და მაზარინის წიგნთსაცავის მკველი.

გვ. 36. ხალომონ რეინაჟის ბროშურა, ბარაბასა და იესოს იგვევობას რომ ამტკიცებდა — ხალომონ რეინაჟი (1858—1882) — ფილოლოგი და ხელოვნების ისტორიკოსი. ბარაბა — ავაზაკი, შეპყრობილი იესო ქრისტესთან ერთად; როცა იუდეაში რომაელთა ნაცვალმა პონტოელმა პილატემ ხალხს უთხრა, პატიმართა შორის რომელიც გინდათ, იპატივეთო, ხალხმა ბარაბა ირჩია.

გვ. 40. დომინიკ-ვივან დენონი (1747—1826) — მხატვარი-გრავეორი, ხელოვნების ისტორიკოსი; თან ახლდა ბონაპარტს ეგვიპტის ლაშქრობაში. იმპერიის დროს საფრანგეთის სამხატვრო მუზეუმების გენერალურ დირექტორად იყო. ფრანხმა მას მიუძღვნა სტატია: „ბარონი დენონი“.

გვ. 51. დანტესა და მილტონის წარმოსახვას ბევრად შეტობს — ანუ აქარბებს იმქვეყნიური სამყაროს აღწერას დანტეს „ღვთაებრივ კომედი-აში“ და XVII სკ. ინგლისელი პოეტის ჯონ მილტონის ფანტაზიას პოემა „დაკარგულ სამოთხეში“.

გვ. 54. ვირად ვიქცი, როგორც ლუციუსი იქცა ახალგაზრდა ფოტიდახ საცხის წყალობით — ლუციუსი, II საუკუნის რომაელი მწერლის აპულეუსის ნაწარმოების „მეტამორფოზების ანუ ოქროს ვირის“ გმირი ვირად იქცა, როცა თავის სატრფოს, ფოტიდასაგან ნაჩუქარი ჭადოსნური საცხი წაისვა.

გვ. 55. ორიგენე (დაახლ. 186—254) — ალექსანდრიელი ფილოსოფოსი, ავტორი მრავალრიცხოვანი საღვთისმეტყველო თხზულებისა.

გვ. 58. დემიურგი — გნოსტიკოსები (ქრისტიანობის I საუკუნეების რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობის წარმომადგენლები) თვლიდნენ, რომ დემიურგი სამყაროს შემოქმედია, რომელსაც შუალედური ადგილი უჭირავს დაუსაბამო, ყოვლად სახიერ მამასა და ზოროტ სულს — სატანას შორის. გნოსტიკოსები ამტკიცებდნენ, დემიურგი სამყაროს უზენაეს საიდუმლოებათ არ იცნობსო.

გვ. 60. მწფოთვარე ღამე რომ გაატარა ლოთის სახლში — ბიბლიაში მოთხრობილია, რომ ღმერთმა ლოთს სტუმრად. აწვია თრი ანველოზი, რა-

თა გამოყევანა იგი ქალაბითურთ ქალაქ სოდომიდან, რომელიც ცოდვე-
ბისათვის ცეცხლის წვიმით აღხოცა.

ფან-ბატისტ ლამარკი (1744—1820) — ფრანგი მეცნიერ-ნატურალისტი,
რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ევოლუციურ თეორიას ბიოლოგიაში;
დარვინის ერთ-ერთი წინამორბედი.

ტერატოლოგია — მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის თანდაყო-
ლილ მანკს ადამიანებსა და ცხოველებში.

გვ. 69. „გოლკონდის დედოფალ აღინის ამბავი“ — ეან ბუფერის
ზღაპარი, რომელიც მეტად პოპულარული იყო XVIII საუკუნეში.

გვ. 73. აღდებარანის, ბეთელბეიჯისა და სირიუსის ღმერთები — ე. ი.
სხვა სამყაროს ღმერთები. აღდებარანი — ეარსკვლევა კუროს თანავარ-
სკვლევედში; ბეთელბეიჯე — ორიონის თანავარსკვლევედში; სირიუსი კი
მღებარეობს დიდი ძაღლის თანავარსკვლევედში.

გვ. 74. გალილეის დიალოგები, ბ-ნი ოლარის სახელმძღვანელოები —
ავტორს მხედველობაში აქვს თხზულებანი: „დიალოგი სამყაროს ორ მთა-
ვარ სისტემაზე — პტოლემეოსისა და კოპერნიკისა“ (1632) და „საუბრები
და მათემატიკური მტკიცებანი, რომლებიც ეხება მეცნიერების ორ ახალ
დარგს (1638). აღფონს ოლარი (1810—1828) — XVIII საუკუნის ფრანგუ-
ლი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიკოსი; მისმა წიგნებმა კლერიკა-
ლური წრეების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

გვ. 76. ხაკრე-კერი („იესოს გული“) — ეკლესია, აგებული პარიზში,
მონმარტრის ბორცვზე, XIX სკ. ბოლოს.

გვ. 78. იაღვეს კარავი ხაწამებელი — ძველ იუდეველთა გადასატანი
საკურთხეველი.

გვ. 81. მეცნიერების განთქმულ ბორცვზე — პარიზში, წმინდა ენეკე-
ევას ბორცვზე განლაგებულია სორბონისა და ფრანგული კოლეჯის შენო-
ბები.

გვ. 96. პოლ-ლუი კურიე (1772—1825) — ფრანგი პუბლიცისტი, ავტო-
რი მწვევე პამფლეტებისა რესტავრაციის რეჟიმის წინააღმდეგ. ანტიკური
ლიტერატურის საუცხოო მკოდნე. ფრანსი დიდად აფასებდა კურიეს და
1918 წ. გამოვიდა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი სიტყვით.

გვ. 101. „გრიბულის თავგადასავალი“ — გრიბული ფრანგული ზღაპრე-
ბის პოპულარული პერსონაჟია, ბრიყვი, რომელიც ყველაფერს უკუღ-
მართად აკეთებს ხოლმე. გრიბულის ორი თავგადასავალი შეტანილია
ქორე სანდის საბავშვო წიგნში „დიდედას ზღაპრები“.

გვ. 103. მამონა — სიმდიდრის ღვთაება ძველ სირიელებთან და აღ-
მოსავლეთის სხვა ხალხებთან. გადატანით: ანგარება, ვერცხლისმოყვარე-
ობა.

გვ. 104. კენტინ მასეისი — ან მატხისი (დაახლ. 1465—1580) — ნი-
დერლანდელი მხატვარი; მისი ნახატები გამოირჩევა ფსიქოლოგიური სი-
მართლითა და ყოფითი დეტალების სიუხვით.

გვ. 106. ქებათა ქება — ბიბლიის ერთ-ერთი წიგნი, რომელშიაც შემ-
კობილია ტურფა სულამითი — სოლომონ მეფის სატრფო.

გვ. 119. სტიმფალე, ერიმანთი, ოლბიოსი, კრაფილი — ერიმანთი, ოლბიოსი, კრაფილი მდინარეების საბერძნეთში, სტიმფალე — ტბა.

გვ. 120. მათი პირველი საკურთხეველი გაურანდავი ქვა გახლდათ, იფილენიას ხისხლით შეღებული — ძველბერძნული მითის მიხედვით იფილენია, ბერძენთა მეფის, აგამემონონის ქალი მამამ მსხვერპლად შესწირა ქალმერთ არტემიდეს, რომ მას ზურგქარი მოეკლინა ბერძენთა ხომალდებისათვის, რომლებიც ტროას აპირებდნენ საომრად გამგზავრებას. ეს მითი დედო საფუძვლად ევრიპიდეს ტრაგედიას: „იფილენია ავლიდაში“.

ელენეს ორი ძის თვალწინ — მშვენიერი ელენეს ძმებს, ე. წ. დიოსკურებს, ტყუპ კასტოროსსა და პოლიდეკეს ძველ რომში ეთაყვანებოდნენ, როგორც საომარ სიქველეთა და გამარჯვების მაცნეთა განსახიერებათ.

გვ. 121. პრიპოსი — ანტიკურ მითოლოგიაში ნაყოფიერების ღმერთი; ველ-მინდვრებისა და ხეხილთა ბაღების მფარველი; მიჩნეული იყო ტბილ განცდათა ღვთაებად. გამოსახავდნენ ვერტიკალურად აღმართული სვეტის სახით.

ლარები — რომაულ მითოლოგიაში ოჯახური კერის მფარველი ღვთაებანი.

გვ. 122. კროტალი — კასტანეტების ნაირსახეობა.

მგლის ძუძუნაქვამი — რომაელები თავს რომის ლეგენდარული დამაარსებლების, მგლის ძუძუნაწოვ რომულისა და რემის შთამომავლებად თვლიდნენ.

აზიისა და საზარელი აფრიკის ქალები და ქურუმები შემოიჭრნენ შარადიულ ქალაქში — იქ საუბარია ქრისტიანობის გავრცელებაზე, რომის იმპერიის აზიურ პროვინციებში რომ იშვა I სკ.-ში. ახალ რელიგიას ბევრი მიმდევარი ჰყავდა ჩრდილო აფრიკის ქალაქებშიც.

გვ. 126. მწუხარების მოციქული — გალიაში ქრისტიანობა გავრცელდა II საუკუნის მეორე ნახევარში: ქრისტეს მცნებას იქ ლიონელი ეპისკოპოსი პოტენი ქადაგებდა, რომელსაც ეკლესიის მამებმა „გალიის მოციქული“ უწოდეს.

გვ. 127. ავზონიუსი (IV სკ.) — ლათინი პოეტი, რომელიც გალიაშიც ცხოვრობდა. მისი პოეზია სავსეა ენტიკური მითოლოგიიდან ნასესხები სუვეტებით.

ბურგუნდები — გერმანული ტომები, რომელთაც გალიის აღმოსავლეთ ნაწილში 457 წ. ბურგუნდების სამეფო დააარსეს.

გვ. 128. ბარბაროსებმა დაამხეს იმპერია — 476 წელს რომის იმპერია დაეცა და მის ტერიტორიაზე რამდენიმე ბარბაროსული სახელმწიფო წარმოიქმნა.

გვ. 129. ეერბერი (გერბერტი) — რემისის ეპისკოპოსი, შემდეგ რომის პაპადაც ეკურთხა სილვესტრ II სახელით (999—1008); გამოირჩეოდა თავის განსწავლულობით.

იმ უფლებით, რომელიც თითქოს ტიბერიადის ტბის მესახეველისაგან ჰქონდათ ბოძებული — იმისათვის; რომ საერთო ხელისუფლება დაექვემდებარებინათ, რომის პაპები იმტკიცებდნენ, პაპლე მოცდქულის უშუალო

მემკვიდრეები ვართო; ის კი, სანამ ქრისტეს დაემოწაფებოდა, ტიბერიალის ტბის მეთევზე იყო.

ერთმა მათგანმა განიზარაზა ეკობნა ჩლუნგი გერმანელის, ავგუსტუსის მემკვიდრისათვის — ავტორს მხედველობაში აქვს ხელისუფლებისათვის ბრძოლა პაპ გრიგოლ VII და „გერმანელი ერის წმიდა რომაული იმპერიის“ განმგებელ იმპერატორ ჰენრიხ IV შორის. 1077 წ. ჰენრიხ IV, რომელიც პაპმა მოიკვეთა ეკლესიიდან, იძულებული შეიქნა კანონაში ხლებოდა მომკვეთელს, თავი დაემცირებინა და პატიება გამოეთხოვა.

გვ. 130. მთელს საქრისტიანოში განთქმული მონახტერი — ფრანს მხედველობაში აქვს კლიუნის სააბატო ბენედიქტელთა ორდენისა, დაარსებულნი 909 წელს; XI—XII საუკუნეებში იგი დიდ როლს თამაშობდა დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ და რელიგიურ ცხოვრებაში.

ჩვენი თავშესაქცევი სიტყვებით თამაში გახლდათ — საუბარია შუა საუკუნეების ფილოსოფიაში ორი მიმართულების — რეალიზმის და ნომინალიზმის ბრძოლაზე. რეალისტები ამტკიცებდნენ, რომ ზოგადი წარმოდგენები (უნივერსალები) არსებობდნენ, სანამ საგნები გაჩნდებოდა; ეს იდეალისტური თეალსაზრისი კათოლიციზმის ფილოსოფიურ ბაზად იქცა. ნომინალისტები კი საგნის პირველადობას აღიარებდნენ; მათი თეზისია: „საგნები ცნებებზე ადრე არსებობდნენ“. მარქსი ნომინალიზმს „მატერიალიზმის პირველ გამოხატულებად მიიჩნევდა შუა საუკუნეებში. ნომინალისტები სასტიკად დაგმეს სუასონის საეკლესიო კრებაზე 1121 წელს.

გვ. 131. უფლის ხაფლავის გამოსახსნელად მივეშურებითო — ავტორს მხედველობაში აქვს ჭვაროსნული ლაშქრობანი, ევროპელი რაინდები რომ აწარმოებდნენ აღმოსავლეთში (XI—XIII საუკუნეებში) იერუსალიმში დამკვიდრებულ არაბებთან, ვითომდა ქრისტეს საფლავის გამოსახსნელად; სინამდვილეში კი ამ ლაშქრობებს სამხედრო-ეკონომიკური ხასიათი ჰქონდა.

არნახულად ლამაზი ეკლესიები — გოთური სტილის ტაძრები; ეს სტილი დამახასიათებელი იყო XII—XIII საუკუნეთა არქიტექტურისათვის.

გვ. 133. ზარების გრიალში და ფსალმუნთა გალობაში კოცონზე წვადნენ კაცებსა და ქალებს — იგულისხმება XIII საუკუნეში პაპ ინოკენტ III მიერ შემოღებული საეკლესიო ინკვიზიცია.

ხარკველი რომ ახადეს, გამოჩნდა ქალწული — ეს ეპიზოდი, რომელსაც საფუძვლად უდევს რომში 1485 წელს ნამდვილად მომხდარი ამბავი, ფრანსს გამოყენებული აქვს „პინგვინთა კუნძულში“.

გვ. 134. ერთმა პოლონელმა კანონიკმა დაამტკიცა, დედამიწა ბრუნავსო — იგულისხმება პოლონელი ასტრონომი ნიკოლა კოპერნიკი (1473—1543).

პაპს უყვარდა ხელოვნებანი — საუბარია პაპ ლეონ X (1513—1521), რომელსაც ხელოვნებათა დიდი მეცენატის სახელი ჰქონდა გივარდნილი.

ხადაც მკვდრითი აღმსდგარიყო ბრამანტეს მიერ აღორძინებული ვიტრუვიუსის ხელოვნება — ვიტრუვიუსი (I სკ. ჩვენს ერამდე) — ძველრომაელი არქიტექტორი, ავტორი თხზულებისა „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ“. პასკუჩო დანტონიო დონატო, ცნობილი ბრამანტეს ნახელით

(1444—1514) — იტალიელი არქიტექტორი, რომელმაც შემოქმედებითად გამოიყენა ვიტრუვიუსის მხატვრული პრინციპები. ავტორია კათოლიკური სამყაროს უდიდესი საკულტო ნაგებობის — რომის წმ. პეტრეს ტაძრის პროექტისა.

პოლიშნია — ბერძნ. მითოლოგიით ლირიკული პოეზიის მფარველი მუზა.

გერმანელი ხერი — მარტინ ლუთერი (1483—1546), რომელიც სათავეში უდგა გერმანიაში რეფორმაციულ მოძრაობას.

გვ. 135. შალაღი, ხმელ-ხმელი ფენიველი დოქტორი — ეან კალვინი (1509—1564), რეფორმაციის მოღვაწე, რომელმაც შეუზღუდველი ძალა უფლება მოიპოვა; სასტიკად სდევნიდა თავის რელიგიურ მოწინააღმდეგეებს.

ისუ ნავე — ბიბლიური პერსონაჟი, ხელთ ეყარა რელიგიური და საერო ხელისუფლება ძველ ებრაელთა შორის.

გვ. 137. ვენერა ურანოსი — ანტიკურ სამყაროში არსებობდა განსაკუთრებული კულტი ვენერა ურანოსისა, რომელიც დროის განმგებელი და ამალეებული სიყვარულის მფარველი იყო. მისგან განსხვავებით ვენერა პანდემოსი მხოლოდ ხორციელ სიყვარულს უწევდა მფარველობას.

აბატი გასენდი — იხ. მე-12-ე გვერდისათვის დართული შენიშვნა.

ფრანსუა ბერნიე (1680—1688) — ფრანგი ფილოსოფოსი, გასენდის მოწაფე, ავტორი წიგნისა: „გასენდის ფილოსოფიისათვის“. ექიმი და მოგზაური.

შარლ დე სენტ-ევრემონი (1610—1703) — ფრანგი მწერალი, თავისუფლად მოაზროვნე, ვოლტერის ერთი უშუალო წინამორბედთაგანი.

კლოდ ემანუელ შაპელი (1626—1686) — ფრანგი მწერალი, გამოირჩეოდა თავისუფალმოაზროვნეობით.

გო-პატენი (1602—1672) — ექიმი, გასენდის მატერიალისტური ფილოსოფიის მიმდევარი.

ნახავლით განდევილებს, რომელთაც უფალთ ეძახდნენ — საუბარია იანსენისტებზე, რელიგიურ-მორალური მიმდინარეობის წარმომადგენლებზე კათოლიციზმის შიგნით, მიმდინარეობისა, რომელიც წარმოიშვა XVII ს. საფრანგეთში კოლანდიელი ლეთისმეტყველოს იანსენის მოძღვრების საფუძველზე. იანსენისტები უარყოფდნენ ნების თავისუფლებას, გამოდიოდნენ პაპისა და იეზუიტების წინააღმდეგ.

გვ. 138. მაჟა მელიეს ანდერძი — ეან მელიე (1664—1788) — ფრანგი მწერალი, მატერიალისტი. თხზულებაში „ანდერძი“, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ იქნა აღმოჩენილი და დაბეჭდილი ვოლტერის მიერ, მელიემ მკაცრად დაგმო მისი თანამედროვე ფეოდალური წყობა.

ერთმა ამერიკელმა კვაკერმა ფრანსის შემწეობით ელვა მოპარა — სპუბარია ბენჯამინ ფრანკლინზე (1706—1790), ამერიკელ პოლიტიკურ მოღვაწეზე, პუბლიცისტსა და ფიზიკოსზე. 1752 წ. ფრანკლინმა კექა-ქუხილის დროს აუშვა ქაღალდის ფრანი იზოლირებულ ძაფზე, მიიღო ელექტრონულ ნაპერწკალი და შით დაამტკიცა, რომ ელვა ელექტრონულ ბუნებისაა.

გვ. 139. ლვთებრივი იულიუსი — თულუს კეისარი. იგნ სიცოცხლემდ-

მე დეთებრივად იქნა წოდებული. მისი კულტი საფრანგეთში შემოიღეს XVIII სკ. ბურჟუაზიული რევოლუციის დროს რობესპიერის წინადადებით. ქალბატონი ბელვეციუსი — XVIII სკ. ფრანგი განმანათლებლის; ფილოსოფოს-მატერიალისტის ბელვეციუსის მეუღლე. მის სალონში, პარიზის გარეუბან ოტეილში, იმდროინდელი ცნობილი ფილოსოფოსები და მეცნიერები იყრიდნენ თავს.

გვ. 140. ვოლნე, კაზანისი, ტრასი, კანდილიაკი — კონსტანტენ-ფრანსუა ვოლნე (1757—1820) — ფრანგი ფილოსოფოსი და პოლიტიკური მოღვაწე; პიერ-ჟან კაზანისი (1757—1808) — ფილოსოფოსი, XVIII სკ. მატერიალისტთა თანამოაზრე, ცნობილი ექიმი. ანტუან ლუი დეხტუზი, გრაფი დე ტრასი (1754—1880) — ფილოსოფოსი, ფილოსოფოს სენსუალისტის ეტიენ კანდილიაკის მიმდევარი. ანატოლ ფრანსი თავს არაერთგზის უწოდებს კანდელიაკის მოწაფეს.

ჟან-ანტუან კონდორსე (1748—1794) — ფრანგი განმანათლებელი, რევოლუციის დროს ემხრობოდა მსხვილი ბურჟუაზიის პარტიას — ეირონდისტებს.

რათა მსოფლიოსთვის ახალი მარკუს ავრელიუსი მოგვევლინა — ე. ი. ფილოსოფოსი იმპერატორი. მარკუს ავრელიუსი — რომელი იმპერატორი (121—180), ფილოსოფოს-სტოიკოსი.

გვ. 141. დაუპატომრა ნაცვალი — 1809 წ. 17 ივნისს ნაპოლეონის ბრძანებით საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს რომი და საფრანგეთის იმპერიას მიუერთეს. პაპი პიუს VII დააპატიმრეს და პარიზს ჩამოიყვანეს.

უელზე დანა შიახინა და აიძულა მთრონცხება — 1804 წელს ნაპოლეონმა აიძულა პაპი პიუს VII პარიზში ჩამოსულიყო და მეფედ ეკურთხა იგი.

რალაც თვალწარმტაცი, ლიტერატურული ქრისტიანიზმი — ფრანსი მუდამ გამოდიოდა რეაქციული რომანტიზმის წინააღმდეგ, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო წრეგადასული სუბიექტივიზმი და ქრისტიანულ მისტიკა.

გვ. 146. „აგნეს შერანელი“ — ისტორიული ტრაგედია პონსარისა (1814—1867); მისი გმირი ქალია ფრანგი დედოფალი, მეფე ფილიპ-ავგუსტის (XIII სკ.) ცოლი.

ელ გრეკო — მისი ნამდვილი სახელია დომენიკო თეოტოკოპული (1541—1616). გამოჩენილი ესპანელი მხატვარი, წარმოშობით კრიტელი, რითაც აიხსნება მისი ზედწოდება „ელ გრეკო“ (ბერძენი).

გვ. 160. რესპუბლიკის პრეზიდენტი პაპთან მოლაპარაკებას ლამობს — 1913 წლიდან 1920 წლამდე საფრანგეთის პრეზიდენტად იყო რაიმონ პუანკარე (1860—1934), რომელსაც მეტსახელად „პუანკარე-ომი“ შეარქვეს; იგი იყო ფრანგული იმპერიალიზმის აგრესიული წრეების ინტერესთა გამომხატველი, იტარებდა რეაქციულ პოლიტიკას და ესწრაფოდა ეპიტაქსთან დაახლოებას.

გვ. 164. გლეგლე (1858—1889) — დაგომიის, საფრანგეთის აფრიკულ კოლონიის მეფე.

გვ. 165. გოდოლის აგება იწყეს — ავტორს მხედველობაში აქვს ბიბლი-

ური ეპიზოდი ბაბილონის გოდოლზე, რომლის შემწეობითაც ხალხი ზე-
ცას უნდა მისწვდნენოდა.

გვ. 167. ოსიანი — 1762 წ. პოეტმა მაყფერსონმა გამოსცა კრებული
პოემებისა „ოსიანის სიმღერები“, რომლებიც შოტლანდიელი ბარდის ოსი-
ანის ქმნილებათა ინგლისურ ენაზე თარგმანად გაასალა, ბარდისა, გადმოცე-
მის თანახმად III საუკუნეში რომ ცხოვრობდა. „ოსიანის სიმღერებმა“
დიდი ზემოქმედება მოახდინეს რომანტიკული პოეზიის ფორმირებაზე.

გვ. 171. „რეგენტი“ — საუბარია მსხვილ ბრილიანტზე, რომელიც 1717
წელს იყიდა რეგენტმა, პერცოგმა ფილიპ ორლენანელმა და ინახება საფ-
რანგეთის რესპუბლიკის აღმასთა ფონდში.

გვ. 174. გოლიათის მოჭრილი თავით იყო ყრმა დავითის ხელში —
ბიბლიური თქმულების მიხედვით ყრმა დავითმა, შემდგომში ისრაელის
მეფემ, შურდულით მოკლა ფილისტიმელთა ბელადი გოლიათი.

გვ. 181. ლონშანი — პარიზის იპოდრომი.

რისხვამ არქილოქეს დარად იგი შურისმგებელი ლირიზმით როდი შე-
აიარაღა — არქილოქე (ჩვ. ერამდე VII სკ. შუა წლ.) — ძველბერძენი
პოეტი ლირიკოსი, გესლიანი „აიმბების“ ავტორი. ლეგენდის მიხედვით არ-
ქილოქემ პოეტობას ზიპყო ხელი, რათა შური ეძია ვინმე ლიკამბზე, რო-
მელიც შეპიირდა, ქალს მოგათხოვებო, მაგრამ არ შეუსრულა დანაპირები.
არქილოქეს დაციწვის საგანი რომ გახდა, უბედურმა ლიკამბემ დღე მოის-
წრაფა.

გვ. 186. შავი პუდელი — „უწმიდურ ძალის“ განსახიერება; სახე, რო-
მელსაც ა. ფრანსი დაესესხა გოეთეს „ფუსტს“. მეფისტოფელ ფუსტს
პირველად სწორედ შავი პუდელის სახით ეჩვენება (სცენა მესამე).

გვ. 191. პიკროზოლი — რაბლეს სატირული რომანის „გარგანტუა და
პანტაგრუელის“ პერსონაჟი, უიღბლო მეომარი. აქ ფრანსი ამთარახებს
ფრანგ კრიტიკოსსა და ლიტერატურის ისტორიკოსს ფერდინანდ ბრიუნე-
ტიერს (1849—1906), რომელიც იცავდა რელიგიას და გონების წინააღ-
მდეგ ილაშქრებდა („მეცნიერება და რელიგია“). თავის საურუნალო სტა-
ტიებში ა. ფრანსი ხშირად ეკამათებოდა ბრიუნეტიერს.

გვ. 196. კავალერი დე გრიე — აბატ პრევეოს რომანის „მანონ ლესკოს“
(1731) გმირი. კავალერი დე გრიეს სატირფოს ამერიკის ფრანგულ კოლო-
ნიაში ასახლებენ, მისისიპის ნაპირას.

გვ. 200. ბლოკისტები — „მემარცხენე ბლოკის“ ანუ ბურჟუა-რესპუბ-
ლიკელთა გაერთიანების მონაწილენი; ებრძოდნენ კლერიკალიზმსა და მო-
ნარქიულ რეაქციას 900-იან წლებში.

ნორმალური ხელო — პარიზის უმაღლესი პედაგოგიური სასწავლე-
ბელი.

გვ. 206. პასიფაე (ბერძ. მით.) — კრიტოსის მეფის მინოსის მეუღლე,
რომელმაც ხარი შეიყვარა.

ტუშე — ფარეკაობის ტერმინია.

გვ. 208. ლიხიანეს ათლეტი — ქაბუკის ქანდაკება, რომელიც ძველ ბერ-
ძენ მოქანდაკეს ლისიპეს (IV სკ. ჩვ. ერამდე) ეკუთვნის.

გვ. 212. კომპიზში — ავტორს მხედველობაში აქვს პრემიერ-მინისტრ

რედაქტორი მ. რევაზიშვილი
მხატვარი ი. დივინოვოცევა
მხატვრული რედაქტორი აკ. თევზაძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. ვეშაპიძე
კორექტორი დ. ცინცაძე
გამომშვები ა. ხაკაძე

ს.ბ. 5120

გადაეცა წარმოებას 8.01.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 2.06.88.
საბეჭდი ქალაქი № 1. 84×108¹/₃₂. გარნიტური ვენა. ბეჭდვა
მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 12,81. პირ. სალ.-გატ. 13,13.
სააღრ.-საგამორჩ. თაბახი 11,72. ტირაჟი 40.000. შეკვ. № 7.
ფასი 1 მან. 50 კპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის, 5

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის
სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7
Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государст-
венного комитета Грузинской ССР по делам издательства, по-
лиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7,